N52 (498) 24/XII-30/XII-2009 ფასი 1 ლარი

გზა

გორის ყოვლადწმინდა სამების ტაძარში სასწაული ხდება

ვინ დგას მაია ასათიანის უკან

ლამაზფეხებიანები და მოკლე კაბა

2010 წლის მოდის ტენდენციები

საქართველოს მთავარი მაშველის 2009 წლის მონაპოვარი — 13 წლით უმცროსი მაკა

„ბზიკები“ ღირსების ორდენით დააჯილდოეს, მათი პედაგოგი კი არავის გახსენებია

ბექა ქავთარაძე: „მე და მამაჩემს განსხვავებული ხედვა გვაქვს“...

ISSN 1987 - 5029

გოგლა ლეონიძის რისკიანი გზავნილების ამბავი

საფკვილოსო საახალწლო საჩუქარი პატარებს!

ოქროსფერ წიგნის მაღაზიებში

ხელმისაწვდომი

თოვლის ბაბუს ერთი, ყველაზე ლამაზი და სანუკვარი - ახალი წლის ღამის ამბავი. ეს წიგნი თოვლის ბაბუს უამრავ საიდუმლოს ახდის ფარდას და ბავშვების უამრავ შეკითხვას პასუხი გაეცემა. წიგნი სავსეა თვალისმომჭრელი ილუსტრაციებით და სიურპრიზებით.

ხელმისაწვდომი

გამომცემლობა
პალიტრა

№52 (498)
24 — 30 დეკემბერი, 2009 წ.
ფასი 1 ლარი

■ მინიატიურები 5
კოტე და კოტე
■ ქრელი მსოფლიო 6
■ ინფორმაცია 7
■ რეპორტაჟი 8
„უცხიმო“ ნიგვზის საიდუმლო, „მეორადი“ გოჭის ფასი და ბანანები „განვადებით“
■ ობიექტივი 10
■ კრიმინალი 12
ევროსასამართლო გირგვლიანის საქმეზე ვერდიქტს თებერვალში გამოიტანს
■ პერსონა 14
■ ტრაგედია 16
■ ეკრანს მიღმა 19
„კლინიკა“ — უკომპრომისო და პრეტენზიული პროექტი ჰიტური ელემენტებით
■ მსახიობი 21
„მერჩივნა, საზოგადოებას ნამდვილი სახით გავცნობდი და მერე მეთქვა — ვისი შვილი ვარ“
■ საგანძური 23
ქართული ხალხური მუსიკის სიყვარულით გაერთიანებული ინგლისელები
■ თაობა 25
გიგა კუხიანიძის „ბზიკური“ იდეა ანუ რა მომავალი აქვთ „ბზიკებს“
■ ამპლუა 27
ცნობილების ცნობილი პროდიუსერი
■ ვარსკვლავები 29
■ SOS! 31
■ წუხილი 32
„დაყრილი“ ჩვილები, ნაჩუქარი ძმობა და სხვისი დედა
■ ბედი კაცისა 34
სამშობლოდან გადახვეწილი იუნკრისა და გოგლა ლეონიძის რისკიანი გზავნილების ამბავი

ქვეყანა





„უცხიმო“ ნიგვზის საიდუმლო

ბაზრის შესასვლელშივე ასეთ წარწერას წავაწყდი: რაჭული „სუპერი“. არა, საერთოდ, რაჭველები რომ „სუპერები“ არიან, ამაში ეჭვი არ მეპარება, მაგრამ ამ შემთხვევაში თურმე რაჭულ ნიგოზს გულისხმობენ.

6

სახე

ვიქტორია ბექჰემმა ნახევარი მილიონი დოლარი დაკარგა

ვიქტორია ბექჰემს დიდი უსიამოვნება შეხვდა. რამდენიმე დღის წინ უცნობმა პირმა მისი ახალი კოლექციიდან 75 კაბა მოიპარა. ეს ინციდენტი მაშინ მოხდა, როდესაც კაბები სატვირთო ფურგონიდან ნიუ-იორკის მაღაზია **Neiman Marcus**-ში გადაჰქონდათ.

19

ცხოვრება

გოგლა ლეონიძის რისკიანი გზავნილების ამბავი

„როგორც ქალბატონმა ანა მათიკაშვილმა ამიხსნა, მისი მეუღლე ნიკოლოზი, გიორგი ლეონიძის თანატოლი და ახლო ნათესავი იყო. ქართველი პოეტი ემიგრანტობაში მყოფ მათიკაშვილს სისტემატურად უგზავნიდა ქართულ პრესას...“

31

გზა ნიღბები

„ნამდვილ მეგობრობას ვერაფერი დაამარცხებს!“

„გზის“ №51-ში დაიბეჭდა 16 წლის მავნეს მესიჯი. შეგახსენებთ, ის გვწერდა, რომ დაქალები „სასტავში“ ახალშემოსული გოგონას გამო დაკარგა. ნინომ მეგობრებს შორის შუღლი ჩამოაგდო, უნდობლობის მარცვალი დათესა და მიზანსაც მიაღწია — გოგონები ერთმანეთს წააჩხუბა, სამეგობრო დაშალა.

85

■ ნამდვილი ამბავი 36
სილიკონის მკერდი...
■ სიტუაცია 37
მარცხნიდან პირველი ფიფქი
■ თქვენთვის, ქალბატონებო! 39
■ კონსულტაცია 41
აურზაური შინიდან გაგდებული დედამთილის გამო
■ ეს სამყარო 43
ლამაზფეხებიანების წელი და
დაძველებული გლამური
■ პობი 45
მინიატიურული ფეხსაცმელების
კოლექციონერი ექიმის გატაცება
■ საკითხავი ქალებისათვის 47
■ ტაძარი 48
საპატრიარქოები და პატრიარქის ტიტული
■ გატაცება 50
■ ანტიდეპრესანტი 52
■ ავტო 52
■ ჯანმრთელობა 54
■ შთამომავლობა 57
„ო, არა გაზაფხულზე — ზამთარში... ზამთარში!..“
■ ემიგრანტი 60
■ სასწაული 62
გორის ყოვლადწმინდა სამების
ტაძარში სასწაული ხდება
■ თინეიჯერული პონტები 64
■ ნვეთი პოეზია 67
■ მინირომანი 68
■ დოკუმენტური პროზა 71
შეხვედრები სტალინთან (გაგრძელება)
■ ქართული დეტექტივი 72
გოჩა მანველიძე. ძმები (გაგრძელება)
■ გულახდილი დღიური 76
მე — ფსიქოლოგი (გაგრძელება)
■ რომანი 78
სვეტა კვარაცხელია. სევდის სურნელი
(გაგრძელება)
■ რეალური 82
■ გზავნილები 85
■ ყველა ერთისათვის 90
■ მობილი-ზაცია 92
■ წლის პოროსკოპი 97
■ ერუდიტი 100
გამოუსწორებელი მეოცნებისა და
რომანტიკოსის „კუჩხი“ ბედნიერი
■ გასართობი 102
■ სკანვორდი 105
■ საფირმო კროსვორდი 106

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.

მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
მთ. რედაქტორის მოადგილეები: ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია
პასუხისმგებელი რედაქტორი: მარი ჯაფარიძე
მენეჯერი: მათე კბილაძე

დიზაინი: ნანა გიგოლაშვილი
კომპიუტერული უზრუნველყოფა: ირმა ლიპარტელიანი,
რეზო თხილიშვილი

მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. #49
ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza.fantazia@gmail.com

რეკლამა „გზაში“: 37-78-07; 38-78-70.

სამყარო



„ამ სამკაულებს ვერაფრით შეველევი“

ალბათ ყველა ადამიანისთვის ნაცნობი და საყვარელი სიმღერაა „იასამანს დაეკარგა ფერი“, რომლის ავტორიც პროფესიით ექიმი, მედიკო კარტოზია გახლავთ. ის, გარდა იმისა, რომ სიმღერებს წერს, ხატავს კიდეც, ამზადებს უამრავ საინტერესო ნივთს, აქსესუარს, სამკაულს. ასევე, მინიატიურული ფეხსაცმელების საინტერესო კოლექცია აქვს.

43

ადამიანი

გორის ყოვლადწმინდა სამების ტაძარში სასწაული ხდება

„ადამიანებში ამპარტავნობა, სიძვა, მშობლისადმი უპატივცემულობის ცოდვა გახშირდა. ყველაზე მეტად მაოცებს ის, რომ ადამიანების უმრავლესობა დარწმუნებულია საკუთარ უცოდველობაში“.

57

ბიბლუსი

ეს იყო სურათი, რომელიც გოგამ გონებაზე მოსვლის შემდეგ იხილა...
— სად ვარ? — იკითხა გაჭირვებით.
— „კაპეზეა“, — უპასუხა ახალგაზრდამ.
— ვინ მომიყვანა აქ? — განაგრძო გოგამ.
— შენ რა, არაფერი გახსოვს? — ახალგაზრდა მისკენ დაიხარა და სახეში ჩააცქერდა.
— არა...

67

ტაიმ-აუტი

საახალწლო სუფრა და ტანისამოსი

მაგიდა, რომლის ირგვლივაც ახალი წლის შესახვედრად შეიკრიბებით, ოთახის შუაგულში დადგით და გადააფარეთ ყვითელი, ნარინჯისფერი, ვერცხლისფერი ან თეთრი სუფრა. ჭურჭელი უმჯობესია, იყოს ლითონის (სპილენძის, ვერცხლის, მელხიორის), ხის ან კერამიკული.

97

ხოცე და ხოცე

შესავლის ნაცვლად ესეც ასე! ამ ორი კვირის წინ განათლებ-ის მინისტრი რომ განათლების მისაღებად გაუშვა ჩვენმა პრეზიდენტმა, ხომ გახსოვთ? თუმცა რა დაგვავიწყებს, მაგის იმედადღა ვართ — ჩამოვა ნასწავლი და აგვაშენებს. იმის ადგილზე რომ შაშკინი დანიშნა, ამ შაშკინის სავარძელიც ხომ გათავისუფლდა და რამდენ ხანს იქნებოდა ასე? ჰოდა, გამოჩნდა უკვე განათლებამიღებული (გვარამი-ასგან განსხვავებით) „კადრი“ და ჩვენმა პრეზი-დენტმაც არ უღალატა თავის ორიგინალურ იმიჯს — ციხეების და მკვლელების, ქურდების და მამაძაღლების უფროსად ისეთი „პაატალა გოგო-ცუნა“ დანიშნაა... ნეტავ, რა ისწავლა ასეთი იმ ამერიკაში ამ „ბავშვმა“, ან აქ რა დააშავა ასეთი...

განათლებაზე, პრეზიდენტსა და უცნაურ თანამდებობ-ებზე მყოფ შეუსაბამო პერსონებზე გამახსენდა: მწერალი და რატომღაც თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე ზაალ სამადაშვილი წიგნის მაღაზია „ბიბლუსს“ სტუმრობდა და გაზეთ „ყველა სიახლეს“ ინტერვიუ მისცა.

მწერალ კაცს რომ წიგნის კითხვა „ნაყვარება“, რა გასაკვირია, მაგრამ განსაკუთრებით რომ სათავგადა-სავლო ლიტერატურა იტაცებს, ეს არ ვიცოდი... და რაც მთავარია, ჩვენი პრეზ-იდენტი სათავგადასავლო წიგნის გმირს ჰგავსო!!! კონკრეტულად რომელ გმირს, ეს აღარ უთქვამს, მაგრამ იმავე ინტერ-ვიუში თავის საყვარელ პერსონაჟებად ბურატინოს, ჩიპოლინოსა და ლურსმანას ასახელებს, ე.ი. პრეზიდენტსაც ერთ-ერთ მათგანს ამსგავსებს...

ძალიან მეეჭვება, რომ საკაშ-ვილი ან იმ ინტერვიუს, ან ამ „პროვოკაციას“ წაიკითხავს, თორემ „გააჩიპოლინოებდა“ მაგას... აგე, ერთი „ზრდას-რული“ მინის-ტრი ჰყავდათ მთავრობაში და ორი მართალი სიტყვისთვის „ჩა-მოალაბორანტ-ეს“ — როგორ გაბედე და, აქედან უცხ-ოეთში წასულ სომხებს ჩვენს დიასპორად არ თვლიო!..

ისე, ერთი რამ ძალიან მომეწონა ბატონი ზაალის ინტერვიუდან — სახლში წიგნის საკითხავად სად მცალია, სამსახურში ვკითხულობო!

ა, ბატონო! ერთი ჩინოვნიკი მაინც აკეთებს ამ ხელისუფლებიდან ნორმალურ საქმეს სამსახურში ყოფნი-სას! მიბაძონ მინისტრებმა და არ იქნება ურიგო, მერე უცხოეთში წასასვლელები აღარ გახდებიან განათლების მისაღებად გვარამიასავით...

თვით „ჩიპოლინოს“ რაც შეეხება — დანიაში ბრძან-დებოდა ეკოლოგიურ სამიტზე და ისეთი სიტყვა თქვა, მთელი დარბაზი აღაფრთოვანა: ჩემს ქვეყანაში ეკოლოგიური პრობლემა საერთოდ არ იქნებოდა, რუსებს შარშან ტყეები რომ არ გაეჩანაგებინათ; ფაბრიკა ჩემთან არ მუშაობს და ქარხანა, რომ გარემო მოვწამლოთ; მხოლოდ დენს გამოვიმუშავებთ და ისიც წყლის ენერგიით — თან იაფია და თან სუფთაო (ამ „იაფ“ ენერგიას რომ სწორედ დანიის შესაფერისი ფასებით ყიდის მოსახლეობაზე, ეგ აღარ უთქვამს — ეკოლოგიასთან რა შუაში იყო...)

იმ საზარელ ტრაგედიაზე არაფრის თქმა მინდა, რაც ქუთაისში დატრიალდა, მაგრამ ამასთან დაკავ-შირებულ პუტინის განცხადებაზე ვერ გავჩუმდები: მაგ მონუმენტს ჩვენ მოსკოვში აღვადგენთ, აქაური ქართველების ძალებითო! ეგ, მგონი, ფულსაც იხდის... მერედა, სანამ ამ ჭკუაზეა, იქნებ კიდევ რამე ან ვინმე გავატანოთ?! აგერ ნოღაიდელი, მაგალითად... თუმცა, ეგ „თავისი ხოდით“ დადის ამ ბოლო დროს მოსკოვში — ამას წინათ ცხინვალში ამოყო თავი, თანაც არ ამბობს, თბილისიდან შევი-და თუ როკის გვირაბიდან. თომას ჰამერბერგმა რომ ბავშვები გამოიყვანა, ეგეც იქ იდგა და იმ პატიოსან-მა ევროპელმა, მგონი, ვერ გაიგო, ეს ვინ იყო — ისე უღიმოდა, ეგეც ტყვეობიდან დახსნილი ეგო-ნა... არადა, რა იცოდა, მაგის ტყვე-ობა ახლა რომ იწყება — გუშინ ისევ გამოიძახა „ცენ-ტრმა“ და „ჩერეზ მინსკ“ გაფრინდა.

P.S. ამ ბოლო დროს ისევ აქტუალური გახდა კიდევ უფრო „გაევროპელებ-ის“ მიზნით „რომის პაპზე მეტად გაკათოლიკების“ შესახებ მსჯელობა: ყველა სხვა უფლება ხომ დაცული გვაქვს და მოდი, ახლა ერთსქესიანი ქორწინებების შესაძლე-ბლობებზე ვიმსჯელოთო! თანაც ყოველ წუთს იმას ამბობენ, ჩვენს ფესვებსაც არ უნდა მოვწყდეთო.

ჰოდა, წარმოვიდგინე ასი წლის შემდეგ ქართველებ-ის საყვარელი ფილმი რომ იქნება 2020 წელს გადაღებული „კოტე და კოტე“ და მაჭანკლის როლში ამ იდეის ქართველი ავტორი.

პროვოკატორი

ევროპა სანტა კლაუსის წინააღმდეგ

შობის წინ, ევროპაში ათასობით ადამიანი ქუჩაში სანტა კლაუსების წინააღმდეგ გამოდის. „არა სანტა კლაუსს!“ — წერია მათ პლაკატებზე. „ისინი შობის დღესასწაულის კომერციალიზაციას აპროტესტებენ, რომლის სიმბოლოდაც წითელხალათიანი თეთრწვერა ღიპიანი მოხუცი იქცა, რომელიც „კოკა-კოლასთან“ ასოცირდება“, — წერს უცხოური პრესა. გერმანიაში ერთ-ერთმა კათოლიკურმა ორგანიზაციამ ჯერ კიდევ 7 წლის წინ გააკეთა განცხადება იმის შესახებ, რომ სანტა კლაუსის პროტოტიპი წმინდა ნიკოლოზია და სავაჭრო ნიშნად მისი გადაქცევა არ შეიძლებაო. 2002 წელს გერმანიაში ზოგიერთი დაწესებულების წინ პირველად გაჩნდა აბრები: „ყურადღება, სანტა კლაუსისთვის შესვლა აკრძალულია!“ ამ მოძრაობის მხარდამჭერები წელსაც აქტიურობენ. საპროტესტო აქციები დეკემბრის დასაწყისში ავსტრიაშიც გაიმართა. ვენის მუნიციპალიტეტმა ტრადიციულ საშობაო ბაზრობებზე სანტა კლაუსის გამოსახულებიანი ატრიბუტიკის გაყიდვა ოფიციალურად აკრძალა. „სანტა — ანგლოსაქსური გამოგონებაა; ვისაც მასთან შეხვედრა უნდა, ამერიკაში წავიდეს, დარწმუნებული ვარ, „კოკა-კოლა“ სიხარულით მიიღებს ასეთ სტუმრებს“, — განაცხადა ქალაქის საბჭოს წარმომადგენელმა. ■

ეგვიპტელები ფარაონის ცოლს ითხოვენ

ეგვიპტემ გერმანიას ოფიციალურად მოსთხოვა, დააბრუნოს ფარაონის ცოლის — ნეფერტიტის ქანდაკება, რომელიც ბერლინის მუზეუმშია დაცული. პრესაში გავრცელებული ინფორმაციით, ეგვიპტურმა მხარემ უკვე წარმოადგინა დოკუმენტი, რომლის თანახმადაც, ნეფერტიტი, რომელიც უკვე 3400 წლისაა, 96 წლის წინ ქვეყნიდან უკანონოდ გაიტანეს. ნეფერტიტი ფარაონ ეხნატონის ცოლი იყო, რომელიც ეგვიპტეს ჩვ.წ. აღ-მდე 1350-1334 წლებში მართავდა. ფარაონის ულამაზესი მეუღლის ქანდაკების სანახავად ბერლინში ათასობით ტურისტი ჩადის. ■

136 მილიონ დოლარად ღირებული არაბული სასწაული

არაბთა გაერთიანებული საამიროების უდიდეს ქალაქ დუბაიში მსოფლიოში ყველაზე მაღალი სასტუმრო გაიხსნა. როგორც საინფორმაციო სააგენტოები იუწყებიან, სასტუმრო „ვარდის“ სიმაღლე 333 მ-ია და 12 მეტრით აჭარბებს დუბაის 60-სართულიან ოტელს, რომელიც აქამდე სასტუმროებს შორის მსოფლიოში უმაღლესად მიიჩნეოდა. შენობა, რომელშიც 70 ერთოთახიანი და 48 ოროთახიანი აპარტამენტია განთავსებული, 71-სართულიანია. მისი მშენებლობა 5 წელი მიმდინარეობდა და 136 მლნ დოლარი დაჯდა. ■

რუბრიკის გაგრძელება ის. გვ. 17

ქვეყანა

ისევ ახალი მინისტრები...

საქართველოს მთავრობაში კიდევ ერთი, სრულიად მოულოდნელი საკადრო ცვლილება განხორციელდა. „ელდისებურმა“ საკადრო პოლიტიკამ ამჯერად სახელმწიფო მინისტრი დიასპორის საკითხებში, იულონ გაგოშიძე არქეოლოგიური კვლევის ცენტრში „გადააადგილა“. მისი პოსტი კი საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელმა პაპუნა დავითაიამ დაიკავა, რომელიც დეპუტატობამდე, კულტურის მინისტრის მოადგილედ მუშაობდა. კულუარული ინფორმაციით, იულონ გაგოშიძის ჩამოქვეითება რუსეთში ქართველთა გახშირებული ვოიაჟითა და ალექსანდრე ებრალიძესთან იქაური ქართული დიასპორის ნაწილის კონტაქტებია. ხათუნა კალმახელიძე, რომელმაც „სასჯელაღსრულებაში“ დიმიტრი შაშკინი შეცვალა, საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე იყო. ■

რუსული პრესა საქართველოს თავდაცვას ზვერავს

თავდაცვის სამინისტრომ 150 პოლკოვნიკი და ვიცე-პოლკოვნიკი გაათავისუფლა სამსახურიდან — ამ ინფორმაციას რუსული გაზეთი „ვზგლიად“ ავრცელებს და ირწმუნება, რომ თავდაცვის სამინისტოში საკადრო წმენდა ახლაც მიმდინარეობს. რუსული მედიის მტკიცებით, უწყებიდან იმ ადამიანებს ათავისუფლებენ, რომლებიც ახალაიას მინისტრობით უკმაყოფილონი არიან. გაზეთს სამსახურიდან დათხოვნილი ერთ-ერთი პოლკოვნიკის კომენტარიც მოჰყავს, რომელიც აღნიშნავს, რომ თავდაცვის სამინისტროში შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები გადადიან. რუსული გაზეთი გათავისუფლებული პოლკოვნიკის ვინაობას არ ასახელებს. ■

ამერიკელი სენატორები რუსული ხრიკების შესახებ

რუსეთის უშიშროების სამსახური ახალ ბრალდებას გვიყენებს. „საქართველოში დივერსიულ-ტერორისტულ ჯგუფს ამზადებენ, სწავლების დასრულების შემდეგ კი მას რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე გადაისვრიან“, — ამ ინფორმაციას რუსული მასმედია ფე-ეს-ბეს განცხადებაზე დაყრდნობით აკეთებს. დაღესტნის კონტრდაზვერვის სამსახურის ცნობით, დივერსიული ჯგუფის დანიშნულება, რუსეთის ენერგოობიექტებსა და რკინიგზაზე თავდასხმაა. ამ „ოპერატიული ინფორმაციის“ მიღებისთანავე რუსეთის ხელისუფლებამ საქართველო-რუსეთის საზღვართან დაცვა გააძლიერა და ოპერატიულ-აგენტურული მუშაობა გააქტიურა. როგორც ქართველი პოლიტიკოსები ამბობენ, თბილისისთვის ახალ-ახალი ბრალდებების წამოყენებით მოსკოვი ცდილობს, თავი იმართლოს იმ ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო, რომელსაც ცეცხლის შეწყვეტის შესახებ 6-პუნქტიანი შეთანხმება და ევროსაბჭოს რეზოლუციები აკისრებს. მოსკოვის ფარული ზრახვების ამოცნობა არც ვაშინგტონში გასჭირვებიათ: ამერიკელმა სენატორმა რიჩარდ ლუგარმა ობამას ადმინისტრაციას და ევროპელ მოკავშირეებს უკვე მიმართა მოწოდებით, საქართველოს გადაიარაღების საკითხი განიხილონ. მისი შეფასებით, მოსკოვში ბოლო დროს გაკეთებული განცხადებები შესაძლოა, კავკასიაში დესტაბილიზაციის საფუძვლად იქცეს. სენატორებმა — რიჩარდ ლუგარმა, ჯონ მაკკეინმა და სხვა ამერიკელმა სენატორებმა საფრანგეთს ურჩიეს, თავი შეიკავოს რუსეთისთვის სამხედრო ხომალდ „მისტრალის“ მიყიდვისგან, არგუმენტად კი რუსეთის მხრიდან საქართველოსა და უკრაინაზე შესაძლო თავდასხმა მოიყვანეს. ■

პუტინი ქართველების ხელით დანგრეულს ქართველებსვე აღადგენინებს

„ქუთაისში აფეთქებულ „დიდების მემორიალს“ მოსკოვში აღადგენენ, — განაცხადა რუსეთის პრემიერ-მინისტრმა ვლადიმირ პუტინმა. — მემორიალის აღება — ყოფილი საბჭოთა კავშირის ხალხების საერთო წარსულის წაშლის მცდელობაა. შესაძლებლად მიმაჩნია, ამ მემორიალის აღდგენა ჩვენი ოდესღაც ერთიანი სახელმწიფოს დედაქალაქში — მოსკოვში მოხდეს“, — დასძინა მან. ამასთანავე, პუტინმა ძეგლის აღდგენისა და განთავსების ხარჯების დაფინანსება რუსეთში მყოფ ქართულ დიასპორას სთხოვა. მის ინიციატივას უკვე გამოეხმაურა მოსკოველი ბიზნესმენი მიხეილ ხუბუტია. როგორც ჩანს, რუსეთის პრემიერის ჩანაფიქრი — „ქართველთა ხელით დანგრეული საერთო ისტორია ისევ ქართველთა ხელით აშენდეს“ — მართლაც, განხორციელდება. ■

შპს „ბოლნისი აგროტექნიკა“

იყიდება სოფლის მეურნეობის ტექნიკა

ვიღებთ შეკვეთებს

მის: ბოლნისი, აღმაშენებლის 1ა
☎ 899-53-20-06; 891-33-77-03
www.bolnisagro.ge
e-mail: info@bolnisagro.ge

„უცხიმო“ ნიგვზის საიდუმლო, „მეორადი“ გოჭის ფასი და ბანანები „განვადებით“

ჩემი აზრით, წინასაახალწლო დღეებში ყველაზე საინტერესო სიტუაცია ქალაქის ბაზარშია. ამ დროს ხალხი საახალწლო სამზადისშია. ზოგი პროდუქტს ყიდულობს, ზოგი საჩუქრებს, ნაძვის ხეს, ტკბილეულს — მოკლედ, დიდი ფუსფუსია. რეპორტაჟის მოსამზადებლად, ფოტორეპორტიორის გარეშე წავედი და მისი ფუნქციები თავად ვიტვირთე. იქ მყოფ გლეხებსა და ვაჭრებს ისე მოსწონდათ კამერის წინ პოზირება, ვისთანაც არ მივედი, თვითონ მაკითხავდნენ და მთხოვდნენ, — წამოდი, ჩემი დახლიც გადაიღეო.

ნათია ჟვიკა

ბაზრის შესასვლელშივე ასეთ წარწერას წავაწყდი: რაჭული „სუპერი“. არა, საერთოდ, რაჭველები რომ „სუპერები“ არიან, ამაში ეჭვი არ მეპარება, მაგრამ ამ შემთხვევაში თურმე რაჭულ ნიგოზს გულისხმობენ. ისე, ბაზარში რაჭული ნიგვზის დიდი არჩევანია: „ცხიმიანი“ და „უცხიმო ნიგოზი“ — აწერია დიდი ასოებით. უნდა ვაღიარო, რომ უცხიმო ნიგოზი თუ არსებობდა, პირველად გავიგე, ალბათ ჩემი კულინარიული უვიცობის ბრალია... ნიგვზის დახლთან მივედი და ფასი ვიკითხე. 12 ლარიო, — მიპასუხა გამყიდველმა ქალბატონმა. გზა განვაგრძე, მან კი დამადევნა, — 14 ლარზე ნაკლებად ვერ ნახავ, მხოლოდ მე მაქვს ასე იაფადო. მასთან ახლოს მჯდომმა სევდიანმა ბიჭმა მითხრა, — თუ მყიდველი ხარ, 11 ლარადაც მოგცემო... ამასობაში გოჭების დახლამდე მივედი. ქალბატონს მის წინ დადებული ერთადერთი გოჭის ფასი ვკითხე. ეს, გენაცვალე, „მეორადი“ გოჭიაო, — მითხრა თავიდან. ცოტა დავიბენი და ვიკითხე, — „მეორადი“ გოჭი რას ნიშნავს — ერთხელ უკვე შეწვეს-მეთქი?.. — არა, შვილო, ინვალიდია: სიცოცხლეში ფეხი მოიტეხა და აი, უკანა მხარე იმიტომ აქვს დალურჯებული; ამ ნაკლის გამო, 40 ლარად მოგცემო. ამასობაში მეორე გამყიდველი ქალი მომიახლოვდა და მითხრა, — ნახე, შვილო, სიმწრისაგან მკვდარსაც კი მაღლა აქვს ნატკენი ფეხი აშვერილიო!.. სიცილით გული რომ ვიჯერე, „მეორადი“ გოჭის პატრონს მივუბრუნდი: არა, ქალბატონო, ყიდვა არ მინდა; ჟურნალისტი ვარ, შეიძლება, თქვენს ინვალიდ გოჭს სამახსოვრო ფოტო გადავუღო-მეთქი? — არა, სირცხვილია, ასეთი გოჭის ფოტოს ხომ არ დაბეჭდავ იმ შენს ჟურნალში, ხვალ დილით მოდი და ლამაზ გოჭებს გადაგაღებინებო. მერე ჩემსა და გამყიდველებს შორის ასეთი დიალოგი გაიმართა:

— ჯერ მხოლოდ 4 საათია და უკვე ყველა გოჭი გაყიდეთ?

— ჰო, ვერ ხედავ, ბაზარი ცარიელია? — მომმართა მამაკაცმა. — ამ ვაჭრებს რას ეკითხები, ყველაფერს მოგატყუებენ. მე დამელაპარაკე. გაინტერესებს, გოჭები რატომ არ არის? იმიტომ, რომ „ღორის გრიპის“ გამო იმდენი ღორი გაწყვიტეს, ფიზიკურად აღარ არის გოჭები და ბაზარშიც ძალიან ცოტა შემოაქვთ. ამიტომ ღირს ასეთი ძვირი.

— მაინც რა ღირს?

— კარგი გოჭი — 70 ლარი, პატარა და გაძვალტყავებულს 50 ლარადაც იყიდი.

ინდაურების რიგისკენ გადავინაცვლე. გამყიდველმა მაშინვე მიმიპატიჟა, — მობრძანდი, გენაცვალე, ნახე, როგორი ინდაურები მყავს, ნახე, რა ტან-ფეხი აქვთო!..

— რა ღირს თქვენი „მოდელი“ ინდაურები?

— 45-დან 65 ლარამდე.

— რა ამბავია, გოჭსა და ინდაურს ერთი ფასი აქვს?!

— აბა, რა! რითი სჯობია გოჭი ჩემს დაპრანჭულ ინდაურებს?! — გაბრაზდა გამყიდველი. მის დახლს გავცდი თუ არა, ვიღაცამ დამიძახა, — მოდი, გოგონა, ჩემი ქათმებიც დაათვალიერე, იქნებ მოგეწონოსო. ერთი კი შევხედე მის ქათმებს, მაგრამ რადგან ინდაურების მსგავსი „საუკეთესო ტან-ფეხი“ არ ჰქონდათ, მათი დათვალიერებით თავი აღარ შევიწუხე.

იქვე ფქვილის სექციაა. გვერდით დახლთან გავჩერდი და სიცილი ამიტყდა. იქვე დიდი ასოებით ეწერა: „ახალი ფატი“. მეეჭვება, ფქვილის ასეთი სახეობა არსებობდეს; ნეტავ, ძველი ფატი რომელ სექციაში „გადაიყვანეს“?.. ფქვილის გვერდით, ყველის სექციაა. იმერული ყველის ფასი 6-დან 8 ლარამდე მერყეობს, სულუგუნი კი 9-10 ლარი ღირს. ერთი მამაკაცისგან ნებართვა ავიღე, თქვენს ყველს გადავიღებ-მეთქი. — თუ მეც გამომაჩენ, გადაიღეო. სიამოვნებით დავთანხმდი. ახლა, რომელ ტელევიზიაში უნდა მაჩვენოო? — შემეკითხა თვალებგაბრწყინებული. — სტატია ჟურნალ „გზაში“ დაიბეჭდება-მეთქი. — რა მაგარია, გაიგეთ, ხალხნო, ამ გოგომ „ჩამაკარტოჩკა“ და ჟურნალში დამბეჭდავსო! — მაშინვე გადასძახა თავის კოლეგებს.

— რა იქნება, მეც რომ გადამიღო ფოტო? — შემეხვეწა ერთი ქალბატონი. ჩემი თანხმობის შემდეგ, სარკე მოიმარჯვა... აქეთ-იქიდან გადმოსძახეს, — პომადის წასმა არ დაგავიწყდესო!..

ბაზრიდან გარეთ გამოვედი. ერთ ქალს ორი გოჭი ჩანთებზე დაედო და მთელი ხმით გაყვიროდა, — აბა, კარგი გოჭებიო! — თან, ხელში საქსოვი მოემარჯვებინა და შეუჩერებლად ქსოვდა. მყიდველმა ფასი იკითხა. — 60 ლარი ღირს, გენაცვალეო, — მიუგო ქალმა. კაცი სიტყვის უთქმელად გაბრუნდა. — მოდი, ბიჭო, იყიდე, ახალ წელს სუფრაზე გოჭი არ უნდა გქონდესო? — დაუძახა გამყიდველმა. — გოჭი რად მინდა, ვეფხვის წელი მოდის, ამიტომ ვეფხვს ვიყიდი და იმას დავიდებ სუფრაზეო, — უპასუხა მამაკაცმა.

ხილის რიგისკენ გადავინაცვლე. მოხუცი ქალბატონი მთელი ხმით გაყვიროდა, — ბანანი განვადებითო! გაოცებული მივუახლოვდი და ვკითხე, — განვადებით რას ნიშნავს-მეთქი? — ამას ისე, რეკლამისთვის ვამბობ, შვილო, თორემ სამ ცალს ერთ ლარში ვყიდი და ამას რაღა განვადება უნდაო?!. — მაშინ სამი ცალი მომეციო-მეთქი, — ვუთხარი და ლარიანი ამოვიღე. ვიდრე ბანანს პარკში აწყობდა, თავისი ამბის მოყოლა მოასწრო: რაჭველი ვარ, შვილო, ამბროლაურიდან; საერთოდ არ ვიცოდი, ბანანი რა იყო, მაგრამ ხომ გაგიგონია, — გაჭირვება მიჩვენო... ლარიანი გავუწოდე და გადირია: ამისთანა ბანანებს გაძლევ და ლარზე მეტი არ გემეტება? თითო 50 თეთრი ღირსო! — წელან არ მითხარით, რომ სამ ცალს 1 ლარად ყიდითმეთქი? — მაგ ფასში აი, ამ ბანანებს ვყიდიო, — მითხრა და გაფუჭებული ხილი გადმომიწყო. — მაშინ არ მინდა-მეთქი, — ვუთხარი და თავისი პროდუქტი უკან დავუბრუნე. — სამ ცალს ლარად კი არა, უფასოდ გაგატან, არ გინდაო?! — გაკაპასდა ქალი.

მერე ნაძვის ხეებიც დავათვალიერე. ფული თქვი, თორემ არჩევანი მართლაც დიდია. თუმცა მყიდველთა დიდი ნაწილი ბუნებრივ ნაძვის ხეს მაინც ამჯობინებს. ცოცხალი ნაძვის მოჭრისთვის თურმე 100-ლარიანი ჯარიმაა დაწესებული და ამიტომ, გასაყიდად არ გამოუტანიათ...

ასე დასრულდა ჩემი მორიგი წინასაახალწლო გასეირნება. ისე, ფინანსური კრიზისიაო, ვიღაცები რომ გაიძახიან, ესტუმრონ ბაზარს და ნახავენ, კრიზისისა და მძიმე მარხვის მიუხედავად, ხალხი რამდენ ხორცს ყიდულობს; ხელოვნურ ნაძვის ხეში როგორ დაუნანებლად იხდიან 100, 200, 300 ლარს... არა, სწორად გამიგეთ — არ უარვყოფ, რომ ხელმოკლე და ღარიბი ჩვენ შორის, მართლაც ბევრია და ეს კრიზისი სწორედ მათ დააწვა მძიმე ტვირთად, მაგრამ მოსახლეობის დიდი ნაწილი თუნდაც აუცილებელი სარჩოს შეძენასა და ახალი წლის სათანადოდ დახვედრას მაინც ახერხებს, რაც, ბუნებრივია, სასიხარულოა. ჩემი მხრიდან, ყველა ფენას, მდიდარსაც და ღარიბსაც, გულწრფელად ვულოცავ დამდეგ ახალ წელს, მრავალ სიხარულსა და ბარაქას ვუსურვებ!

მკვდარი ზღვის მინერალების შემცველი კოსმეტიკა თქვენი სილამაზის სამსახურში

სახის ყოველდღიური მოვლა დღევანდელობის განუყოფელი ნაწილია. კანის ვიტამინებით მომარაგებას ზამთარში და გამოშრობისგან დაცვას ზაფხულში სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. თანამედროვე ცხოვრების რითმი, არასახარბიელო ეკოლოგიური პირობები, კლიმატური პირობების ცვალებადობა, კონდიცირებული ჰაერი უარყოფითად მოქმედებს კანის მდგომარეობაზე. სწორი მოვლა კი იცავს კანს და ხანგრძლივად უნარჩუნებს ახალგაზრდობასა და სილამაზეს.

მეცნიერული კვლევებით დადასტურებულია, რომ სიცოცხლე ჩვენს პლანეტაზე წყალში ჩაისახა. ამიტომ ბუნებრივია, რომ ზღვისა და ოკეანის მინერალებს თავისი კეთილსასურველი გავლენით კანსა და მთელ ორგანიზმზე ვერაფერი შეედრება. მით უფრო, როდესაც საუბარი სამყაროს საოცრებას, "მკვდარ ზღვას" ეხება. იგი ხომ მინერალების კონცენტრაციით 50-ჯერ აღემატება ჩვეულებრივი ზღვისა და ოკეანის წყალს. სწორედ კომპანია "აჰავას" მიერ წარმოებული მკვდარი ზღვის მინერალების შემცველი ყოველდღიური და სამკურნალო კოსმეტიკა უნარჩუნებს კანს ახალგაზრდულ იერსა და მომხიბვლელობას. "აჰავა" ერთადერთი კოსმეტიკური კომპანიაა მკვდარი ზღვის რეგიონში, რომელიც მინერალების მოპოვებისა და გადამუშავების ექსკლუზიური უფლებით სარგებლობს. მეცნიერული კვლევების საფუძველზე, რომელიც ეფუძნება მკვდარი ზღვის მინერალების მასტიმულირებელ გავლენას კანის უჯრედებზე, მსოფლიოს წამყვან დერმატოლოგიურ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობით შეიქმნა "კანის მინერალური ოსმოტერი". "ოსმოტერი" დაფუძნებულია ბუნებრივი დამატენიანებელი საშუალებების კანის უჯრედებს შორის თანაბრად განანილების პრინციპზე. იგი უზრუნველყოფს კანის მთელ სიღრმეზე თანაბარ კვებას და დატენიანებას, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს ნაოჭების სიღრმეს და აფერხებს ბუნებრივი დაბერების პროცესს. კომპანიის მიერ წარმოებული კოსმეტიკური საშუალებების კოლექცია უზრუნველყოფს კანის სრულფასოვან მოვლას. "აჰავას" კოსმეტიკა შექმნილია ყველა ტიპის კანისა (ნორმალური, მშრალი, ცხიმიანი, შერეული, ძალიან მგრძნობიარე) და ასაკობრივი ჯგუფისათვის. იგი მოიცავს არა მხოლოდ სახის, არამედ სხეულისა და თმის მოვლის სისტემასაც, როგორც ქალების, ასევე მამაკაცებისთვის. მკვდარი ზღვის მინერალებით, უდაბნოს მცენარეთა ექსტრაქტებითა და ვიტამინებით გამდიდრებული ინოვაციური ფორმულა ასტიმულირებს კანში სისხლის მიმოქცევას, უჯრედულ სუნთქვას, არეგულირებს წყლის ბალანსს, რითაც აქტიურად ეწინააღმდეგება დაბერების პროცესს.

გისურვებთ ჯანმრთელობას და სულიერ სიმშვიდეს!

WWW.AVERSI.GE

საინფორმაციო სამსახური: 967-227

ავერსი AVERSI

„მისი ფოტოგამოფენა ერთი წიგნია“...

ფოტორეპორტიორი ირაკლი გედენიძე წლების განმავლობაში, ფოტოსურათებზე ასახავდა საქართველოში მიმდინარე მოვლენებს. სირთულეების მიუხედავად, დღეს მისი არქივი აუარება საინტერესო სურათის იტევს. წინასაახალწლოდ ირაკლიმ, სახელწოდებით — „20 წლის შემდეგ“ — პერსონალური გამოფენა მოაწყო. თავისი ნამუშევრებით დამთვალიერებლებს უამბო, თუ წლების წინ ქვეყანაში როგორი სიტუაცია იყო და რა ხდება დღეს. ამჟამად ირაკლი გედენიძე პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ფოტოგრაფი გახლავთ, შესაბამისად — დაძაბული სამუშაო გრაფიკი აქვს, მაგრამ როგორც კი თავისუფალი დრო რჩება, მაშინვე თავისი ფოტოარქივის გამდიდრებაზე ზრუნვას იწყებს.

„20 წლის შემდეგ“ – პრეზიდენტის ფოტოგრაფის 20-წლიანი არქივი

ეთო ყორღანაშვილი

ირაკლი გედენიძე:

— აბიტურიენტი ვიყავი, როცა 9 აპრილის (1989 წელი) მიტინგი გადავიღე. არჩეული პროფესია — მექანიკოს-მანქანათმშენებლობა აღარ მომწონდა, რადგან ფოტოგრაფიით „მოვიწამლე“. თან, „პერესტროიკის“ წლებში ქვეყანა აირია და ჩემი პროფესიით ვეღარ ვიმუშავებდი: საწარმოები ჯართად გაიყიდა, სამუშაო ადგილები არ იყო... იმ საქმეს მოვკიდე ხელი, რომელიც სიამოვნებას მანიჭებდა. ასე გავხდი ფოტორეპორტიორი.

— მუშაობის პროცესში ალბათ, ბევრჯერ გაგირისკავთ...

— ფოტორეპორტიორებს ძალიან რთული ცხოვრება გვაქვს — რისკის გარეშე მუშაობა შეუძლებელია. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ 1992 წელს, ზუგდიდში ზვიად გამსახურდიას ჩასვლა მხოლოდ მე გადავიღე. ამის შესახებ ინფორმაცია უცხოურ პრესაში გავრცელდა და როცა თბილისში დავბრუნდი, დამაკავეს. ჩემი ბინა გაჩხრიკეს და ფოტოარქივის რაღაც ნაწილი წაიღეს, რომელიც სამწუხაროდ, დაიკარგა. მცემეს, მაწამეს, ელექტროშოკიც გამოიყენეს, მაგრამ საბოლოოდ, მაინც „გამოვძვერი“. მძიმე მდგომარეობიდან იმით გამოვედი, რომ ისევ გადასაღებად წავედი: სამოქალაქო ომი იყო — „ზვიადისტები“ თითქმის ქუთაისამდე იყვნენ მისული. „მხედრიონელებს“ შორის მოვხვდი. ბიჭებმა „ბრონეჟილეტი“ მაჩუქეს — რა იცი, რა ხდებაო?.. „ზვიადისტების“ მხრიდან გამოსროლილი ტყვია ჩემს ჟილეტში ჩარჩა...

— ომის თემაზე გადაღებული ფოტოები ამ გამოფენაზე არ არის წარმოდგენილი, თუმცა სამწუხაროდ, ომიც საქართველოს ისტორიის ნაწილია...

— აგვისტოს ომის პერიოდში 2-3 დღის განმავლობაში ვიღებდი ფოტოებს, მერე კი სამსახურს დავუბრუნდი — პრეზიდენტს ვჭირდებოდი, მსოფლიოდან სტუმრები ჩამოდიოდნენ. დრო არ მქონდა, რომ ომი გამეშუქებინა, მაგრამ მიზეზი

მხოლოდ ეს არ არის: არ მსურდა, ადამიანებისთვის ადრინდელი გაჭირვება გამეხსენებინა. მაგალითად, ბევრს არ ახსოვს, ხალხი ტროლეიბუსს როგორ აწვებოდა და ა.შ. ახლანდელ მდგომარეობას ვერ დააფასებ, თუ ის მძიმე წლები არ გახსოვს.

გოგა ჩანადირი, *ფოტოგრაფი:*

— გამოფენაზე საკმაოდ მძიმე შინაარსის ფოტომასალაა წარმოდგენილი: გადაკეტილი გზები, უშუქობა, დემონტაჟი... ასევე, გადაღებულია, მაგლითად, ერთი და იგივე შენობა — 20 წლის წინ და შემდეგ. შავ-თეთრი ფოტოები უფრო „შემოქმედებითია“, ვიდრე — ფერადი. ადრე საქართველოში ფოტოაპარატი ბევრს არ ჰქონდა. ფოტოებზე იშვიათი კადრებია გამოსახული, რაც სურათებს მეტ ფასეულობას სძენს.

ლალი მოროშკინა:

— ადამიანი ახალს — ლამაზსა და კარგს იოლად ეჩვევა და ჰგონია, რომ ყოველთვის ასე იყო. მიხარია, რომ ირაკლის ამხელა ფოტოარქივი აქვს (კარგი იქნებოდა, გარეგნულ სილამაზესთან ერთად, ფოტოებზე ქვეყნის შიდა სტაბილურობა-არასტაბილურობის გამოსახვაც რომ შეიძლებოდეს). ის კარგი ხედვით და ყველაფრის მიმართ ესთეტიკური დამოკიდებულებით გამოირჩევა. გამოფენაზე, სოჭიდან ჩამოსული ჩემი სტუმრებიც მოვიყვანე. ისინიც აღფრთოვანებული არიან. მეკითხებოდნენ, — ბენზინზე ამხელა რიგები დიდი ხნის წინ იყო? რომ დავფიქრდი, არც ისე დიდი ხნის წინ ყოფილა... ვისურვებდი, რომ მსგავსი ფოტოგამოფენა 20 წლის შემდეგაც მოეწყოს.

კახა ფხაკაძე, *საქართველოს ფოტოგრაფთა ასოციაციის თავმჯდომარე:*

— საქართველომ დიდი გზა გაიარა — ჭირიც ჰქონდა და ლხინიც. ირაკლის თვალი არც ერთ მათგანს არ მოჰკლებია. განსაკუთრებით რთულია, როცა ფოტოებზე ისეთ კადრებს აღბეჭდავ, რომლებიც შენს ქვეყანაში მიმდინარე ცუდ მოვლენებს ასახავს. ირაკლიმ ამ საქმეს კარგად გაართვა თავი. მისი ფოტოშემოქმედება ერთი დიდი წიგნია, რომლითაც შეგიძლია, გაიგო, თუ რა ხდებოდა საქართველოში მთელი 20 წლის მანძილზე. ■

ხომ გიყვართ კითხვა?
31 დეკემბამდე
ჩვენ გაკვეთილი ნიშანვარ!
„დეფაქტო"
„ეხლა ვალაა"
„ბარბაროსის
ფიფქი ანგელოზი"
www.elva.ge
38 26 73;
38 26 74;

ევროსასამართლო გირგვლიანის საქმეზე ვერდიქტს თებერვალში გამოიტანს

2 თებერვალს ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოში, საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ წარდგება სადისტურად მოკლული სანდრო გირგვლიანის მამა, გურამ გირგვლიანი. ევროსასამართლოში ირინა ენუქიძისა და გურამ გირგვლიანის საჩივარი დიდი ხნის წინ გაიგზავნა. ქალბატონი ირინა, რომელიც სიცოცხლის ბოლო წუთამდე, უდანაშაულო შვილის მკვლელობაში მონაწილე პირების დასჯას ითხოვდა, სამწუხაროდ, დღეს ცოცხალი აღარ არის და ახლა ბრძოლას ბატონი გურამი აგრძელებს.

სანდრო გირგვლიანის მამა ბრძოლას აგრძელებს

თეა ხურცილავა

ევროსასამართლო საქმეებს ხშირად, მხარეების მონაწილეობის გარეშე იხილავს, მაგრამ ამ შემთხვევაში, გირგვლიანების შუამდგომლობა დაკმაყოფილდა და საქმის განხილვაში გურამ გირგვლიანი და მისი ადვოკატები: შალვა შავგულიძე და დავით ჯანდიერი მიიღებენ მონაწილეობას. სტრასბურგში ჩავა იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენელიც, რომელიც საქართველოს ხელისუფლების ინტერესის დაცვას შეეცდება.

პარალელურად, საქართველოში სამოქალაქო საქმეზე დავა მიმდინარეობს. რატომღაც ვერა და ვერ დასრულდა გურამ გირგვლიანის სამოქალაქო სარჩელის განხილვა. მოპასუხეები — გერონტი ალანია, ავთანდილ აფციაური, ალექსანდრე ღაჭავა და მიხეილ ბიბილურიძე — ჯერ კიდევ პატიმრობაში იმყოფებოდნენ, როცა მათ წინააღმდეგ საჩივარი შევიდა. ნახევარი წელია, გურამ გირგვლიანი შვილის მკვლელებისგან მორალური ზიანის ასანაზღაურებლად, 200.000 ლარს მოითხოვს. შეგახსენებთ: პატიმრები საქართველოს პრეზიდენტმა 2009 წლის ოქტომბერში შეიწყალა, 3 წელი აკმარა და ისინი გათავისუფლდნენ. გავრცელებული ინფორმაციით, მათ დარჩენილი წელიწადი მონასტერში უნდა გაეტარებინათ, მაგრამ ადვოკატ შალვა შავგულიძეს არა აქვს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ სად იმყოფებიან ამჟამად.

სამოქალაქო სარჩელს მოსამართლე მაკა ჭედია იხილავს. სასამართლო სხდომა უკვე ორჯერ გადადო; ამის მიზეზად, მოპასუხეების ადვოკატის ავადმყოფობა დაასახელეს. გირგვლიანის ადვოკატი ***შალვა შავგულიძე*** *კი ეჭვობს, რომ პროცესი სპეციალურად ჭიანურდება და ისინი ევროსასამართლოს გადაწყვეტილებას ელოდებიან.*

— ბატონო შალვა, ხშირად სისხლის სამართლის საქმესთან ერთად, სამოქალაქო დავაც იხილება. როცა დამნაშავეები გაასამართლეს, მაშინ რატომ არ დააყენეთ მორალური ზიანის ანაზღაურების საკითხი?

— მაშინ სანდროს მშობლებმა სამოქალაქო და თანხობრივ საკითხზე დავა არ ისურვეს. იმ ეტაპზე სურდათ, ჩადენილს სწორი კვალიფიკაცია ჰქონოდა და ყველა მხილებული პირი დასჯილიყო. მაგრამ ჰქონდათ უფლება, 3 წლის განმავლობაში სამოქალაქო წესით ეს სარჩელი დაეყენებინათ. როდესაც შიდა სახელმწიფო ეტაპი დასრულდა და სამართალს ვეღარ მივაღწიეთ, საქმე ევროსასამართლოში, კონვენციის რამდენიმე მუხლის დარღვევასთან დაკავშირებით გავასაჩივრეთ: მეორე მუხლი — სიცოცხლის უფლების, მესამე მუხლი — წამების აკრძალვის და მეექვსე მუხლი — სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევა. საქართველოს მთავრობა შეპასუხებისას, მეექვსე მუხლის ამოღებას ითხოვდა. აღნიშნული იყო, რომ მომჩივანს არ ჰქონდა უფლება, ედავა სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევაზე. ევროპის პრეცედენტული სამართლის მიხედვით, დაზარალებული მხოლოდ მაშინ აცხადებს პრეტენზიას, როდესაც ის იმავდროულად, სამოქალაქო მოსარჩელეცაა. ვინაიდან დაზარალებულს სამოქალაქო სარჩელი არ დაუყენებია სასამართლოში, ამ მოტივით საქართველოს მთავრობა ითხოვდა მეექვსე მუხლის დაუშვებლად ცნობას. ასეთ შემთხვევაში, არჩევანი აღარ იყო. თუ დაზარალებული არ გახდებოდა სამოქალაქო მოსარჩელე, დიდი რისკის ქვეშ ვიდექით. ევროპის სასამართლოს შეეძლო, მეექვსე მუხლთან მიმართებაში სარჩელი აღარ განეხილა. არადა, ამ მუხლის დარღვევის აღიარების შემთხვევაში, გვიჩნდება შანსი, მოვითხოვოთ ადგილობრივ სამართალწარმოებაში გირგვლიანის მკვლელობის საქმის ხელახალი განხილვა. ამ შესაძლებლობაზე უარს ვერ ვიტყოდით და სამოქალაქო სარჩელი შევიტანეთ. დანარჩენი ორი მუხლის დარღვევის აღიარება მხოლოდ ფულად კომპენსაციას ითვალისწინებს.

— ბატონი გურამი, მორალურთან ერთად, ქონებრივი ზიანის ანაზღაურებასაც ითხოვს?

— სარჩელში მოთხოვნილია 200.000 ლარი — მორალური ზიანისთვის; რაც შეეხება ქონებრივ ზიანს, — ეს არ იქნა დაყენებული გურამ გირგვლიანის მხრიდან. რა თქმა უნდა, სრული რეპარაცია ვერანაირი თანხით ვერ ხდება იმ მორალური ტკივილისა, როცა შვილს განსაკუთრებული სისასტიკითა და წამებით გიკლავენ, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში, მხარემ ეს თანხა ჩათვალა მიზანშეწონილად. სასამართლომ გურამ გირგვლიანი ბაჟის გადახდისგანაც არ გაათავისუფლა და მას მოუწია მაქსიმალური

ოდენობის ბაჟის — 3.000 ლარის შეტანამ.

— ბაჟისგან გათავისუფლება შესაძლებელი იყო?

— თუ გავითვალისწინებთ იმ ტრაგედიას, რომელიც ამ ოჯახს გადახდა, მოსამართლეს უნდა გეთავისუფლებინა იგი ბაჟისგან. იცით, ბოლო 2 წელიწადში რამდენი ადამიანი გადაჰყვა სანდროს მკვლელობას?! ფაქტობრივად, ბატონი გურამ გირგვლიანი მარტო დარჩა. ვფიქრობ, ასეთ შემთხვევაში, ბაჟი არ უნდა მოეთხოვა სასამართლოს. სასამართლომ ასევე უარი გვითხრა მოპასუხეთა ქონების დაყადაღებაზე. დიდი ბრძოლის შემდეგ, საჯარო რეესტრიდან მოვიპოვეთ ინფორმაცია მათზე რიცხულ უძრავ ქონებაზე: 2 მათგანს ბინა ჰქონია და ვითხოვდით ამ ქონების დაყადაღებას, რომ ის არ გასხვისებულიყო, მაგრამ ამაზეც უარი გვითხრეს... როგორც იქნა, თბილისის საქალაქო სასამართლოში საქმის განხილვა დაინიშნა, მაგრამ მოპასუხეების ადვოკატის ავადმყოფობის მოტივით, პროცესი ორჯერ გადაიდო.

— მოპასუხე მხარე შესაგებებელ სარჩელში რას წერს?

— მათი პოზიცია ასეთია: მოპასუხეებმა მოიხადეს სისხლის სამართლის წესით დადგენილი სასჯელი და შესაბამისად, ეს უნდა იყოს მორალური კომპენსაცია დაზარალებულისთვის. ისინი არ ცნობენ სარჩელს და მიაჩნიათ, რომ დამატებით არანაირი ზიანი მოსარჩელისთვის არ მიუყენებიათ. რა კვალიფიკაცია მიეცა თავის დროზე ამ ფაქტს, ეს საზოგადოებამ კარგად იცის. სიცოცხლისთვის სახიფათო, კისრის ზონაში მიყენებულ 11 ჭრილობას განზრახ მკვლელობა არ დაერქვა. დამნაშავეებს საერთოდ, სასჯელის მოხდამ არასწორი კვალიფიკაციით მოუწიათ და ყველაფერი შეწყალებით დაგვირგვინდა. ფაქტობრივად, 3 წელი მოიხადეს და ეს უნდა იყოს საკმარისი ოჯახისთვის?

— ბატონი გურამის რეაქცია როგორი იყო, როცა ისინი გარეთ გამოვიდნენ?

— ამას დიდი გაკვირვება ნამდვილად, არ გამოუწვევია. საქმის წარმოების პირველივე დღიდან აშკარა იყო სახელმწიფოს აბსოლუტურად ტენდენციური და არაობიექტური მიდგომა. ამას ადასტურებს კანონის აბსოლუტური იგნორირებით ჩატარებული სასამართლო პროცესები; სახელმწიფო მფარველობდა ამ პირებს და სერიოზულ ვალში იყო მათ წინაშე, რადგან საკუთარ თავზე აიღეს დანაშაულის სიმძიმე და არ ამხილეს სუფრაზე მყოფი სხვა პირები. წინასწარი შეთანხმებისამებრ, სახელმწიფო ვალდებული იყო, ეზრუნა ამ დამნაშავეებზე და ეს ზრუნვა გამოიხატა ჯერ სასჯელის შემსუბუქებაში და ბოლოს ისინი საერთოდ გაათავისუფლეს ციხიდან. სიმართლე გითხრათ, ჩვენ ადრეც ველოდით ამას.

— ნახევარ წელზე მეტია, რაც სამოქალაქო სარჩელი შეტანილია სასამართლოში. რატომ გაჭიანურდა გადაწყვეტილების გამოტანა?

— 2 თებერვალს ევროპის სასამართლოში განიხილება გირგვლიანის საქმე. ჩატარდება ცოცხალი პროცესი მხარეების მონაწილეობით. გურამ გირგვლიანი, მე და დავით ჯანდიერი სტრასბურგში ჩავალთ. ჩემი აზრით, ევროსასამართლოში საქმის დაწყების წინ არასახარბიელო პოზიცია შეექმნა მთავრობას იმით, რომ მოხდა პატიმრების გათავისუფლება. ახლა არ უნდათ, რომ სამოქალაქო სარჩელი, რომელიც ნახევარ წელზე მეტია, წარდგენილია, ისე იდოს; არც ის, რომ ჯერ დასრულდეს და გამოჩნდეს, რომ არ დააკმაყოფილეს. ამიტომ, მათთვის უმჯობესია იმის ინსცენირება, თითქოს ამ საქმეს იხილავენ. მერწმუნეთ, ამ საქმის წარმოება ასე იქნება, სანამ ევროსასამართლო არ გამოიტანს საბოლოო ვერდიქტს. ერთადერთი საშუალება საქმის ხელახლა განხილვისა — ახალაღმოჩენილი გარემოებაა. მინდა მჯეროდეს, რომ ევროსასამართლო დაადგენს სამართლიანი სასამართლოს უფლების შელახვის ფაქტს და შემდეგ, საქართველოს უზენაეს სასამართლოს ამის გათვალისწინება მოუწევს. ევროსასამართლომ მოითხოვა იმ 14 მტკიცებულების წარმოდგენა, რომლის გაცნობასაც ჩვენ ვითხოვდით და არ გაგვაცნეს, მაგრამ არც ევროსასამართლოს გაუგზავნეს. ვნახოთ, რა გადაწყვეტილებას გამოიტანს ევროსასამართლო.

— როგორ ფიქრობთ — თბილისის საქალაქო სასამართლო მორალურ ზიანზე საჩივარს დაგიკმაყოფილებთ?

— რა დღეში არის მართლმსაჯულება, ყველამ ვიცით და არაფერს გამოვრიცხავ. სისხლის სამართალწარმოებაში დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს სამოქალაქო წარმოებაში პრერუდიციული ძალა აქვს. იმ ფაქტობრივ გარემოებას, რომ მოპასუხეებმა სანდრო გირგვლიანი მოკლეს განსაკუთრებული სისასტიკით, ადასტურებს ექსპერტიზის დასკვნა, მრავალი ნასერი და ნაკვეთი ჭრილობა. ეს პრერუდიციული ძალის მქონე ფაქტია. მსჯელობის საგნად ველარ იქცევა ის გარემოებაც, რომ ადამიანს განსაკუთრებული სისასტიკით მოუკლეს შვილი და აღნიშნული ფაქტი მიაყენებდა თუ არა მორალურ ზიანს. მაგრამ არც იმას გამოვრიცხავ, რომ ისიც თქვან, — განსაკუთრებული სისასტიკით შვილის მკვლელობა ზიანს ვერ მიაყენებდაო. გურამ გირგვლიანის ამ ტრავმას აძლიერებს და აათკეცებს მის ოჯახში შემდგომ განვითარებული მოვლენები: 2 წლის განმავლობაში რამდენიმე ადამიანი დაიღუპა!.. სასამართლომ უნდა იმსჯელოს იმაზე, მიადგა თუ არა ამით მორალური ზიანი გურამ გირგვლიანს. მე კი ამ საკითხის შეფასებას მკითხველს მივანდობ...

■

საახალწლოდ „გაერთიანებული ტელეკომი“ მსურველებს უფასოდ დაუდგამს ინტერნეტს

„გაერთიანებული ტელეკომი“ თბილისში ახალ, საახალწლო აქციას ატარებს. ერთი თვის განმავლობაში კომპანიის აბონენტები ინტერნეტში უფასოდ ჩაერთვებიან.

ის აბონენტი (ფიზიკური პირი), რომელიც 15 დეკემბრიდან 15 იანვრის ჩათვლით დარეგისტრირდება ცხელ ხაზზე 100-100 და დაიდგამს ინტერნეტს, ინსტალაციის საფასურს (20) არ გადაიხდის.

კომპანია 6 სხვადასხვა პაკეტით ემსახურება აბონენტებს 1მგბ/წ-8მგბ/წ. ასევე სთავაზობს ინდივიდუალურ პაკეტებს კორპორატიულ კლიენტებს.

„გაერთიანებულ ტელეკომს“ ქვეყნის მასშტაბით 80 ათასზე მეტი ინტერნეტმომხმარებელი ჰყავს.

როგორც „გაერთიანებული ტელეკომის“ ინტერნეტპროექტების განვითარების დირექტორმა **ნიკა ჭიაურელმა** განაცხადა: „გასულ წელთან შედარებით კომპანიის ინტერნეტმომხმარებელთა რაოდენობა 135%-ითაა გაზრდილი. ეს გამოწვეული იყო მისაღები და ხელმისაწვდომი ტარიფებით, ასევე რეგიონებში მიმდინარე ინტერნეტიზაციის პროცესით. უკვე 41 ქალაქს ვაწვდით ინტერნეტსერვისს, აქედან 20 წლეულს ჩაერთო. ამავე დროს დავიწყეთ კადრების გადამზადება, რომლებიც საქართველოს სხვადასხვა ქალაქში უზრუნველყოფენ ინტერნეტის ინსტალირებას. ეს ქალაქებია: ზუგდიდი, საჩხერე, ოზურგეთი, მარტვილი, ლანჩხუთი, აბაშა, ნინოწმინდა, ადიგენი, ახალქალაქი, ვანი, თიანეთი, თერჯოლა, ხარაგაული, წყალტუბო, ჭიათურა, დუშეთი, ყვარელი, სიღნაღი, საგარეჯო, წნორი“.

მთავარი მაშველის წლის მონაპოვარი — 13 წლით უმცროსი მაკა

„ქართველებს მოსწონთ ვაჟკაცური, სარისკო საქმის კეთება“

საგანგებო სიტუაციების სამსახურის უფროსი, თემურ გიორგაძე ერთ-ერთი იმ იშვიათთაგანია, ვინც „ვარდების რევოლუციამდე“ მიღებული თანამდებობა დღემდე შეინარჩუნა. თანამშრომლები მას მკაცრ, მაგრამ სამართლიან და მისაბაძ ხელმძღვანელად მიიჩნევენ. მასთან საუბრისას ისიც გავარკვიე, რომ სამაშველო ოპერაციებში პირადად მონაწილეობს და სიცოცხლეს საფრთხეში ხშირად იგდებს. მასთან ინტერვიუს ჩასაწერად მისულს, კაბინეტში, სამუშაო მაგიდასთან მჯდომი, სანდომიანი სახის გოგონა დამხვდა, თაროებზე კი სხვადასხვა მედალი მომხვდა თვალში: ქვეყნის მთავარი მაშველი ერთ დროს თურმე წარმატებული მოჭიდავე, მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი და დამსახურებული პედაგოგიც ყოფილა. მომხიბლავი გოგონა კი მისი მეუღლე და კოლეგა — მაკა აბაზაძე აღმოჩნდა. თემურ გიორგაძე ბევრი სხვა რესპონდენტისგან, გულახდილობით გამოირჩევა. თავისი ცხოვრებიდან საინტერესო და მნიშვნელოვანი დეტალი საკუთარი ნებით გამიმხილა:

ხათუნა ბახტურიძე

— ბავშვობაში ფეხბურთს ვთამაშობდი, მაგრამ 12 თუ 13 წლის ასაკიდან ჭიდაობით დავინტერესდი. საკმაოდ კარგი მონაცემები მქონდა, მაგრამ გარდატეხის ასაკში ქუჩისკენ მიდრეკილება გამიჩნდა, ცხოვრებას სხვა თვალით ვუყურებდი, მაშინ დროც სხვანაირი იყო... მამის სწორმა და დროულმა რეაგირებამ გადამარჩინა. დღეს წარმატებული ადამიანი რომ ვარ, მისი დამსახურებაა და ძალიან მწყდება გული, რომ ის ცოცხალი აღარ არის.

— ეს ჯილდოები მხოლოდ ჭიდაობის დროს მოპოვებული გამარჯვებების შედეგად გაქვთ მიღებული?

— არა. მერიის სახელით მოწყობილ მინიფეხბურთის ყველა ტურნირში ვმონაწილეობდი. თითქმის ყველა მათგანის ბომბარდირი გავხდი. სხვათა შორის, არც ჭიდაობისთვის დამინებებია თავი, ვეტერანებში დღესაც ვჭიდაობ...

— ჯილდოები შინ რატომ არ მიგაქვთ?

— ვიდრე დავოჯახდებოდი ანუ ჯერ კიდევ ერთი თვის წინ, ჩემი საცხოვრებელი ადგილი სამსახური იყო. ისე, არც ახლა მინდა მათი აქედან წაღება, იმიტომ, რომ მუშაობის დროს სტიმულს მაძლევს. გარდა ამისა, როდესაც ცუდ ხასიათზე ვარ, შევხედავ და ვწყნარდები.

— თქვენი დღევანდელი სამსახურის შესაბამისი განათლება თუ გაქვთ მიღებული?

— კი, პროფესიით მეხანძრე-მაშველი ვარ. შს სამინისტროს აკადემიაში ხანძარსაწინააღმდეგო ფაკულტეტი მაქვს დამთავრებული, უნივერსიტეტში — სამართალმცოდნეობის, ფიზკულტურის აკადემიაში კი — მეთოდისტი მწვრთნელის ფაკულტეტი.

— „დამსახურებული მწვრთნელის“ წოდება რითი დაიმსახურეთ?

— ახალგაზრდებს სამბოსა და ძიუდოს კარგად ვასწავლიდი, 4 მსოფლიოს ჩემპიონი მყავს გაზრდილი.

— ვინ არიან თქვენი აღზრდილი ჩემპიონები?

— ფანცულაია, გრძელიძე და მჭედლიშვილი, რომლებიც დღეს აღარ ჭიდაობენ. ვალერი ლიპარტელიანი დღესაც ჭიდაობს და წარმატებებს აღწევს. მართალია, მხოლოდ 5 წელი ვავარჯიშე და მერე სხვასთან გადავიდა, მაგრამ ბევრი რამ მე ვასწავლე.

— წარმატებული მოჭიდავე, მეხანძრის პროფესიით რატომ დაინტერესდით?

— 20 წლის რომ ვიყავი, სპორტსაზოგადოება „დინამოში“ ვჭიდაობდი. მაშინ (1988 წელს) „დინამო“ შს სამინისტროს ეკუთვნოდა და ამ უწყების თანამშრომლებს შორის ხშირად ტარდებოდა სხვადასხვა შეჯიბრება. ერთხელ მათ ჯარგამოვლილი, 52 კგ წონის მოჭიდავე დასჭირდათ და მწვრთნელმა ჩემი კანდიდატურა შესთავაზა. 56 კგ ვიყავი, მაგრამ წონაში დაკლება შემეძლო. ერთადერთი პრობლემა ის გახლდათ, რომ შსს-ს თანამშრომელი არ ვიყავი, ამიტომ სახანძროში გამაფორმეს (იმ პერიოდში სახანძროც შსს-ს ეკუთვნოდა). ჩემთვის იდეალური ვარიანტი იყო — თან ვვარჯიშობდი, თან სამსახურში დავდიოდი და 300 მანეთს ვიღებდი. საბჭოთა კავშირის დროს ეს თანხა ახალგაზრდა კაცისთვის მცირე ნამდვილად არ იყო. სულ მალე მილიციელებს შორის გამართულ შეჯიბრებაში საქართველოს პირველობა მოვიგე, მერე საბჭოთა კავშირის ჩემპიონიც გავხდი, სახანძროში კი ოფიცრის ჩინი მომანიჭეს. პოსტსაბჭოთა პერიოდში ჭიდაობას თავი დავანებე და მწვრთნელად დავიწყე მუშაობა. ამის პარალელურად, სახანძროშიც ვაგრძელებდი ჩემი მოვალეობის შესრულებას. ამ უწყებაში 20 წლის ბიჭი, რიგით მეხანძრედ მოვედი. მაშინ ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ მისი ხელმძღვანელი გავხდებოდი.

— ახლა რამდენი წლის ხართ?

— 41-ის.

— მეხანძრედ მუშაობის საკმაოდ დიდი სტაჟი გქონიათ. ამ ხნის განმავლობაში, პროფესიული მოვალეობის შესრულების დროს შექმნილ ყველაზე სახიფათო მომენტს თუ გაიხსენებთ?

— ყველა მომენტი ძალიან სახიფათო იყო. ხანძარში შესულს ხშირად მიფიქრია, რომ უკან ვეღარ გამოვიდოდი, მაგრამ გამოსავალი ყოველთვის გამოჩენილა. როგორც ჩანს, იღბლიანი ვარ.

— პირადად თქვენ თუ გადაგირჩენიათ ადამიანი?

— ძალიან ბევრი ადამიანი გამომიყვანია ალმოდებული შენობიდან, მაგრამ ყველაზე კარგად ის მახსენდება, გასულ ზაფხულს 3 შვილის დედა რომ გადავარჩინე ზღვაში დახრჩობას. მაშინ პროფესიულ მოვალეობას არ ვასრულებდი — ჩემს ახლობლებთან ერთად, ქობულეთში ვისვენებდი. აღელვებულ ზღვაში შევედი საბანაოდ. უკან რომ ვბრუნდებოდი, ნაპირიდან 15 მეტრში ახალგაზრდა ქალი დავინახე, მაგრამ განსაკუთრებული ყურადღება არ მიმიქცევია. ვიფიქრე — ალბათ კარგად იცის ცურვა, თორემ ამ ტალღებში როგორ გაბედავდა შემოსვლას-მეთქი?! ნაპირზე რომ გამოვედი და ჩემს მეგობრებს მივუჯექი, 12 თუ 13 წლის ბავშვი მომვარდა და მითხრა, — წყალში ქალი იხრჩობაო! 15 წუთი მაინც დამჭირდა მის გამოსაყვანად, ტალღამ რამდენჯერმე წამართვა. იმასაც ძალიან დიდი იღბალი ჰქონია: რომ მივუახლოვდი, დახრჩობის პირველი ნიშნები — ნაყლაპი წყალი და გაფართოებული თვალები — უკვე აშკარა იყო. შავი ზღვის ყველაზე დადებითი თვისება ის არის, რომ მსუბუქია და ადამიანს მაშინვე არ ძირავს.

თბილისის ზღვაზე რომ ყოფილიყო, ნამდვილად ვეღარაფერს ვუშველიდი...

— საზღვაო სამაშველო სამსახური თქვენი უწყების დაქვემდებარებაშია?

— დიახ, საზღვაოც და სახმელეთოც.

— მერე, მაშველები დროულად რატომ არ გამოჩნდნენ?

— (*იცინის*) მე მაშველი არ ვიყავი?!. მაშველები იმ მომენტში სანაპიროზე დადიოდნენ და ხალხს აფრთხილებდნენ, რომ ზღვაში არ შესულიყვენენ.

— როგორც მითხრეს, სამაშველო ოპერაციებში ახლაც პირადად მონაწილეობთ. ამას რატომ აკეთებთ?

— იმიტომ, რომ მიჩვეული ვარ და სხვაგვარად არ შემიძლია. შეიძლება არ დაიჯეროთ, მაგრამ ჩემს ქორწილში გამოვაცხადე: შეიძლება, გამოძახება მქონდეს და წასვლამ მომიწოს, ამიტომ წინასწარ ბოდიშს გიხდით-მეთქი.

— ამას გადაურჩით?

— არა, ამას გადარჩენას ვერ დავარქმევ — მე ის მიხარია, რომ დახმარება არავის დასჭირდა, თორემ... არავინ მავალდებულებს, ოპერაციებში პირადად მივიღო მონაწილეობა, მით უმეტეს, ჩემი ქორწილის დროს არავინ მომთხოვდა ამას; უბრალოდ, ძალიან მიყვარს ჩემი სამსახური და გული არ მითმენს, რომ შეთხვევის ადგილზე არ გავიდე. ვიდრე ამ სამსახურის ხელმძღვანელი ვიქნები, სულ ასეთი რეჟიმით ვიმუშავებ.

— მოსახლეობა დახმარებისთვის ყველაზე ხშირად, რის გამო მოგმართავთ?

— ყველაზე ხშირად, შემთხვევის ადგილზე გასვლა ხმელეთის სამაშველო სამსახურს უწევს. თბილისელების უმრავლესობა ჩაკეტილი კარის გასაღებად გვირეკავს — ზოგს გასაღები ეკარგება, ზოგი ცუდად ხდება და სახლის კარს შიგნიდანაც ვეღარ აღებს, ზოგსაც შინ ბავშვი რჩება. ასე რომ, ჩემს ბიჭებს აივნებზე ძრომიალი ძალიან ხშირად უწევთ.

— სამაშველო სამსახურში თანამშრომლებს ძირითადად, რა კრიტერიუმებით არჩევთ?

— უმთავრესი კრიტერიუმი — ფიზიკური მონაცემებია. მაშველი აუცილებლად სპორტსმენი უნდა იყოს. სხვათა შორის, ჩვენთან ძალიან დიდი კონკურენციაა. მარტო თბილისში დღის განმავლობაში 5-6 კაცი მოდის; რაიონების განყოფილებებზე აღარაფერს ვამბობ. ვაკანტური ადგილები თითქმის არ გვაქვს.

— სამაშველო სამსახურზე ასეთი დიდი მოთხოვნა ხელფასის გამოა თუ სხვა მიზეზიც არსებობს?

— ახლა კი გვაქვს ნორმალური ხელფასი და პრემიასაც ვაძლევთ თანამშრომლებს, მაგრამ ჩვენთან ადრეც ძალიან ბევრ ადამიანს უნდოდა მუშაობის დაწყება. როგორც ჩანს, ქართველებს მოსწონთ ვაჟკაცური, სარისკო საქმის კეთება.

— თქვენი უწყება აგვისტოს ომში თუ მონაწილეობდა?

— ჩემი უწყება მარტო შარშან კი არა, ცხინვალის ომში 1990 წელსაც მონაწილეობდა. ავტომატები არ აგვიღია ხელში, მაგრამ წინა ხაზზე ვიყავით და ხან ხანძარს ვაქრობდით, ხანაც დაშავებული ადამიანები გამოგვყავდა ნანგრევებიდან... 8 აგვისტოს ერთ-ერთი პირველები ვიყავით, ვინც გორში შევიდა. 3 თვე უკან აღარ გამოვსულვართ.

— 3 თვე გორში რატომ დაყავით?

— ძალიან ბევრ ადამიანს სჭირდებოდა ჩვენი დახმარება. ახლა ამაზე საუბარი ძალიან მიმძიმს...

— თქვენ თუ დაგჭირვებიათ სამაშველო სამსახურის დახმარება?

— არა, რას ამბობთ?! ეს რომ დამჭირდეს, იმ დღესვე დავტოვებ თანამდებობას.

მაკა აბაზაძე:

— ერთხელ მე გადამხდა საინტერესო ამბავი. იმ გოგონებთან შევედი, რომლებთანაც დახმარებისთვის რეკავენ და ვნახე, რომ ჩემი მისამართი იყო გადმოცემული. ძალიან შემეშინდა და ვინერვიულე. შემდეგ აღმოჩნდა, რომ მეოთხე სართულიდან მეზობელი მამაკაცი გადმოვარდნილა და ჩემს სარეცხის თოკებზე დავარდნილა. ჩვენმა ბიჭებმა ძალიან ოპერატიულად ჩამოხსნეს მეზობელი ჩემი თოკე-

გაგრძელება იხ. გვ. 18

ვინ აუკრძალა კორვალოლის და ვალიდოლის გამოშვება ქართულ ფარმაცევტულ საწარმოებს?

რამდენიმე ხნის წინ ქართულ ფარმაცევტულ საწარმოებს აეკრძალათ ცნობილი საბჭოთა ბრენდების კორვალოლის და ვალიდოლის გამოშვება. ამის მიზეზი გახდა მადრიდის პროტოკოლის საერთაშორისო საპატენტო ბიუროდან მოსული ბრძანება, რომელიც მიუთითებს, რომ კორვალოლის და ვალიდოლის ბრენდი ამიერიდან მთელ მსოფლიოში ეკუთვნის უკრაინულ ფარმაცევტულ კომპანია ფარმაკს და მხოლოდ მას შეუძლია ამ წამლების ამ სახელებით გამოშვება. ამის შემდეგ ქართული ფარმაცევტული საწარმო თბილქიმფარმი, რომელიც 30 წელზე მეტია უშვებს კორვალოლს და ვალიდოლს, იძულებული გახდა, შეეწყვიტა მათი წარმოება. ასევე ქართულმა წარმოებამ ნატურფარმი კორვალოლის სახელით ვეღარ გამოუშვა და კორვალნატი დაარქვა. უკრაინული ქარხანა დარნიცის ვალიდოლი საქართველოში ამჟამად მედილოლის სახელით შემოდის. შეცვლილი სახელით კი მედიკამენტი გაცილებით ნაკლები რაოდენობით იყიდება, რაც ამ წარმოებებისთვის პირდაპირი ზარალია, ხოლო პატენტის მფლობელს საშუალებას აძლევს ფასი გააძვიროს და ასეც ხდება. ამჟამად რუსული და უკრაინული ფარმაცევტული ქარხნები მუშაობენ ისეთი ცნობილი საბჭოთა ბრენდების დასაპატენტებლად, როგორებიცაა: **ციტრამონი, ანალგინი, ასპარკამი, კოკარბოქსილაზა, ლევომიცეტინი, რიბოქსინი, კლოფელინი, კორდიამინი, გიოქსიზონი, ნოვოკაინი, ოქსოლინი, სინტომიცინი, სტრეპტოციდი, ეუფილინი, რაუნატინი, ანაპრილინი.** თუ მათ მოახერხეს საერთაშორისო პატენტის მიღება, კორვალოლის და ვალიდოლის მსგავსად, ქართულ წარმოებებს ამ მედიკამენტების წარმოებაც აეკრძალებათ. ამიტომ ჯობია, რომ ეს სახელები ქართულმა ფარმაცევტულმა კომპანიებმა დააპატენტონ და აღარ იყვნენ დამოკიდებული რუსულ და უკრაინულ ქარხნებზე.

ტრაგედია

აფეთქება, რომელმაც ოჯახი დააქცია...

ქუთაისში „დიდების მემორიალის“ აფეთქებისას დატრიალებული ტრაგედიის შესახებ უკვე ბევრი რამ დაიწერა და ითქვა. მაგრამ მაინც ვერაფრით ავუვლიდით გვერდს მოვლენას, რომელმაც ყველა ადამიანი შეძრა, მით უმეტეს, რომ საქმე ეხება ოჯახს, რომელსაც სულ ცოტა ხნის წინ სამი უახლოესი ადამიანი გამოაკლდა, ახლა კი, ვიღაცის დაუდევრობისა თუ პროფესიული უნიათობის გამო, ახალგაზრდა დედა და მცირეწლოვანი შვილი დაკარგა...

ინგა ჯაყელი

„მიშველეთ, ხალხო! ჩემი ნაფერები ცოლ-შვილი მინდა. მითხარით, რომ ეს სიზმარია!.. რა მეშველება ჩემი ეკუნას გარეშე?.. ნინუცა, მამიკო, რად მინდა ეს ქვეყანა და სიცოცხლე შენ გარეშე?!“ — მოთქვამდა სოსო ჯინჭარაძე, როდესაც გაუბედავად, მის სახლში სამძიმარზე მივედით. საცოდავი კაცი გაოგნებული იყო. ალბათ, ბოლომდე არც ჰქონდა გააზრებული თავს დატეხილი ტრაგედია. „პოლიციელმა არ მიმიშვა; იქნებ, ცოლი მაინც გადამერჩინა?.. სამსახურში ვიყავი, როცა გავიგე, რაც მოხდა და გამოვიქეცი. შუა გზაში დამატოვებინეს მანქანა... ვერ მივეშველე დროზე ჩემს ანგელოზებს, იქნებ, ეკა მაინც მენახა ცოცხალი...“

35 წლის ეკა ჯინჭარაძე და მისი 11 წლის შვილი, ნინო უსაფრთხოების მიზნით, ქუჩაში გამოსულიყვნენ და უკვე ეს ფაქტი იწვევს არა მხოლოდ გაოცებას, არამედ აღშფოთებასაც: თუკი მაინც არსებობდა იმის საშიშროება, რომ ძეგლის აფეთქებას შეიძლებოდა, თუნდაც ხალხისგან დაცლილი კორპუსების ნგრევა გამოეწვია, როგორ არ მოიფიქრებს რაიმე უფრო ეფექტიანი, უსაფრთხოების გასაძლიერებლად?!.

ადგილობრივი ხელისუფლების მესვეურებისა და ძალოვნების რეკომენდაციით, ახლომდებარე სახლების მცხოვრებნი, მათ შორის, ეკა ჯინჭარაძე, თავის ორ შვილთან ერთად, ქუჩაში გამოვიდა. მისი უმცროსი გოგონა — ანა, საბედნიეროდ, უვნებელი გადარჩა. 11 წლის ნინოს კი 400 მეტრის მანძილიდან „გადმოფრენილი“ ბეტონის ნატეხი პირდაპირ საფეთქელში მოხვდა და ბავშვი ადგილზევე დაიღუპა. თავად ეკა მოგვიანებით, საავადმყოფოში გარდაიცვალა. ნამსხვრევი მასაც თავში ჰქონდა მოხვედრილი.

ცნობილია აგრეთვე, რომ დაშავდა ერთი მამაკაცი, რომელიც მეზობელ კორპუსში ცხოვრობს. ისიც გვარად ჯინჭარაძეა, მაგრამ დაღუპულების ოჯახს არ ენათესავება. თუმცა დიდი დაზიანებები მიიღო (ხერხემლის მალები და ნეკნები აქვს ჩამტვრეული), საბედნიეროდ, გადარჩა და მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება...

შემთხვევის ადგილზე მისულს, ადგილობრივი ხელისუფლებისა და ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლებმა კომენტარზე უარი მითხრეს. ისინი მალევე გაეცალნენ იქაურობას — აშკარაა, იქ შეკრებილთა რისხვას გაერიდნენ. ხალხი კი მართლაც, შოკირებული იყო და ჩემი დიქტოფონით ჩაწერილ ფირზე ერთდროულად რამდენიმე ადამიანის ხმა ისმის: „პარლამენტი და ჯანდაბა მაგათ!.. პარლამენტი გვინდა მშიერ და დაქცეულ ხალხს?! ფაბრიკა და ქარხანა აგვიშენონ, რომ უცხოეთში მონებად არ მიდიოდნენ ჩვენი შვილები და დედები!.. რას უშლიდა ის ძეგლი, რომ ანგრევენ და აპარტახებენ ყველაფერს?!. ქუთაისის ქუჩებში არ გაბედონ გამოჩენა, თორემ თავებს დაუხეთქავთ იმ ქვებით, გამწარებული ხალხი!..“

ეს ხალხის პირველი, მოუთოკავი რეაქცია იყო მომხდარზე — მათ მართლა დიდი შიშის გადატანა მოუხდათ, რადგან აფეთქების ტალღა იმდენად ძლიერი იყო, ბეტონის ნამსხვრევები დაახლოებით 400-500

აფეთქების ტალღა იმდენად ძლიერი იყო, ბეტონის ნამსხვრევები დაახლოებით 400-500 მეტრზე გაისროლა

მეტრზე გაისროლა, სახლებში ჭურჭელიც კი გადმოყარა კარადებიდან, კედლებიდან სურათები ჩამოცვივდა. ხალხი თავისი კორპუსების მახლობლად იყო შეყუჟული. იცოდნენ, რომ აფეთქების ტალღა ძლიერი იქნებოდა, მაგრამ იმას, რაც მოხდა, მაინც ვერავინ წარმოიდგენდა.

უკვე მაშინვე ითქვა, რომ აფეთქება „ზედმეტი მუხტით“ მოხდა, რაც სამუშაოს მწარმოებელმა ვერ გათვალა... იმედია, გამოძიება სრულ სიმართლეს დაადგენს და დამნაშავეებიც დაისჯებიან, მაგრამ რას უშველის ეს იმ ოჯახს, რომელმაც უძვირფასესი ადამიანები დაკარგა?!

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ცოტა ხნის წინ სოსო ჯინჭარაძეს მამა გარდაეცვალა; მას რაჭაში რომ მიასვენებდნენ, ავარია მოხდა, რომლის დროსაც, ბატონი სოსო დედა და და დაიღუპნენ. ჯერ ის ტრაგედიაც არ ჰქონდა მონელებული, ახლა კი უარესი სიმწარე — ცოლშვილის დაღუპვა ერგო წილად.

მამინვე ითქვა, რომ აფეთქება „ზედმეტი მუხტით“ მოხდა, რაც სამუშაოს მწარმოებელმა ვერ გათვალა...

ზიზი მოსიძე, *ჯინჭარაძეების მეზობელი:*

— დაიქცა ოჯახი! იცით, რა გოგო იყო ეკა და როგორ ზრდიდა შვილებს?!. ამ ტრაგედიას უფალი არავის აპატიებს...

P.S. **ქუთაისელები „დიდების მემორიალის“ ადგილას ეკლესიის აგებას ითხოვენ — როგორც 19 დეკემბერს დაღუპულების, ასევე ყველა ომში (1941 წლიდან მოყოლებული) დაღუპულის სახელზე, რაც ალბათ, ყველაზე ლოგიკური იქნებოდა...**

რუბრიკის დასაწყისი იხ. გვ. 6

ჭრელი მსოფლიო

იულია ტიმოშენკოს ქურდობაში ადანაშაულებენ

უკრაინის პრეზიდენტი ვიქტორ იუშჩენკო პრემიერ-მინისტრ იულია ტიმოშენკოს წინასაარჩევნო კამპანიისთვის სახელმწიფო ხაზინის სახსრების ფარულად გამოყენებაში ადანაშაულებს. „ტიმოშენკომ ადგილობრივი თვითმმართველობის თანხები მოიპარა. ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაახლოებით 6 მლრდ გრივნა მთავრობის საჭიროებისათვის დაიხარჯა. ეს თანხა ტიმოშენკომ წინასაარჩევნო პროგრამის დასაფინანსებლად გამოიყენა. იულია ვლადიმიროვნა, როგორც ფიფქია, ისე მოგზაურობს ქვეყანაში: იქ 50 მილიონი დაკარგა, აქ ბინებს არიგებს, იქ სკოლებისთვის ჩინური ავტობუსები შემოიყვანა — ესეც 6 მილიარდი!..“ — აღნიშნა ვიქტორ იუშჩენკომ.

ბერლუსკონის პლასტიკურ ოპერაციას გაუკეთებენ

იტალიის პრემიერ-მინისტრი სილვიო ბერლუსკონი სახეზე დარჩენილი იარების მოსაშორებლად, პლასტიკურ ოპერაციას შვეიცარიის ერთ-ერთ კლინიკაში აპირებს. ბერლუსკონის სახეზე ნაიარევები მას შემდეგ დარჩა, რაც ვინმე მასიმო ტარტალიამ სახეში თაბაშირის პატარა ქანდაკება ესროლა. პრემიერზე მომხდარი თავდასხმის გამო იტალიელები ხშირად ხუმრობენ. სუვენირების მაღაზიების დახლებზე თავზე სახვევშემოკრული ბერლუსკონის ფიგურებიც გამოჩნდა. როგორც გაირკვა, ახალ სუვენირზე იტალიაში ძალიან დიდი მოთხოვნაა და მისი ფასი 38 დოლარიდან იწყება.

ნიკოლა სარკოზის რეზიდენცია თივით დაფარეს

ფრანგმა ფერმერებმა საპროტესტო აქცია გამართეს, შემდეგ კი პრეზიდენტის რეზიდენციასთან მისასვლელი გზა და სასახლის კარი თივით ამოქოლეს. 70-მა ფერმერმა ამ აქციის განსახორციელებლად თივის 2-2 ზვინი მიიტანა. პოლიციამ გაფიცული ფერმერები ცრემლსადენი გაზის გამოყენებით დაშალა. ფრანგი ფერმერები შემოსავლის ნულამდე შემცირების გამო გაიფიცნენ. მათი თქმით, ხელისუფლების მცდარმა პოლიტიკამ მათი შემოსავლები გაანულა. „ადგილობრივი პროდუქტი — ამერიკულმა და ინდურმა ჩაანაცვლა; შარშანდელთან შედარებით, 35%-ით ნაკლები მოსავალი მივიღეთ, ეს კი სასუქზე ფასების გაზრდამ და სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე ფასების შემცირებამ გამოიწვია“, — ამბობენ ფერმერები და საპროტესტო აქციების გაგრძელებით იმუქრებიან.



დასაწყისი იხ. გვ. 14

ბიდან.

— მაკა, თქვენ როგორ მოხვდით საგანგებო სიტუაციების სამსახურში?

— თემურმა შემომთავაზა თანამშრომლობა.

— ერთმანეთი სად გაიცანით?

— ორივე, თბილისის ზღვაზე დავდიოდით სავარჯიშოდ. თავიდან ერთმანეთს მხოლოდ გამარჯობას ვეუბნებოდით. ერთხელაც, საერთო მეგობართან სუფრაზე მოვხვდით, მეორედ რესტორანში შევხდით ერთმანეთს და ნელ-ნელა დავმეგობრდით. მერე, თემურის შემოთავაზების შედეგად, ამ უწყებაში, კადრების განყოფილებაში დავიწყე მუშობა და მეგობრობა სიყვარულში გადაიზარდა.



— თემურმა გარეგნობით მოგხიბლათ?

— არა...

თემური:

— (*იცინის*) აბა, გარეგნობით მე როგორ უნდა მოვწონებოდი?!

მაკა:

— გარეგნობა ჩემთვის მნიშვნელოვანი არ არის. თემური ხასიათის სიმტკიცისა და სხვა დადებითი თვისებების გამო შემიყვარდა.

— როდესაც მაკას სამსახური შესთავაზეთ, მის მიმართ უკვე გრძნობა გქონდათ?

თემური:

— არა, უბრალოდ, მისი შრომისმოყვარეობით ვიყავი მოხიბლული. სხვებმა არ მიწყინონ, მაგრამ დიდ პატივს ვცემ სპორტით დაინტერესებულ მანდილოსნებს... მერე, ნელ-მელა გრძნობაც გაჩნდა. ბოლო 2 წელია, რაც მაკა შემიყვარდა.

— მაკა, თქვენ რა სპორტით ხართ დაკავებული?

— ფრენბურთით. საქართველოს ქალთა ნაკრების წევრი ვიყავი და ზღვაზე დილაობით გამაჯანსაღებელ ვარჯიშებს ვატარებდი.

— ბატონო თემურ, მაკა თქვენთვის პირველი სიყვარულია?

— ალბათ კი, პირველი სერიოზული სიყვარულია.

— თქვენთვის?

მაკა:

— ჩემთვისაც. მაგის ხელში გავიზარდე: 17 წლის ვიყავი, თემური რომ გავიცანი.

— თქვენს პიროვნულად ჩამოყალიბებაზე რაიმე გავლენა თუ მოახდინა?

— კი, ძალიან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა. როგორც თავად უნდოდა, ისე გამომზარდა.

— თქვენ თუ ახდენდით გავლენას თემურის იმიჯსა და ჩაცმულობაზე?

— კი. სულ ვეუბნებოდი, რომ ახალგაზრდულ და სპორტულ სტილში ჩაეცვა და ისიც მიჯერებდა.

თემური:

— მე ისედაც სპორტულ სტილზე ვიცვამდი. პიჯაკში თავს კომფორტულად ვერასდროს ვგრძნობ. რამდენჯერაც წვეულებაზე „გამოპრანჭული“ წავედი, იმდენჯერ გამოძახებაზე მომიწია წასვლამ და ხანძარში პირდაპირ პიჯაკით შევედი. საბოლოოდ გადავწყვიტე, რომ კლასიკურ სტილში აღარ ჩავიცვა.

— ეი. გინდათ თქვათ, რომ გამუდმებით სამსახურზე ფიქრობთ და სხვა არაფერი გაინტერესებთ?

— არა, არც მასეა საქმე. ნადირობა ძალიან მიყვარს და როდესაც სეზონია, ვცდილობ, ყველა შაბათ-კვირა მაქსიმალურად გამოვიყენო. ამ დროს მართლა არავინ მირეკავს და არანაირი საქმის გამო არ მაწუხებს.

— სად ნადირობთ ხოლმე?

— კახეთში. ძირითადად, კურდღელსა და ფრინველზე.

— მეუღლე იქაც თქვენი კომპანიონი ხომ არ არის?

— მაკა ძალიან კარგად ერკვევა ამ საქმეში და ვიდრე ჩემი ცოლი გახდებოდა, ხშირად დამყავდა სანადიროდ.

— მაკა, ნადირობა მართლა გაინტერესებდათ თუ საყვარელი ადამიანის ხათრით დადიოდით?

— მართლა მაინტერესებდა. რატომღაც, ბავშვობიდანვე მამაკაცური საქმეები უფრო მაინტერესებდა. 18 წლის ვიყავი, ავტომანქანის ტარება რომ ვისწავლე.

— აბა, მიზანში სროლაც გეცოდინებათ.

— სხვათა შორის, კარგად ვისვრი და როდესაც ტირში მივდივარ, ბევრს ვჯობნი კიდეც.

— ბატონო თემურ, თქვენს უარყოფით თვისებებზე თუ შეგიძლიათ საუბარი?

— არა, ნამდვილად არ შემიძლია.

— მაკა, იქნებ თქვენ მითხრათ რამე?

— კი, გეტყვით: ძალიან ცვალებადი ხასიათი აქვს. შეიძლება, ყოველ 10 წუთში შეეცვალოს გუნება-განწყობილება.

— ხშირად კამათობთ?

მაკა:

— არა.

თემური:

— როგორ არა, ვკამათობთ, მაგრამ იშვიათად, თანაც მალევე ვაღწევთ შეთანხმებას. მიმაჩნია, რომ კამათი კარგია, ამ დროს უარყოფითი ენერგიისგან იცლები.

— მაკა, რამდენი წლის ხართ?

— 5 იანვარს 27 წლის გავხდები.

— ასაკობრივი სხვაობა თქვენ შორის გაუგებრობის მიზეზი არ ხდება?

თემური:

— არა, ვერც კი ვგრძნობ, რომ ჩვენ შორის ამხელა სხვაობაა. 10 წელია, მაკას ვიცნობ. ჩვენ შორის ხასიათის შეუთავსებლობა რომ ყოფილიყო, ამდენ ხანს ერთად ვერ გავძლებდით.

მაკა:

— მე არ მიმაჩნია, რომ ჩვენ შორის დიდი ასაკობრივი სხვაობაა. 13 წელი არაფერია.

— სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას ხელს არ გიშლით ის ფაქტი, რომ ცოლ-ქმარი ხართ?

— სამსახურში ვერც კი ვგრძნობ, რომ თემური ჩემი მეუღლეა. ახლაც მისი დიდი რიდი მაქვს.

— მკაცრი უფროსია?

— ძალიან მკაცრია. მოითხოვს, რომ ყველაფერი წესრიგში იყოს.

— ოჯახშიც ასეთია?

— არა, ოჯახში სულ სხვანაირი — მზრუნველი და თბილია.

თემური:

— ოჯახში უფროსი დიასახლისი ჯერ კიდევ დედაჩემია, ამიტომ პასუხისმგებელი პირიც ის გახლავთ.

— დედამთილთან როგორი ურთიერთობა გაქვთ?

მაკა:

— ძალიან კარგი. მას ადრეც ვიცნობდი, ამიტომ მალევე გავუგეთ ერთმანეთს და დავმეგობრდით.

— ახალ წელს ოჯახში შეხვდებით?

თემური:

— წინასწარ ვიცი, რომ მუშაობა მომიწევს. შარშან სულ ორი ზარი შემოვიდა, მაგრამ ასეთი რამ იშვიათად ხდება.

— თქვენ თუ გაქვთ საახალწლოდ რაიმე გეგმა?

მაკა:

— არა, მე მეუღლეზე ვარ დამოკიდებული.

— საახალწლო საჩუქრები თუ მოუმზადეთ ერთმანეთს?

მაკა:

— მე მაქვს მომზადებული. თემურმა რა ქნა, არ ვიცი.

თემური:

— მეტი რა საჩუქარი უნდა? ამისთანა კარგი ბიჭი ჩამიგდო ხელში!..

— ისე, მაკა უფრო ჰგავს საჩუქარს...

— (*იცინის*) კი, მართალი ხართ, მაკა ძალიან კარგი გოგოა და საახალწლო საჩუქარს აუცილებლად მიიღებს. ოღონდ ახლა არ მკითხოთ, რა საჩუქარსო? ეს სიუპრიზია... ■

სახე

„კლინიკა“ — უკომპრომისო და პრეტენზიული პროექტი ჰიტური ელემენტებით

დიდი ხანი არაა, რაც „ტელეიმედის“ ეთერში სერიალი — „კლინიკა“ გამოჩნდა: მეცნიერულ აზარტზე დამყარებული კანონით აკრძალული ქმედებები კონკრეტულ სიტუაციებს ქმნის, რაც საბოლოო ჯამში, მაყურებელთა ინტერესს იწვევს...

ეთო ყორღანაშვილი

ირაკლი სალინაძე, *სცენარისტი:*

— როცა ტელეკომპანია „იმედის“ ამჟამინდელმა მესვეურებმა საკუთარ თავზე აიღეს მისია, რომ არხი უკეთესი გამხდარიყო, დავიწყეთ მსჯელობა: „საპნის ოპერა“ გაგვეკეთებინა სამხრეთამერიკულ სტილში თუ — ამერიკული ტიპის „ექშენ“ სერიალი? „ექშენ“ სერიალის იდეა თავიდანვე მოგვეწონა, მაგრამ კამათი მიმდინარეობდა — ფინანსური თვალსაზრისით, რამდენად რეალური პროექტი იქნებოდა? მერე თვითონვე გადაწყვიტეს, რომ ამ პროექტისთვის დიდი თანხის დახარჯვა ღირდა, რადგან ქართული ბაზრისთვის პრინციპული სიახლე იქნებოდა. აღმოსავლეთ ევროპაში თუკი რამე მსგავსი გაკეთებულა, ყველაფერი შევისწავლეთ და მინდა აღვნიშნო, რომ ასეთი „პროდუქტი“ აღმოსავლეთ ევროპაში ჯერ არ შექმნილა. ამ მხრივ, გამოუცდელები ვიყავით, ეს საქმე ადრენალინს შეიცავდა და მთელი გადამღები ჯგუფისთვის დიდი გამოწვევა იყო. მგონი, პროექტი შედგა, ყოველ შემთხვევაში — ამ ეტაპზე უკმაყოფილების მიზეზი არ გვაქვს. თანდათან კიდევ უფრო „ვიზრდებით“, დღე და ღამე ვშრომობთ, რომ „კლინიკა“ მაყურებლისთვის უფრო საინტერესო გახდეს. ერთი ნიუანსი არსებობს: „კლინიკა“ პრეტენზიული პროექტია და საზოგადოება რთულად იღებს, ეჭვის თვალით უყურებს. როცა ბაზარზე ამბიციით გადიხარ, დრო გვჭირდება, რათა მაყურებელი დაარწმუნო, რომ ღირებულ პროექტს სთავაზობ.

— გამოდის, რომ რისკავთ...

— დიახ, ჩვენ კომპრომისზე არ მივდივართ, თუმცა საზოგადოებისთვის მისაღები „ჰიტური“ ელემენტები „კლინიკაში“ ჩავდეთ. შეურაცხყოფის მიყენება არავისთვის მინდა, მაგრამ არსებობს ადამიანთა კრიტიკული მასა, რომელთა გემოვნებაც იმ ტელეპროდუქტებს შეეფერება, რაც დღეს ეთერში გადის. „კლინიკა“ სიახლეა და დამკვიდრებისთვის დრო სჭირდება. ჩემი აზრით, მალე მოდური სერიალი გახდება — ამის „ინტონაცია“ უკვე შეინიშნება. პრინციპულობას იმაში ვიჩენთ, რომ აქცენტს მხოლოდ ხარისხზე ვაკეთებთ და არა — იაფფასიან ტრიუკებზე. ბეწვის ხიდზე დავდივართ, სადაც იოლია გადამლაშება და აბსოლუტურად გაუგებარი რაღაცის გაკეთება ან პირიქით — შესაძლოა, ძალიან გასაგები და ბანალური გააკეთო. შუალედის „დაჭერას“ მთელი გულით ვცდილობთ და მგონი, გამოგვდის.

— საზოგადოების კრიტიკულად განწყობილი ნაწილი ახსენეთ. ამ მხრივ, „კლინიკის“ მიმართ ყველაზე გამაღიზიანებელი რა მოგისმენიათ?

— ღანძღვა არ მაღიზიანებს, რადგან სისულელეა, კომპეტენტური კრიტიკა კი პირიქით — საინტერესოა და ვიღებ. სამწუხაროდ, საქართველოში სწორედ კრიტიკაა ძალიან დაბალი დონის, რაც თეატრის, კინოს, ლიტერატურის განვითარების მთავარი შემაფერხებელი ფაქტორია. ჩვენს ქვეყანაში დამფასებლების კი არა, შემფასებლების „კასტა“ არსებობს. შემფასებლები ბრძენის მანტიას მოისხამენ და ღრუბლებიდან ცქერას იწყებენ...

— პროექტის კონკრეტული ტელევიზიის ფორმატზე მორგება თუ ხდება?

— გავკადნიერდები და ჩემს საქმიან პარტნიორებს — „იმედის“ მესვეურებს გავაკრიტიკებ: მგონია, რომ ტელევიზიის სტილი დაცული არ არის, ცოტა დასალაგებელია. ძველი „კუდები“ აქვს გადმოყოლილი, ახალი კი — ჯერ არ ჩამოყალიბებულა. მე თუ მკითხავ, სადაც „კლინიკა“ გადის, იქ „იუმორინა“ არ უნდა გადიოდეს. რეიტინგის „დევნა“ ხანდახან გოიმურად უფრო მეჩვენება, ვიდრე — პრაგმატულად. ისე, ამ მხრივ, „იმედს“ ყველაზე ნაკლები პრობლემა აქვს, სხვა არხები უფრო ცუდ დღეში არიან.

— თქვენი სერიალით მაყურებლისთვის რა გინდოდათ, გეთქვათ?

— ის, რომ მაღალი ხარისხის, საერთაშორისო დონის პროექტის შექმნა საქართველოში არსებული რესურსებით შეიძლება! ვეცადეთ, ორიგინალურები ვყოფილიყავით და მსოფლიოში არსებული გამოცდილება გამოგვეყენებინა. ეს იმას არ ნიშნავს, რომ რაღაცის კოპირება მოვახდინეთ — ამას დაკვირვებული თვალი მიხვდება. ჩვენი სერიალი თავისუფლებისკენ სწრაფვითა და მებრძოლი სულისკვეთებით „გაქცევას“ ჰგავს, სამედიცინო თემატიკით — „ექიმ ჰაუსს“, ხოლო

როცა სერიალში მიზანი ცნობილია და გაურკვევლობაა — ბოლოს რა მოხდება, ამ მხრივ „დაკარგულებს“ წააგავს. ცოტ-ცოტა ყველაფრიდანაა. გვინდოდა, რაღაც „ჩვენი“ გაგვეკეთებინა. ქართული ელემენტიც ჩავრთეთ, ოღონდ გადამლაშებული — არა.

— საუბრის დასაწყისში, დიდი თანხები ახსენეთ. როგორ ფიქრობთ, „კლინიკა“ ფინანსურ მოგებას მოგიტანთ?

— ძვირად ღირებული პროექტია და „იმედის“ მმართველების ენთუზიაზმს ვაფასებ: შეიძლება, ამ ეტაპზე წააგონ, მაგრამ საბოლოო ჯამში არხმაც მოიგოს და ქვეყანამაც. ვფიქრობ, „კლინიკა“ საკუთარი თავის „ამოღებას“ საქართველოშიც შეძლებს და შეიძლება, უცხოეთშიც გაიყიდოს.

— ირაკლი, მუშაობის პროცესში რეჟისორისა და სცენარისტის იდეების სრული თანხვედრაა ხოლმე?

— მრავალი წელია, რაც მე და სერიალის რეჟისორს — გიორგი ლიფონავას საქმიანის გარდა, მეგობრული ურთიერთობა გვაქვს. ეს საშუალებას გვაძლევს, რომ სამუშაო დრო შევამციროთ. ბევრ რამეს სცენარში მინიშნების დონეზე ვაკეთებ, რადგან ვიცი — გიორგი ამ ყველაფერს ზუსტად განახორციელებს. ასე რომ არ იყოს, მოკლე ვადებში პროექტის განხორციელებას ვერ შევძლებდით.

მაყურებლის გარდა, „კლინიკაში“ მონაწილე მსახიობებსაც ძალიან აინტერესებთ, თუ რა ბედი ეწევათ მათ პერსონაჟებს, მაგრამ ირაკლიმ მინიშნებითაც არ გაგვიმხილა — ინტრიგა შევინარჩუნოთო.

ქეთი ჩაჩუა, *მსახიობი:*

— ჩემს პერსონაჟს — ლიკას მომავალში რას უპირებენ, არ ვიცი, მაგრამ ფაქტია, რომ მოვლენები საინტერესოდ ვითარდება. ცუდად არ გამიგოთ, მაგრამ მაგალითად, მაღაზიაში პროდუქტის საყიდლად რომ მივდივარ, მეკითხებიან: ვაიმე, ლიკა არ ხარ? რა ხდება „კლინიკაშიო“? ვფიქრობ, ხალხს სერიალი ძალიან მოსწონს. ჩემთვის სრულიად უცხო ადამიანები მაჩერებენ და კომპლიმენტებს მეუბნებიან.

ზოგჯერ მინდა, ლიკა ვცემო

ეკრანს მიღმა

— შენი პერსონაჟი, ცოტა არ იყოს, გამაღიზიანებელი ხომ არ არის?

— ზოგჯერ მინდა, ლიკა ვცემო (*იცინის*)! ეტყობა, რაღაც აქვს ჩაფიქრებული, თორემ როგორ შეიძლება, ასეთი უთავმოყვარეო იყოს?! სერიალში ლევანი ექიმი „მიყვარს“, მის გამო ყველაფერს ვაკეთებ, მაგრამ მგონი, ამ სიყვარულის მიღმა რაღაც იმალება. მედდა ლიკა უთავმოყვარეო და ცერცეტა რომ არის, ეს მაღიზიანებს, თორემ შესასრულებლად ძალიან საინტერესო როლი მაქვს.

— შენს ეკრანულ პარტნიორს — მსახიობ თემიკო ჭიჭინაძეს როგორ შეაფასებ? იოლია მასთან მუშაობა?

— კი, რა თქმა უნდა, მთელი შემოქმედებითი ჯგუფი კარგი ადამიანებითაა დაკომპლექტებული. თავისი საქმე ყველამ იცის. ყოველი სცენის გადაღების მერე, თემიკო ბოდიშს მიხდის, — ხომ იცი, ასეთი არ ვარო (*იცინის*).

— სერიალის გადაღებები დამღლელია?

— აუ, არა, პირიქით — ჩემთვის უდიდესი სიამოვნებაა!

— მგონი, წეღან ნერვიულობდი. რა სცენას იღებდით?

— ლევანის გამო, ლიკა კიდევ რაღაც ინტრიგას აწყობს: ერთ-ერთ გმირს — ტოროს სადღაც „შეათრევს“, ლევანმა ერთმანეთთან ჩახუტებული ლიკასა და ტოროს ფოტო რომ გადაიღოს. მას ფაქტი სჭირდება, რათა ტორომ იმ პაციენტთან შეუშვას, რომელთანაც ახლოს არავის უშვებენ. საერთოდ, კამერის წინ ნერვიულობა არ მახასიათებს. აი, გაუპატიურების სცენის გადაღებისას კი ცოტათი ვინერვიულე. პრინციპში, მე კი არა, ამ დროს მთელი გადამღები ჯგუფი ნერვიულობდა! მოკლედ, ყველა მგულშემატკივრობდა. ალბათ დამავჯერებლად ვითამაშე, რადგან მითხრეს, — აბსოლუტურად არ იყო გამაღიზიანებელი სცენა, პირიქითო... ეს გიორგი ლიფონავას და მთელი შემოქმედებითი ჯგუფის დამსახურებაა, რისთვისაც ყველას მადლობას ვუხდი.

ზაზა სალია, *მსახიობი:*

— ძალიან მცირე შემოქმედებითი ბიოგრაფია მაქვს: სკოლის დამთავრების შემდეგ, თეატრალურ ინსტიტუტში ჩავაბარე — ლილი იოსელიანის ჯგუფში ვიყავი. მერე თავს ტრაგედია დამატყდა — ჩემი ტყუპისცალი ძმა მეჯვარესა და 2 მეგობართან ერთად მოკლეს. ძალიან რთული, დეპრესიული პერიოდი მქონდა ცხოვრებაში, ხელოვნებასთან კავშირი საერთოდ გავწყვიტე. მოგეხსენებათ, დრო ყველაფრის მკურნალია. მეც მომენატრა მსახიობობა...



მეც მომენატრა მსახიობობა...

— დიდი შემოქმედებითი პაუზის მერე, როლის მორგება არ გაგიჭირდათ?

— „კლინიკამდე“ ლევან კოღუაშვილის ფილმში — „ქუჩის დღეები“ ვითამაშე და ერთგვარი სამსახიობო „ტრენაჟი“ გავიარე. რა თქმა უნდა, გამიჭირდა, რადგან ძალიან დიდი „ჩაგდება“ მქონდა, მსახიობობა კი ისეთი პროფესიაა, რომ საკუთარ თავზე მუდმივად უნდა იმუშაო, აკონტროლო... ყურადღების მოდუნების შემთხვევაში, რაც უნდა ძლიერი ოსტატი იყო, მაინც ქვევით მიდიხარ.

— „კლინიკაში“ ტოროს როლი თქვენთვის რამდენად საინტერესოა?

— ძალიან საინტერესოა. ტორო სპეცსამსახურის წარმომადგენელია, დაკვირვების ქვეშ მყოფი პაციენტის შესახებ ყველა დეტალი უნდა იცოდეს. ის „კაფსულაში“ მყოფ მთავარ გმირს სულ თან სდევს და აკონტროლებს. ტოროს ქალები ძალიან უყვარს — ეს მისი სუსტი წერტილია. ცხოვრებაში თუკი რამე იაღლიში მოსდის, მხოლოდ ქალების გამო.

— მსგავსი მიზეზით შეცდომა თქვენ არასოდეს მოგსვლიათ?

— არა, ტოროსგან აბსოლუტურად განსხვავებული ხასიათი მაქვს. ამიტომ როლის შესრულება 1-ელ ეტაპზე ძალიან გამიჭირდა. რა თქმა უნდა, ცხოვრებაში ქალი ყველა მამაკაცს ხვდება — ამის გარეშე სიცოცხლე არ არსებობს, მაგრამ ტოროსთვის ეს სისუსტეა. პრობლემები ქალების გამო ექმნება. ეს სისუსტე რომ არ ჰქონდეს, იდეალური ადამიანი იქნებოდა, მაგრამ მოგეხსენებათ, იდეალური ადამიანები არ არსებობენ... დეპრესიული პერიოდის შემდეგ, „სულიერი შიმშილი“ დამეწყო. მიხარია, რომ საბოლოოდ ყველაფერი თავის ადგილზე დადგა.

— მოკლედ, აქტიურ შემოქმედებით ცხოვრებას დაუბრუნდით და გაჩერებას აღარ აპირებთ, არა?

— რა თქმა უნდა! მინდა, დაკარგული წლები ავინაზღაურო. ეს ჩემი პირველი ინტერვიუა და მსურს, იმ ადამიანებს მადლობა გადავუხადო, ვინც რთულ დროს მხარში ამომიდგა.

— წარმატებას გისურვებთ! იმედია, კიდევ შევხვდებით და თქვენ მიერ შესრულებულ ბევრ საინტერესო როლზე ვისაუბრებთ.

— დიდი მადლობა. ■

„მერჩივნა, საზოგადოებას ნამდვილი სახით გავცნობოდი და მერე მეთქვა — ვისი შვილი ვარ“

მსახიობსა და რეჟისორს — ბექა ქავთარაძეს მიაჩნია, რომ ის და მამამისი — ბატონი გოგი ქავთარაძე, რეჟისორული ხედვის თვალსაზრისით, „სხვადასხვა თეატრში არიან“. მამის შემოქმედება მოსწონს და პატივს სცემს, თუმცა ბატონი გოგის რამდენიმე სპექტაკლი და როლი განსაკუთრებით უყვარს. ბექას სურდა, საზოგადოებას თავისი ნამდვილი სახით გასცნობოდა და მერე გაემხილა, ვისი შვილიც გახლავთ.

ეთო ყორღანაშვილი

— ფაქტობრივად, თეატრში ვიზრდებოდი. ჩემთვის თეატრი ოჯახივით იყო — თავს ისე ვგრძნობდი, როგორც საკუთარ სახლში... ამან ჩემს ფსიქიკას თავისი კვალი დაჩნია. მიუხედავად იმისა, რომ „თეატრი ვიცოდი“, რაც უნდა უცნაურად ჟღერდეს, ბავშვობიდან მხატვრის პროფესია მქონდა არჩეული — კარგად ვხატავდი. როცა წამოვიზარდე, ჩემს ცხოვრებაში მნიშვნელოვანი რაღაცები მოხდა, რის მერეც მხოლოდ ხატვა საკმარისი არ იყო. 15-16 წლის ასაკიდან რატომღაც, პატარ-პატარა ნოველების წერა წამოვიწყე, სცენარებსაც ვწერდი. ამან ჩემში გარდატეხა მოახდინა და ტელერეჟისურის ფაკულტეტზე ჩაბარება გადავწყვიტე.

— მამათქვენი — ბატონი გოგი ქავთარაძე როგორ შეხვდა თქვენს გადაწყვეტილებას?

— გაუხარდა, რადგან ხშირად მეუბნებოდა: — მიუხედავად იმისა, რომ ჩამოყალიბებული მხატვარი ხარ, რეჟისორული ხედვა გაქვსო. ამაზე ასე ვპასუხობდი: — კი, ბატონო, შეიძლება, რეჟისორულად ვაზროვნებ, მხატვრობა გადაწყვეტილი მაქვს-მეთქი. ასე რომ, პროფესიის არჩევასთან დაკავშირებით, ჩემი საბოლოო გადაწყვეტილება მამას გაუხარდა. მერე პრაქტიკაც მასთან გავიარე — გარკვეული პერიოდის განმავლობაში, თეატრში გამნათებელი ვიყავი (დღეს რომ არის, მაშინ ასეთი ტექნიკა არ იყო და განათებას ხელით ატარებდნენ). შემდეგ, უნივერსიტეტში ჩაბარებამდე, ტექნიკურ რეჟისორად ვმუშაობდი — მთელი სპექტაკლი მებარა. ამან კიდევ უფრო მეტი პრაქტიკა შემძინა, თეატრის „სამზარეულო“ მეტად გავიცანი. ამის გამო, მსახიობებთან, ტექნიკურ პერსონალთან მუშაობა მიადვილდებოდა.

— მიუხედავად იმისა, რომ თეატრს კარგად გაეცანით, მაინც ტელერეჟისორის პროფესია აირჩიეთ. რატომ?

— ჰო, ტელერეჟისურის ფაკულტეტზე ჩავაბარე და 3 საკურსო ფილმიც გადავიღე — ჩემი ხარჯებით, სამოყვარულო კამერით, მხატვარიც მე გახლდით. ერთ-ერთში ვთამაშობ კიდეც: მსახიობის პროფესიაზე პრეტენზია არ მქონდა, მაგრამ ფილმი ავტოპორტრეტივით იყო, 9 აპრილის მოვლენებთან დაკავშირებით. სხვისთვის რომ ამეხსნა, რა და როგორ უნდა შეესრულებინა, ვიწვალებდი. ამიტომ ჯობდა, საკუთარი თავი თავად მეთამაშა. ამით კამერასთან მუშაობის გარკვეული პრაქტიკა მივიღე. მერე ინსტიტუტში უსიამოვნება შემემთხვა და გამრიცხეს.

— უსიამოვნება — ლექტორებთან?

— არა, რბილად რომ ვთქვათ, ცოტა „წავიხულიგნე“ და ამის გამო გამრიცხეს. მაშინ მე-3 კურსზე გადავდიოდი. იმ პერიოდში ჩემი ჯგუფი საშინელ დღეში იყო: ტელერეჟისურის ფაკულტეტი გახლდათ და აპარატურა არ ჰქონდა; ამიტომ კინორეჟისურის ჯგუფს შეუერთდა (თუ არ ვცდები, სტუდენტებთან თემურ ბაბლუანმა და დათო ანდღულაძემ დაიწყეს მუშაობა). ამასობაში, სასწავლებელში აღმადგინეს. 3 სტუდენტი — მე, მამუკა მაცხონაშვილი და თეა მდივნიშვილი ბატონმა თემურ ჩხეიძემ ექსპერიმენტულ ჯგუფად — დრამის რეჟისორებად აგვიყვანა. გარდა იმისა, რომ 3 საკურსო ფილმი გადავიღე, მე-2 კურსზე სწავლისას, პირველი საკურსო სპექტაკლი — „მუნჯი სიზმრები“ სოხუმის თეატრში დავდგი. მას დიდი წარმატება ხვდა წილად — მეც და მსახიობმაც პრიზი ავიღეთ. არც გარიცხვის პერიოდში გავჩერებულვარ. სწავლის გაგრძელებისას სპექტაკლი მარჯანიშვილის თეატრში დავდგი, დასრულებისას — „რუსთაველის“ დიდ სცენაზე (ჩეხოვის „თოლია“)... მართალია — პაუზებით, მაგრამ მაინც სულ ვმუშაობდი. არ ვჩქარობ ხოლმე, მირჩევნია, დინჯად ვიმუშაო და ყველაფერი ისე გავაკეთო, როგორც საჭიროა. ვფიქრობ, რეჟისურა ისაა, რომ რასაც დგამ, უნდა გტკიოდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, სპექტაკლი ყოველთვის ხელოვნურია — „პლასტმასის“ ნამუშევარი იქნება და მაყურებელზე არ იმოქმედებს.

— ბექა, ფილმებს თუ იღებდით?

— არა, ასეთი „ნაგლიც“ არ ვარ. ამასობაში მივხვდი, რომ ფილმის გადაღება სხვა რამეა, ვიდეოზე „ჩხირკედელაობა“ (ჩემს საკურსო ნამუშევრებს „ჩხირკედელაობას“ ვეძახი) — სხვა. კინო სერიოზული რაღაცაა — მას სწავლების ცალკე კურსი, პრაქტიკა სჭირდება. თუ არ იცი, ჯობია, საერთოდ არ გაეკარო. ფილმის გადაღება რთული და საპასუხისმგებლო საქმეა, თუმცა თავად მე მიღებდნენ. საბედნიეროდ, ისეთი ხალხი შემხვდა (ბატონი რეზო ესაძისა და მერაბ კოკოჩაშვილის სახით), რომ მათთან მუშაობა უკვე სკოლაა! ისინი რომ არ ყოფილიყვნენ, ალბათ ვერ გავაკეთებდი იმას, რაც კინოში გავაკეთე.

— ტელერეჟისურაში მიღებული ცოდნა თეატრში მუშაობისას თუ გამოგადგათ?

— კი, რატომ, იცი? გავრისკე — თეატრში კინოს ხერხებით ვმუშაობდი და გამიმართლა. დღემდე ასე ვმუშაობ, შეი-

მე და მამას განსხვავებული რეჟისორული ხედვა გვაქვს

დაჩერჩეტობს. სამსახურთან რომ მოდის, თუ არ დაუძახე, — აქეთ შემოუხვიეო, — გასცდება.

თათია:

— ჰო, ობოლი ჭუკივით დავდივარ...

— ნიკა, შენს ცხოვრებაში თუ ყოფილა თათიას პერსონაჟის მსგავსი „შეურიგებელი“ ქალბატონი?

თათია:

— რას ლაპარაკობ, ხომ დაენგრეოდა ოჯახი?! ისეთი რომ შეხვდეს, ჩათვალე, რომ ცოლ-შვილი აღარ ეყოლება!

ნიკა:

— სხვათა შორის, ასეთი შემთხვევა მართლა მქონდა, ოღონდ — მაშინ ცოლი არ მყავდა: იმ ქალბატონს ჩემი თანამშრომლები აკლებული ჰყავდა; მთელი სამსახური მხარში მედგა, მორალურად და სულიერად.

— აბეზარ თაყვანისმცემელს როგორ იშორებდი? სინამდვილეშიც „რბილი“ ხასიათი გაქვს?

— მაინცდამაინც მკაცრი არ ვარ. მიმაჩნია, რომ „რბილი“ ხასიათი მაქვს, თუმცა ყველა ადამიანის მსგავსად, მეც ვყოფილვარ განერვიულებული, გაღიზიანებული... ძირითადად, გაწონასწორებულ მდგომარეობაში ვარ, მაგრამ აფექტის შემთხვევებიც მქონია... იმ წლებს ნუ გამახსენებ, ჩემი გაჭირვება მყოფნის! ის ქალი მოვიცილე, ახლა ეს მყავს..

— თქვენი ეკრანული წყვილი — შინაბერა პედაგოგი ქალბატონი და ნიკოლოზი საკმაოდ წარმატებული აღმოჩნდა, თუმცა სხვა საინტერესო როლებიც გაქვთ. თქვენს განსაკუთრებულ სიმპათიას რომელი გმირი იმსახურებს?

— მთვრალი კაცის როლის შესრულება რა კარგად გამოგდისო, — რომ მეტყვიან ხოლმე, ამაზე „ტრაფარეტული“ პასუხი მაქვს მომზადებული: მთვრალი იმდენჯერ ვყოფილვარ, რომ ფიზიზელიც კარგად ვასრულებ მთვრალის როლს-მეთქი. ყველა ჩემი პერსონაჟი მომწონს. თათუშკას ძველბიჭობა ძალიან მაგრად გამოსდის.

თათია:

— ხალხს სინამდვილეშიც ასეთი ვგონივარ. არადა, რა ნაზი ყოფილხარო, — მეუბნებიან.

ნიკა:

— კიდევ, მასწავლებლის ცნობილი სკეტჩი გვაქვს — თათიას თმაში რომ ვწვდები ხოლმე. დასავლეთში რომ ჩავდივარ, ვხვდები, რომ ყველა ძალიან გვგულშემატკივრობს. როგორ უყვართ, იცი? ამისი თავი საზოგადოებას მე შევაყვარე.

თათია:

— ხალხს ჰგონია, მართლა „მჩეჩავს“.

ნიკა:

— ხალხს ვუხსნი ხოლმე, — ეს სკეტჩი თვეში ერთხელ იმიტომ გვაქვს, რომ ამ ხნის განმავლობაში, თათია თმას ინერგავს და ამოსდის-მეთქი (*იცინის*).

თათია:

— ხანდახან, არაბიძე მუღამში ისე შედის, რომ „მჩეჩავს“, სადღაც მიმაგდებს და ლამის წიხლიც ჩამაზილოს — სულ აღარ ახსოვს, რომ თმა მართლა არ უნდა მომქაჩოს!

— ეი. რაც ეკრანზე ჩანს, ზოგჯერ სინამდვილეს შეესაბამება?

— მაინც ადამიანია და..

ნიკა:

— ზოგჯერ ხელი გაგექცევა, მაგალითად — როცა სასადილოდან ახალი გამოსული, დანაყრებული, ენერგიაზე მოსული ვარ, მაგ დროს ვერ ვზომავ ხოლმე.

თათია:

— როცა ადამიანს უნდა, რაღაც გულით გააკეთოს, არ უნდა დაუშალო. რას ლაპარაკობ? მე ამას იმხელა პატივს ვცემ, რომ თუ მის გულს ესიამოვნება, სადმე მიმანარცხებს კიდეც, მერე, რა? ავდგები, „ჩამოვიფშვნეტ“ კაბას და გავივლი, დიდი ამბავი!

— ნიკა, როლში შედიხარ თუ გაბრაზებს და ჯავრს სკეტჩში იყრი?

— როლში შევდივარ, თორემ იცის, რომ ჩაწერის დღეს არ უნდა გამაბრაზოს, რადგან შეიძლება, სკეტჩში ჯავრი ვიყარო (*იცინის*). თუ გამაბრაზა, მისთვის ცუდად დამთავრდება — სკეტჩში ხელს ვერ შემომიბრუნებს!

— თათია, ორსულად ხარ. ამის გამო, თანამშრომლები უფრო მზრუნველად არ გეპყრობიან? არ განებივრებენ?

— კი. სხვათა შორის, ნიკამ დღეს რძიანი ყავა მომიდუღა და მომართვა. წავიდა და ჩემი გულისთვის 25 თეთრი „გადააგდო“ — როგორია, ამ ცხოვრებაში ამხელა თანხას „ჰარი-ჰარალოზე“ რომ მოისვრი?

ნიკა:

— რა ვქნა? შეძლებისდაგვარად, ხან კარალიოკი მომაქვს, ხან — ვაშლი.

თათია:

— მე და თამუნას საოცრად გვანებივრებს...

— ახლახან მეორედ გათხოვდი. როგორ გაიცანი მომავალი მეუღლე?

ნიკა:

— ჩხუბში გაიცნო: ამის უბანი თათიას ქმრის უბანს ურტყამდა...

თათია:

— ჩვენი უბანი ჩაცხრილეს. მერე იკითხეს, — სადაა უბნის ზედამხედველიო? ჩავვარდი „ბაბაჩკით“, გავშალე და უნდა დამერტყა, მაგრამ რომ შემომეფეთა შავი თვალები, — ვაიმე, ჩემია-მეთქი! — ვტაცე ხელი და შინ გავაქანე, გადავარჩინე... ასე დავიტოვე ჩემთვის!

— სახალისო ამბავია, მაგრამ რეალურად რა მოხდა, არ მეტყვი?

— ჩემი მომავალი მეუღლე საქართველოში არ ცხოვრობდა — 12 წელი ევროპაში გაატარა. აქ რომ ჩამოვიდა, საერთო მეგობრის დაბადების დღეზე გავიცანი. დავინახე, დამინახა, „შემომაჟუჟუნა“ თვალები. მეც მორცხვად დავხარე მზერა, გავინაზე... ამ „ოდნოკლასნიკებმა“ ხომ საერთოდ წინ წამწია — წინ იმხელა ნაბიჯით გადამაგდო, რომ სად აღმოვჩნდი, თავადაც არ ვიცოდი. იყო პაემნები. მერე დამნიშნა და დედაჩემს უთხრა: „ეს გოგო ჩემთვინ მინდაო“. დავკარი ფეხი და ჩემი ჩემოდნებით გავყევი.

— ერთმანეთის მეუღლეებთან როგორი ურთიერთობა გაქვთ?

ნიკა:

— ჩვენს „რძლებთან“ და „სიძეებთან“ ძალიან კარგი ურთიერთობა გვაქვს — ყველანი ერთი ოჯახის წევრებივით ვართ.

თათია:

— ნიკას მეუღლეს ვეცოდები: ხშირად მწერს, — შე საბრალო, ნიკამ თმა აღარ დაგიტოვა თავზე, უნდა ვუსაყვედურო და გავაფრთხილო, რომ ცოტა ნელა „მოგჩეჩოსო“. ყველას ჰგონია, რომ მართლა „მჩეჩავს“: არადა, ერთ ბღუჯას თუ ამომაცლის, მეტს — არა. ამაში საგანგაშო არაფერია — გადავინერგავ და ეგაა... ნიკას მეუღლესთან ვმეგობრობ. თუმცა რაც ბავშვი შეეძინა, აღარ მინახავს.

ნიკა:

— ერთმანეთს ხშირად ვერ ხვდებიან, მაგრამ მიწერ-მოწერა აქვთ. იმანაც რა ქნას? პატარა ბავშვი ჰყავს. როცა სახლში ვარ, შვილს მე ვუვლი, მაგრამ როცა არ ვარ?

— შენს პატარას რა ჰქვია?

— დემეტრიუს-მაქსიმუსი (*იცინის*). დემეტრე ჰქვია.

— იუმორის ნიჭს ხომ არ ამჟღავნებს უკვე?

— რომ გითხრა, — ანეკდოტებს როცა ვყვები, იცინის-მეთქი, — არ ვიქნები მართალი, მაგრამ ისე ძალიან მხიარული ბავშვია. სახლში მისვლისას, დავუძახებ ხოლმე, — გამარჯობა, მამა-მეთქი! ხმით მცნობს და უხარია. მეც მიხარია, როცა ჩემი ხმის გაგონებისას პირი ყურებამდე აქვს „გახეული“ და იცინის. როგორც ვატყობ, მალე ლაპარაკს დაიწყებს: მამა იმერელი ჰყავს, დედა — გურული და მაგან რომ არ ილაპარაკოს, საცოდაობაა! დილით ყოველთვის ვეკითხები: — მამა, რა მოგიტანო? — მაგრამ ჯერ არაფერს მეუბნება, ხათრიანია. შევპირდი, — ყოველდღე ასე გკითხავ, მაგრამ 1 წლის შემდეგ უკვე დედამ გიყიდოს, რაც გინდა-მეთქი (*იცინის*).

— დაოჯახების შემდეგ, თქვენს ცხოვრებაში ბევრი რამ შეიცვალა?

თათია:

— მხოლოდ ჩემს თავზე აღარ ვზრუნავ, მეუღლეზეც ვფიქრობ. ძალიან კარგ ოჯახში შევედი, კარგი დედამთილი მყავს. მინდა, საოჯახო საქმით დავკავდე, მაგრამ ყველაფრის გაკეთებას მასწრებს — „დილით“, 1-ელ საათზე რომ ავდგები, გასაკეთებელი აღარაფერია (*იცინის*).

— ერთხელაც რომ გაბრაზდეს დედამთილი, მერე?

— მერე უფრო დილაუთენია ავდგები — 4 საათისკენ... საღამოს 4 საათისკენ (*იცინის*). სხვათა შორის, სადილის მომზადება ვიცი. კარგად გამომდის ოსტრი,

— დიახ, ერთ-ერთ კერძო კოლეჯში მე და მამას სარეჟისორო ჯგუფი გვყავს.

— პედაგოგობა არ გიჭირთ?

— საერთოდ, პედაგოგობა რთულია, მაგრამ მე არ „ვპედაგოგობ“: ვცდილობ, ბავშვებს მეგობრული ატმოსფერო შევუქმნა, თავი კარგად იგრძნონ, ისწავლონ და საქმეც აკეთონ.

— ბექა, ახლახან ქართულ-ესპანური თანამშრომლობის შედეგად გადაღებული ფილმის — „ორნი“, რომელშიც თქვენც მონაწილეობთ, პრემიერა შედგა...

— ...და ესპანელებმა ახალი, მოკლემეტრაჟიანი ფილმიც გადაიღეს ჩვენთან ერთად. გადაღებები 3 დღე გაგრძელდა — გუდაურსა და თბილისში. „ყაზარმულ“ რეჟიმში ვმუშაობდით, მაგრამ მეგობრულმა ატმოსფერომ სამუშაო გაგვიიოლა. ფილმიც და ჩემი როლიც პატარაა, მაგრამ ფსიქოლოგიურად — ძალიან დატვირთული, რის გამოც, ცოტა რა იყოს, დავითრგუნე (კარგი გაგებით). ჩემს პერსონაჟს 2 პროფესია აქვს: კინომექანიკოსის და საბჭოთა დაქირავებული ჯარისკაცის — ანუ მკვლელია. ფილმს ჰქვია „ხარაშო“. დიალოგები რუსულადაა. რეჟისორი ისევ მიგელანხელ ხიმენესი გახლავთ.

— პრემიერა როდის იგეგმება?

— ჯერ არ ვიცი, თუმცა ესპანელები ყველაფერს სწრაფად აკეთებენ, რადგან ზუსტად იციან, რა უნდათ.

— სამომავლოდ რა გეგმები გაქვთ?

— თეატრთან დაკავშირებით, რაღაც გეგმები მაქვს, მაგრამ რამდენჯერაც წინასწარ ვთქვი, რაღაც შეფერხდა და (*ილიმება*)...

— კარგი, მაშინ წარმატებას გისურვებთ! ბექა, მამის პოპულარობას ოდესმე თუ დაუთრგუნიხართ?

— უფრო ცხოვრებისეულ მომენტში მთრგუნავს, რადგან ხალხი ყველაფერს ცოტა „ბრტყლად“ უყურებს, გარკვეულ „იარლიყს“ „გაწებებს“: რადგან ცნობილი ადამიანის შვილი ხარ, ან კარგი უნდა იყო, ან — ცუდი (იმის მიხედვით, კარგი კაცია მამაშენი, თუ — ცუდი) — საქართველოში ასეა. მერჩივნა, ჯერ ჩემი ნამდვილი სახით გავცნობოდი ხალხს და მერე მეთქვა, ვისი შვილი ვარ... ■

ქართული ხალხური მუსიკის სიყვარულით გაერთიანებული ინგლისელები

ცოტა ხნის წინ ინგლისში საზოგადოების სამსჯავროზე ადგილობრივი მუსიკოსებით დაკომპლექტებული ჯგუფი „სამზეო“ გამოვიდა. ქართული ფოლკლორის სიყვარულით გაერთიანებული ინგლისელები ხალხურ სიმღერებს ნოტებითა და ჩანაწერებით სწავლობენ და დიდი სიამოვნებით ასრულებენ. მათ ამ საქმეში მეგობარი ანსამბლი „შავნაბადა“ ეხმარება. ანსამბლის ხელმძღვანელი დავით ციინცაძე ინგლისიდან ახლახან დაბრუნდა და ქართული სიმღერის პოლიფონიურობით მოხიბლული ინგლისელების შესახებ თავად მოგვითხრობს.

ანსამბლი „შავნაბადა“

თამუნა კვინიკაძე

— დათო, სანამ ინგლისში ვიზიტის შესახებ გკითხავდე, ცოტა რამ „შავნაბადას“ შესახებ მიამბე.

— ეს ანსამბლი 2005 წელს დაარსდა. ბავშვთა ფოლკლორულ ანსამბლებში — „მართვე“ და „ბიჭები“ მიღებული გამოცდილების ფონზე, მე და ჩემს მეგობრებს ერთად სიმღერის სურვილი სულ გვქონდა და რეპეტიციებიც დავიწყეთ. სამ ხმაში 4 სიმღერა უკვე ვიცოდით. ამასთან, ძველი ჩანაწერები მოვიძიეთ და მათი შესწავლაც დავიწყეთ. რეპეტიციების პერიოდში ბევრსაც ვდაობდით. მოგვიანებით კათოლიკოს-პატრიარქმა მგალობელ ვაჟთა გუნდი ჩამოაყალიბა, მასში სხვადასხვა ანსამბლი გაერთიანდა. გუნდის ნაწილი „შავნაბადაც“ გახდა, მაგრამ ანსამბლს სხვა არანაირი პერსპექტივა არ ჰქონდა — სიმღერებს კი ვამუშავებდით, მაგრამ მსმენელამდე ვერ მიგვქონდა. მალე, ბედად, „საავტორო სტუდია“ გამოჩნდა, რომელიც დისკის გამოცემაში დახმარებას დაგვპირდა. ეს ღვთის წყალობა იყო. დისკის გამოცემის შემდეგ, სამი კონცერტი კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში ჩავატარეთ. კონცერტებმა წარმატებით ჩაიარა... და შემდეგ უცხოეთში საგასტროლო ტურნეც დავიწყეთ. არაერთ ქვეყანაში გახლდით.

— უცხოელი მსმენელი ქართულ ფოლკლორს როგორ აღიქვამს?

— ძალიან ემოციურად. თან იმას გააჩნია, მათ წინაშე როგორი რეპერტუარით წარდგები. თუ რთულ სიმღერას შესთავაზებ, მის რამდენჯერმე მოსმენას ითხოვენ, მათი მუსიკალური აზროვნება კრიმანჭულიანი სიმღერების აღქმას ვერ ასწრებს. რაც შეეხება ქართულ-კახურ სიმღერებს, მათთვის ისინი უფრო ადვილი აღსაქმელია, მოსწონთ და აღფრთოვანებას ვერ ფარავენ.

— საქართველოში ბევრმა არ იცის, რომ ინგლისში უცხოელებით დაკომპლექტებული ფოლკლორული გუნდი არსებობს, რომელიც ქართულ სიმღერებს ასრულებს და ხელს უწყობს ჩვენი კულტურის პოპულარიზაციას.

— დიახ, მე და რამაზ ჭულაძე („შავნაბადის“ ხმის რეჟისორი) ინგლისში გახლდით, კერძოდ, ლიდსში, სადაც ანსამბლ „სამზეოს“ წევრებს შევხვდით. ეს არის ლიდსში ერთ-ერთი მუსიკალური სკოლის ახალგაზრდა მასწავლებლებით დაკომპლექტებული გუნდი. თითოეული მათგანი

რამაზ ჭულაძე, ხმის რეჟისორი

თავისი საქმის პროფესიონალია და არა — მოყვარული მუსიკოსი. ისინი ქართული ფოლკლორით სერიოზულად დაინტერესდნენ და ცდილობენ, ამ ფენომენის შესახებ რაც შეიძლება მეტი რამ გაიგონ. ანსამბლს სახელიც ქართული დაარქვეს — „სამზეო“.

— ქართულ სიმღერას როგორ სწავლობენ?

— ჩვენ ნოტებს და ჩანაწერებს ვუგზავნით. თავიდან მათთვის ძველი ჩანაწერებიდან სიმღერის შესწავლა ცოტა რთული იყო, მაგრამ დროთა განმავლობაში ქართულ ჰარმონიას ყური მიაჩვიეს და ეს პრობლემაც დასძლიეს. საერთოდ, ინგლისში ქართული ხალხური სიმღერების შემსრულებელი 5 ანსამბლი არსებობს. მაგალითად, კემბრიჯის უნივერსიტეტის გუნდი, რომელიც უკვე 10 წლის არის. ლონდონშია „ჩელა“ და „მასპინძელი“, გუნდი ბრისტოლშიც არსებობს, რომელსაც ჯერ სახელი ვერ მოუფიქრეს. ალბათ არჩევანს „ვახტანგურზე“ შეაჩერებენ. ასევე ინგლისში მცხოვრები ქართველებისგან დაკომპლექტებული ფოლკლორული ჯგუფი არსებობს.

— როგორც ვიცი, „შავნაბადა“ და „სამზეო“ უკვე დამეგობრდით, ინგლისში მათთვის მასტერკლასებიც კი ჩაატარეთ...

— მე და რამაზი ინგლისიდან რამდენიმე დღის წინ „სამზეოსა“ და „შავნაბადას“ შორის დადებული კონტრაქტით დავბრუნდით. „შავნაბადა“ საქართველოში „სამზეოს“ პრომოუშენზე იმუშავებს და — პირიქით. ახლა ჩვენი მიზანია, როგორმე შემოდგომის ტრადიციულ „მსოფლიოს მრავალხმიანობის სიმპოზიუმსა“ და სხვა ღონისძიებებზე მათი ჩამოყვანა მოხერხდეს. ოღონდ მოვიწვიოთ და ახალი სიმღერები შევასწავლოთ, უარს საკუთარი ხარჯებით ჩამოსვლაზეც კი არ იტყვიან. ინგლისში ჩვენც სათანადოდ გვმასპინძლობენ. იქ 3-საათიანი მასტერკლასები უკვე ჩავატარეთ.

— ქართული ფოლკლორის შესახებ ყველაზე ხშირად რას გეკითხებიან?

— მისი სტილისტიკის მარტივად შესწავლა სურთ. აქცენტს ყოველთვის პოლიფონიურობაზე აკეთებენ. მასტერკლასის ბოლო საათს ყოველთვის კონკრეტულად რომელიმე სიმღერის ისტორიასა და მის შესწავლას ვუთმობდით.

— „სამზეოს“ ბევრი ქართული სიმღერის შესრულება შეუძლია?

— 20-მდე სიმღერა უკვე იციან. ეს გუნდი ჯერ ახალი ჩამოყალიბებულია. საკმაოდ მიზანდასახული ადამიანები არიან. მათთვის მთავარი, რაოდენობა კი არა, ხარისხია. კემბრიჯის გუნდმა კი 200-მდე სიმღერა იცის, მაგრამ როგორც გითხარით, ისინი უკვე არსებობის 10 წელს ითვლიან. ლიდსში სტუმრობის დროს რამაზმა ერთერთ პრესტიჟულ სტუდიაში, ანსამბლის პირველი აუდიოჩანაწერი გააკეთა. „სამზეო“ დისკის გამოცემას აპირებს. ჩვენი ფოლკლორით მათი ასეთი დაინტერესება დასაფასებელია. თებერვალში ჯგუფის წარმომადგენელი სტუმრად ჩამოვა. გვინდა, საქართველოს ყველა კუთხე მოვატაროთ და ბევრი რამ ვაჩვენოთ, მათ შორის — ფოლკლორული ექსპედიციები...

— საუკუნოვანი სიმღერების მოსაძიებლად, რეგიონებს ხშირად სტუმრობთ, არა?

— რა თქმა უნდა, როცა პირველად სიმღერა ჩანაწერებიდან ვისწავლეთ, ვასრულებდით, მაგრამ ვატყობდით, რომ „მარილი“ აკლდა. ჩვენ ხომ ჩანაწერს ვუსმენდით და გაგონილს ვიმეორებდით. ეს რაღაც რობოტული ჩვევა იყო, ამიტომ გადავწყვიტეთ, ჩავსულიყავით იქ, სადაც ამა თუ იმ სიმღერის კერა იყო. რეგიონებში მოგზაურობის დროს, უკვე ნასწავლ სიმღერებს სხვაგვარი ჟღერადობა შევძინეთ. გარდა ამისა, ექსპედიციებში სიარულმა ის შედეგიც გამოიღო, რომ 2007 წელს თბილისში სვანი მომღერლები მოვიწვიეთ და კონცერტი გავმართეთ. ეს იყო „ლატალის დღეები“. ცოტა ხანში გამოიცემა დისკი, რომელშიც ამ კონცერტზე შესრულებული სვანური სიმღერებია შესული.

— როგორც ვიცი, ამჟამად ახალ დისკზეც მუშაობთ.

— დიახ, 9 სიმღერა უკვე ჩავწერეთ.

— სამომავლო გეგმებზე რას გვეტყვი?

— 12 იანვარს შვეიცარიაში მივემგზავრებით, სადაც „ჩვენებურების“ ფესტივალი ტარდება. ზაფხულში 3 კვირით საფრანგეთს ვესტუმრებით, კონცერტები 12 ქალაქში გვექნება. ბოლო 1 კვირა მსმენელების წინაშე კორსიკელებთან ერთად წარვდგებით. ჩვენ მათ ქართულ სიმღერას ვასწავლით, ისინი კორსიკულს გვასწავლიან.

— რთულია?

— (*იცინის*) ქართულის შემდეგ ძალიან ადვილია.

— ინგლისელები ქართული ფოლკლორით ინტერესდებიან და ჩვენ რა გვჭირს, ქართველი საზოგადოება რომ არ იჩენს დაინტერესებას?

— საქართველოში ისეთი მუსიკის პოპულარიზაცია ხდება, რომელიც ყურს აბინძურებს და გემოვნებას აქვეითებს. წარმოიდგინე, ინგლისში სხვადასხვა ქალაქში მცხოვრები ცნობილი მუსიკოსები კვირაში 2 დღეს იკრიბებიან, თავის საქმეს ტოვებენ და დროს ქართულ ფოლკლორს უთმობენ. ჩვენ კი ჩვენი ხალხური მუსიკა მივატოვეთ და იმას მივდევთ, რაც მათ უკვე გადაყარეს.

— ეს ჩვენი პრობლემაა. მაინტერესებს, ქართული ფოლკლორის ცენტრისგან თუ გაქვთ მხარდაჭერა, დახმარება...

— არანაირი. „ფოლკლორის ცენტრისთვის“ ჩვენ არ ვარსებობთ... ისე, მას შემდეგ, რაც კათოლიკოს-პატრიარქმა მოგვიწოდა, ქართული საგალობლებით და სიმღერებით დავინტერესებულიყავით, ჩვენ მიმართ დამოკიდებულება ცოტათი შეიცვალა. ამ საქმეში წვლილი ანზორ ერქომაიშვილსაც მიუძღვის. „მართვემ“ ხომ 500 ბავშვი აღზარდა. ისინი დღეს ხალხურ სიმღერას საკუთარ შვილებს ასწავლიან. მართალია, ამჟამად ფოლკლორულ სიმღერებს ნაკლები მსმენელი ჰყავს, მაგრამ ის თანდათან მოდური ხდება. სასიკეთო ტენდენცია შეინიშნება და ეს ძალიან მახარებს. ■

ლიდსის ანსამბლი „სამზეო“

გიგა კუხიანიძის „ბზიკური“ იდეა ანუ რა მომავალი აქვთ „ბზიკებს“

მუსიკოსი და პროდიუსერი გიგა კუხიანიძე ბოლო დროს ბავშვებთან მუშაობამ გაიტაცა და ცოტა ხნის წინ საბავშვო მუსიკალური სტუდიაც („ბზიკები-სტუდიო“) დააარსა. მას სერიოზული გეგმები აქვს, ნიჭიერი პატარების დიდი იმედიც და იმაშიც დარწმუნებულია, რომ ამ იმედს ისევე გაუმართლებენ, როგორც ეს შარშან ჯგუფმა „ბზიკებმა“ საბავშვო „ევროვიზიის“ კონკურსზე შეძლეს...

ლალი ფაცია

გიგა კუხიანიძე:

— მაისში საბავშვო მუსიკალური სტუდიის დაარსების იდეა გამიჩნდა და დავაარსე კიდეც. დავიწყე „ბზიკების“ წარმატებულ ჯგუფთან მუშაობა და მათი პროდიუსერი გავხდი. ამასთან, ბავშვებისთვის რეპერტუარის შექმნაც დავიწყე.

— თვითონ ის სიმღერა, რომლითაც პატარები კონკურსზე წარდგნენ, შენ გეკუთვნის?

— დიახ. მაშინაც მათთან მე ვმუშაობდი და გავუკეთე ის სიმღერა, რომლითაც „ევროვიზიაზე“ წარდგნენ. საოცრად ნიჭიერები არიან... „ბზიკებს“ კონკურსიდან დაბრუნების შემდეგ დიდი პაუზა ჰქონდათ, „ბასტი-ბუბუს“ სტუდიაშიც იყვნენ, მაგრამ ჯგუფს იქ რეპერტუარი არ შეუქმნია. შემდეგ მათივე სურვილით, ჩემთან მოვიდნენ და მთხოვეს, მათთვის ხელი მომეკიდა. გადავუღეთ ორი კლიპი — „ზაბუზეი“ და „ავე მარია“. სწორედ ამის შემდეგ გაჩნდა იდეა, რომ საბავშვო მუსიკალური სტუდია დამეარსებინა, რადგანაც ჩვენში საკმაოდ არიან ნიჭიერი ბავშვები. ჰოდა, ეს ნიჭიერები ერთად შევკრიბეთ და ოფიციალურად გაიხსნა კიდეც სტუდია. პრეზენტაცია ფილარმონიაში მოვაწყვეთ, სადაც უკვე ნახსენები ის ორი კლიპიც ვუჩვენეთ სტუმრებს. საერთოდ კი გვინდა, ახალი სიტყვა ვთქვათ ამ სფეროში — ვიყოთ განსხვავებული ფორმატის საბავშვო სტუდია. ცოტა ხნის წინ გადავიღეთ საახალწლო კლიპი, რომელიც ამ დღეებში მუსიკალურ არხებზე გავა. იანვრის პირველი რიცხვებისთვის კი ფილარმონიისთვის დიდ შოუს ვამზადებთ.

— სულ რამდენი ბავშვია სტუდიაში გაერთიანებული?

— 100-მდე. მაგრამ შოუში მონაწილეობას ისინი მიიღებენ, ვინც ამისთვის მზად არიან... კონცერტი ორი ბლოკისგან შედგება: პირველ ნაწილში პატარები რომა რცხილაძის ბენდთან ერთად ძველ ჰიტებს შეასრულებენ, მეორე ნაწილში კი იქნება სანახაობა — შოუ თავისი ქორეოგრაფიული ნომრებით. ასე რომ, მაყურებელს წინ ენერგიული კონცერტი ელოდება.

— ეს ყველაფერი ძალიან კარგი, მაგრამ საზოგადოება გიცნობს, როგორც ცნობილი ჰიტების ავტორსა და არანჟირებების ოსტატს. ახლა ბავშვებთან მუშაობას რომ მოჰკიდე ხელი, ეს იმის გამო ხომ არ მოხდა, რომ შოუბიზნესი ჩვენში თითქმის აღარ არსებობს?

— საბავშვო „ევროვიზიის“ კონკურსისთვის ბავშვების მუსიკალურად მომზადება მე მომიხდა. პირველად მარიამ რომელაშვილთან ვიმუშავე. ის როტერდამიდან მეოთხე ადგილით დაბრუნდა. შემდეგ წელსაც მთლიანად, შესარჩევი ტურიდან დაწყებული, მე ვიმუშავე „ევროვიზიის“ მუსიკალური ნაწილის მომზადებაზე...

— ანუ როდესაც უკვე „ბზიკები“ შეირჩნენ, არა?

— დიახ, „ბზიკების“ მომზადებასთან ერთად, კონკურსისთვის ჩატარებულ კასტინგზე ეს ბავშვები მე შევარჩიე. იმ პერიოდში ამ საქმით ისე სერიოზულად „მოვიწამლე“, რომ ცნობილ მომღერლებთან მუშაობა სულ გადამავიწყდა. პატარებთან თანამშრომლობამ გამიტაცა, რაც ძალზე სასიამოვნო პროცესი აღმოჩნდა — ბავშვებს რასაც ვეუბნები, ყველაფერს ზუსტად ისე აკეთებენ. ამასთან, შარშან „ბზიკებმა“ დიდი წარმატება მოგვიტანეს, შრომა დაფასდა... მიყვარს ნიჭიერი და ვირტუოზი ბავშვები და ვცდილობთ, სტუდიაში ასეთები შემოვიკრიბოთ. როდესაც ისინი დიდებზე უკეთ გიკეთებენ ყველაფერს, ეს საკმაოდ სასიამოვნო პროცესია. ამიტომ, ვიმეორებ, რომ ძალიან ნასიამოვნები ვარ მათთან მუშაობით. ახლა მათთვის საკმაოდ რთული ფორმატი გვაქვს შერჩეული.

— მერე რამდენად მიზანშეწონილია პატარების „დიდურად“ ცეკვა და სიმღერა?

— პატარა რომ ვიყავი, ტელევიზორში ხშირად ბავშვების ისეთ მუსიკალურ ნომრებს აჩვენებდნენ, როდესაც სიტყვაზე, ისინი ბუჩქებთან იდგნენ და ცხრათვალა მზესა და უღრუბლო ცაზე მღეროდნენ. მე ის ნომრები არასდროს მომწონდა, რადგანაც თავიდანვე რაღაც სხვა მუსტი იდო ჩემში, სხვა მუსიკას ვუსმენდი. საქართველოში კი მაშინ სხვანაირი ტენდენცია არსებობდა — ბავშვს კადრში აუცილებლად ბაფთა, პიონერის ყელსახვევი უნდა ჰკეთებოდა და ისე ემღერა... ჩემი შვილი 5 წლის არის და სულ არ უსმენს საბავშვო სიმღერებს. მოსწონს ბიონსე, ჯექსონი... იმ პატარებს, ვისთანაც ჩვენ ვმუშაობთ, მხოლოდ თანამედროვე სიმღერები იზიდავს. ზრდასრული ადამიანების ხარისხიანი ნამუშევრები აინტერესებთ, რადგანაც განსაკუთრებული ნიჭიერებით გამოირჩევიან და სხვა ინტერესები აქვთ. აქ ლაპარაკი არ არის ისეთ პატარებზე, რომელთა მუსიკალური მომავალი გაურკვეველია. არა, ისინი უკვე შემდგარი პატარა ადამიანები არიან, ჩამოყალიბებული მომღერელები. ეს იციან მათმა მშობლებმაც და ისიც, რომ მათი მონაცემების გამო, აუცილებლად დადგებიან სცენაზე. ამიტომ თავიდანვე ისე უნდა გაიზარდონ, რომ წინასწარ ბევრ რამეს ეზიარონ. დიდი სკოლა უნდა გაიარონ. ყველა მიმდინარეობა: ჯაზი, როკი, კლასიკა იცოდნენ.

— კარგია ასეთი მიდგომა, მაგრამ რას აკეთებ იმისთვის, რომ შენი ვირტუოზები ქართულ მუსიკალურ ფოლკლორს დაეუფლონ, ეროვნულ ძირებს გაეცნონ?

— თუ იმის მიხედვით ვიმსჯელებთ, რა სიმღერები შეასრულეს ბავშვებმა „ევროვიზიაზე“, ვიტყვი, რომ ორივე ნამუშევარს, რომელიც საკონკურსოდ მოვამზადე, ქართული შტრიხები ჰქონდა... „ბზიკებს“ გამარჯვების შემდეგ ევროპიდან უამრავი მოწვევა ჰქონდათ, მაგრამ ისინი იქ ვერ წავიდნენ, რადგანაც ამისთვის მზად არ იყვნენ, რეპერტუარი არ ჰქონდათ. ამიტომ ჩვენ ახლა გავაკეთეთ ევროპისთვის სპეციალური მასალა, რომელიც გადავიღეთ და საიტებზეც დევს და მას ინტერნეტში დიდი

გამოხმაურებაც აქვს. გვაქვს ქართული შტრიხებით გაჯერებული რეპერტუარი, რომელსაც ჩვენს საახალწლო კონცერტზე მაყურებელი აუცილებლად მოისმენს. ბავშვებს ისე ვაწვდი ქართულ მუსიკას, რომ იმ ამერიკული სიმღერების ფონზე ძალიან მოსწონთ. წინ სერიოზული კონკურსები გველოდება. ევროპულ ტურებზე მათი გაყვანა გვინდა...

— გიგა, ისე, თავის დროზე, როდესაც „ბზიკები“ „ევროვიზიის“ კონკურსიდან გამარჯვებულები დაბრუნდნენ და პრეზიდენტისგან ღირსების ორდენიც დაიმსახურეს, თუ ისინი მუსიკალურად შენი მომზადებულები იყვნენ, ამის შესახებ რატომ არ იყო საზოგადოება სათანადოდ ინფორმირებული?

— ეს კითხვა ჩემთვის სხვებსაც დაუსვამთ. აბა, რა გითხრათ, ამის შესახებ მამაჩემმაც ახლახან გაიგო... ვფიქრობ, ეს იმ შემოქმედებითი ჯგუფის ბრალია, ვისაც ევალებოდა, საზოგადოებისთვის ინფორმაცია მიეწოდებინა...

— შემოქმედებით ჯგუფში ვინ იგულისხმება — „ბასტი-ბუბუს“ სტუდია?

— არა, „ბასტი-ბუბუ“ ისეთივე მონაწილე იყო ამ პროექტის, როგორც ჩემი სტუდია. „ბასტი-ბუბუ“ ბავშვების ქორეოგრაფიაზე, იმიჯსა და გარეგნულ მხარეზე მუშაობდა. ვოკალი, მუსიკა, რეპერტუარი ჩემი იყო. ანუ „საზოგადოებრივი მაუწყებლისგან“ სპეციალურად ორი სტუდია — ჩემი და „ბასტი-ბუბუ“ იყო მიწვეული. ასე რომ, ეს იმ ადამიანების ბრალია, ვინც ამის შესახებ საზოგადოებას დროულად და გარკვევით არ მიაწოდა ინფორმაცია. ამიტომ წელს „ევროვიზიის“ მოსამზადებელ სამუშაოზე უარის თქმა მომიხდა, აღარ ვიმუშავე, რადგანაც ისეთი პირობები შემომთავაზეს, რომ იმას მე არ გავაკეთებდი... და ზუსტად ვიცოდი, რა შედეგით დასრულდებოდა წელს ბავშვების გაგზავნა აღნიშნულ კონკურსზე. ჩემი პროგნოზი გამართლდა, ისინი ხუთეულშიც ვერ მოხვდნენ. არადა, 2 წლის განმავლობაში კარგ ტალღაზე ვიყავით, შეიძლებოდა, რომ წელს ისევ კარგი პროექტი წაეღოთ...

— თვითონ იდეა, რომ ჯგუფისთვის „ბზიკები“ დაგერქმიათ, ვის ეკუთვნის?

— დღეს ამას ბევრი იბრალებს, მაგრამ ბავშვებმაც იციან, „ბზიკების“ მშობლებმაც, ყველა ჩემმა თანამშრომელმაც, რომ იდეა ჩემს სტუდიაში გაჩნდა, რომ ეს სახელწოდება მე მოვიფიქრე. სანამ ამ იდეას გავიტანდი და დავამტკიცებდი, სერიოზული დავა მქონდა, რადგანაც ეჩვენებოდათ, რომ ბზიკი ბოროტი მწერია და ამიტომ უნდოდათ, „ბზიკები“ „ფუტკრებით“ შეეცვალათ. მაგრამ მაინც ჩემი გავიტანე და ამ სახელს წარმატება მოჰყვა...

— პრობლემა ხომ არ შეგექმნა, წელს ამ ბავშვებთან შენ რომ დაიწყე მუშაობა?

— როდესაც მათ ხელი მოვკიდე, პრობლემა მერე გაჩნდა. მანამდე ისინი არავის ახსოვდა. დროებით „ბასტი-ბუბუს“ ჰყავდა აყვანილი და მათ იქ ვერაფერი გაუკეთეს, შემდეგ კი მათ გული დასწყდათ იმაზე, რომ ეს ბავშვები დაკარგეს... დღემდე ისეთ რეკლამას იკეთებენ, რომ „ბზიკები“ „ბასტი-ბუბუსიაო“. არადა, ეს ასე არ არის. „ბზიკებს“ აქვთ თავისი სტუდია, ჰყავთ პროდიუსერი, სპონსორი, შემოქმედებითი ჯგუფი, რომლებიც მათთან მუშაობენ. „ბასტი-ბუბუს“ მათთვის არაფერი გაუკეთებია, ერთი სიმღერაც არ ჩაუწერია მას შემდეგ, რაც მათ „ევროვიზიაზე“ გაიმარჯვეს და ღირსების ორდენოსნები გახდნენ...

— ისე, „ბზიკების“ დარქმევის იდეა საიდან მოვიდა?

— მშობლებს რომ არ გაეგოთ ჩვენი ლაპარაკი, მეზობელი ბავშვები ერთმანეთს „ბზიკების“ ენაზე ანუ ასეთი მარცვლებით ველაპარაკებოდით: ბზა, ბზუ, ბზე... რაც წლების განმავლობაში გრძელდებოდა. მოკლედ, ჩვენი ენა გვქონდა და ერთმანეთს რაღაცებს ასე ვაგებინებდით. დღემდე, როცა მეგობრები ერთმანეთს ვნახულობთ, ისევ ასე ვხუმრობთ ხოლმე... ჰოდა, ეს „ბზიკები“ მყარად მქონდა გონებაში ჩაბეჭდილი და შემდეგ ასეთი იდეაც გამიჩნდა. გამოვტყდები და ვიტყვი, რომ მეგონა, „ბილაინი“ გახდებოდა ბავშვების სპონსორი და ბავშვების გარეგნული იმიჯიც ამის მიხედვით გაკეთდა, მაგრამ ამ კომპანიამ ამაზე უარი განაცხადა. არადა, ყველას დღემდე ჰგონია, რომ მათი სპონსორი „ბილაინია“... საბოლოოდ ალბათ დამეთანხმები, რომ ყველაფერი მართლაც ორიგინალური და უცხო იყო... თუმცა იმასაც ვიტყვი, რომ რაც გავაკეთე, ამისთვის საშინელი კრიტიკის ქარცეცხლში აღმოვჩნდი: ეს რა ნომერი მიაქვთ, რისი იმედი აქვთ, რა ბზუილი აუტყდათო?!. მე სხვანაირად ვფიქრობდი — ან საერთოდ, უკანასკნელ ადგილზე გავიდოდით, ან — პირველზე. იქ რომ ჩავედით, ბავშვებით სასტუმროშივე დაინტერესდნენ. მათზე ერთგვარი „თავდასხმა“ იყო. მოეწონათ ისინი...

— მოკლედ, „ბზიკები“ ახალი ნასტომისთვის ემზადებიან...

— კი, „ბზიკებიც“ და მთლიანად ჩვენი სტუდიაც... გეგმაში არაერთი პროექტი გვაქვს, მათ შორის, საბავშვო მუსიკალური ტელესერიალის და ამაზე უკვე ვმუშაობთ კიდეც.

— ასე რომ, ფუტკრებივით შრომობთ...

— კი, მაგრამ ჯერ თაფლი არ გვაქვს...

— გოზინაყის მოსამზადებლად სამყოფი თაფლიც არ გაქვთ?

— მაგდენი კი გვაქვს (*იღიმება*). სხვათა შორის, ჩვენს კონცერტს „გოზინაყი-ფართი“ დავარქვით, ხოლო იმ საახალწლო კლიპს, რომელიც მალე ტელეეთერში გავა, „შოკოლადის დისკო“ ჰქვია...

— შოუბიზნესის ვარსკვლავებთან საერთოდ აღარ თანამშრომლობ?

— არა, მთლად მასეც არ არის. ახლახან ნინო ძოწენიძის, ვერიკო ტურაშვილისა და თამთა ჭელიძის ერთობლივ საახალწლო სიმღერაზე კლიპი გადავიღეთ. მანამდე ახალბედა მომღერლის, სოფო თევზაძის რუსული კლიპი გავაკეთეთ... მაგრამ ინტენსიურად მაინც ბავშვებთან ვმუშაობთ. ჰო, მართლა: საახალწლო კონცერტზე ფიფქიები იქნებიან — ნინო ძოწენიძე, ვერიკო ტურაშვილი, თამთა ჭელიძე და თავიანთ ახალ საახალწლო სიმღერას შეასრულებენ. კონცერტში კახა კუხიანიძე მონაწილეობს, ასევე — სალომე ბაკურაძე; ის ჩვენი აღსაზრდელების პედაგოგიცაა. მას ბევრი პატარა ჰყავს ჩაბარებული და ვოკალში ამეცადინებს. კონცერტზე კი მათთან ერთად „ალილოს“ იმღერებს, რომელიც სპეციალურად ამ ბავშვებისთვის დავწერე.

— წარმატებებს გისურვებთ!

— გმადლობთ. ■

წინ სერიოზული კონკურსები გველოდება. ევროპულ ტურებზე მათი გაყვანა გვინდა...

ცნობილების ცნობილი პროდიუსერი

„ქვეყნის საზღვართან მისული ადამიანი უკან დამიბრუნებია და გადაცემაში სტუმრად მოსულა“...

ამ ადამიანის სახელს არაერთი მუსიკალური კლიპი და სარეკლამო ვასაძე წარსულში რეიტინგული ქართული ტელესერიალების („ძილის წინ“, „ასსა“), გადაცემების პროდიუსერი, დირექტორი და კასტინგის რეჟისორი ყოფილა. დღეს კი გადაცემა „პროფილის“ აღმასრულებელი პროდიუსერია... შეფასებისას საოცრად მკაცრია, იშვიათად მოსწონს ესა თუ ის ნამუშევარი. მომთხოვნია როგორც საკუთარი თავის, ასევე სხვათა მიმართაც, რაც, როგორც თავად მიიჩნევს, წარმატებული მუშაობისთვის აუცილებელი წინა პირობაა...

ლალი ფაცია

— როგორ ფიქრობთ — რა განაპირობებს გადაცემა „პროფილის“ მაღალ რეიტინგს?

— გადაცემის მაღალ რეიტინგს სწორად შერჩეული თემები, მოწვეული სტუმრები, კარგი სიუჟეტები, უპირველესად კი — თვით გადაცემის წამყვანის პროფესიონალიზმი განსაზღვრავს. ყველაზე მეტად კი ერთი რამით ვარ კმაყოფილი და გახარებული: ამ გადაცემის საშუალებით, გაჭირვებული ადამიანებისთვის დახმარების გაწევა შევძელით. „პროფილის“ ეთერში გასვლისთანავე რედაქციაში სატელეფონო ზარები არ წყდება. რეკავენ უცხოეთიდანაც — იმ გაჭირვებული ადამიანების კოორდინატებს ითხოვენ, რომ-

სრულიად უცხო ადამიანები გვიძღვნიან საჩუქრებს

ქართული მხატვრული ფილმი, რგოლი უკავშირდება. **მადონა**

ლებიც გადაცემაში მონაწილეობენ, რათა დაეხმარონ.

— როგორ ახერხებთ ერთ გადაცემაში სტუდიაში 40-45 რესპონდენტის მოყვანას?

— გადამღები ჯგუფისა თუ სტუმრების მობილიზება ჩემთვის სიახლე არ არის. სტუმრების მოწვევასთან დაკავშირებით პრობლემა არასდროს მქონია. ისეთი შემთხვევაც კი ყოფილა — ქვეყნის საზღვართან მისული ადამიანი უკან დამიბრუნებია და გადაცემაში სტუმრად მოსულა...

— ვინ იყო ის?

— მსახიობი, ფილმის — „სიყვარული ყველას უნდა“ მთავარი როლის შემსრულებელი ვახტანგ ფანჩულიძე, იგივე ბურნუთა.

— ერთ გადაცემაზე რამდენი ხნის განმავლობაში მუშაობთ?

— მოსამზადებლად სულ რამდენიმე დღე გვაქვს. ასე რომ, იმ მცირე დროში ხდება გადაცემის დაგეგმვაც და მომზადებაც. არის თემები, რომელთა ერთი ნაწილის გადაღება რამდენიმე თვით ადრე ხდება. ჯგუფი, რომელიც „პროფილს“ ამზადებს, პატარაა: ჟურნალისტები — სოფო ოჩხიკიძე, ნინო კახნიაური; პროდიუსერები — მაია გუნაშვილი და ქეთი ლომსაძე, ამასთან, პროექტის წამყვანი — მაია ასათიანი და მე.

— მიგაჩნიათ თუ არა, რომ პროექტი, რომელზეც მუშაობთ, „ყვითელია“?

— ვისაც მიაჩნია, რომ „პროფილი“ „ყვითელია“, მისთვის ის „ყვითელია“... ეს ისე, ხუმრობით...

— ბევრს აინტერესებს, როგორია გადაცემის წამყვანი ეკრანს მიღმა, სამუშაო პროცესში.

— მაია პროფესიონალი ჟურნალისტია. თავისი საქმე კარგად იცის, ამასთან ისიც — თუ რა მოსწონს მაყურებელს და რა — არა... როდესაც შემომთავაზეს, „პროფილის“ აღმასრულებელი პროდიუსერი ვყოფილიყავი, რამდენჯერმე ვნახე პროგრამა „დროებისთვის“ მის მიერ ჩინეთში გადაღებული სიუჟეტი — შაო-ლინის მონასტერი... ვიტყვი იმასაც, რომ მაია უფრო მეტი შესაძლებლობის ადამიანია, ვიდრე ეს ეთერში ჩანს...

— ვფიქრობ, „პროფილს“ ორი უკიდურესობა სჭირს: ის ხან საოცრად მძიმეა, ხან — მეტისმეტად მსუბუქი...

— მძიმე გადაცემის შემდეგ მაყურებელი რომ არ დაითრგუნოს, ვამბობთ, რომ საჭიროა, ახლა რაიმე მხიარული გადაცემა გაკეთდეს. რაც შეეხება გადაცემის თემებს შორის დიდ კონტრასტულობას: თუ ეს მართლაც ასეა, არა უშავს, მთავარია, ცხოვრებაში იყოს წონასწორობა მეტად დაცული...

— ოთახში, სადაც ახლა ჩვენ ვიმყოფებით და „პროფილის“ შემოქმედებითი ჯგუფი მუშაობს, მაყურებლის მოძღვნილი არაერთი ნივთია თავმოყრილი...

— მაყურებლის სიყვარულსა და სითბოს მუდმივად და ყველგან (ყოველი სატელეფონო ზარის დროს, შეხვედრაზე) ვგრძნობთ; სრულიად უცხო ადამიანები გვიძღვნიან საჩუქრებს. ხშირად ილება ჩვენი რედაქციის კარი და დაცვის თანამშრომლებს ყვავილების თაიგული, შამპანური და ტკბილეული შემოაქვთ. ბევრი ისეთი დღეც ყოფილა, როცა მუშაობა, ჭიქა ყავის ნაცვლად, ჭიქა შამპანურით დაგვიწყია...

— მერე, იმ რუსული გამოთქმისა არ იყოს, დილაობით შამპანურს ვინ სვამს?..

— (*იღიმება*) შამპანურს დილაობით, რა თქმა უნდა, არისტოკრატები სვამენ... ჩვენი ჯგუფის სახელით, მადლობა მინდა გადავუხადო მაყურებელს — ყველა იმ ადამიანს, ვინც ჩვენ მიმართ სითბოსა და ყურადღებას არ იშურებს. აქ ყველა კატეგორიის ადამიანი (ინვალიდი, მიწისძვრისგან დაზარალებული, დაკარგული, უსახლკარო) რეკავს... დღის განმავლობაში უა-

ერთ-ერთი კლიპის გადაღებაზე

მრავი მოქალაქე მოდის და დახმარებას ითხოვს. ერთ-ერთს დიდი ხნის განმავლობაში უხსნიდნენ, რომ „პროფილში“ საცხოვრებლად დარჩენა არ შეიძლება (აქ მოხუცის მოყვანა და დატოვება უნდოდათ)... ეს ყველაფერი კი ჩვენს პასუხისმგებლობას კიდევ უფრო ზრდის. თანავუგრძნობთ ყველას და ვცდილობთ, როგორც შეგვიძლია, ისე დავეხმაროთ და მხარში ამოვუდგეთ.

— როგორც ვიცი, სადაც კი გიმუშავიათ, ყველა შემოქმედებით ჯგუფში მკაცრი შემფასებლის სახელი გაქვთ...

— დიახ. მაგრამ ნებისმიერ გაკეთებულ საქმეს მაინც ასეთი თვალით ვუყურებ — რა არ გაკეთდა და რა შეიძლებოდა, უკეთესად გაკეთებულიყო?.. რაც შეეხება შექებას, უმჯობესია, ჩვენი ნამუშევარი სხვამ ანუ მაყურებელმა შეაქოს...

— თქვენ უამრავი ქართული მუსიკალური თუ სარეკლამო რგოლის შემოქმედებითი ჯგუფის მთავარი პროდიუსერი და კასტინგის რეჟისორი ყოფილხართ. ამ შემოქმედებით ჯგუფს უმეტესად რეჟისორი ბასა ფოცხიშვილი ედგა სათავეში. იქნებ, რომელიმე კლიპის გადაღებასთან დაკავშირებული რაიმე საინტერესო ეპიზოდიც გაიხსენოთ...

— დიახ, ბასას შემოქმედებითი ჯგუფის წევრი გახლავართ. ერთხელ დავითგარეჯში არყის სარეკლამო რგოლს ვიღებდით. საქმე მარტივი და უინტერესო გახლდათ... სიტუაცია იმით გართულდა, რომ გადაღებისთვის მგელი დაგვჭირდა. მეც დავიწყე მგლის „ძებნა“ და ამ პროცესში ძალზე საინტერესო პიროვნება — იასონ ბადრიძე გავიცანი, რომელიც წლების განმავლობაში მგლებთან ერთად ცხოვრობდა... ბატონ იასონს მუდმივად ვხვდებოდი და მგელთან დაკავშირებით უამრავ კითხვას ვუსვამდი; ისიც საინტერესო ამბებს მიყვებოდა... მოკლედ, მგლებზე საკმარისი ინფორმაცია მოვიპოვე (არ ვიცი, რაში მჭირდებოდა, მაგრამ რატომღაც იმ პერიოდში ძალიან დავინტერესდი, გამიტაცა)... შემდეგ, რეკლამისთვის ეპიზოდები გადავიღეთ. იასონ ბადრიძემ კი მგლებზე დოკუმენტური კადრები მოგვაწოდა, რომელიც კლიპში გამოვიყენეთ. დავითგარეჯის უდაბნოს, მონასტრის, იქ არსებული მშრალი ტბის მონახულებისა და იმ ადგილებში გადაღების შემდეგ ყველაფერი მელიებზე ნადირობით დასრულდა... ისე, ხანდახან სამსახურებრივი მდგომარეობის „ბოროტად“ გამოყენება მიყვარს.

— რას გულისხმობთ?

— გადამღები ჯგუფი სადაც მინდა, იქ მიმყავს... სულ მინდოდა, როგორღაც შემეღწია საგურამოს კოსმოსური კვლევის ცენტრში. ვიცოდი, რომ დახურული ზონა იყო... ერთ-ერთი საახალწლო გადაცემის გადაღების დროს კი, როგორც იქნა, ოცნება ავისრულე...

— რომელი კლიპის გადაღებას გულისხმობთ?

— სიმღერა „ჩაკრულო“ კოსმოსში რომ გაუშვეს, ამის შესახებ სიუჟეტი საახალწლო გადაცემისთვის, რომელიც ბასამ გააკეთა, სწორედ იქ გადავიღეთ. კადრებს ღამე ელგუჯა მეძმარიაშვილის ანტენის ფონზე ვიღებდით. იმ ღამეს კი ყინვა 14 გრადუსი იყო. საერთოდ, რომელი ვიდეორგოლის გადაღებისას გარეთ რა ტემპერატურა იყო, სულ მახსოვს, რადგანაც უმეტესად ვიყინებით ხოლმე. ეს განსაკუთრებით მაშინ მახსენდება, როდესაც ეკრანზე ჩვენი ჯგუფის მიერ გადაღებული კლიპი გადის... „ჩაკრულოს“ გადაღების დროს ახლოს გავიცანი შესანიშნავი ადამიანი — ელგუჯა მეძმარიაშვილი, რომელსაც დავუმეგობრდით კიდეც...

ბასას შემოქმედებითი ჯგუფის წევრი გახლავართ

— რაკი თქვენ და ბასა ფოცხიშვილს ურთიერთთანამშრომლობის არაერთი წელი გაკავშირებთ, მითხარით, როგორია ის გადასაღებ მოედანზე? მკაცრია?

— არ არის მკაცრი. მას ჰყავს პატარა და ძლიერი შემოქმედებითი ჯგუფი, რომელიც პროფესიონალებითაა დაკომპლექტებული — ძირითადად, კინოსტუდიის კოლექტივის წევრებისგან (მეც კინოსტუდიელი ვარ) არის შექმნილი. მგონი, მხოლოდ ოპერატორ გიორგი ბერიძისა და მხატვარ თამრიკო ფოცხიშვილის დასახელებაც საკმარისია. ბასა გადასაღებ მოედანზე ძალიან მეგობრულია, მას მუშაობის პროცესში დიდი სიხალისე შემოაქვს. რაღაც პატარა ეპიზოდზე შეიძლება, ისე გამხიარულდეს, რომ მხიარული განწყობილება ჩვენც გადმოგვედოს, რაც ჩვენთვის სერიოზული განვიტვირთვაა ხოლმე.

— თქვენთვის განტვირთვა კიდევ რას მოაქვს?

— საერთოდ, მიყვარს თვითმფრინავით ფრენა. ამიტომ ნატახტრის აეროდრომზე ხშირად დავდივარ. აეროდრომის დირექციას ახლოს ვიცნობ — ჩემი მეგობრები არიან. ისინიც ერთ-ერთი კლიპის გადაღებაზე გავიცანი. ასე რომ, ჩემთვის ყველა გზა რომში კი არა, ნატახტრის აეროდრომზე მიდის (*იცინის*)... თუ იქ გადაღება გვაქვს და ჯგუფი ჩამყავს, მუშაობის დაწყებამდე გასაფრენად გავრბივარ ხოლმე. როცა ფრენით გულს ვიჯერებ, მუშაობას მერე ვიწყებ.

— დაბოლოს მითხარით, რომელია თქვენი საყვარელი მუსიკალური ვიდეორგოლი, რომელზეც სიამოვნებით გიმუშავიათ?

— ყველაზე მაგარი — უცნობის „ვაგონი“ გახლდათ... სტილისტურადაც საინტერესო მიგნება იყო... მასში ბევრი ცნობილი ადამიანი მონაწილეობს. კარგად მახსოვს, მისი გადაღება რომ დავგეგმეთ, ვიჯექი და მთელი ღამე თითოეულ მათგანს ვურეკავდი... ასე რომ, მგონია, რომ ის დრო მალე მოვა, როდესაც მომღერლები ისევ აქტიურად დაიწყებენ მუშაობას. ■

ბრიტნი სპირსისა და მისი ვაჟიშვილების ფოტოსურათები ჟურნალში ELLE დაიბეჭდა

მომღერალი ბრიტნი სპირსი ხანგრძლივი პაუზის შემდეგ ჟურნალის პირველ გვერდზე ვაჟიშვილებთან ერთად კვლავ გამოჩნდა. ჟურნალის ELLE იანვრის ნომრისთვის ჩატარებულ ფოტოსესიაში ვარსკვლავი შვილებთან — შონ პრესტონთან და ჯეიდენ ჯეიმსთან ერთად მონაწილეობდა. ამბობენ, რომ ბედნიერ ოჯახს მალე შესაძლოა, კიდევ ერთი წევრი შეემატოს, რადგან ბრიტნი მესამე შვილის გაჩენაზე ოცნებობს.

„ბოლო ხანებში ბრიტნი და ჯეისონი (ჯეისონ ტრავიკი მომღერლის ამჟამინდელი აგენტი და ბოიფრენდია) ბავშვებზე ბევრს ლაპარაკობენ. ბრიტნი ბიჭებს აღმერთებს, მაგრამ გოგონას გაჩენაზეც ოცნებობს. ჯეისონს შვილები არ ჰყავს და ერთი სული აქვს, მამა როდის გახდება“, — განუცხადა მომღერალთან დაახლოებულმა პირმა გამოცემას Life&Style.

მეგან ფოქსი New York Times–ის ფურცლებზე

ვიდრე სხვა ცნობილი ადამიანები მოდური ჟურნალების გარეკანზე მოხვედრას ცდილობენ, ამერიკის ერთ-ერთი ყველაზე სექსუალური მსახიობი — მეგან ფოქსი უმსხვილესი გაზეთისთვის New York Times სპორტულ-ეროტიკული ფოტოსესიით არის დაკავებული. მოკლე ქვედაბოლოსა და კედებში გამოწყობილი მსახიობი ჩირლიდერის როლს განასახიერებს. ამ ფოტოსესიის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მშვენიერი მეგანი არცთუ ურიგო ტანმოვარჯიშე ყოფილა... ■

ამერიკის ქუჩებში სერიალის „სექსი დიდ ქალაქში – 2“ პირველი პოსტერი გამოჩნდა

მოდის ცნობილ მიმდევარსა და ამერიკელი გოგონების კერპ კერი ბრედშოუს მაყურებელი ეკრანებზე მალე კვლავ იხილავს. საყვარელი ფილმის მოლოდინი ძალზე დამღლელია, ამიტომ სერიალის — „სექსი დიდ ქალაქში — 2“ თაყვანისმცემლები ინტერესით ადევნებენ თვალს ფილმის გადასაღებ მოედანზე განვითარებულ მოვლენებს. გახმაურებული სერიალის შემქმნელებმა ახალი პოსტერი უკვე წარმოადგინეს, რომელზეც ოთხიდან ჯერ მხოლოდ ერთი პერსონაჟი — კერი ბრედშოუ — ცხოვრებაში სარა ჯესიკა პარკერი იწონებს თავს. უნდა ითქვას, რომ ფოტოშოფის ოსტატებმა ძალიან მოინდომეს და შეიძლება ითქვას, ზედმეტიც კი მოუვიდათ, რადგან ლოგიკის თანახმად, კერი უკვე საკმაოდ მოწიფული ქალბატონია, პოსტერზე კი ვარდის ჯერ გაუშლელი კოკორია გამოსახული... ■



ბრედ პიტი: „46 წლის ასაკში ცხოვრება მხოლოდ იწყება“...

დრო მართლაც რომ წარმოუდგენლად სწრაფად მიქრის. თითქოს გუშინ იყო — ქათმის სასაცილო კოსტიუმში გამოწყობილი მოდელის გარეგნობის 17 წლის ბიჭი პოპულარულ სასაუზმე El Pollo Loco-ს წინ ცეკვავდა... ახლახან კი მსოფლიოში ყველაზე სექსუალურმა მამაკაცმა 46-ე დაბადების დღე იზეიმა! ბრედ პიტმა კიდევ ერთხელ დაუმტკიცა მთელ მსოფლიოს, რომ კარგი ღვინის მსგავსად, ასაკი ჭეშმარიტ მამაკაცსაც მხოლოდ აკეთილშობილებს და ვერაფერს აკლებს... 46 წლის ასაკში ბრედ პიტმა იმდენს მიაღწია, რამდენზეც ბევრი მსახიობი ვერც კი იოცნებებდა. იგი რამდენჯერმე იყო „ოსკარის“ ნომინანტი, „ოქროს გლობუსისა“ და სხვა პრესტიჟული ჯილდოების შთამბეჭდავი კოლექცია დააგროვა, ამერიკელ კინომანთა შეფასებით ყველაზე პოპულარული ასი კინოფილმიდან შვიდში მთავარი როლი ითამაშა, ჰოლივუდის ყველაზე სასურველი ქალი — ანჯელინა ჯოლი მოხიბლა და მასთან მეგობრული, ინტერნაციონალური ოჯახი შექმნა, რომელშიც ექვსი ბავშვი იზრდება.

ლურჯთვალება ოკლაჰომელმა, ქალთა გულთამპყრობელმა საკუთარი წარმატებები ისეთი მიღწევებით გაამდიდრა, როგორიცაა ჟურნალის People ვერსიით „ცოცხალთა შორის ყველაზე სექსუალური მამაკაცის“ წოდების რეკორდული

რაოდენობა და ფილმში „შვიდი წელი ტიბეტში“ ნათამაშები როლის გამო ტიბეტის საზღვრის გადალახვის სამუდამოდ აკრძალვა.

ბრედ პიტს საკუთარი საქველმოქმედო ფონდი აქვს, ანჯელინასთან ერთად აქტიურად მონაწილეობს ჰუმანიტარული ორგანიზაციების მუშაობაში, ცხოვრების ჯანსაღი წესის აქტიური პროპაგანდისტია და მუდამ შეგვახსენებს მის უმთავრეს ცხოვრებისეულ კრედოს: „მიღწეულზე არ შეჩერდეთ!“

ეს ყველაფერი გვაფიქრებინებს, რომ ჰოლივუდის უპირველესი სექსსიმბოლოსთვის 46 წლის ასაკში ცხოვრება მხოლოდ ახლა იწყება და უახლოეს წლებში ბრედ პიტის სახელი მსოფლიოს პოპულარულ ტაბლოიდებს ძველებურად დაამშვენებს. თუმცა მისი ამჟამინდელი წვერის შემხედვარე თაყვანისმცემელს ამის უკვე ნაკლებად სჯერა... ■

ვიქტორია ბექჰემმა ნახევარი მილიონი დოლარი დაკარგა



ვიქტორია ბექჰემს დიდი უსიამოვნება შეხვდა. რამდენიმე დღის წინ უცნობმა პირმა მისი ახალი კოლექციიდან 75 კაბა მოიპარა. ეს ინციდენტი მაშინ მოხდა, როდესაც კაბები სატვირთო ფურგონიდან ნიუ-იორკის მაღაზია Neiman Marcus-ში გადაჰქონდათ. ცივი იარაღით შეიარაღებული ქურდი მძღოლს თავს დაესხა და ფურგონიდან ყველაფერი წაიღო. დაკარგული საქონლის მიახლოებითი ღირებულება 575.000 დოლარია. ვიქტორიას წარმომადგენლებს მიჩნიათ, რომ თავდასხმა წინასწარ მოფიქრებული და კარგად დაგეგმილი იყო. ალბათ ქურდები ვარაუდობენ, რომ შავ ბაზარზე კოლექციის გაყიდვით დიდ ქონებას დააგროვებენ. ამჟამად ვიქტორიას დიზაინერთა გუნდის მთელი ძალები იქითკენაა მიმართული, რომ საკოლექციო კაბები თავიდან შეკერონ და მაღაზიებში დროულად შეიტანონ. ■

ცხოვრება

„არ მინდა, ძმამ და ცოლად შეირთოს. დამეხმარეთ...“

„ეს ინტერვიუ ყურადღებით წაიკითხეთ და გარშემო მიიხედ-მოიხედეთ. ნებისმიერი ვარაუდის შემთხვევაში დამიკავშირდით. ანონიმურობა დაცული იქნება“... — ეს მკითხველებისადმი ჩემი რესპონდენტის დიდი თხოვნა გახლავთ. ქალბატონი ელისო ყრუაშვილი ამჟამად მამასთან და ქმარ-შვილთან ერთად, რუსეთში ცხოვრობს. საქართველოში ბავშვობაში დაკარგული ძმის მოსაძებნად ჩამოვიდა და ვიდრე უკან — სამარაში გაემგზავრებოდა, დახმარებისთვის ჩვენც დაგვიკავშირდა...

ეთო ყორღანაშვილი

ელისო ყრუაშვილი:

— 3 წლის ვიყავი, როცა დედა ჩემს ძმაზე ორსულად იყო. მამამ დღემდე გაუგებარი მიზეზის გამო მიგვატოვა — უბრალოდ, ყოველგვარი უთანხმოების გარეშე წავიდა. არც დედას უთქვამს, რის გამო დაშორდნენ. მამასთან განშორების შემდეგ, ქუთაისში ერთად ვცხოვრობდით მე, დედა, ბებია (დედის დედა) და დედის ძმა. იმ პერიოდში, ბიძაჩემს შვილი შეეძინა. რძალი, ცოტა არ იყოს, პრეტენზიული ქალი გახლდათ. უთქვამს, — ამ ოჯახში მეორე ბავშვსაც თუ მოიყვანთ, ქმარს დავშორდები, ჩემს შვილს ხელს მოვკიდებ და წავალო. ბებიაჩემს უფიქრია, — ერთი შვილი გაუბედურებული მყავს და მეორესაც ხომ ვერ გავაუბედურებო? 1970 წლის 10 ნოემბერს დედაჩემმა იმშობიარა და ჩემი ძმა დაიბადა. ბებიამ გადაწყვიტა, პატარა ბავშვთა სახლში წაეყვანა — გარკვეული დროის განმავლობაში, იქ გაიზრდება და იქნებ, მერე მამას ცოლშვილზე გული მოუბრუნდეს ან დედას 2 შვილის რჩენის საშუალება გაუჩნდესო. ჩემი ძმა ქუთაისში, გორაზე (ასეთი სახელწოდების დასახლებაა ბაგრატის ტაძართან) არსებულ ბავშვთა სახლში (რომელიც დღეს აღარ არსებობს) მიიყვანეს. დედაჩემი თითქმის მთელ დროს იქ ატარებდა. ისედაც უთქმელი ქალი იყო და გაჭირვების შემდეგ, საკუთარ თავში ჩაიკეტა.

— აღნიშნეთ, — მაშინ 3 წლის ვიყავიო. თქვენი ძმის ამბავი საიდან იცით?

— გონებაში ჩარჩენილი მქონდა, — როგორ ამიყვანა დედამ სამშობიაროში და ჩვილების საწოლები დავინახე... ბუნდოვნად ყოველთვის მახსოვდა, მაგრამ ჩემი ძმის შესახებ კარგა ხანს არაფერი ვიცოდი. დაახლოებით მე-6-7 კლასის მოსწავლე ვიყავი, როცა ბებიაჩემის საბუთებში ვიქექებოდი, სადაც 1970 წლის 10 ნოემბერს დაბადებული ელიზბარ გაიოზის ძე ყრუაშვილის დაბადების მოწმობა აღმოვაჩინე. ბუნებრივია, მოწმობაში მშობლების ვინაობაც ეწერა. მივხვდი, რომ ძმა მყავდა! ამის თქმა დედას ვერ გავუბედე, ბებიასთან მივედი და ვკითხე: მე ძმა მყოლია და ახლა სად არისმეთქი? ჩემს ძმაზე რაც მოგიყევით, ბებიამ მიამბო და თავი იმართლა, — მამამ რომ მიგატოვათ, ორივე შვილის დახმარების საშუალება არ მქონდაო.

— ბებიამ თქვენს ძმაზე კიდევ რა გიამბოთ? საბოლოოდ, რა ბედი ეწია პატარას?

— ბებიასგან შევიტყვე, რომ ბავშვთა სახლის ექიმს თავისთან დაუბარებია და უთქვამს: ბავშვის დედის საცოდაობით აღარ ვართ! ძალიან კარგი უშვილო ცოლ-ქმარი ვიცით, მატერიალურად უზრუნველყოფილი არიან და იქნებ, ბიჭუნა მიაშვილოთო? ბებიამ უპასუხა: — ამაზე ჩემი შვილი არ დაგთანხმდებათო. გაშვილების ფაქტი ხომ უნდა გაფორმებულიყო? ამას დედის თანხმობის გარეშე ვერ გააკეთებდნენ — ბავშვს ხომ არ მოიპარავდნენ? ეტყობა, ის ექიმი გამოცდილი იყო და პატარების გაშვილების ყველა ხერხი კარგად იცოდა — მაშინ ასეთი „საქმეებით“ დიდი ფული კეთდებოდა. დედაჩემი ძალიან ალალი ქალი იყო და მის მოტყუებას დიდი ამბავი არ სჭირდებოდა, ბებია კი — პირიქით. ბებიაჩემს ის მისია დააკისრეს, რომ დედაჩემი

გაეჩუმებინა და არ ეჩივლა. პატარა ბავშვთა სახლში დაახლოებით, 15-17 ნოემბერს მიიყვანეს, იქიდან კი რამდენიმე კვირის მერე წაიყვანეს. რამდენიმე წლის შემდეგ, მამაჩემმა შვილის მოძიება გადაწყვიტა, მაგრამ ბავშვთა სახლში მისულს დედაჩემის მიერ ხელმოწერილი საბუთი აჩვენეს, რომ პატარა დედამ წაიყვანა.

— საბუთზე დედათქვენის ხელმოწერა საიდან გაჩნდა — ყალბი იყო?

— არა, ხელმოწერა ყალბი არ ყოფილა! ბავშვის შვილად აყვანით დაინტერესებული პირები დედაჩემთან მივიდნენ და უთხრეს, — უშვილო ცოლ-ქმარი ვართ. უბრალოდ, ბავშვის გაზრდაში მოგეხმარებით — როცა გინდა, შვილს მაშინ ნახავ. შენ მისი დედა ხარ და ეს პატარასაც ეცოდინება. ჩვენ მხოლოდ გამზრდელები ვიქნებით და პატრონიც გვეყოლებაო. ასე დაითანხმეს დედაჩემი, რომელმაც საბუთს ხელი მოაწერა, რომ შვილი ბავშვთა სახლიდან წამოეყვანა. რამდენიმე დღის შემდეგ, როცა დედამ შვილის ნახვა მოისურვა და მითითებულ მისამართზე მივიდა, იქ აღარავინ დახვდა — ის ხალხი ბავშვიანად დაიკარგა. დედას ნერვული სტრესი დაემართა — 2 თვის მანძილზე საუბარი საერთოდ არ შეეძლო. ლოგინზე იყო დავარდნილი, დამუნჯებული. თუ რამე უნდოდა, თითით გვანიშნებდა ან ფურცელზე გვიწერდა. ნელ-ნელა ამ მდგომარეობიდან გამოვიდა. ვიდრე სკოლას დავამთავრებდი, დუხჭირი ცხოვრება გამოვიარეთ, მერე მამამ რუსეთში (იქ მუშაობდა) წამიყვანა, მაგრამ ვუთხარი, რომ დედის გარეშე ვერ ვიცხოვრებდი. ჩემი მშობლები შერიგდნენ. მე, მამა და ჩემი ქმარ-შვილი დღემდე ერთ ოჯახში ვცხოვრობთ, ერთმანეთს ვუვლით... იმ წლებში მამას გონება რამ აურია, ვერავის აგვიხსნია. სხვა ცოლიც არასოდეს შეურთავს. დედა 53 წლის ასაკში გარდაიცვალა — გულმა უმტყუნა.

— თქვენს დაკარგულ ძმაზე დედასთან არასოდეს გისაუბრიათ?

— მისგან მხოლოდ იმ ცოლ-ქმრის გარეგნობის შესახებ გავიგე, ვინც პატარა წაიყვანა: კაცი მაღალი ყოფილა, თეთრი სახითა და „რიჟა“ თმით, ოდნავ მელოტი, ქალი კი — დაბალი და შავგვრემანი. კიდევ ერთი ფაქტი არსებობს: დაახლოებით მე-7 კლასში ვიყავი, როცა ქუთაისში, უბნის ბავშვებთან ერთად ვთამაშობდი. ქუჩის მეორე მხარეს, მერხზე მჯდომმა მეგობრის ბებიამ — ტასომ დამიძახა, ჩვენგან ხელმარჯვნივ მიმავალ ქალზე მიმითითა და მკითხა: იცნობ? წეღან ის ქალი ჩემთან მოვიდა და მკითხა, — ამ ბავშვებიდან ელისო რომელიაო? ქალს გავხედე — დაბალი, შავგვრემანი იყო. იმ წუთში ამ ფაქტისთვის ყურადღება არ მიმიქცევია. მერე ვიფიქრე, — ეს სწორედ ის ადამიანია, ვისაც ჩემი ძმა ჰყავსმეთქი! აბა, რატომ დაინტერესდა ჩემი ვინაობით? თუ ვინმე ახლობელი იყო, რატომ არ გამომეცნაურა?

— ანუ ფიქრობთ, რომ სავარაუდოდ, თქვენი ძმა ქუთაისში ცხოვრობს ან ცხოვრობდა?

— არ ვიცი, მაგრამ ყველა მეუბნებოდა, — შორს არ იქნება, მაგალითად — თბილისიდან ან კახეთიდან ბავშვის შვილად ასაყვანად ქუთაისში არავინ ჩამოვიდოდაო. ბებიას მეზობლისთვის გაუმხელია, — ის ცოლ-ქმარი ბათუმელი ექიმები იყვნენო. იმ პერიოდში, თეთრი „ვოლგა“ ჰყოლიათ. გამორიცხულია, რომ გარკვეული დროის მერე, ბებიას შვილიშვილის ძებნა არ დაეწყო — განა იმიტომ, რომ უკან დაებრუნებინა? უბრალოდ, მისი ბედით დაინტერესდებოდა. მეზობლის რძლისთვის უთხოვია, — შენს სოფელში, ქვიტირში გაიკითხე ჩემი შვილიშვილის ამბავიო. ეტყობა, ამის საბაბი ჰქონდა, თორემ მაინცდამაინც, ქვიტირი — რატომ? როცა გავთხოვდი, მთელი სანათესაო „დავკითხე“ და ის ინფორმაცია შევაკოწიწე, რაც უკვე გიამბეთ. ახლა ჩემი ძმა 39 წლის იქნება. მას 1000 ადამიანში ვიცნობ!

— როგორ იცნობთ?

— ჩემი შვილი (1 ბიჭი მყავს) დედაჩემს ძალიან ჰგავს. რატომღაც, დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი ძმაც დედას დაემსგავსებოდა. უცხო ადამიანებმა კი გაზარდეს, მაგრამ ცხვირ-პირს ხომ ვერ შეუცვლიდნენ!

— მამათქვენი თავის საქციელს (წლების წინ ცოლ-შვილი რომ მიატოვა) არ ნანობს?

— როგორ არა? ძალიან! ამაზე საუბარი მიმძიმს. ვუსაყვედურე, — ძმა რატომ დამიკარგე-მეთქი? ეს ჩემთვის დიდი ტრაგედიაა: მე ხომ ბიჭი მყავს? იქნებ, ჩემს ძმას გოგონა ჰყავს და ჩემს შვილს საცოლედ მოეწონოს? თაობები იზრდება, იქნებ, ბიძაშვილი ბიძაშვილზე დაქორწინდეს, ძმამ და შეირთოს? ეს ხომ ღვთის წინაშე დიდი ცოდვაა! თუ ჩემი ძმა დად არ მიმიღებს, ჩემს დედ-მამას მშობლებად არ ცნობს, მე წინაალმდეგობას არ გავუწევ. უბრალოდ, მინდა, მოვეფერო და იცოდეს, თუ ვისი გვარის, ჯიშისაა და ოდესმე საცოდაობა არ დატრიალდეს — ჩემმა შვილმა მისი შვილი ცოლად არ შეირთოს. ეს ძალიან მაშინებს. ვინც ძმას მაპოვნინებს, მთელი ცხოვრება იმ ადამიანის მონა-მორჩილი ვიქნები. ნებისმიერი ვარაუდის შემთხვევაში დამიკავშირდნენ. ანონიმურობა დაცული იქნება, ამის პირობას ვდებ. ■

მარი ჯაფარიძე

„გზის“ წინა ნომერში, რუბრიკით — „წერილი „გზას“, ჩვენი მკითხველის წერილი შემოგთავაზეთ. ვისაც არ წაუკითხავს, მათთვის გავიმეორებ, რომ საუბარია ახალგაზრდა მამაკაცზე, რომელიც ბავშვთა სახლში გაიზარდა და შემდეგ დედის მოძებნა გადაწყვიტა, რის გამოც „მობილი-ზაციაში“ მესიჯი განათავსა. მისი მდგომარეობით ისარგებლა თაღლითმა ქალმა, თავი დად წარუდგინა, 3 ათასი დოლარი გამოსძალა და გაუჩინარდა. შემდეგ, კვლავ ჰქონდა დედის პოვნის მცდელობა, ეგონა, იპოვა და ქალი, რომელსაც 7 თვის მანძილზე დედას ეძახდა, სინამდვილეში მისი შვილის ნათლიის დედა აღმოჩნდა. ამ ზაფხულს კი ცოლ-შვილიც უგზო-უკვლოდ დაკარგა (თუმცა, ამჯერად ამ ფაქტზე ყურადღებას არ გავამახვილებთ)... ამ წერილის წაკითხვის შემდეგ, ბუნებრივია, ბევრი კითხვა გამიჩნდა და ვინაიდან იგივე კითხვები მკითხველებსაც დაებადათ, გადავწყვიტე, ბატონ კახას შევხმიანებოდი და დაწვრილებით გამომეკითხა მისი საინტერესო ცხოვრების შესახებ.

— როგორც მოგახსენეთ, ბავშვთა სახლში გავიზარდე. ახლა მას მიუსაფარ ბავშვთა სახლი ჰქვია. სინამდვილეში კი გაცილებით ზუსტი განსაზღვრება ასე ჟღერს: „უპატრონო ბავშვთა სახლი“ და მართლაც ასეა. იქ „პატრონიანი“ ბავშვი ვერაფრით მოხვდება. იქ ცხოვრება კომუნისტური წესწყობილების დროს მომიწია და საშინელი სიტუაციის მომსწრე გახლავართ. მაშინ ასეთ დაწესებულებებს ყურადღება არ ექცეოდა და საშინელ პირობებში ვცხოვრობდით. თურმე, ახალდაბადებული მივუყვანივარ დეიდას და ბავშვთა სახლის ღობესთან დავუტოვებივარ. ჩვრებში, რომელშიც გახვეული ვიყავი, წერილი ყოფილა (შემდეგ ჩემსავე საბუთებში იდო) და ჩემი ნამდვილი გვარის გარდა ყველაფერი ეწერა: სად დავიბადე, მამაჩემი რომ მოკვდა, როცა დედაჩემი ჩემზე ფეხმძიმედ იყო, რომ ჩემს ოჯახს თურმე ძალიან უჭირდა და ამიტომ, ობოლი ბავშვის გაზრდას ვერ შეძლებდნენ და ჩემი გასხვისება იმიტომ გადაწყვიტეს. საოცარი დამთხვევა მოხდა. მეორე ღამით კიდევ ერთი ჩვილი მიუყვანიათ და ღობესთან დაუტოვებიათ. მოგვიანებით გაირკვა, რომ ჩემგან გასხვავებით, მისთვის თანდართულ წერილში ნამდვილი გვარი ეწერა. ისიც ვაჟი იყო და როდესაც ბავშვთა სახლის თანამშრომლებმა აღმოგვაჩინეს, მიიჩნიეს, რომ ეს განგების ძალით

„დაყრილი“ ჩვილები, ნაჩუქარი ძმობა და სხვისი დედა

მოხდა და ბავშვთა სახლის დირექტორის გადაწყვეტილებით, ჩემთვისაც ლევანის გვარი მოუციათ. ასე მაჩუქეს ძმა. როგორც ძმებს, ისე გვზრდიდნენ. ჩვენ კი ვიცოდით, რომ დედმამიშვილები არ ვიყავით, მაგრამ ერთმანეთი მაინც გამორჩეულად გვიყვარდა. როდესაც გავიზარდეთ და სრულწლოვნები გავხდით, ბავშვთა სახლიდან უნდა წამოვსულიყავით. ორივე სტუდენტები ვიყავით და თან ვმუშაობდით, რომ თავი შეგვენახა. ნაქირავებ ბინაში ვცხოვრობდით და თქვენ წარმოიდგინეთ, იმაზე უკეთაც კი ვიყავით, ვიდრე ბევრი მშობლებიანი ახალგაზრდა. მერე დავოჯახდი და ლევანი ჩემი მეჯვარე და მოგვიანებით, შვილის ნათლიაც გახდა.

— დედის მოძებნა როდის გადაწყვიტეთ?

— ამ რამდენიმე წლის წინ. ერთ დღეს გადავწყვიტე, ბავშვთა სახლისთვის მიმეკითხა და ჩემი საბუთები მენახა. არქივში გამიშვეს. ბევრი ვიწვალე, მაგრამ ჩემი ყველა საბუთი მოვიძიე, მათ შორის ის წერილიც აღმოვაჩინე, რომელიც თან მახლდა. მისი შინაარსის გაცნობის შემდეგ მივიჩნიე, რომ საკმარისი ინფორმაცია მქონდა, დედისთვის რომ მიმეგნო. იცით, რა მინდოდა მეკითხა? თუ მამაჩემი უყვარდა, გარდაცვლილი ქმრისგან გაჩენილი ბავშვი როგორ გააშვილა? ნუთუ მისი ხსოვნის პატივსაცემად არ უნდა გავეზარდე? მოკლედ, დავიწყე ძებნა, მაგრამ უშედეგოდ. ვერსად მივაგენი დედის კვალს. ჩემი მეუღლე თქვენი ჟურნალის თავგადაკლული მკითხველია და ყოველ ხუთშაბათს ყიდულობდა „გზას“. მეც, როცა დრო მქონდა, სიამოვნებით გადავავლებდი ხოლმე თვალს. ჰოდა, ერთხელ, „მობილი-ზაციას“ რომ ვკითხულობდი, თქვენი დაწერილი ტექსტი წავიკითხე. ახლაც კი მახსოვს, წერდით, რომ საბერძნეთიდან ქალბატონმა დაგიმესიჯათ, რომელიც დედას ეძებდა და გარკვეული პერიოდის შემდეგ იპოვა კიდეც. თურმე დედა სამაჩაბლოს ტერიტორიაზე ცხოვრობდა, ეროვნებით ოსი გახლდათ და ვიღაცას უთქვამს, შვილი გეძებსო. დიდი ალიაქოთი ატეხილა ამის გამო და დედა-შვილი ერთმანეთს თქვენი დახმარებით დაკავშირებია. ამას რომ ვკითხულობდი, ვტიროდი. შემდეგ ვიფიქრე, ყოველი შემთხვევისთვის, მეც განვაცხადებ, რომ დედას ვეძებ და იქნებ ვინმე დამიკავშირდეს-მეთქი. დიდი ხნის შემდეგ დამიკავშირდა ვიღაც ქალბატონი...

— რომელიც დად გაგეცნოთ, არა?

— დიახ. ის ჩემზე რამდენიმე წლით უმცროსი იყო. მითხრა, დედაჩვენი მეორედ გათხოვდა და მე შევეძინე, მამაჩემი და დედაჩვენი ცოცხლები აღარ არიან, მე კი ეს ამბავი დედისგან ვიცოდი და ჟურნალში რომ წავიკითხე შენი განცხადება, მაშინვე მივხვდი, რომ ჩემი ძმა იყავიო. წარმოიდგინეთ, როგორი გახარებული ვიქნებოდი, და რომ ვიპოვე. ამიტომ იყო, რომ გვერდით დავუდექი და არაფერს ვაკლებდი. ვეხვეწებოდი, საცხოვრებლად ჩვენთან გადმოსულიყო, მაგრამ სასტიკ უარზე იდგა. ჩემი ცოლი კი ეჭვობდა რაღაცას და სულ მეუბნებოდა, ეგ ქალი არ მომწონს, მაგრამ მე სიხარულისგან დაბრმავებული ვიყავი და მის ნათქვამს ყურადღებას არ ვაქცევდი. შემდეგ, მივხვდი, რომ მომატყუა, მაგრამ უკვე გვიან იყო.

— შემდეგ კვლავ განაგრძეთ დედის ძებნა...

— დიახ, ისევ გამოვაქვეყნე განცხადება. ვიფიქრე, კიდევ თაღლითი ხომ არ გამომეხმაურება-მეთქი? შუა ხნის ქალბატონი დამიკავშირდა და როცა შევხვდი, დარწმუნებით მითხრა, ჩემი დისშვილი ხარ, აი, ამ გასახმობი ხელებით მიგიყვანე ბავშვთა სახლთან დასატოვებლად და წერილიც ამ გასახმობი ხელებით დავწერეო. მერე დედასთან მიმიყვანა. ჩემი გვარი და მისი ქმრის გვარი ერთმანეთს დაემთხვა, კიდევ — ჩემი ბავშვთა სახლში მიყვანის თარიღი და ადგილი. მეტი მტკიცებულება რა გინდოდა? ეგ იყო, რომ წერილში ეწერა, თითქოს მამაჩემი გარდაიცვალა, სინამდვილეში კი დედა ამბობდა, როცა გაიგო, ორსულად ვიყავი, მიმატოვაო. დეიდას ვკითხეთ, წერილში რატომ დაწერე, რომ მამა გარდაიცვალაო? რა მახსოვს, 35 წლის წინ რა მოხდა, თავში რა აზრები მიტრიალებდაო, მხრები აიჩეჩა. მაშინ ჯერ არ ვიცოდით, რომ მე და ლევანი თითქმის ერთდროულად მიგვიყვანეს ბავშვთა სახლში და არც ის, რომ მეც მისი გვარი მომცეს. თითქმის წელიწადი ვურთიერთობდი ამ ქალთან და მიხაროდა, რომ ასეთი ლამაზი, სათნო და კეთილი დედა მყავდა. სიმართლე გითხრათ, გულში მაინც რაღაცნაირად ვგრძნობდი, რომ ისე ვერ მივიღე, როგორც დედა, გულთან ახლოს არ მოვიდა... ხშირად ვფიქრობდი, რატომ მემართებოდა ასე და იმ დასკვნამდე მივედი, რომ ეტყობა, ბოლომდე პატიება მიჭირს-მეთქი. იმ პერიოდში ლევანი ოჯახით საბერძნეთში იყო. უცხოურ კომპანიაში მუშაობდა და 1 წლით გაუშვეს. რა თქმა უნდა, იცოდა, რომ დედა ვიპოვე და გახარებული იყო. ამბობდა, ჩამოვალ თუ არა, მეც მოვძებნი დედას, თუ არა და დედაშენს დავუძახებ „დედას“ და საკუთარი მშობელივით მივიღებო. თქვენ ამას ვერ მიხვდებით, რადგან დედის კალთაში გაიზარდეთ, ჩვენ კი, „უპატრონო“ ბავშვებს სულ გვაკლდა დედის სითბო და ალერსი... ლევანი საქართველოში რომ დაბრუნდა, რამდენიმე დღის შემდეგ დედაჩემის გასაცნობად მივიყვანე. დედამ სუფრა გაგვიშალა (ჩემგან ლევანის შესახებ ყველაფერი იცოდა) და ლევანსაც ჩემსავით თბილად ექცეოდა. შემდეგ გვარი ჰკითხა. როდესაც ლევანმაც იგივე გვარი უთხრა, გაოცდა. ისინი გვერდიგვერდ ისხდნენ და ამ დროს შევნიშნე, რომ ძალიან ჰგავდნენ ერთმანეთს. შემდეგ კი ისე განვითარდა მოვლენები, რომ შესაძლოა, „ბაში აჩუკის“ ერთ-ერთი სცენა გაგახსენდეთ. დედასაც ეჭვი შეეპარა რაღაცებში და ორივეს გვკითხა, ტანზე ხალი ან რაიმე ნიშანი ხომ არ გაქვთო? ლევანმა თქვა, კი, მე პატარა, ყავისფერი ლაქა მაქვსო. დედაჩემმა ჰკითხა, — მუცელზე, მარჯვენა მხარესო? კიო, — თავი დაუქნია ლევანმა. ასეთიო? დედამ ბლუზა აიწია და ყავისფერი ლაქა დაგვანახვა. ლევანმაც აიწია პერანგი და ზუსტად ისეთი ნიშანი გვაჩვენა. ლამის გავგიჟდით სამივე. მერე მე და ლევანმა გადავწყვიტეთ, ბავშვთა სახლში წავსულიყავით და თუ ვინმე ძველ თანამშრომელს ვნახავდით, სიმართლე მისგან გაგვეგო. ძველებიდან აღარავინ დაგვხვდა, მაგრამ მიგვასწავლეს მისამართი, სადაც მოხუცი ქალი ცხოვრობდა და ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. წესით, მას უნდა ახსოვდესო, გვითხრეს, მაგრამ მისი მხოლოდ სახელი იცოდნენ და წარმოდგენა არ ჰქონდათ, ის ქალი მასწავლებელი იყო, ძიძა

თუ დამლაგებელი. როდესაც მითითებულ მისამართზე მივედით, ჩვენც ვიცანით და იმანაც მაშინვე გაგვიხსენა. ის დირექტორის მოადგილე იყო და ჩვენი ამბავიც კარგად ახსოვდა. გვითხრა, რომ ერთი დღის განსხვავებით „დაგვყარეს“ პატრონებმა ბავშვთა სახლთან და მე ლევანის გვარი მომცეს, რადგან ჩემს წერილში არც სახელი ეწერა და არც გვარი, ლევანის წერილში კი ეს მონაცემები მითითებული იყო. ამით დადასტურდა, რომ ქალბატონი ნანა ლევანის დედა იყო და არა — ჩემი. თუმცა, გენეტიკური ექსპერტიზა მაინც ჩაატარეს, რომელმაც იგივე პასუხი მოგვცა. ასე დავრჩი ისევ დედის გარეშე. თუმცა, ნანა დეიდა შვილივით მიყურებს და მექცევა. ამბობს, 2 შვილი ერთად ვიპოვეო.

— ლევანს რა რეაქცია ჰქონდა?

— გაგიჟდა სიხარულით. მეუბნებოდა, დედა წაგართვი, მაგრამ სამაგიეროდ, გვარი ხომ მოგეციო?!

— ახლა რას აპირებთ?

— ახლა ვფიქრობ, კიდევ გავაგრძელო ძებნა თუ შევწყვიტო?

— თავიდან თქვენ ჩემთან შეხვედრა გინდოდათ და დღეში რამდენჯერმე მირეკავდით. ბოლოს, როდესაც შეხვედრაზე შევთანხმდით, აღარ მოხვედით და წერილი გამომიგზავნეთ. რატომ?

— საქმე ის გახლავთ, რომ თქვენ გარეთ შეხვედრაზე უარი მითხარით და დაჟინებით მთხოვდით, რედაქციაში მოვსულიყავი. მანდ, „კვირის პალიტრაში“ ჩემი ახლობელი მუშაობს და არ მინდოდა, ვენახე. ესაა მიზეზი, რის გამოც მოსვლას თავი ავარიდე. ხომ ხედავთ, რომ ტელეფონით საუბარზე უარი არ მითქვამს.

— გასაგებია, ბატონო კახა. ახლა იქნებ გამოიყენოთ ეს შანსი და ვრცლად გვითხრათ, რა ეწერა იმ წერილში, რომელიც თქვენთან ერთად დატოვეს? იქნებ სწორედ ამ ინტერვიუმ გაპოვნინოთ დედა?

— კარგი, მაგრამ იმედი მაქვს, თაღლითები არ ისარგებლებენ ჩემი მდგომარეობით. იმ წერილში ეწერა, რომ მე დავიბადე მცხეთაში, ერთ-ერთ ოჯახში (როგორც გითხარით, გვარი არ იყო მითითებული). დედამ სამშობიაროში არ გამაჩინა იმიტომ, რომ ყველას არ გაეგო, როგორ გამაშვილებდნენ. უფრო სწორად, როგორ „დამაგდებდნენ“ უპატრონო ბავშვთა სახლის ღობესთან. ახსნილი იყო მიზეზი, რის გამოც დამტოვეს (ეს უკვე მოგახსენეთ). ჩემი დაბადების თარიღი გახლავთ 1974 წლის 12 აგვისტო (ზაფხული რომ იყო, იმიტომ დამაგდეს გარეთ ალბათ). მთლიანი წერილის მოყვანას ალბათ აზრი არ აქვს და რაც გითხარით, ეს საკმარისი ინფორმაციაა, რომ ჩემი „გადაგდების“ მონაწილეებს სიტუაცია ეცნოთ და შემეხმიანონ.

■

ბედი კაცისა

სამშობლოდან გადასხვეწილი იუნკრისა

და გოგლა ლეონიძის რისკიანი გზავნილების ამბავი

ანუ პოლონეთის უმაღლესი ორდენის მფლობელი ქართველი გმირი

ჩვენში ბევრმა როდი იცის, რომ პოლონეთის დედაქალაქ ვარშავის მახლობლად მდებარე დაბა პიასეჩნოში „ქართული სახლი“ არსებობს; მით უმეტეს, ის, რომ შენობა ჩვენს სახელმწიფოს საჩუქრად გადასცა თავდადებული ქართველი კაცის, ნიკოლოზ მათიკაშვილის ქვრივმა — ანა შოდე-მათიკაშვილმა, რომელიც შარშან, 102 წლის ასაკში გარდაიცვალა...

ანა შოდე-მათიკაშვილი

ლალი პაპასკირი

„საქართველო ჩემი მეორე სამშობლოა. პრეზიდენტისგან ამ ჯილდოს მიღება მთელი სიცოცხლე მემახსოვრება, თუმცა უკვე 100 წლის ვარ...“ — ეს სიტყვები ქალბატონმა ანამ გარდაცვალებამდე ერთი წლით ადრე თქვა — იმ დღეს, როცა პოლონეთში ვიზიტით მყოფმა, საქართველოს პრეზიდენტმა იგი ღირსების ორდენით დააჯილდოვა... მასთან სტუმრობის პატივი შარშან, სამსახურებრივი მივლინების დროს, პარლამენტარ ნუგზარ წიკლაურს ერგო წილად. სწორედ ბატონმა ნუგზარმა გვიამბო ქართველი იუნკრის — ნიკოლოზ მათიკაშვილის, მისი სიყვარულისა და პოლონელთა მეხსიერებაში მის მიერ დატოვებული კვალის შესახებ.

ნუგზარ წიკლაური:

— ქართველი იუნკრის ქვრივს, ქალბატონ ანა შოდე-მათიკაშვილს ვარშავაში ყოფნის დროს შევხვდი. ღრმა მოხუცებულობის მიუხედავად (ის 102 წლის გახლდათ) ეს ქალბატონი სრულიად საღი გონებითა და ნათელი აზროვნებით გამოირჩეოდა. კარგად იცოდა საქართველოს ისტორია, განსაკუთრებით — 1920-იან წლებამდე. თავად, ვარშაველი მრეწველის ქალიშვილი გახლდათ და ემიგრანტი ქართველი — ნიკოლოზ მათიკაშვილი პოლონეთში გაიცნო... საქართველოს ისტორიას საკმაოდ კარგად ვიცნობ და ვიცი — უცხო ქვეყნის მიმართ ქართველების თავდადება ჩვენი ხალხის ბუნებისთვის ლამის ჩვეულებრივი მოვლენაა, მაგრამ საქმე ის არის, რომ რაოდენ გულსატკენიც უნდა იყოს, მათი გმირობა ზოგჯერ დაუფასებელი რჩება და ადგილობრივებმა არც კი იციან მათი არსებობის შესახებ. პოლონელები კი ამ ისტორიას უფრთხილდებიან და რაც მთავარია, აფასებენ. იქაური საზოგადოების სიყვარული ქართველებისადმი ამითაც აიხსნება. პოლონელი პოლიტიკური ელიტა პირდაპირ ამბობს, რომ ქართველებს დიდი ღვაწლი მიუძღვით პოლონეთის დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში და ეს ქართულ-პოლონურ ურთიერთობაში სათანადოდ უნდა აისახოს...

— მოდით, ქრონოლოგიურად მივყვეთ ამბავს: ქართველი იუნკრები პოლონეთში როგორ აღმოჩდნენ?

— 1921 წელს, როცა რუსეთმა ჩვენი ქვეყნის გასაბჭოება გადაწყვიტა, ომის გამოცხადების გარეშე დაესხა თავს ჩვენს ქვეყანას. როგორც ცნობილია, მცირერიცხოვანი ქართული საჯარისო ნაწილები თვეზე მეტხანს უწევდნენ მტერს წინააღმდეგობას, მაგრამ ბოლოს იძულებული გახდნენ, უკან დაეხიათ დასავლეთისკენ აიღეს გეზი. ჯართან ერთად, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობაც ბათუმში ჩავიდა... იმ საჯარისო ნაწილებს შორის, ვინც შეუპოვარ წინააღმდეგობას უწევდა მტერს, თბილისის საოფიცრო სკოლის კურსანტები —

იუნკრებიც იყვნენ, მათ შორის — ახალგაზრდა ნიკოლოზ მათიკაშვილი... ბოლოს მტერი ბათუმსაც მოადგა, მთავრობასთან ერთად, ქვეყანა სამხედროებმაც დატოვეს და ემიგრაციაში წავიდნენ. ჯერ თურქეთში, იქიდან კი ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში გაიფანტნენ. დევნილმა საოფიცრო სკოლამ ერთი პერიოდი საბერძნეთში დაჰყო, მაგრამ იქ მომხდარი პოლიტიკური ცვლილებების გამო, სკოლა მალევე დაიხურა. ახალგაზრდა კურსანტები და ოფიცრების ნაწილი, როგორც სასწავლებლად, ისე საჯარისო ნაწილებში კონტრაქტით სამსახურისათვის, პოლონეთში მიიწვიეს. ამ ღონისძიების უშუალო ინიციატორი და მეთვალყურე, პოლონეთის მაშინდელი პოლიტიკური და სამხედრო ხელმძღვანელი იუზეფ პილსუდსკი იყო. მან ვარშავაში ქართველ ოფიცერთა 200-კაციანი ჯგუფი მიიწვია და პოლონეთის არმიაში ჩარიცხა. ამ დროს პოლონეთში რუსეთის წინააღმდეგ გააფთრებული ბრძოლები მიმდინარეობდა და ქართველი ოფიცრები ამ ბრძოლაში ჩაებნენ... ქართველი სამხედროები პოლონეთის მიერ წარმოებულ ყველა სამხედრო კამპანიაში მონაწილეობდნენ, დიდი წვლილი მიუძღვით 1944 წლის ვარშავის აჯანყებაშიც. პოლონეთში საბჭოთა ჯარის შესვლის შემდეგ, ბევრი მათგანი, პოლონელ ოფიცრებთან ერთად, კატინში დახვრიტეს...

— ნიკოლოზ მათიკაშვილი მათ შორის არ ყოფილა?

— არა, ის გადარჩა, 93 წლის ასაკს მიაღწია და უკანასკნელ დღეებამდე საკუთარ სახლში ცხოვრობდა. სხვათა შორის, ამ ადამიანს ძალიან საინტერესო ცხოვრება და სამხედრო კარიერა ჰქონდა: 1939 წელს, როცა მეორე მსოფლიო ომი დაიწყო, მათიკაშვილს კაპიტნის ჩინი ჰქონდა. ამ წლებში იგი ლვოვში მსახურობდა და გერმანელების წინააღმდეგ ბრძოლამ მოუწია, მძიმედ დაიჭრა და ტყვედ ჩავარდა. ომის დასრულების შემდეგ, პოლონეთის ჯარში სამსახური გააგრძელა. მას მაიორის წოდება და სახელმწიფოს უმაღლესი სამხედრო ორდენი — „ვირტუტი მილიტარი“ ჰქონდა მინიჭებული. მაგრამ პოლონეთში სოციალისტური წყობილების დამყარების შემდეგ, სამსახურიდან დაითხოვეს. ნიკოლოზ მათიკაშვილი პენსიაზე გავიდა. იგი ცხოვრების ბოლომდე უდიდესი სითბოთი და სიყვარულით იხსენებდა მარშალ პილსუდსკის, ამბობდა: „ეს იყო თავისი თანამემამულეების მიერ სათანადოდ დაუფასებელი გენიოსი“. როცა პოლონელი სამხედროები და პოლიტიკოსები პილსუდსკის იხსენებენ, დღესაც ხშირად მოჰყავთ მათიკაშვილის სიტყვები... ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ამბავი კი ის გახლავთ, რომ ქართველი იუნკრების მეგობრებს შორის, პოლონეთის ამჟამინდელი პრეზიდენტის მამაც იყო და თავად ლეხ კაჩინსკის თქმით, საქართველოსადმი მისი დიდი სიმპათია სწორედ იმით არის განპირობებული, რომ ქართველებმა გადამწყვეტ ვითარებაში მის ხალხს მხარი დაუჭირეს და პოლონეთის თავისუფლებისთვის თავდაუზოგავად იბრძოდნენ.



ქართველი იუნკრების მეგობრებს შორის, პოლონეთის ამჟამინდელი პრეზიდენტის მამაც იყო

— ამის შესახებ ლეხ კაჩინსკიმ თავად გიამბოთ?

— პირადად ჩემთვის არ მოუყოლია, მაგრამ ერთ-ერთ ჩემს კოლეგას უამბო. მას კარგად ახსოვს ნიკოლოზ მათიკაშვილი და მისი მეგობრები. „ჩემს ბავშვობაში, მამას სახლში ხშირად მოჰყავდა ქართველი მეგობრები. რადგანაც პატარა ვიყავი, მათი საუბრის შინაარსი არ მახსოვს“, — უთქვამს ბატონ პრეზიდენტს... საოცარია ქართველი იუნკრის — ნიკოლოზ მათიკაშვილისა და გერმანული წარმოშობის პოლონელი ქალის — ანა შოდეს სიყვარული. სხვათა შორის, ის ქმრის გვარს ატარებდა და როცა მასთან შეხვედრის ბედნიერება მქონდა (არაჩვეულებრივი მოსაუბრე იყო), მითხრა, რომ მეუღლისადმი დიდი სიყვარული მთელი ცხოვრება გაჰყვა...

— ვიცი, რომ იმ სახლშიც იყავით მისული, რომელიც მან გარდაცვალებამდე საქართველოს გადასცა. რა შეგიძლიათ გვითხრათ ამ სახლის შესახებ?

— სანამ კონკრეტულად სახლზე მოგიყვებოდეთ, გეტყვით, რომ ჩემთან ერთად „ქართულ სახლში“ მეუფე ანდრიაც იმყოფებოდა და იქაურობა აკურთხა... რაც შეეხება სახლს: ქალბატონი ანას გადაწყვეტილებით, ის საქართველოს სახელმწიფოს, უფრო კონკრეტულად — ჩვენს საელჩოს გადასცეს, რასაც მისი ნათესავების უკმაყოფილება მოჰყვა, მაგრამ ასაკის მიუხედავად, იუნკრის ქვრივი სრულიად საღ აზრზე იმყოფებოდა და თავისი გადაწყვეტილება ნოტარიალურადაც დაადასტურა... ამ სახლში დაცულია საარქივო მასალები, რომლებშიც საქართველოს ისტორიის მცირე, მაგრამ მნიშვნელოვანი ნაწილი და ქართველი ემიგრანტების ცხოვრებაა გადმოცემული. იმ ადამიანების

იმ საჯარისო ნაწილებს შორის, ვინც შეუპოვარ წინააღმდეგობას უწევდა მტერს, თბილისის საოფიცრო სკოლის კურსანტები — იუნკრებიც იყვნენ

გვარები სრულად არის შემონახული, ვინც პოლონეთის თავისუფლებისთვის სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოდნენ... როგორც ქალბატონმა ანა მათიკაშვილმა ამიხსნა, მისი მეუღლე ნიკოლოზი, გიორგი ლეონიძის თანატოლი და ახლო ნათესავი იყო. ქართველი პოეტი ემიგრანტობაში მყოფ მათიკაშვილს სისტემატურად უგზავნიდა ქართულ პრესას... ქალბატონმა ანამ გოგლას ხელით გაგზავნილი, გაყვითლებული, სათუთად შენახული, ქართული წიგნები და ჟურნალ-გაზეთები მანახვა და მისი მეუღლის მიერ გაკეთებულ, პოლონურ თარგმანებს გავეცანი. ამ სახლში ვნახე, დიდი ხნის განმავლობაში გასაიდუმლოებული მასალები, ქართველი ოფიცრების საქმიანობის შესახებ.

— მათ შვილები არ ჰყოლიათ? და საერთოდ, როგორ დაასრულა ქართველმა იუნკერმა სიცოცხლე?

— არა, შვილები არ ჰყოლიათ. ნიკოლოზ მათიკაშვილი 1993 წელს, 93 წლის ასაკში გარდაიცვალა. სიკვდილამდე კი თავისი მდიდარი მემკვიდრეობა დაანაწილა: ნაწილი ვარშავის უნივერსიტეტის ორიენტალისტიკის ინსტიტუტს გადასცა, ხოლო ნაწილი — თბილისის სამეცნიერო დაწესებულებებს გამოუგზავნა. ცნობილია, რომ ნიკოლოზ მათიკაშვილმა თავისი უმდიდრესი ბიბლიოთეკის დიდი ნაწილი მეორე მსოფლიო ომის დროს დაკარგა. „ქართულ სახლში“ სტუმრად ყოფნისას, ჩემი ყურადღება სახლის ეზოში გაშენებულმა, სათუთად მოვლილმა ქართული, თეთრი და შავი ჯიშის ვაზმა მიიპყრო.

— თავად ნიკოლოზს ჰქონდა მოშენებული?

— დიახ, ქალბატონი ანა სევდიანი ღიმილით მიყვებოდა, — თავადაც არ ვიცი, როგორ მოახერხა ეს, როგორ ჩამოატანინა სამშობლოდან ვაზის ნერგები, მაგრამ ხშირად მეუბნებოდა, შვილები არ გვყავს და ესენი შვილის მაგივრობას გვიწევენო... ვარშავაში ღვინოს ძირითადად, ვაშლისგან ამზადებენ და ძალიან კარგი ღვინო აქვთ, მაგრამ იმ სახლში ქართული ტრადიციებით დამზადებული ღვინო გაგვასინჯეს...

■

სილიკონის მკერდი...

ინგა ჯაყელი



პროვინციულ ქალაქში, როგორც იქნა, ჩავიდა კულტურის სახლის ახალი დირექტორი, ერთი წლის წინ გარდაცვლილი დიმიტრის შემცვლელად. ქალაქის უხუცესებს რაც თავი ახსოვთ, დიმიტრი დირექტორობდა უძველეს კულტურის კერას. ბოლოს ისე მოხუცდა, კაბინეტში მჯდომს ხომ სულ ეძინა და ბოლო ხანს ფეხზე მდგომსაც ეყვინთებოდა კონცერტის დროსაც კი, როცა მომღერალთა გუნდის ლოტბარობა უნდა ეთავა...

საწყალი ძილში გაიპარა, თანაც საკუთარ საწოლში კი არა, სწორედ დირექტორის სავარძელში, რაც კარგა ხანს ეყო ხალხს საქილიკოდ. გასვენებაშიც კი არ მოიშალეს ხუმრობა, როცა დიმიტრის კუბო კულტურის სახლიდან პატივით გამოაბრძანეს.

— ე, ბიჭო, შეანჯღრიეთ ეგ შეჩვენებული მაგრად, ისევ არ ეძინოს, ცოდვაში არ ჩავდგათ ფეხი ცოცხალი კაცის დამარხვით...

დიმიტრის აღარც შეჯანჯღარებამ უშველა, ველარ „გაიღვიძა“; ჰოდა, კარგა ხნით დარჩა კულტურის სახლი დირექტორის გარეშე...

ზუსტად ერთი წლისთავზე დარეკეს დედაქალაქიდან: — კონსერვატორია დამთავრებულ კადრს ვუშვებთ, აბა, თქვენ იცით, როგორ დახვდებითო!..

ორი დღე წმენდდა დამლაგებელი ივლიტა მტვერ და ობმოდებულ ოთახებს. ახალი ფარდებიც მოიტანეს, საკრებულოს გადაწყვეტილებით შეძენილი. სახლში წაღებული ძველი პიანინოც დააბრუნებინეს სკოლის დირექტორ შალვას... მერე დადგნენ ბირჟაზე და იმაზე დაიწყეს მკითხაობა, ახალგაზრდა კაცი იქნებოდა დიმიტრის შემცვლელი თუ ასაკოვანი?! — ღვინო და არაყი ეყვარებოდა თუ კონიაკი?!. ყოველი შემთხვევისთვის, ერთიც მოიმარაგეს და მეორეც. სახელდახელოდ დაკლული ბატკანიც ჩაჰკიდეს თონეში და საქეიფო განწყობილებაც შეიქმნეს, რომ კულტურის სახლის წინ მოედანზე ახალთახალი ჯიპი შემოგრიალდა. მძღოლმა თავი გამოყო და მისალმების შემდეგ იკითხა, ნამდვილად კლუბი იყო თუ არა, მის წინ მდგარი შენობა?!.

როცა დაუდასტურეს, მანქანა საიმედოდ „დააპარკინგა“, კარი გააღო და გადმოვიდა, მაგრამ რა გადმოვიდა: პირი დააღებინა კაცებს... ქალს არც სახე დაეწუნებოდა და არც გავა-წელი, მაგრამ საოცრება ღრმა დეკოლტედან „მომზირალი“ უზარმაზარი მკერდი გახლდათ:

— აუ-უ, ამაზე თავდადებული მომკლა და თუ გინდათ, უკუღმა დამმარხეთ მერე! — დაიღმუვლა მოცეკვავე გოგიამ.

ხატვის მასწავლებელმა აკაკიმ ამდენის თქმაც ვერ შეძლო, გადაცდენილმა ნერწყვმა ხველება დააწყებინა.

— თქვენ ალბათ მე მელოდებით! — გაუღიმა ქალის სახით მოვლენილმა საოცრებამ კაცებს.

— აქამდე კულტურის სახლის ახალ დირექტორს ველოდებოდით და ახლა, ვინც არ უნდა იყო, უფსკრულშიც თან გამოგყვებით ბაწარშებმული ხბოებივით! — სახე აუწითლდა ბუღალტერ ვასოს.

— სწორედ ის ახალი დირექტორი ვარ მე! — სიგარეტის კოლოფი ამოიღო ჯინსის უკანა ჯიბიდან იმ მაცდურმა და სანამ თავად აიღებდა ღერს, კაცებს მიაწოდა.

შალვამ უკუღმა ჩაიდო პირში ანთებული ღერი და ენა დაითუთქა..

— აუ-უ, დამენგრა ოჯახი! — შუბლში თეატრალურად იტკიცა ხელი დრამწრის ხელმძღვანელმა ირაკლიმ.

— გავიცნოთ ერთმანეთი, მე ეკა ვარ! — ისევ აავლო ყური ქალმა კაცების ნათქვამს.

— გათხოვილი ხართ?! — ვერ მოითმინა აკაკიმ.

— ახლა აღარ, ორი ქმარი მოვინელე ისე, რომ იცოდეთ! — გაიღიმა ქალმა.

— ალბათ თქვენს მკერდში ცხვირჩაყოფილები გაიგუდნენ საწყლები! — სულაც არ ჰგავდა ხუმრობას ვასოს ნათქვამი, მაგრამ მაინც გაეცინა ეკას, მერე კი კაბინეტის ჩვენება ითხოვა...

— მოშივებული იქნებით! — შეაპარა გოგიამ.

— ყავაზე ნამდვილად არ ვიტყვი უარს!

— თავპატიჟი არ გამოუდვია ეკას.

— რა ყავა, რის ყავა?! მირონივით ღვინო გვაქვს ჩაცივებული!.. — გააპროტესტეს კაცებმა, არადა, სუფრასთან ვერც ღვინო დალიეს ბევრი და ვერც ლუკმა გადააცდენინეს ყელს, მიშტერებოდნენ ახალი დირექტორის მკერდს და ორი დღის გამოუფხიზლებელ ლოთებს ჰგავდნენ...

იმ ღამეს ცოლები გადარიეს სახლში, რადგან ყველა ერთნაირად აბოდებდა ახალი დირექტორის სახელს და... მკერდის სურვილს...

სულ მუჯლუგუნების კვრით დააღვიძეს ცოლებმა „უნამუსო“ ქმრები, დილით კი შინაური ბატებივით ორ რიგად დაწყობილები გაემართნენ კულტურის სახლისკენ.

— თმებით ვითრევ იმ უნამუსოს! — წიკვინებდა თალიკო. — რა აქვს ამისთანა, მთელი ღამე რომ კვნესოდა ჩემი გამოშტერებული ქმარი?!

— ტვინის ამრევი უნდოდა კიდო ჩემს გამოშტერებულ ქმარს?! — არ ჩამორჩებოდა ნატალია.

— ვაი-ი, ნეტავი ჩემს ირაკლის დაადგას თვალი! — მსხვილ მაჯებზე იხედებოდა ლალი და ასე დაგეშილებმა შეაღეს ეკას კაბინეტის კარი. ქალს ფეხები მაგიდაზე შემოეწყო, პირში სიგარეტი გაეჩრა და ვიღაცას ტელეფონზე ეჭორავებოდა:

— უნდა გენახა რა დაემართათ ჩემი მკერდის დანახვაზე, დაშტერ-დნენ-ენ!..

— ჩვენს ქმრებზე ამბობ მაგას, შე უნამუსო! — იკივლა ზოიამ.

— რას კადრულობთ, თუ იცით, როგორ გაბედეთ ჩემს კაბინეტში შემოჭრა, თქვე ბოსტნის საფრთხობელებო! — აშკარად შეცდომა დაუშვა ეკამ და მოსახდენიც მოხდა. თმაში წაავლო ხელი თალიკომ. არც ეკას გასჭირვებია მისი თმის ხელში ჩაგდება, ძლივს გამოჰგლიჯა ნატალიამ ხელიდან მაზლისცოლი ღონიერ დირექტორს. სწორედ ამ დროს გაუქანა „ბოქსიორივით“ მომუჭული მუშტი ლალიმ ეკას ყბაში სატაკებლად, მაგრამ, რადგან მასზე ბევრად დაბალი იყო, ვერ შეწვდა. მუშტი ეკას მარჯვენა ძუძუში მოხვდა და... უცნაური ტკაცანის ხმაც გაისმა: ძუძუ ბუშტივით მოიმჩვარა...

მთელი ქალაქი შეყარა კულტურის სახლთან ეკას კივილმა...

მოკლედ, მკერდი სილიკონის აღმოჩნდა.

ეკამ ქალებს უჩივლა და სასამართლომ ამ უკანასკნელთ სოლიდური ჯარიმის გადახდა დააკისრა მიყენებული ზარალის სანაცვლოდ, მაგრამ არც ერთს არ უდარდია:

— ახია ჩვენს ქმრებზე და როგორც უნდათ, გადაიხადონ, იმათი ბრალია, რაც მოხდა, მთავარია, ის უნამუსო ისე შევარცხვინეთ, აქეთ მობრუნებას ვერ გაბედავს!..

არც მობრუნებულა... ■

მარცხნიდან პირველი ფიფქი

მარი ჯაფარიძე

გულახდილად მითხარით: თუ იცით, ვინ მოიგონა „წყნარი საათი“? დარწმუნებული ვარ, ბავშვები ამას ვერ მოიფიქრებდნენ... მაშასადამე, ბოროტმა დეიდებმა და ბიძიებმა მოიგონეს...

რა ენაღვლებათ, თვითონ ხომ არ იძინებენ... ჩამოივლიან საწოლებს შორის და შეამოწმებენ, ყველას სძინავს თუ არა და შემდეგ მიდის ყავის ან ჩაის სმა და ნამცხვრის მიყოლება...

ჰოდა, ძილი არც ახლა მიყვარს და არც მაშინ მიყვარდა, როცა ბავშვი ვიყავი და საბავშვო ბაღში დავდიოდი... თვალებს ვხუჭავდი, თავს მოვიმძინარებდი და ჩემი საბავშვო ბაღის ყველა ჭორი ვიცოდი...

ვიმახსოვრებდი, ვინ ვისი საყვარელი იყო, ვის ქმარი ღალატობდა და ვის — ცოლი... მარტო მასწავლებლების შესახებ კი არა, ბავშვების მშობლების შესახებაც ყველა ინფორმაციას ვფლობდი.

ერთ დღეს ახალი მასწავლებელი მოვიდა. სულ ბავშვი იყო (მაშინ ისიც დიდი მეგონა, მაგრამ ახლა ვხვდები, რომ 20-21 წლის თუ იქნებოდა). ჩვენმა ძიძამ რატომღაც აითვალწუნა ეს ახალი მასწავლებელი და გამუდმებით მასზე ჭორაობდა.

— ნამდვილი ბოზის თვალები აქვს, — თქვა ერთხელ.

შინ მისულმა, დედას ვკითხე, ბოზი რა არის-მეთქი (ლამაზთვალება ცხოველი მეგონა, რადგან ნინო მასწავლებლის თვალები ძალიან მომწონდა)? დედამ ისე შემომხედა, მივხვდი, რაღაც ცუდი სიტყვა ვთქვი. ვინაიდან ცნობისმოყვარეობა ვერ დავიკმაყოფილე, მეორე დღეს ჩემსავე ჯგუფელ ბავშვებთან ვცადე, გამერკვია ამ სიტყვის მნიშვნელობა.

— ბოზი ნიშნავს იმას, რომ ღამე არ სძინავს, — თავდაჯერებულად მითხრა ერთმა.

— ბოზი არის ლამაზი ქალი, რომელსაც ყვითელი (ქერას გულისხმობდა) თმა აქვს. ჩემი მეზობელია ასეთი და დედაჩემი ამბობს, რომ ბოზია, — თავისი ვერსია წამოაყენა ელენემ.

— არა, ბოზი იმ ქალს ჰქვია, ჩვენს მაღაზიაში პურს რომ ყიდის: ვიღაც ქალი ეჩხუბებოდა და ასე უთხრა, ბოზი ხარო, — „გაგვანათლა“ მესამემ.

— ის პურის გამყიდველი ლამაზია? — ვკითხე მე.

— ჰო და თანაც, ყვითელი თმა აქვს.

— ჰოდა, ბოზი — ლამაზი და ყვითელთმიანი ქალი ყოფილა! — დავასკვენი მე.

— დედაჩემიც ბოზია, — თქვა ერთმა ბიჭუნამ, რომელიც ჩვენს ჩურჩულს ყურს უგდებდა.

— ჩვენი გამგეც ბოზია, — თქვა მეორემ და ამით დავასრულეთ ამ თემაზე ლაპარაკი.

ჩვენს ჯგუფს 2 ძიძა ემსახურებოდა, რომლებიც დღეგამოშვებით მუშაობდნენ. როცა ეთერის მორიგეობა იყო, თავს იმ ცხვრებივით ვგრძნობდით, რომლებიც სადაცაა, მგლის ლუკმა გახდებიან.

შუადღისას, ეზოდან რომ ამოგვიყვანდა, გამოგვიცხადებდა ხოლმე:

— აბა, ყველანი ტუალეტში შედით! სადილობამდე მოიშორეთ „ფისები“, თორემ სადილის შემდეგ აღარ შეგიშვებთ! — დასჭექდა და სქელ გავაზე ხელებს შემოიწყობდა.

ამ სიტყვების გაგონებაზე ჩემს მეგობარს, მაიკოს ისტერიკა ემართებოდა და იქვე ისველებდა... ძიძა იძულებული ხდებოდა, მისთვის საცვალი გამოეცვალა. ამას მოჰყვებოდა ხოლმე ტირადა: „ენურეზით დაავადებული ბავშვი ბაღში არ უნდა დადიოდეს...“ ძალიან მაინტერესებდა, რას ნიშნავდა „ენურეზი“, რადგან იმდენი კი მესმოდა, რომ რადგან დაავადება იყო, შესაძლოა, გადამდებიც ყოფილიყო (დედა მაფრთხილებდა ხოლმე, როცა ჩემი ძმა ანგინით ან სურდოთი ავად იყო, არ მიეკარო, თორემ გადაგედებაო).

...ჰოდა, აი, ვწევარ თვალებდახუჭული, ვითომ მძინავს. როცა შინ ვარ, დედა უკვე აღარ ცდილობს ჩემს დაძინებას, რადგან იცის, დროს ფუჭად დაკარგავს. საბავშვო ბაღში კი პრეტენზიები არ მიიღება, რადგან ყველაზე ერთი კანონი მოქმედებს. ვწევარ და თავი გმირი მგონია, რადგან მასწავლებელსაც ვატყუებ და ძიძასაც, თითქოს მძინავს და ამას ისე ოსტატურად ვაკეთებ, რომ ჩემს სიმულანტობას თვეების განმავლობაში ვერ ხვდებიან...

ვწევარ და ათას რამეზე ვფიქრობ. მაგალითად, როგორ გამოვათრიო კარადის ქვემოდან დათოს შეყრილი კატლეტები, რომ ჩემს ეზოში „მცხოვრები“ უპატრონო ძაღლისთვის წავიღო. დათოს კატლეტი არ უყვარდა. ხანდახან, თუ კარგ გუნებაზე იყო, კატლეტს ზურას მისცემდა და ისიც მადიანად ჭამდა ნაბოძებ დამატებით ულუფას, ხოლო თუ ცუდ გუნებაზე იყო, მაშინ კატლეტს არავისთვის იმეტებდა. ჩანგალზე წამოაცვამდა და როგორც კი მასწავლებელი და ძიძა შებრუნდებოდნენ, მაშინვე ზუსტი ტყორცნით გაუშვებდა. კატლეტი ლენინის ბიუსტსა და მაღალ საყვავილე ვაზას შორის ჩაიფრენდა, კედელს შეენარცხებოდა და კარადის ქვეშ ჩაცურდებოდა ხოლმე.

თუმცა რამდენჯერმე მიზანს ასცდა და ლენინს ცხვირზე მიეტყეპა, რის გამოც ილიჩის ბიუსტს ცხვირი ისე უპრიალებდა, თითქოს გარუჯული ჰქონდა.

კატლეტებს თანდათან სუნი აუვიდა... ლპობა დაიწყო და დამახასიათებელი „სურნელება“ დააყენა. ძიძა ხანდახან კარადასთან შეჩერდებოდა, ჰაერს ღრმად შეისუნთქავდა, მერე მხრებს შეათამაშებდა და გაივლიდა.

ის იყო, მოვიფიქრე, როგორ შეიძლებოდა კატლეტების ამოღება, რომ უეცრად ეთერის ხმამ შემახტუნა.

— მჭედლიშვილი! აბა, ადექი ახლა და ლეიბის ქვეშ რაც შეინახე, ყვე-

ლაფერი აქ მომიტანე!

ელენე ადგა. გამხდარი ბავშვი იყო, ღამის პერანგი მხრებზე სასაცილოდ ეკიდა, „რეიტუზი“ ჩაჩაჩული ჰქონდა და პეპელასავით მიფარფატებდა.

ელენეს ტუჩებზე წითელი პომადა ესვა, თვალებზე შავი ფანქარი წაესვა და მთლად მოთხაპნილი ჰქონდა. ეთერის წინ გაჩერდა და თავი დახარა. პატარა თითებით მომცრო სარკე ჰქონდა ჩაბღუჯული.

ეთერს თვალები გაუფართოვდა. მერე მასწავლებელს დაუძახა და ხმამაღლა გადაიხარხარა. სწორედ მაშინ თქვა ის ფრაზა, რომელიც რატომღაც მთელი ცხოვრების მანძილზე მახსოვს.

— ბუნება მეცნიერებას ყოველთვის დაჩაგრავს!

შემდეგ ელენეს ხელი ჩაჰკიდა და პირის დასაბანად სააბაზანოში შეიყვანა.

— აბა, დაიძინეთ ახლა სასწრაფოდ, — გვიბრძანა ეთერმა, როდესაც საბნებიდან წამოწეული ჩვენი თავები და ცნობისმოყვარეობით დაქაჩული თვალები დაინახა. მერე ელენეს ხელი ჰკრა და საწოლისკენ უბიძგა.

მე კედლისკენ გადავბრუნდი და დავიწყე თვლა, კიდევ რამდენი დღე უნდა მევლო ბაღში.

საბავშვო ბაღში სულ რამდენიმე თვის მისული ვიყავი. დედამ გადაწყვიტა, სკოლაში მისვლამდე ბავშვს აუცილებლად ბაღში უნდა ევლო, რათა ბავშვებთან ურთიერთობას შეჩვეოდა. ყოველ დილით მე, „დედის კალთას მოუშორებელი“ ბავშვი ვეხვეწებოდი, რომ ბაღში არ წავეყვანე. ვპირდებოდი — თუ შინ დამტოვებდა, თაგვივით ჩუმად ვიქნებოდი მთელი დღე და არც საბავშვო ეტლში მწოლიარე ჩემს ძმას გადმოვაყირავებდი და ცხვირს არ გავუტეხდი, მაგრამ არაფერი მშველოდა.

ჰოდა, ამასობაში ახალი წელიც მოახლოვდა. ზურა დათვი იყო და ამ როლში ისე შეიჭრა, რომ სკოლაში (მერე თანაკლასელებიც ვიყავით) VII კლასამდე არავინ კითხულობდა, ახალი წლის ზეიმზე დათვი ვინ იქნებოდა?

გოგონები „ფიფქების“ ტანისამოსს ვიკერავდით და რეპეტიციას სკამის გარშემო ვატარებდით, რომელიც ნაძვის ხის მაგივრობას სწევდა.

ერთ დღეს, როდესაც შინ „ფიფქის“ კაბას ვიზომებდი, მეზობელი შემოვიდა. ამხედ-დამხედა და მითხრა:

— შენ რა, დანარჩენ „გაკრახმალებულ“ გოგონებთან ერთად აპირებ ამ კაბით ცეკვას? — ჩემი ნაძვის ხის მოსართავი სათამაშოს ნამსხვრევებით მორთული ქაღალდის გვირგვინი ყურადღებით შეათვალიერა.

— დიახ, მე მარცხნიდან პირველი ფიფქი ვარ! — ვუპასუხე არც ისე თავდაჯერებულად.

— რისგან მარცხნიდან? — მკითხა ქალმა გაოცებით.

მხრები ავიჩეჩე.

— დაიმახსოვრე, — მითხრა დოდო დეიდამ, — ჯობია, სულ არ მიიღო მონაწილეობა ამ სულელურ ზეიმში, ვიდრე ერთ-ერთი ფიფქი იყო, — მერე ხმას აუწია: — თუნდაც, მარცხნიდან პირველი!

დავფიქრდი. არც მე მომწონდა წყვილად ცეკვა, ისეთი კურდღლების გამოძერწვა, როგორსაც ყველა აკეთებდა, სარვამარტოდ დედასთვის ისეთი მისალოცის დახატვა, როგორსაც ყველა ხატავდა...

პროტესტის გრძნობა ჩემში უკვე დიდი ხნის წინ იყო მომწიფებული, მაგრამ ამის გამოხატვას ვერ ვბედავდი. ჩემ გვერდით მყოფმა არც ერთმა უფროსმა ადამიანმა არ იცოდა, როგორი ბუნტისთავი ვიზრდებოდი.

— მარი ჩემთან მიმყავს, — გასძახა დოდომ დედაჩემს.

გამიხარდა, რადგან ახლა შემეძლო, მისი ყველა შლაპა მომერგო, მხრებზე მისი ბეწვი მომეგდო, მის მაღალქუსლიან ფეხსაცმელში ფეხი ჩამედგა, მძივები დამეკონწიალებინა, რომლებიც დოდოს ზუსტად იქამდე სწვდებოდა, სადაც დეკოლტე იწყებოდა, მე კი — ლამის კოჭებამდე. გარდერობში დაკიდულ მის საქორწინო კაბაზე ვგიჟდებოდი, ისე მომწონდა, მაგრამ მისთვის ხელის ხლების უფლებაც არ მქონდა, არათუ — მოზომება.

თუმცა ამჯერად სულ სხვა საქმეს მოვკიდეთ ხელი. დოდო დეიდამ საკერავი მანქანა გამოიტანა და წითელი ატლასის ქსოვილისგან ჩემთვის საკარნავალო კაბის კერვას შეუდგა. შემდეგ თავის წითელ კაბას ბუმბულები მოხსნა და თავზე დასამაგრებელიც გამიკეთა.

სარკის წინ ვტრიალებდი, კაბას ვაფრიალებდი და აღტაცებული ვიყავი. ერთი სული მქონდა, როდის დადგებოდა ის დღე, როდესაც ბაღში ამ ლამაზი კაბით ამაყად წარვდგებოდი ყველას წინაშე.

ზეიმი კი სკანდალით დაიწყო: ერთ-ერთ ბიჭს „ფიფქი“ არ ჰყავდა, ვინაიდან ის „ფიფქი“ მე უნდა ყოფილიყავი...

ჩემთვის განკუთვნილი საჩუქარი კი მივიღე, მაგრამ ისიც ისეთივე იყო, როგორიც დანარჩენების. ჰოდა, გამბედაობა მოვიკრიბე და საჩუქარზე უარი ვთქვი.

ზეიმის შემდეგ, შინ წასვლამდე, მასწავლებელმა თავზე ხელი გადამისვა, ლოყაზე მაკოცა და მითხრა:

— ეჰ, გაგიჭირდება, მარიკუნა, ცხოვრებაში, ძალიან გაგიჭირდება...

— რატომ? — გაოცებულმა ვკითხე.

— გეტყობა, ბევრი ზღაპარი გაქვს მოსმენილი... ზღაპარი, რა თქმა უნდა, კარგია, მაგრამ ცხოვრება სასტიკია. ბრძენი უნდა იყო, რომ ცხოვრებამ კვანტი ვერ დაგიდოს და შუბლზე კოპები არ დაგასვას. ადამიანებს არ უყვართ ისინი, ვინც მათგან განსხვავდებიან...

მხრები ავიჩეჩე და გავიფიქრე: „სულაც არ იყო ცუდი, რომ ყველას თეთრი კაბა ეცვა დღეს, მე კი — წითელი...“

ამ დროს ეთერი შემოვიდა. აკეცილი წინსაფარი ოდნავ გადმოშალა და მასწავლებელს აყროლებული კატლეტები დაანახვა.

— როგორც იქნა, მივაგენი. სუნით ვიპოვე. მე მგონი, მილიციაში, მაძებარ ძაღლად გამოვდგები. ნინო, როგორ ფიქრობ, მიმიღებენ? — გაიცინა ქალმა. — ახლა კი იმასაც მივაგნებ, ვინც ამდენი კატლეტი გააფუჭა!..

უფროსებმა გაიცინეს.

მე კი წარმოვიდგინე, ჯაჭვგამობმული ეთერი მილიციის ეზოში მავთულის გაყოლებაზე რომ დარბის ყეფა-ყეფით და ჯერ მეც სიცილი ამიტყდა, შემდეგ კი ეთერი ისე შემეცოდა, ძალიან მომინდა, მისთვის რაიმე სასიამოვნო მეთქვა.

— ეთერი მასწავლებელო, თქვენ ძალიან ბოზი ხართ, გოჩას დედასავით ბოზი, — ვთქვი და დაველოდე, როდის აღმოხდებოდა ეთერს აღტაცების შეძახილი, მაგრამ მან ზეიმისთვის საგანგებოდ ქერად შეღებილ თმაზე ხელი გადაისვა და უკან გაბრუნდა.

კიდევ კარგი, დედაჩემმა და გოჩას დედამ ვერ გაიგონეს ჩემი ნათქვამი, თორემ ალბათ მაგრად მომხვდებოდა (საახალწლო არდადეგების შემდეგ, ბაღში დაბრუნებულმა კი ეთერს ავუხსენი, რომ სიტყვა „ბოზი“ ლამაზ და ყვითელთმიან ქალს ნიშნავს; მან ისე გაიღიმა, რომ მივხვდი — მაპატია)...

შემდეგ გადავწყვიტე, ჩემთვის განკუთვნილი საჩუქარი მაინც ამეღო, რადგან გამჭვირვალე ცელოფნიდან მზისფერი მანდარინი მაცდუნებლად ელავდა. პარკში ხელი ჩავყავი და კანფეტი ამოვიღე. „დათუნია“ — ეწერა ქაღალდზე...

დღესაც ძალიან მიყვარს ეს კანფეტი... ■

ის ერთადერთია, რომელიც მიყვარდა



არის თუ არა გამართლებული, სიყვარულის სახელით ყველაფერზე წასვლა? იოლია თუ არა ცხოვრება, როცა აცნობიერებ, რომ შენი ბედნიერება სხვისი უბედურებისა და ცრემლის ხარჯზე აიგო? ამ კითხვებზე ჩემი რესპონდენტის მონათხრობი გასცემს პასუხს („არც „მტაცებელი“ ვარ და არც „მონადირე“ ქალი“), „კვირის პალიტრა“, 17 მარტი, 2008 წ.)

მარინა ბაბუნაშვილი

ამბავი პირველი
ვერც ის შემელია

ნანა 38 წლისაა და 3 წლის მარიამი ჰყავს. ქალს შვილის გაზრდაში ბავშვის მამაც ეხმარება, მაგრამ იგი მათთან არ ცხოვრობს. ზურაბს სხვა ოჯახი ჰყავს...

ამონარიდი წერილიდან: „რას ვიფიქრებდი თუ ოდესმე ბედს ცოლიან მამაკაცს დავუკავშირებდი, მაგრამ ეს ცხოვრება მოულოდნელობებითაა სავსე.“

ზურაბსა და ნანას დიდი ხნის „ნაცნობობა“ აკავშირებდათ. მათ სტუდენტობაში ერთმანეთი უყვარდათ. მერე წაკინკლავდნენ და... ნანა მოულოდნელად გათხოვდა. უნდოდა ზურასთვის სამაგიერო გადაეხადა და ჭკუა ესწავლებინა... მართალია ზურამ ძალიან განიცადა ეს ამბავი, მაგრამ არც ნანა იყო კარგ დღეში. მეორე დღესვე მიხვდა, რომ გამოუსწორებელი შეცდომა დაუშვა. რამდენიმე თვის შემდეგ ნანა ქმარს გაშორდა. გულწრფელად სურდა, ზურაბისთვის პატიება ეთხოვა, მაგრამ მეგობრებისგან იცოდა, რომ ბიჭს მისი დანახვაც აღარ უნდოდა და ყველას აუკრძალა ნანას ხსენება, ამიტომ დარდი გულში ჩაიკლა და ვეღარ გაბედა მასთან მისვლა.

გავიდა წლები. ნანა აღარ გათხოვილა. თავის პროფესიას — სამსახიობო საქმეს მიჰყვა და მალე დიდ წარმატებასაც მიაღწია. რაც შეეხება ზურაბს, იგი დაოჯახდა და ორი შვილი შეეძინა.

რამდენიმე წლის წინ თეატრში სრულიად მოულოდნელი სტუმარი ეწვია ნანას. საგრიმიოროში უხერხული სიტუაცია შეიქმნა — ნანა გაფართოებული თვალებით მისჩერებოდა კარის ზღურბლზე მდგარ გაღიმებულ მამაკაცს, რომელსაც ხელში დიდი და ლამაზი თაიგული ეჭირა. ზურაბმა ისე უბრალოდ და გულწრფელად დაპატიჟა საღამოს, სპექტაკლის შემდეგ კაფეში, თითქოს ამდენი წელი არ მდგარიყოს მათ შორის და არც არაფერი მომხდარიყოს. ზურაბს იმ საღამოს არაფერი დაუმალავს ნანასთვის.

ამონარიდი წერილიდან: „ზურაბმა მიკიბ-მოკიბვის გარეშე მითხრა: როგორ არ ვეცადე, მაგრამ ვერც ცოლი, ვერც სხვა ქალი შენსავით ვერ შევიყვარე, ამიტომაც გადავწყვიტე, მენახე და მეთქვა ეს ყველაფერიო. პირდაღებული შევცქეროდი, კი მაგრამ, ჩემ გამო ცოლის მიტოვებას აპირებ-მეთქი? გაეცინა: — ნუ სულელობ, შენთან ყოფნას ცოლთან დაშორება რად უნდა? ცოლი ჩემი შვილების დედაა, ოჯახის დიასახლისი. ვიცი, რომ გათხოვებას აღარ აპირებ, არ გირჩევნია, ჩემი საყვარელი იყო? ერთმანეთს ბევრ ლამაზ და ბედნიერ დღეს ვაჩუქებთო. შეურაცხყოფისგან ავკანკალდი. ეს არ იყო ის ზურა, რომელსაც ვიცნობდი და მიყვარდა, რომელსაც გაგიჟებით ვუყვარდი და ღამეებს ათენებდა ჩემ გამო. სკამიდან წამოვხტი, — მეზიზღები-მეთქი, — მივაძახე და უკანმოუხედავად გამოვიქეცი“.

ზურა ერთი კვირა არ გამოჩენილა. ამ ხნის განმავლობაში ფიქრებს თავს ვერ აღწევდა ნანა — ამდენი ხნის მერე რატომ მოვიდა ჩემთან? ნუთუ, იმიტომ რომ საყვარლობა შემომთავაზოს? მართლა თუ ვუყვარვარ, ეგ როგორ შემომკადრა?.. არა, ისევ რომ გამოჩნდეს, სამუდამოდ ზურგს შევაქცევ... ეს რა გამიბედა, როგორ გათავხედებულა?! — საკუთარ თავს ელაპარაკებოდა, უნდოდა შეეწყვიტა ზურაბზე ფიქრი, მაგრამ ვერ ახერხებდა...

მერვე დღეს ზურაბმა კვლავ მიაკითხა ნანას. ღიმილით მოიკითხა, მერე კი, ვითომც არაფერიაო, მშვიდად ჰკითხა: ნანა, რატომ გაიქეცი კაფედან, ისევ 20 წლის გოგო გგონია შენი თავი? აღარ არის დრო, რომ სერიოზულად დაფიქრდე, წარსულიც გაანალიზო და დღევანდელობასაც რეალური თვალით შეხედოო?.. მოკლედ, იმდენი ქნა, ნანა კვლავ დაითანხმა შეხვედრაზე.

ამონარიდი წერილიდან: „ხომ ამდენი ვიბობოქრე და საკუთარ თავთან ვიკამათე, გამოჩნდა, დამეღაპარაკა და მაშინვე დამავიწყა წყენა. ახლაც მიკვირს, რატომ ვემორჩილებოდი. ალბათ იმიტომ, რომ ერთადერთი მამაკაცი, რომელიც მართლა მიყვარდა, ზურა იყო... აღარ მალავდა და კატეგორიულად აცხადებდა: „მე შენ აღარ დაგკარგავ და არც იმის უფლებას მოგცემ, კვლავ ხელი მკრაო“.

ნანა მარტო ცხოვრობდა. ზურაბი ისე იქცეოდა, როგორც საქმრო, თუმცა ყველამ კარგად იცოდა, რომ ცოლშვილიანი იყო. ზურაბი ნანას მშობლებთანაც იყო სტუმრად, მის ძმასაც დაუმეგობრდა, საერთო ბიზნესიც კი წამოიწყეს ერთად, მაგრამ... ის, რაც აუცილებლად გასარკვევი იყო, არ ირკვეოდა — ზურაბი ხმას არ იღებდა ნანასთან ქორწინებაზე. სწყინდათ ნანას ახლობლებს, მაგრამ მისივე თხოვნით არაფერს ამბობდნენ.

როცა ნანამ ზურაბს გაუმხილა, რომ ბავშვის გაჩენა სურდა, მისგან უარი მიიღო. ნანა ამას არ მოელოდა. მან უკვე იცოდა, რომ ზურაბი ოჯახს თუნდაც მის გამო, არასოდეს არ დაანგრევდა, მაგრამ ბავშვზე თუ უარს იტყოდა, ნამდვილად არ ეგონა... ქალმა გადაწყვიტა ბავშვი მაინც გაეჩინა, თუნდაც ამის გამო ზურა დაეკარგა.

ამბავი მეორე
სანამ გამამტყუნებენ, ჯერ მიპასუხონ...

ნანა პირს აღარ უჩვენებდა ზურას. ერთხანს მშობლებთან ყოფნა არჩია, თეატრიდანაც წამოვიდა. ერთი თვის შემდეგ ზურამ მოინახულა და უთხრა: ნუ გამებუტები, ბევრი ვიფიქრე, თანახმა ვარ, ბავშვი გააჩინო. ჩემი უარის მიზეზი კი მხოლოდ ის იყო, რომ მეშინოდა, ჩვენს პატარას ყურადღება არ მოჰკლებოდა. გპირდები, ყველაფერს გავაკეთებ თქვენი ბედნიერებისთვისო...

— ნანა, შეასრულა ზურაბმა თავისი პირობა?

— ზურაბმა კი შეასრულა ეს პირობა, მაგრამ პირადად მე ბევრი ვინერვიულე, ძალიან ძნელი ყოფილა, ცოლიან კაცთან ურთიერთობა.

— როგორც ვიცი, ზურაბმა არჩევანი მაინც ოჯახის სასარგებლოდ გააკეთა და თავს მაინც ბედნიერად გრძნობ?

— ზურაბმა ოჯახის სასარგებლოდ იმიტომ გააკეთა არჩევანი, რომ მოვალეობისა და პასუხისმგებლობისგან არ გათავისუფლდა, თორემ იმაში ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ მეც და მარიამიც ძალიან ვუყვარვართ.

— ნუ მიწყენ ამ კითხვისთვის, მაგრამ იქნებ, ოჯახს სწორედ სიყვარულის გამო ვერ შეელია, თქვენდამი კი პასუხისმგებლობას გრძნობს?

— არა, არ გიწყენ, მაგრამ ფაქტია, მე ვუყვარდი, მერე დავშორდით, მან ოჯახი შექმნა, მერე მიპოვა და ვეღარ შემელია... ბოლოს და ბოლოს, თავადაც სულ ამას მეუბნებოდა, ვერც ცოლი და ვერც სხვა ქალი შენსავით ვერ შევიყვარეო!

— და გჯერა მისი?

— მჯერა, იმიტომ, რომ ამ სიყვარულს ყველაფერში ამჟღავნებს, დღე არ გავა, არ გვინახულოს, საჩუქრებით გვავსებს, არაფერს გვაკლებს, დასასვენებლადაც ვახერხებთ ხოლმე ერთად წასვლას...

— და თავის ოჯახში, თავის ცოლთან რომ მიდის, ეს არ გაწუხებს? დისკომფორტს არ გიქმნის?

— ვერ ვიტყვი, რომ არ განვიცდი, მაგრამ არ მაქვს უფლება, პროტესტი ხმამაღლა გამოვთქვა. მე ის ძალიან მიყვარს და ამით ყველაფერია ნათქვამი.

— აღნიშნე, ბევრი ნერვიულობა გადავიტანეო, რასთან იყო დაკავშირებული იგი?

— ხომ იცი, დამალული არაფერი რჩება! ზურაბის ცოლმაც გაიგო ჩვენი ურთიერთობა და თურმე მეტუქრებოდა, თეატრში მივუვარდები და სახლშიც, საქვეყნოდ უნდა შევარცხვინო ეგ კახპა, ოჯახს მინგრევსო!

— ამტყუნებ?

— არ ვიცი, რა ვთქვა. მის ადგილზე რომ ვიყო, რა თქმა უნდა, საშინელი გრძნობა დამეუფლებოდა, მაგრამ ერთი რამ ვიცი, ჩემს მეტოქეს ლანძღვა-გინებასა და თითის ქნევას არ დავუწყებდი.

— შენმა მშობლებმა და ძმამ როგორ გადაიტანეს ეს ყველაფერი?

— არც მათ ესიამოვნათ ჩემი ურთიერთობა ცოლიან კაცთან, მაგრამ რა ექნათ? იციან, რომ ზურაბი ერთადერთი მამაკაცია, რომელიც უსაზღვროდ მიყვარს. მისი დაკარგვა ჩემთვის სიკვდილის ტოლფასი იქნებოდა.

— ჰო, მაგრამ ისიც აღნიშნე, რომ ბავშვი იმდენად მინდოდა, მზად ვიყავი ამის გამო ზურაბი გამეწირაო.

— ერთადერთი გამონაკლისი ბავშვი იყო, მაგრამ უნდა ვაღიარო (ახლა მაინც, რადგან გულწრფელი საუბარი გვაქვს), რომ ქვეცნობიერად ვგრძნობდი, ზურაბი არ მიმატოვებდა. იცით, რა გააკეთა... ბავშვის თაობაზე კამათი რომ მოგვივიდა? ლეკვი მომიყვანა, — ვიცი, როცა სახლში ხარ და მელოდები, ათასი სისულელე გიტრიალებს თავში, ეს ლეკვი კი ჩემს მოსვლამდე გაგართობსო!

— რეაქცია მძაფრი გექნებოდა!

— უმძაფრესი, მაგრამ ეს წივილ-კივილით არ გამომიხატავს, მშობლებთან წავედი და აღარ ვეჩვენებოდი. მიხვდა, რომ მკარგავდა. მოვიდა, მომიბოდიშა და ნება დამრთო, გამეჩინა ჩვენი მარიამი, რომელიც დღეს სიგიჟემდე უყვარს.

— ზურაბის ცოლმა როგორ გადაიტანა ქმრის მეორე ოჯახის არსებობა?

— არ ვიცი. ეს საკითხი ზურაბმა მოაგვარა, მე შეგნებულად არაფერს ვეკითხები ცოლზე. თავიდან, იცი, რა ამბავი იყო? თითქოს ხალხს მეტი სალაპარაკო არ ჰქონდა. ყველას ზურაბი და ნანა ეკერა პირზე. ბევრის თვალში მე ახლაც ოჯახის დამანგრეველი და მტაცებელი ქალი ვარ, არადა, ნამდვილად არ ვარ ასეთი. მე არ მიბრძოლია ძველი სიყვარულის დასაბრუნებლად. ზურაბმა თვითონ მიპოვა. ვინც ჩემს გამტყუნებას დააპირებს, ჯერ ამ კითხვაზე გამცეს პასუხი: რომელი უფრო დიდი ცოდვაა, ცხოვრობდე მხოლოდ მოვალეობით ან იყო მარტოხელა, თუ იცხოვრო სიყვარულით და აღასრულო ყველაზე დიდი ქალური ვალი — შვა ახალი სიცოცხლე და მისთვის იზრუნო?! ■

ჟურნალისტს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ
ტელ: 899.27.25.61
ან ელფოსტით babunamarina@yahoo.com

აურზაური შინიდან გაგდებული დედამთილის გამო

მოხარული ვარ, რომ მკითხველების წერილებმა მოიმატა. უმეტესობას მაინც საპირისპირო სქესთან დაკავშირებული პრობლემა აინტერესებს. თუმცა, ვინაიდან ამ საკითხზე უკვე ბევრი გვისაუბრია, ამჯერად განსხვავებულ თემაზე შევაჩერებ თქვენს ყურადღებას.

გრაფი თარხანი

— გამარჯობა, გრაფო. მინდა, ჩემი პრობლემის შესახებ მოგიყვეთ. ამ 1 წლის წინ საყვარელ მამაკაცზე გავთხოვდი. 12 ნოემბერს ვიმშობიარე და საკეისრო კვეთით ბიჭი გავაჩინე. ჩვენთან ერთად (ჩემი მშობლების ნაჩუქარ ბინაში) ცხოვრობდა ჩემი დედამთილი, რომელიც ავადაა და გამუდმებით ახველებს. ჯერ კიდევ სამშობიაროში ვიყავი, როდესაც დედამთილს დავურეკე და ვთხოვე, რომ სანამ შინ დავბრუნდებოდი, შინიდან წასულიყო. რა ვქნა, რომ საცხოვრებელი სხვაგან არ აქვს? ჩემი ბრალი ხომ არაა? მას მეორე შვილიც ჰყავს და მასთან წავიდეს. შემპირდა, რომ თხოვნას შემისრულებდა და მეც დავმშვიდდი, მაგრამ ამის შემდეგ, სამშობიაროში, ჩემს სანახავად მოსული ქმარი გამუდმებით მიბრაზდებოდა და აგრესიით მელაპარაკებოდა. თუმცა, დედამისთან დაკავშირებით სიტყვას არ ძრავდა და არ მეუბნებოდა, რომ ჩემმა თხოვნამ გააღიზიანა. როდესაც ბავშვით შინ დავბრუნდი, ღამის გავგიჟდი, ბავშვის ოთახში, ნოხზე ნაგავი ეყარა და ჩემი დედამთილის ძაღლს ეძინა. რაღა თქმა უნდა, დედამთილიც იქ ბრძანდებოდა. ვინაიდან მე ახალი ნაოპერაციევი ვიყავი, მუცელი და წელი მტკიოდა და ბავშვის ხელში დაჭერასაც ძლივს ვახერხებდი, ვთხოვე, ნაგავი აეღო და ძაღლიც გაეყვანა ოთახიდან, მაგრამ უსიტყვოდ შებრუნდა და გავიდა. აქ უკვე ნერვებმა მიმტყუნა და რაც შეიძლებოდა, მშვიდი ხმით კიდევ ერთხელ ვთხოვე, ჩვენი სახლიდან წასულიყო. თან, ისიც დავამატე, არ გეწყინოს-მეთქი. ახლა ღორის გრიპია გავრცელებული, ის კი ახველებს და მეშინია, ბავშვს არ გადაედოს. მითხრა, რომ არ ეწყინა, მაგრამ ჩვენთან აღარასოდეს მოვიდოდა. საღამოს, როდესაც ჩემი ქმარი დაბრუნდა, ამ თემაზე ვისაუბრეთ. მითხრა, დედაჩემს თავი დაანებე, ავადაა და თან პრობლემები აქვს, სამსახურს ვუშოვი და მერე გადავა სხვაგანო. თუმცა, მეორე დილით დედამთილს ისევ შევახსენე, რომ სახლიდან წასულიყო. ამის შემდეგ, ჩემი ქმარი, რომელიც დილის 9-დან საღამოს 7 საათამდე მუშაობს, შინ თითქმის აღარ მოდის. აღარც ფულს მაძლევს. მეუბნება, რომ ფულს რაღაც საქმეში დებს და მალე ორმაგად ამოიღებს. ამბობს, რომ ყველაფერს ჩემთვის და ჩვენი შვილისთვის აკეთებს და როდესაც ვეკითხები, სად იყო ღამის 3 საათამდე, მპასუხობს, რომ არ არის ვალდებული, ანგარიში ჩამაბაროს. მოკლედ, ყველაფერს ვითმენდი, იმასაც, რომ ბავშვი ხელში ერთხელაც არ აუყვანია, როცა დახმარებას ვთხოვ, მეუბნება, რომ დაკავებულია. როდესაც ვურეკავ, ხან ტელეფონს არ პასუხობს, ხან კი სულ გამორთავს ხოლმე. ერთ დღეს კი მისი ნივთები მოვაგროვე და როდესაც დილით, 9-ის ნახევარზე, როგორც იქნა, შინ ტანისამოსის გამოსაცვლელად დაბრუნდა, ვკითხე, სად იყო. რესტორანშიო, მიპასუხა. იქ გეძინა-მეთქი? არ ვიციო. მაშინ ვუთხარი, ღამის 3 საათზე რომ ვურეკავდი და ყურმილს არ იღებდა, იქნებ რამე გვიჭირდა? თუ ბავშვი და მე არ ვაინტერესებთ, შეუძლია, წავიდეს. ერთმანეთს შეურაცხყოფაც კი მივაყენეთ, ვიჩხუბეთ. შემპირდა, რომ დღის განმავლობაში მოიფიქრებდა, როგორ მოიქცეოდა და საღამოს მოვილაპარაკებდით. მისი წასვლის შემდეგ რჩევისთვის მამაჩემს დავურეკე. რამდენიმე ხნის შემდეგ მამამ დამირეკა და მითხრა, რომ ეს ყველაფერი თურმე იმიტომ ხდებოდა, რომ დედამისი შინიდან გავუშვი. მამაჩემისთვის უთქვამს, მაგას ვასწავლი, როგორ უნდა ჩემი პატივისცემაო. სიმამრს შეჰპირებია, სამსახურის შემდეგ შინ მოვალ და მშვიდად დაველაპარაკებიო. საღამოს მხოლოდ 15 წუთით შემოირბინა და რას დავილაპარაკებდით? მხოლოდ ის მითხრა, რომ სამსახურშიც და სამართალდამცავებთანაც პრობლემა აქვს და მანქანით აღარ დადიოდა. როდესაც ვკითხე, სად იყო ჩვენი ავტომობილი, მიპასუხა, რომ მეგობარს ათხოვა. იმის მერე ყოველდღე ამბობს, რომ საღამოს მანქანით დაბრუნდება, მაგრამ მატყუებს. 21 დღეა, ქმარი წესიერად არ მინახავს. შინ დაბ-

რუნებული ამბობს, რომ დიდი ხნის უძილოა, მაგრამ შეუძლებელია, ადამიანმა ამდენ ხანს უძილოდ გაძლოს. გამოდის, რომ სადღაც ახერხებს გამოძინებას. როდესაც ვთხოვდებოდი, მეგონა, ვუყვარდი. ნუთუ არ ესმის, რომ ვეჭვიანობ, როდესაც შუაღამისას ან სულ არ ბრუნდება? ამ ამბების გამო ბავშვს სათანადო ყურადღებას ვერ ვუთმობ, ნერვიულობის ნიადაგზე რძეც გამიშრა. ახლა მისი დახმარება და თანადგომა მჭირდება. ის კი თურმე, ჩემი დასჯითაა დაკავებული. თუ ადამიანს უყვარს, ნუთუ შეუძლია, ასე მოიქცეს? ამდენი ჩხუბითა და კამათით დავიღალე. უბრალოდ, სიმართლის გაგება მინდა. იქნებ მას არ ვუყვარვარ, ბავშვი კი უბრალოდ, არ უნდა? იქნებ მის ცხოვრებაში სხვა ქალი გამოჩნდა, რომელიც შეუყვარდა? როგორ მოვახერხო მასთან დალაპარაკება, არ ვიცი. გუშინ ღამის 11 საათზე მოვიდა და მკითხა, რა თანხა ჰქონდა ჩემთვის მოცემული მთელი თვის განმავლობაში. დავუსახელე. დანარჩენი ფული სად წავიდაო? მკითხა. მხრები ავიჩეჩე. კი, მაგრამ ოჯახი შიმშილით რომ კვდება, შენ ამ დროს გულხელდაკრეფილი რატომ ხარო? მკითხა, მერე ჩემი საფულედან უკანასკნელი „კაპიკები“ ამოიღო, დამიბარა, ფულის საშოვნელად მივდივარ, 2 საათში დავბრუნდებიო და წავიდა. დილით, 9 საათზე დაბრუნდა და არც ფული მოუტანია. არ ვიცი, კიდევ რამდენ ხანს შევძლებ ამის ატანას. როგორ მოვიქცე? ხანდახან მეჩვენება, რომ ყველაფერი კარგადაა და უბრალოდ, გავგიჟდი. მაპატიეთ, რომ ამდენი დავწერე და ძვირფასი დრო წაგართვით, მაგრამ მართლა ძალიან მიმძიმს. იქნებ დამეხმაროთ? დარწმუნებული ვარ, მიყვარს, მისი დაკარგვა არ მინდა და იქნებ მირჩიოთ, როგორ მოვახერხო ამ პრობლემის გადაჭრა. ან ღირს კი მისთვის ყველაფრის პატიება მხოლოდ იმის გამო, რომ ბავშვს მამა ჰყავდეს?

— შევეცდები, მოკლედ გიპასუხოთ. თქვენი ნაამბობიდან გავიგე, რომ გათხოვდით და შვილი გააჩინეთ იმ ადამიანისგან, ვისაც ავადმყოფი დედა ჰყავს, თვითონ კი უამრავი პრობლემა და უცნაური ქცევა აქვს. თქვენმა მოწადინებამ და პრობლემის მოგვარებისთვის არჩეულმა სტრატეგიამ შედეგი ვერ გამოიღო. ის თავის დაპირებებს არ ასრულებს. იქნებ ცოტა ხნით ემოციებისგან გათავისუფლდეთ („მიყვარს, მაგრამ დაკარგვა არ მინდა“) და სერიოზულად დაფიქრდეთ, რა გირჩევნიათ. იმ „სიმპტომების“ მიხედვით, რაც თქვენ ჩამოაყალიბეთ, სავარაუდოა, რომ ის ღამეებს აპარატებზე თამაშში ათენებს და ამას მიიჩნევს ფულის დაბანდებად. სწორედ ამის გამო არ აქვს ფული და არ სძინავს. შეეცადეთ, გაარკვიოთ, ეს ნამდვილად ასეა თუ არა. თუ მარტო ვერ შეძლებთ, მშობლები დაიხმარეთ. ამის გარკვევის შემდეგ შეგიძლიათ, გადაწყვეტილების მიღებაზე იფიქროთ. როგორი რჩევაც უნდა მოგცენ მშობლებმა, შეეცადეთ, მოუსმინოთ მათ, ვინაიდან, თუ ქმარი გონზე არ მოვა და ცხოვრებას ძველებურად განაგრძობს, სავარაუდოა, რომ გარკვეული პერიოდის განმავლობაში მშობლების კმაყოფაზე მოგიწიოთ ყოფნა. თანაც, დასასრულ მინდა გითხრათ, რომ დედამთილთან ურთიერთობაში მთლად მართალი არ ხართ და იქნებ დაფიქრდეთ ამ ყველაფერზე, ცოტა თქვენ დათმოთ, ცოტა მან და ოჯახის კეთილდღეობაზე იზრუნოთ? წარმატებებს გისურვებთ.

მამაშვილობა

— გრაფო, მოხარული ვარ, რომ თქვენთან დაკავშირების საშუალება მაქვს. პროფესიით მხატვარი ვარ. 28 წლის ვაჟთან ერთად ვცხოვრობ. დედამისს დიდი ხნის წინ გავშორდი. მაშინ ჩემი შვილი 6 წლის იყო. 15 წლამდე დედასთან ცხოვრობდა, მაგრამ ძალიან განიცდიდა, ოჯახის დანგრევას და იმასაც, რომ ერთად არ ვცხოვრობდით. გაყრის ინიციატორი ჩემი ცოლი გახლდათ. უსიყვარულოდ გამომყვა. როდესაც ბიჭი 15 წლის გახდა, საცხოვრებლად ჩემთან გადმოვიდა, რაზეც დედამისი არ შეწინააღმდეგებია. ამის შემდეგ ჩემი ცოლი ბავშვის აღზრდაში აღარ მონაწილეობდა. დათო თავის პირად ცხოვრებას ვერ აწყობს, მას დედის სიყვარული და მზრუნველობა აკლია. როდესაც დედამისს ეკითხება, რატომ არ ურეკავს, ის პასუხობს, რომ მოღალატე შვილთან ურთიერთობა არ სურს და რადგან მან მამასთან ცხოვრება არჩია, ახლა მისი ცხოვრება აღარ აინტერესებს. ნუთუ ჩვენი შვილი მართლა მოღალატეა და დედას უფლება აქვს, შური იძიოს მასზე იმის გამო, რომ ჩემთან ცხოვრება არჩია? მას დედისთვის არ უღალატია და არც უარი უთქვამს მასზე. დედამისი ასეთი ქცევით შვილს გულს უკლავს. არ სურს, შვილს დედობრივი სიყვარული აგრძნობინოს და ხომ კარგად მოგეხსენებათ, რომ დედობრივი სიყვარულის გარეშე ადამიანი არასრულფასოვანია. განათლებული ქალია, მაგრამ ამდენი არ ესმის. რას მირჩევთ? ჩემს შვილს ცხოვრებაზე ხელი აქვს ჩაქნეული და ხშირად სვამს. პატივისცემით, რომანი.

— ბატონო რომან, რა თქმა უნდა, თქვენი ყოფილი ცოლი უსამართლოდ ექცევა შვილს. მასში გაღვიძებულმა შურისძიების გრძნობამ და წყენამ დედობრივი სიყვარული დაჩრდილა, მაგრამ ეს მისი პასუხისმგებლობის საკითხია. ვინაიდან ამ ქალბატონს ასე აქვს გადაწყვეტილი, სავარაუდოდ აზრს ვერ შეავცვლევინებთ. ახლა მთავარია, რომ შვილს დაეხმაროთ. საამისოდ კი აუცილებელია ფსიქოლოგთან მიიყვანოთ. გამოცდილი სპეციალისტი დედის მიმართ პატივისცემის გრძნობას წინა პლანზე წამოსწევს. თუ ფსიქოლოგის მიერ ჩატარებულ მკურნალობას დაექვემდებარება, მისი ცხოვრება შეიცვლება. დამიჯერეთ, რომ ამ შემთხვევაში სხვა რჩევის მოცემა არ შემიძლია. თქვენს ვაჟთან ფსიქოლოგის უშუალო კონტაქტია საჭირო. ეს იქნება ყველაზე ეფექტური და გამართლებული გზა. ■

სამყარო

ლამაზფეხებიანების წელი
და დაძველებული გლამური

ანუ 2010 წლის მოდის ტენდენციები

სიტყვა „მოდა“ კულტურის ან საყოფაცხოვრებო სფეროში მოკლე დროით გაბატონებულ გემოვნებას ნიშნავს, რომელიც პერიოდულად ზედაპირულ ცვლილებებს განიცდის. მოგეხსენებათ, სამოსი ადამიანის სილუეტს კორექტირებას უკეთებს, ზოგჯერ კი საერთოდ მალავს სხეულის ამა თუ იმ დეფექტს. 2010 წლის მოდა საკმაოდ თამამი და წინა წლისგან რადიკალურად განსხვავებული იქნება. ახალ ტენდენციებზე სასაუბროდ დიზაინერ ავთო ცძვიტინიძეს ვესტუმრეთ.

თამთა დადეშელი

— 2010 წელს აქტუალური იქნება ოქროსფერი, ვერცხლისფერი, შავი და თეთრი სამოსი. კაბის სიგრძე ძალიან დამოკლდება. არ ვიცი, ქართველი ქალბატონები ამ სიახლეს რამდენად შეეგუებიან. ამიტომაც, ჩვენ შევეცდებით, „გავაქართულოთ“ და ძალიან მოკლე კაბები არ შევკეროთ. მოდაში იქნება აბრეშუმით, შიფონით შეკერილი და მაქმანებით გაფორმებული ტანისამოსი. 2010 წლისთვის კლასიკური ქსოვილის „გაჯინსება“ და ლაზერით დამუშავება მოხდა. ადრე ვერავინ წარმოიდგენდა, რომ მაგალითად, შიფონს დავგლეჯდით, გავცვეთდით ანუ საკმაოდ სერიოზული სიახლეა — დაძველებული გლამური. მინიკაბებს ძალიან მოუხდება სქელი, თვლებით გაფორმებული ან ნაქარგებიანი კოლჰოტი. ასევე აქტუალურია ქვებით, კრისტალებით, ბეწვით გაფორმებული სამოსი.

— როგორი სტილის შარვლები იქნება მოდაში?

— მოდაში თანდათანობით შემოვა სწორი შარვლები, ე.წ. ბანანის სტილი კი, რომელიც ამ სეზონზე საკმაოდ აქტუალურია, ზაფხულის მოსვლასთან ერთად, პოპულარობას დაკარგავს და მისი სილუეტები საბოლოოდ გასწორდება.

— რა სიახლეებს უნდა ელოდონ მოდის მიმდევარი მამაკაცები?

— რაც შეეხება მამაკაცებს, განსაკუთრებით — ქართველებს, მათთან გაცილებით მარტივადაა საქმე, რადგანაც ისინი ძირითადად, 2-3 ფერის — შავის, ნაცრისფრისა და ლურჯის მომხმარებლები არიან, იშვიათად კი ვარდისფერ პერანგსაც ყიდულობენ. 2010 წლის ტანისამოსი საკმაოდ თამამ ტონალობაში უნდა იყოს გადაწყვეტილი, მაგრამ ქართველი მამაკაცი მას ვერ შეეგუება. ეს იმას სულაც არ ნიშნავს, რომ ქართველები ცუდად იცვამენ. მე მომწონს ქართველი მამაკაცის კლასიკურ სტილთან მიახლოებული ჩაცმულობა. მამაკაცების გასახარად ვიტყვი, რომ მსოფლიოს წამყვანმა დიზაინერებმა უკვე შემოგვთავაზეს ფართო შარვლები, რომელიც გაზაფხულიდან მოდაში ბრუნდება.

— როგორ უნდა შეარჩიონ ჰალსტუხის ფერი და როგორ შეუხამონ ის ტანსაცმელს?

— მოდაშია პერანგისა და ჰალსტუხის ფერის იდენტურობა. ზოგჯერ ქსოვილიც კი ერთი და იგივეა. ალბათ, ქართველი მამაკაცები ამ მოდურ ტენდენციას ძალიან მალე აითვისებენ.

— როგორი ქამრები უნდა ვატაროთ?

— ძალიან აქტუალურია წვრილი, გადადებული ქამრები, რომელიც ქვემოთ ოდნავ დახრილიცაა.

— რამდენად მრავალფეროვანი იქნება ქუდების, შარფებისა და ხელთათმანების არჩევანი?

— აქტუალურია გრძელი ტყავის ხელთათმანები. როგორც იქნა, მოდაში დაბრუნდა „მატოვი“ ტყავი, გალაკული და გაბდღვრიალებული კი მოდიდან ნელ-ნელა გადის. პიჯაკებსა და მოკლესახელოებიან პალტოს გრძე-

ლყელიანი ხელთათმანი ძალიან უხდება, ეფექტურია... რაც შეეხება ქუდებს, ე.წ. „უშანკები“, ბეწვის ქუდები და შარფები წელსაც აქტუალურია. სხვათა შორის, ბეწვის ქვედაბოლოებიც მოდურია და გამხდარ ქალბატონებს მოუხდება.

ფეხსაცმელი ადამიანის გარდერობის განუყოფელი ნაწილია და დანიშნულების მიხედვით, სხვადასხვაგვარია — ყოველდღიური, გამოსასვლელი, საშინაო, სპორტული და ა.შ. ფეხსაცმლის მოხერხებულობა მისი ზომით, ფორმით, სისრულით განისაზღვრება. რაც უფრო ლამაზი და კომფორტულია იგი, მით მეტ სიამოვნებას გვანიჭებს.

თათა ვარდანაშვილი, *დიზაინერი:*

— პირველ რიგში, მინდა, დამდეგი შობა-ახალი წელი მოგილოცოთ, დიდი სიხარული და რაც მთავარია, მშვიდობა გისურვოთ... ვინაიდან, ზამთრის სეზონზე სამოსი 70-იანი წლების მოდის ტენდენციასთან მაქსიმალურად მიახლოებულია, ფეხსაცმელიც მისი შესაბამისი უნდა იყოს, ოღონდ თანამედროვე სუპერტექნოლოგიური შესაძლებლობების გათვალისწინებითა და დამუშავებით. გამომდინარე იქიდან, რომ კაბის სიგრძე მაქსიმალურად დამოკლებულია, ქალს იდეალურად ლამაზი ფეხები უნდა ჰქონდეს, ასეთი კაბა და ნავისებური ფეხსაცმელი რომ მოიხდინოს. ამ სეზონზე აქტუალურია როგორც ძალიან მაღალყელიანი ჩექმები, რომლებსაც ბოთფორდებს ვეძახით, ასევე ძალიან მაღალქუსლიანი, კლასიკური, ნავისებური ფეხსაცმელი. თუ ადამიანი უფრო თავისუფალ, სპორტულ სტილს ანიჭებს უპირატესობას, შეგვიძლია, მუხლს აცდენილი მაღალი ჩექმა შევთავაზოთ, რომელიც აბსოლუტურად თავისუფალია და ყველა სიკეთესთან ერთად, ქალის ფეხის დეფექტებსაც ფარავს. ამავე დროს, ძალიან სექსუალურიცაა.

— როგორი უნდა იყოს ქუსლის სიმაღლე?

— არის ორი უკიდურესობა — ან უნდა იყოს ძალიან მაღალი, 10-11 სანტიმეტრს აცდენილი, ან აბსოლუტურად უძირო, მაქსიმუმ — 2 სმ. ასეთებს თინეიჯერები ანიჭებენ უპირატესობას. შეგვიძლია პლატფორმა ტყავით ნახევრად დავმალოთ. ჩექმის ყელი ძალიან მომდგარი კი არა, თავისუფალი, ელვაშესაკრავის გარეშე უნდა იყოს. იმ ქალბატონებს, ვისაც უნაკლო სხეული აქვთ, შეუძლიათ შეიძინონ წელვადი ქსოვილისგან დამზადებული ჩექმები ანუ ისეთი ქსოვილისგან შეკერილი, რომელიც ფეხის სილუეტს მიჰყვება და მას უფრო გამოკვეთს.

— რა ფერის ფეხსაცმელია აქტუალური?

— მოდაშია ყავისფრის გრადაცია, მასთან შეზავებული ოქროსფრით. თუმცა, ეკლექტიკად ლურჯი მოიაზრება.

— ახალი წლის ღამეს რა ფერის სამოსის ჩაცმა ავჯობებს?

— კარგი იქნება, თუ ოქროსფერ კაბას და შავ, კლასიკურ, ნავისებური ფორმის, მაღალქუსლიან ფეხსაცმელს ჩაიცვამთ. სხვათა შორის, ასე ჩაცმული ქალბატონი მამაკაცისთვის ყოველთვის სასურველია.

— ბოლო დროს აქტუალურია ტანსაცმელზე ვარდის ან რაიმე სხვა აქსესუარის გამოყენება. აქსესუარებს ფეხსაცმლის გასაფორმებლადაც იყენებთ?

— როდესაც დიზაინერი სტილს და მიმდინარეობას არჩევს, ტანსაცმლის გვერდით აუცილებლად მოიაზრება ფეხსაცმელი, ვარცხნილობა და მაკიაჟი. თუ ტანსაცმელზე ან თმაში უკვე გამოყენებულია აქსესუარი, ფეხსაცმელი აუცილებლად სადა უნდა იყოს. არ შეიძლება კოსტიუმზე ორი აქსესუარის გამოყენება.

— ფეხსაცმლის როგორ არჩევანს სთავაზობთ მამაკაცებს?

— მამაკაცის ფეხსაცმელი ძალიან ახლოსაა ინგლისურ სტილთან ანუ ზედმეტად კლასიკურია. გამომდინარე იქიდან, რომ შარვლის ტოტი მაქსიმალურად დავიწროვდა, არ შეგვიძლია მამაკაცებს გრძელცხვირიანი ფეხსაცმელი შევთავაზოთ — ამ შემთხვევაში ადამიანის სილუეტი გვერდიდან უპროპორციო და დაბალი გამოჩნდება. მოდაშია თხელი, ოვალურცხვირიანი, მუქი ყავისფერი, ნატურალური ტყავისლანჩიანი, დაბალქუსლიანი ფეხსაცმელი. აქტუალურია სპორტული ფეხსაცმელიც, მიახლოებული ჩინურ კედთან.

— ორიოდე სიტყვით თქვენს პარალელურ საქმიანობაზეც გვიამბეთ...

— 5 წელია, სასულიერო შესამოსლის კანონიკას ვსწავლობ და მაქვს ბედნიერება, ღვთისგან მოცემული წყალობა, ვზრუნავდე ერთ-ერთი ეპარქიის წინამძღვარ მეუფეზე, ასევე ჩემს მოძღვარზე და ვამზადებდე მათ შესამოსელს, საეკლესიო აქსესუარებს. ბევრი ლიტერატურა მოვიძიე, სადაც წერია, თუ როგორ ეუფლებოდნენ ძველად ამ ტექნიკას, დაწყებული თამარ მეფის ეპოქიდან XVIII საუკუნემდე. მინდა, მოვიძიო ის ორნამენტები, სპეციფიკა, ის განმასხვავებელი ნიშანი, რაც ბიზანტიისგან გვერგო, გაღრმავდა და ქართული სახელი დაერქვა, მსურს აღდგეს ძირძველი ქართული ტრადიცია და სასულიერო პირების შესამოსელი წმინდა ქართული ნიშნით გამოირჩეოდეს. ეს ძალიან რთულია, მაგრამ ღმერთის წყალობით, იმედია, მიზანს მივაღწევ.

■

ᲛᲘᲜᲘᲐᲢᲘᲣᲠᲣᲚᲘ ᲤᲔᲮᲡᲐᲪᲛᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲚᲔᲥᲪᲘᲝᲜᲔᲠᲘ ᲔᲥᲘᲛᲘᲡ ᲒᲐᲢᲐᲪᲔᲑᲐ

ალბათ ყველა ადამიანისთვის ნაცნობი და საყვარელი სიმღერაა „იასამანს დაეკარგა ფერი“, რომლის ავტორიც პროფესიით ექიმი, მედიკო კპარტოზია გახლავთ. ის, გარდა იმისა, რომ სიმღერებს წერს, ხატავს კიდეც, ამზადებს უამრავ საინტერესო ნივთს, აქსესუარს, სამკაულს. ასევე, მინიატიურული ფეხსაცმელების საინტერესო კოლექცია აქვს.

„ᲐᲛ ᲡᲐᲛᲯᲐᲣᲚᲔᲑᲡ ᲕᲔᲠᲐᲤᲠᲘᲗ ᲨᲔᲕᲔᲚᲔᲕᲘ“

ᲜᲐᲗᲘᲐ ᲫᲘᲕᲘᲫᲔ

— ქალბატონო მედიკო, ამჟამად რას საქმიანობთ?

— როგორც იცით, პროფესიით მიკროპედიატრი ვარ და წლების განმავლობაში ამ მიმართულებით, სამშობიაროში ვმუშაობდი. თუ ადრე ახალშობილების ამქვეყნად მოვლინებას ვუწყობდი ხელს, ახლა სოციალური მომსახურების სააგენტოში ვმუშაობ და მოხუცებს ვეხმარები. ჩვენი სამსახური ჯანმრთელობის სამინისტროს ექვემდებარება. მას ძალზე დიდი ბიუჯეტი აქვს და დიდი საქმეების კეთებაც უწევს.

— ახლა უშუალოდ, თქვენი ფეხსაცმელების კოლექციაზე ვისაუბროთ, რომელიც საკმაოდ მრავალფეროვანი და საინტერესოა. რატომ გადაწყვიტეთ, მინიატიურული ფეხსაცმელები შეგეგროვებინათ?

— ჩემთან უფროსი შვილიშვილები იყვნენ. თაროზე დედაჩემის ნაქონი ფაიფურის ფეხსაცმელი მედო, რომელშიც ღრუბელი მქონდა ჩადებული და მასზე საკერავ ნემსებს ვარჭობდი ხოლმე. მგონი, 60-იან წლებში ასეთი ფეხსაცმელი ყველა ოჯახში იყო, მე კი მას გარდაცვლილი დედის სახსოვრად ვინახავდი. თამაშის დროს ბავშვებს ეს სუვენირი გაუტყდათ. მართალია, გული ძალიან დამწყდა, მაგრამ მათთვის არ მისაყვედურია. თურმე, ბავშვებმა ერთმანეთში მოილაპარაკეს და მოგვიანებით სხვა ფეხსაცმელი მომიტანეს. ასე ჩაეყარა საფუძველი ამ კოლექციის შექმნას... ალბათ ყველა ადამიანის ცხოვრებაში დგება ისეთი მომენტი, როცა ის თავის ნაკვალევზე ფიქრობს. შესაძლოა, ესეც იყო იმის



ეს მარაო სწორედ იმისთვის ვიყიდე, რომ მასზე საყურეები ჩამომეკიდა

მიზეზი, რომ ფეხსაცმელების შეგროვება გადავწყვიტე.

— თქვენმა შვილიშვილებმა კოლექციას კიდევ თუ შემატეს რაიმე?

— რასაკვირველია! სადმე ფეხსაცმელს თუ წააწყდებიან, მაშინვე ჩემთან მოარბენინებენ. ჩემი შვილიშვილების გარდა, ამ საქმეში მთელი ჩემი სანათესავო, თანამშრომლები, მეგობრები, ნაცნობები მონაწილეობენ. ეს ფეხსაცმელები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდანაა ჩამოტანილი. მაქვს ამერიკული, პორტუგალიური, იაპონური, ინდური, ესპანური და ა.შ.

— მათ შორის ყველაზე ძვირად ღირებული რომელია?

— წარმოდგენა არა მაქვს. სხვათა შორის, ძალიან ცუდი ზნე მჭირს, ფასს ვერაფრით ვიმახსოვრებ. ამ კოლექციისადმი ისეთივე დამოკიდებულება მაქვს, როგორიც ჩემი სიმღერებისადმი ანუ ყველა ერთნაირად მიყვარს. სიდიდეს, მის მორთულობას თუ ფასს ჩემთვის დიდი მნიშვნელობა არა აქვს.

— თქვენი შვილიშვილების გარდა, თქვენი კოლექციიდან რომელიმე ნივთი ვინმეს თუ გაუტეხავს? ან თუ გიჩუქებიათ ფეხსაცმელი ვინმესთვის?

— არა, რას ამბობ, ღმერთმა დამიფაროს! მას მერე არავის არაფერი გაუტეხავს და ვერც რომელიმეს გავიმეტებ გასაჩუქებლად... აი, ის ფეხსაცმელი, რომელიც კედელზე კიდია, ჩემი ნამუშევარია. უკვე სხვადასხვა ნივთისა და სურათების ორი გამოფენა მქონდა და ესეც ერთ-ერთი გამოფენისთვის შევქმენი.

— დაახლოებით, რამდენი ფეხსაცმელია თქვენს კოლექციაში?

— ზუსტად არ ვიცი. ალბათ, სამასამდე იქნება.

— თქვენი ფეხსაცმელები რა მასალისგანაა დამზადებული?

— ფაიფური, თიხა, შუშა, რკინა, ხე. ერთი პატარა ფეხსაცმელი მაქვს, რომელიც ზოომაღაზიაში შევიძინე.

ეს ფეხსაცმელები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდანაა ჩამოტანილი

ეს სანტა კლაუსი კი მეგობარმა, საახალწლოდ მომართვა

სათამაშო ფეხსაცმელიც მაქვს — თან საათია და თან — ტელეფონი

სვაროვსკისთვლიანი ფეხსაცმელი

თურმე, ძაღლებს კბილები რომ ექავებათ, ეს ფეხსაცმელი უნდა დაღეჭონ. რაღაც უცნაური მასალისგან არის დამზადებული.

— ამ კოლექციის გამოფენას ხომ არ აპირებთ?

— არა, ამაზე არასოდეს მიფიქრია. უბრალოდ, ფეხსაცმელების შეგროვება სიამოვნებას მანიჭებს. ვინც ჩემთან სტუმრად მოდის, ყველას ძალიან მოსწონს და მისით ყველა ინტერესდება. თანაც, ხომ გითხარით, ამით ჩემს ნაკვალევს ვტოვებ... ჩემი კოლექციის ყველაზე დიდი ფეხსაცმელი, რომელსაც ვაზად ვიყენებ, მოსწავლემ მაჩუქა. ახლა ის უკვე დიდი კაცია. აი, ეს სანტა კლაუსი კი მეგობარმა, საახალწლოდ მომართვა. ბევრ ფეხსაცმელს გარკვეული დანიშნულება აქვს. მაგალითად, ეს შავი, ბეჭდების შესანახავია, მაგრამ მე მას დანიშნულებისამებრ ვერ ვიყენებ, რადგან მასიურ სამკაულს ვხმარობ, ოქროსა და ბრილიანტისგან დამზადებული ნაზი ბეჭდები არ მიყვარს. ძალიან ბევრი ფეხსაცმელი-საფერფლეა, ბევრი — ყულაბა. რამდენიმე ფეხსაცმელი-სანთელიც მაქვს. კოლექციის ყველაზე პატარა ფეხსაცმელი ამ ხეზე კიდია, მაგრამ უნდა მოვძებნოთ. ის იმდენად პატარაა, რომ მისი პოვნა გაგვიჭირდება. ესეც ჩემმა ერთ-ერთმა მოსწავლემ მაჩუქა. აი, ვიპოვე, მაგრამ ამას ფოტოს ვერ გადაუღებთ, არ გამოჩნდება.

— ისეთი ფეხსაცმელი, როგორიც შვილიშვილებმა გაგიტეხეს, ვერ იშოვეთ?

— ვერა... მაქვს უამრავი ბრელოკი, მობილურზე ჩამოსაკიდი. აი, ეს ფეხსაცმელი საფულეა, ეს კი სვაროვსკისთვლიანი ფეხსაცმელი...

— ამ დიდ წითელ ფეხსაცმელზე რას იტყვით?

— როგორც ფეხსაცმელი, ისე მომიტანეს, მაგრამ სინამდვილეში, შეტყუპებული თევზია. ეს ჩინურია და ოჯახში ჰარმონიის, სიმშვიდის და კეთილდღეობის მომტანად მიიჩნევა. აი, სათამაშო ფეხსაცმელიც მაქვს — თან საათია და თან — ტელეფონი, რომელიც მღერის. ჩემს კოლექციაში ძალიან ბევრი ისეთი ფეხსაცმელია, რომელსაც ძაღლი

მაქვს უამრავი ბრელოკი, მობილურზე ჩამოსაკიდი

ამშვენებს. ეს ცხოველი საოცრად მიყვარს. აი, ფეხსაცმლის ფორმის მობილურის ჩასადებიც მაქვს, მაგიდის სანათიც. აი, ეს ქვა, რომელსაც ფეხსაცმლის ფორმა აქვს, ჩემმა შვილიშვილმა ზღვიდან ჩამომიტანა.

— ქალბატონო მედიკო, ფეხსაცმელების შეგროვების გარდა, კიდევ რით ხართ დაკავებული? როგორც ვიცი, სამკაულებს ამზადებთ...

— კი, ვამზადებ მძივებს, საყურეებს, ბეჭდებს. აი, ნახეთ, ეს მარაო სწორედ იმისთვის ვიყიდე, რომ მასზე ჩემი შექმნილი საყურეები ჩამომეკიდა. ხომ ლამაზია?

— ძალიან. სამკაულს რა მასალისგან ამზადებთ?

— ყველა მათგანი ნამდვილი ქვისგანაა დამზადებული. ეს მარჯნის ტოტები ჩემმა მეგობარმა, საზღვარგარეთიდან ჩამომიტანა, მე კი წითელი ყელსაბამი ავაწყვე და ზედ მარჯნის ტოტები დავკიდე. ამ მძივს საყურეებიც აქვს და ბეჭედიც... აი, ეს კი ფირუზის ქვაა.

— ამ სამკაულებს არ ყიდით?

— არავითარ შემთხვევაში! ამ სამკაულებს ვერაფრით შეველევი, მხოლოდ ჩემი შვილებს შეუძლიათ მათი ტარება. აი, ეს ვერცხლის ქამარიც მე გავაკეთე. ყველა ამ აქსესუარს თავად ვიყენებ და ხალხს ძალიან მოსწონს. მგონი, ყველაფერი მართლაც ორიგინალურია, არა?..

— ამ მწვანე ფერის ქვას რა ჰქვია?

— ამეთვისტო. მას ფერები შევუხამე და სხვა მინარევებიც აქვს. აი, ესენი ქრიზობრაზები და ნეფრიტებია.

— ქალბატონო მედიკო, ისე ვერ დაგემშვიდობებით, ეს შეკითხვა რომ არ დაგისვათ — ახალი სიმღერის დაწერას არ აპირებთ?

— უკვე დავწერე ერთი სიმღერა, მაგრამ არანჟირება ჯერ არ გამიკეთებია, ამას ფინანსები სჭირდება. იმედი მაქვს, ის რადიოში მალე გაჟღერდება.

— ამ სიმღერას თავადვე შეასრულებთ?

— აუცილებლად! ■

ფეხსაცმელი, რომელსაც ვაზად ვიყენებ, მოსწავლემ მაჩუქა

შეტყუპებული თევზი

დღესასწაულამდე ერთი კვირით ადრე...

რაღა დარჩა ახალ წლამდე?! 1 კვირაც და, ყველა ოჯახში სასიამოვნო ფუსფუსი დაიწყება: ნაძვის ხის მორთვა, თოვლის ბაბუისთვის საპატიო ადგილის მიჩენა... და რაღა თქმა უნდა, საახალწლო სუფრისთვის მზადება: აქეთ — გოზინაყი და ფელამუში, იქით — „ოლივიე“ და საცივი. ერთი სიტყვით, საცდური უხვადაა. ცოტა ვინმე თუ გაუძლებს ასეთ ცდუნებას. მაშ, რა ვიღონოთ?

ალბათ თავადაც ხვდებით, რომ საახალწლო დღეები არა მარტო სასიამოვნო მოგონებას, არამედ რამდენიმე ზედმეტ კილოგრამსაც დაგვიტოვებს. იმისთვის, რომ ინდაურის საცივსაც გავკრათ კბილი და გოზინაყიც მშვიდად შევახრამუნოთ, ორგანიზმი წინასწარ უნდა მოვამზადოთ დიდი სადღესასწაულო ტრაპეზისთვის. თუ როგორ — ახლავე მოგახსენებთ.

ეცადეთ, დღესასწაულამდე ერთი კვირით ადრე მსუბუქად იკვებოთ. საუზმედ მიირთვით ხილი, რძიანი ბურბუშელა, იოგურტი ან წვენი. ყოველი ჭამის წინ თითო-ოროლა ხილი ან ბოსტნეული, მაგალითად, სტაფილო ჩაახრამუნეთ. ასე ორ კურდღელს დაიჭერთ — შიმშილსაც მოიკლავთ და თან, ვიტამინებით მდიდარ და კალორიებით ღარიბ საკვებსაც მიიღებთ. გარდა ამისა, ეცადეთ, ხშირად და მცირე ულუფებით იკვებოთ.

არამც და არამც არ გირჩევთ მკაცრ დიეტაზე გადასვლას. დიეტით განწყობილებას გაიფუჭებთ და ახალ წელს ხალისიანად ვეღარ შეეგებებით. წონა რომ შეინარჩუნოთ, ამისათვის საკმარისია, კვების ჩვეულება (სწორედაც რომ ჩვეულება და არა რეჟიმი) ოდნავ შეიცვალოთ:

მიირთვით ნელა, 15 წუთი მაინც არის საჭირო, რომ თავის ტვინმა კუჭიდან დანაყრების სიგნალი მიიღოს. ასე რომ, ნუ აჩქარდებით, ლუკმა ნელ-ნელა დაღეჭეთ. პირველი კერძის (სავარაუდოდ — წვნიანის) მირთმევის შემდეგ, 15-იოდე წუთი შეისვენეთ და მეორეზე ისე გადადით.

კერძი სწრაფად მოამზადეთ, მით უფრო, თუ დაუძლეველი შიმშილის გრძნობა დაგეუფლათ. ასე ნერვულ სისტემასაც დაზოგავთ და დროსაც. თუმცა, ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ გზადაგზა, ნაუცბადევად ისადილოთ ან ივახშმოთ.

მომზადებისას კერძს რაც შეიძლება იშვიათად გაუსინჯეთ გემო.

კბილები ყოველი ჭამის შემდეგ გამოიხეხეთ, ასე უფრო იოლად დაამარცხებთ შიმშილის გრძნობას, რომელიც მსუბუქი წახემსების შემდეგ გაგყვებათ ხოლმე.

ხშირად სვით წყალი. ეცადეთ, საკვების მიღებამდე და ყოველ ორ საათში ერთხელ თითო ჭიქა მაინც დალიოთ. უკეთესია, თუ მინერალურ წყალს მიირთმევთ. ამ გზით კუჭს უფრო იოლად მოატყუებთ.

კუჭის მოტყუებაში შემდეგი ხრიკებიც დაგეხმარებათ:

- კერძს რაც შეიძლება მეტი საკმაზი უყავით. შეკმაზული წვნიანი თუ სალათა გაცილებით იოლად მოგიკლავთ შიმშილის გრძნობას.
- შაქრის მაგივრად გამოიყენებთ შემცვლელები. შაქარი დესერტსაც დააკელით, სამაგიეროდ, მეტი ვანილი და მიხაკ-დარიჩინი უყავით.
- მომზადებისას კერძს ცხიმი მთლიანად მოხადეთ. ზოგადად კი უპირატესობა ვეგეტარიანულ კერძებს მიანიჭეთ — სწრაფადაც დანაყრდებით და არც ჭარბ კალორიებს შეიძენთ. ■

როგორი ტიპის მამაკაცი მოგწონთ?

მამაკაცები შეიძლება პირობითად შემდეგ ტიპებად დავყოთ: დიდი ბავშვები, მამაკაცურები, მონადირეები, კავალრები, მუდამ თინეიჯერები და დედიკოს ბიჭები.

დიდი ბავშვები — ასეთი ტიპის მამაკაცს ხშირად შეხვდებით საფინანსო დაწესებულებებსა და ბანკებში. მას ყოველთვის უზადოდ აცვია, დიდი წარმოდგენა აქვს საკუთარ თავზე და ილუზიებით ცხოვრობს. ბედნიერია, თუკი მისი თანამეცხედრე ოჯახში, სხვა ყველაფერთან ერთად, „მისი მასწავლებლის“ ფუნქციებსაც ითავსებს.

მამაკაცური ტიპი — ასეთები ლუდის ბარებში, პაბებში, ასევე საზოგადოებრივი თავშეყრის ნებისმიერ ადგილას შეგხვდებიან. ამ ტიპის მამაკაცი თავდაჯერებულია და მიიჩნევს, რომ მისი ხიბლის წინაშე ნებისმიერი ქალი უძლურია. მოქეიფეა, უყვარს ფეხბურთი და ეძებს კარგ მეოჯახე ცოლს.

დედიკოს ბიჭი — ამ ტიპის მამაკაცი დედის შერჩეული ტანსაცმლით დადის და ყოველთვის საგულდაგულოდ გაპრიალებული ფეხსაცმელი აცვია. უყვარს ბაზარსა და სუპერმარკეტებში საყიდლებზე სიარული. ვერასოდეს იქნება ბედნიერი ქალთან, რომელსაც ხელსაქმე არ ეხერხება.

მონადირე — ის თვითონ მოგძებნით. „მონადირე“ უმეტესწილად მხარბეჭიანი, მოხდენილი აღნაგობისაა; უყვარს თავისუფალი ზედატანისა და ვიწრო შარვლების ჩაცმა. ოჯახურ ცხოვრებაში ერთგულებით არ გამოირჩევა და სხვა ქალებზე ნადირობის დაუცხრომელი ჟინი კლავს.

კავალერი — ყველაზე გავრცელებული ტიპია. შეიძლება სულაც რიგში ან საზოგადოებრივ ტრანსპორტში გაიცნოთ, სადაც ადგილს მაშინვე დაგითმობთ. ცოტა არ იყოს, მორცხვია და თუკი ქალისგან ინტერესი ვერ იგრძნო, მალევე გაეცლება.

მუდამ თინეიჯერი — ამ ტიპის მამაკაცის ნახვა ყველგან შეიძლება — დისკოთეკებზე, ბარებში, რესტორნებში... ყოველთვის ახალგაზრდულად იცვამს და ასაკთან შედარებით, დაახლოებით 10 წლით უმცროსად გამოიყურება. ასეთი მამაკაცისგან სერიოზული ნაბიჯის გადადგმას იშვიათად უნდა ელოდეთ. ■

იდეალური მაკიაჟი წამებში

სადღესასწაულო დღეების მოახლოებასთან ერთად, ქალბატონებს იმდენი საქმე უგროვდებათ, რომ გარეგნობაზე ზრუნვისთვის დრო თითქმის აღარც რჩებათ. თუ ჩვენს რჩევას გაითვალისწინებთ, თავის წესრიგში მოყვანას სულ მცირე დროში შეძლებთ.

• ტონალური კრემი თანაბრად და ბუნებრივად გადანაწილდება სახესა და ყელზე, თუ მას სწრაფი მოძრაობით წაისვამთ. ცალკეული დეფექტები სპეციალური ფანქრით დაფარეთ.

• თხევადი კონტური მხოლოდ თვალის ზედა ნაწილში წაისვით. გაიკეთეთ თხელი, აკურატული ხაზი.

• ყავისფერი ტუში მაკიაჟს გაცილებით ბუნებრივ ელფერს შესძენს.

• მქრქალი პომადა დახვეწილი მაკიაჟის საუკეთესო ფინალია. პომადა ფუნჯით წაისვით, რადგან გაცილებით თანაბრად განაწილდება, დიდხანს გაძლებს და კონტურსაც უკეთ გამოკვეთს.

• ფრჩხილებზე ლაქის წასმა საკმაოდ ხანგრძლივი პროცედურაა. თუ ამისთვის დრო არ გყოფნით, უბრალოდ, ფრჩხილებს სწორი ფორმა მიეცით. იდეალური ვარიანტია, თუ ლაქი პომადის ფერს შეესაბამება.

• სუნამო ქალისათვის საკმაოდ ეფექტური იარაღია, მაგრამ თქვენი მიზანი პარტნიორის „გაგუდვა“ არ არის, პირიქით — ის თქვენდამი კეთილად უნდა განაწყოთ და მოხიბლოთ. ამდენად, იპკურეთ რამდენიმე წვეთი ყურის უკან, ხელის მტევანსა და ყელზე. ეს სრულებით საკმარისია.

ახლა კიდევ ერთხელ ჩაიხედეთ სარკეში. ვის ხედავთ? არ გაგიკვირდეთ, ეს მომხიბვლელი ქალი ნამდვილად თქვენ ხართ. გახსოვდეთ: სიმტკიცე და თავდაჯერებულობა მთელი საღამო თქვენი განუყრელი თანამგზავრი უნდა იყოს.

რუბრიკა მოამზადა
ეკა გუნთაიშვილმა

საპატრიარქოები და პატრიარქის ტიტული

ქრისტიანობის პირველ ხანებში მოციქულთა მიერ დაარსებულ ეკლესიებს ეპისკოპოსები მართავდნენ. ყველა ეკლესია დამოუკიდებლად იმართებოდა. სახელმწიფო რელიგიად ქრისტიანობის გამოცხადების შემდეგ, თანდათან მსხვილი საეკლესიო ერთეულების წარმოქმნა დაიწყო — ჩამოყალიბდა მიტროპოლიები, რომელსაც მიტროპოლიტები მართავდნენ; შემდეგ ეს ერთეულები კიდევ უფრო გამსხვილდა და საპატრიარქოები ჩამოყალიბდა. VI-VII საუკუნეებში არსებული მართლმადიდებელი ეკლესიები ფაქტობრივად, უკვე საპატრიარქოების სახით არსებობდა.

შორენა მერკვილაძე

არქიმანდრიტი მაკარი (*აბესაძე*):

— VI-VII საუკუნეებში ავტოკეფალიური ეკლესიები ძირითადად, ბიზანტიისა და რომის იმპერიის ტერიტორიაზე — რომის, კონსტანტინოპოლის, იერუსალიმის, ანტიოქიისა და ალექსანდრიის ეკლესიების სახით არსებობდა. ბიზანტიის იმპერიის საზღვრებს გარეთ ერთადერთი დამოუკიდებელი ეკლესიაა — იბერიის ანუ საქართველოს ეკლესია — მცხეთის საეპისკოპოსოს სახით. იმ პერიოდში ეს ეკლესიები შეადგენდნენ მსოფლიო მართლმადიდებელ ეკლესიას, თორემ მაშინ ასევე არსებობდა ეთიოპიისა და სომხეთის მონოფიზიტური ეკლესიებიც, რომლებიც უკვე ჩამოშორებული იყვნენ დედაეკლესიის წიაღს. რაც შეეხება დანარჩენ ეკლესიებს, რომლებიც დღეს ავტოკეფალიურ, დამოუკიდებელ ეკლესიებს წარმოადგენენ, მათგან ზოგიერთი VI-VII საუკუნეებში არც არსებობდა: რუსეთში, პოლონეთში, ჩეხეთსა და სლოვაკეთში არ არსებობდა ქრისტიანული კრებულები, რადგან იმ პერიოდში ამ ტერიტორიებზე ქრისტიანობა საერთოდ არ იყო ნაქადაგები. სლავები წარმართები იყვნენ. ქრისტიანობა მათ შორის, IX საუკუნეში იქადაგეს წმინდა ძმებმა — კირილემ და მეთოდემ. ამის შემდეგ ამ ტერიტორიებზეც ჩამოყალიბდა ქრისტიანული კრებულები და მოხდა ეკლესიების დაარსება. ამერიკის მართლმადიდებელი ეკლესია კი XX საუკუნეში დაარსდა.

რუმინეთის, სერბეთის, ბულგარეთის, ალბანეთისა და კვიპროსის, ელადის ეკლესიები კონსტანტინოპოლის ეკლესიის დაქვემდებარებაში იმყოფებოდა.

— **ქრისტიანობის პირველ ხანებში მოციქულთა მიერ დაარსებულ ეკლესიებს ეპისკოპოსები მართავდნენ ანუ თავდაპირველად ეკლესიები არსებობდა საეპისკოპოსოების სახით. როდიდან მოხდა მსხვილი საეკლესიო ერთეულების — მიტროპოლიებისა და შემდეგ, საპატრიარქოების წარმოქმნა?**

— პირველ საუკუნეებში არსებობდა საეპისკოპოსოები. ყველა საეპისკოპოსო აბსოლუტურად დამოუკიდებელი იყო და მას ეპისკოპოსი მართავდა. IV საუკუნის დასაწყისში მხოლოდ იმპერიის ფარგლებში 100-ზე მეტი დამოუკიდებელი საეპისკოპოსო მოქმედებდა. როცა ეპისკოპოსი გარდაიცვლებოდა, მეზობელი საეპისკოპოსოების წინამძღვრები იკრიბებოდნენ და ახალ ეპისკოპოსს ასხამდნენ ხელს. შემდეგ დიდი ქალაქების გარშემო თანდათან წარმოიქმნა მსხვილი საეკლესიო ერთეულები ანუ მიტროპოლიები. რომის, ანტიოქიის, ალექსანდრიის მღვდელმთავრები თავიანთი მდგომარეობით, თავისთავად ხდებოდნენ განსხვავებულნი მათ გარშემო მდებარე პატარა ქალაქების მღვდელმთავრებისგან, სადაც შესაძლოა, 150-ზე მეტი კაციც არ ცხოვრობდა. სახელმწიფო რელიგიად ქრისტიანობის გამოცხადების შემდეგ, როდესაც ქრისტიანული სარწმუნოება სახელმწიფოს მიერაც იქნა მიღებული და აღიარებული, ცენტრში მყოფ მღვდელმთავრებს ურთიერთობა ჰქონდათ ცენტრალურ მმართველებთან, რეგიონში მყოფთ — რეგიონულ მმართველებთან და ასე ჩამოყალიბდა დიდი ქალაქე-

ბის — დედაქალაქების მღვდელმთავრებზე მათ მხარეებში არსებული პატარა ქალაქების მღვდელმთავრების დამოკიდებულების სისტემა. ვიცით, რომ ამ პერიოდში რომის იმპერიის ტერიტორიაზე დედაქალაქები იყო: რომი, ანტიოქია, ალექსანდრია, შემდგომში — კონსტანტინოპოლი. მხარეთა მმართველები ამ ქალაქებში მსახურობდნენ და თავისთავად, უკვე მიტროპოლიტები გახდნენ ანუ — „დიდი ქალაქის მმართველები“ („მიტროპოლი“ ნიშნავს „დიდ ქალაქს“), რომელსაც მათ მხარეში არსებული ქალაქების მღვდელმთავრები ექვემდებარებოდნენ. ამგვარად, ჩამოყალიბდა მიტროპოლიები, ხოლო შემდგომში, — საპატრიარქოები. მეექვსე მსოფლიო საეკლესიო კრების შემდეგ დამოუკიდებელი ეკლესიები, ფაქტობრივად, საპატრიარქოების სახით არსებობს. ამ პერიოდისთვის რომის იმპერია უკვე დაშლილია. ალექსანდრიის საპატრიარქო, სადაც ალექსანდრიის ეკლესიის იურისდიქცია ვრცელდება, ბიზანტიის იმპერის ფარგლებს მიღმაა. ასეთივე მდგომარეობაა ანტიოქიისა და იერუსალიმის ეკლესიებშიც. თვით რომი არ შედის ბიზანტიის იმპერიის შემადგენლობაში და დასავლეთის ეკლესიაზე რომის უფლებები ვრცელდება... რადგან ბიზანტიის იმპერიის შემადგენლობაში ეს ტერიტორიები აღარ შედიოდა, თვით ბიზანტიის ხელისუფლებასაც აღარ ჰქონდა მათზე გავლენა და ამ ეკლესიებმა დამოუკიდებელი განვითარება დაიწყეს. ამასთანავე, ამ ტერიტორიებზე ადგილობრივი ხელისუფლებაც უკვე არაქრისტიანული იყო და ამის შედეგად, ეკლესიები ადგილობრივი ხელისუფლებისგანაც დამოუკიდებელნი გახდნენ.

— **VII საუკუნეში ჩნდება პატრიარქის ტიტულიც, ყალიბდება პატრიარქის ინსტიტუტი — ადგილობრივ ეკლესიებს უკვე პატრიარქები მართავენ...**

— ფაქტობრივად, სახელწოდება იცვლება, თორემ პატრიარქის ფუნქცია ისეთივეა, რაც ვთქვათ, ალექსანდრიის ან ანტიოქიის ეკლესიის მღვდელმთავარს IV, V, VI საუკუნეებში ჰქონდა. საპატრიარქო ტიტულებისა და საპატრიარქო ტახტების აბსოლუტურად გამოკვეთილად ჩამოყალიბება შემდეგი მიზეზის გამო მოხდა: მანამდე ქრისტიანთა სამწყსოებს კეთილმსახური იმპერატორები მფარველობდნენ. ბიზანტიის იმპერიის დაშლის შემდეგ იმპერატორი ვეღარ ახორციელებდა კონტროლს იმ ტერიტორიებზე, სადაც ალექსანდრიის, ანტიოქიის, იერუსალიმის ეკლესიები მოქმედებდა. ადგილობრივი მმართველები არაქრისტიანები იყვნენ, ამიტომ ქრისტიანთა უმაღლესი მფარველი, როგორც სასულიერო, ასევე საერო თვალსაზრისით, მათი უმაღლესი წინამძღოლი გახდა და როცა ქრისტიანებს სდევნიდნენ, თავის სამწყსოს საერო ხელისუფლებისგანაც იცავდა. ამდენად მღვდელმთავრები თავიანთი სამწყსოს მამამთავრები — ანუ პატრიარქები გახდნენ. აქედან მოდის „პატრიარქის“ ტიტული, რაც მამამთავარს ნიშნავს.

— **საინტერესოა, რატომ ატარებდა რომის ეკლესიის მეთაური მღვდელმთავარი პაპის ტიტულს?**

— პაპი არის მამა, მამამთავარი მის დაქვემდებარებაში მყოფი სამწყსოსი. ამ თვალსაზრისით, ასე შეიძლება, ყველა პატრიარქს ვუწოდოთ. „პაპი“ ბერძნული სიტყვაა და მამას ნიშნავს. ის ბერძნულენოვანი ტერმინია, რომელსაც რომის პონტიფიკოსი ატარებს. ვიცით, რომ ქრისტიანობა თავის დროზე, აღმოსავლეთიდან შევიდა რომში; პირველი მქადაგებლები ბერძნულენოვანნი იყვნენ და ეს ტერმინიც მათგან შემოვიდა და დამკვიდრდა რომის ეკლესიაში.

— **რატომ იხსენიებოდა რომის ეკლესია დიპტიქში პირველი?**

— როდესაც რომის ეკლესია დაარსდა, რომი იმპერიის დედაქალაქი იყო, ხოლო როდესაც კონსტანტინოპოლი დაარსდა, ამ დროს რომში უკვე უდიდესი ქრისტიანული ცენტრი არსებობდა. შემდეგ პირველი ეკლესია, პირველი მიტროპოლია, რომელიც ბიზანტიის იმპერიის ფარგლებს გარეთ დარჩა, იყო რომი, ამიტომ პაპებმა დამოუკიდებელი მოქმედება გაცილებით ადრე დაიწყეს, ვიდრე სხვა ეკლესიების მღვდელმთავრებმა. V საუკუნიდან რომი ფაქტობრივად, იმპერიის შემადგენლობაში აღარ არის — ის ხან ვანდალებმა დაიპყრეს, ხან ბარბაროსთა ტომებმა და ბიზანტია კონტროლს ვერ ამყარებდა რომზე, ამიტომ რომის პაპი უკვე დამოუკიდებლად იღებდა არა მარტო სამწყსოსა და ეკლესიასთან დაკავშირებულ, არამედ საერო გადაწყვეტილებებსაც, რომელიც მის დაქვემდებარებაში მყოფი სამწყსოს დასაცავად იქნებოდა მიმართული. ამგვარად, რომის პაპი პირველად გახდა დამოუკიდებელი. 2-3 საუკუნის შემდეგ, ალექსანდრიისა და ანტიოქიის პატრიარქების დამოუკიდებლობა დამყარდა, რადგან ისინი სწორედ ამ პერიოდის შემდეგ აღმოჩნდნენ იმ მდგომარეობაში, როგორშიც რომი V საუკუნეში იყო.

— **ამჟამად 15 ავტოკეფალიის მქონე მართლმადიდებელი ეკლესია არსებობს. აქედან მხოლოდ 9 ეკლესიაა საპატრიარქო საყდრის პატივის მქონე, მათ შორის — საქართველოს ეკლესიაცაა. არის თუ არა რაიმე განსხვავება საპატრიარქო საყდრის პატივის მქონე და მხოლოდ ავტოკეფალიურ ეკლესიებს შორის?**

— ყველა მართლმადიდებელი ეკლესია — საპატრიარქო საყდარია თუ მხოლოდ ავტოკეფალიური, აბსოლუტურად დამოუკიდებელია, მაგრამ იმ ეკლესიებს (რუსეთის ეკლესიის გარდა), რომლებიც უფრო გვიან დაარსდა ან შედარებით გვიან მიიღო დამოუკიდებლობა, ჯერჯერობით არა აქვს მიღებული საპატრიარქო ტიტული და საპატრიარქო ტახტი. ამა თუ იმ ეკლესიას საპატრიარქო ტახტის, საპატრიარქო საყდრის მქონედ დამოუკიდებელი, ავტოკეფალიური ეკლესიები აღიარებენ. რუსეთი დიდი ქვეყანა იყო და საპატრიარქო ტახტი მიიღო. ძველად, საპატრიარქო საყდარზე ადგილობრივი ეკლესიების, მათ შორის საქართველოს ეკლესიის აყვანა თავისთავად მოხდა. როდესაც ახალი ეკლესია ყალიბდება, მას თავიდან, საპატრიარქო ტახტი არა აქვს; დამოუკიდებელი ეკლესიაა, მაგრამ პატრიარქი არ ჰყავს. შემდეგ, როდესაც იმ ქვეყნის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა მართლმადიდებელი ხდება, ამ ეკლესიის საპატრიარქო საყდარზე აყვანა ხდება. როგორც ვთქვით, ადრეულ საუკუნეებში ადგილობრივი ეკლესიების საპატრიარქო საყდარზე აყვანა თავისთავად მოხდა; შემდგომში ეკლესიის საპატრიარქო ტახტის აღიარებას მსოფლიოს დამოუკიდებელი, ავტოკეფალიური ეკლესიები ახდენენ. ■

თამუნა კვირკველია

გატაცება

„კლდის ვეფხვის“ მეგობარი და მწვერვალის დალაშქვრის დიდოსტატები

ის უშბის ძირას დაიბადა, მაგრამ ბავშვობაში მთამსვლელობაზე არც უოცნებია. გაიზარდა, სასწავლებლად თბილისში ჩამოვიდა და, მთამაც სწორედ მაშინ „დაუძახა“; თითქოს მანვე მიუჩინა მასწავლებლად და მეგობრად „კლდის ვეფხვად“ წოდებული მიხეილ ხერგიანი, რომელთან ურთიერთობამაც მრავალი ჩემპიონატის ოქროსმედალოსან ლადო გურჩიანის ცხოვრებას დიდი კვალი დააჩნია.

„პირველი შვილის დაბადებაც ჯი მთაში შემატყობინეს“

— 19 წლის ვიყავი, როცა თბილისში ჩამოვედი და როგორც უნდა გაგიკვირდეთ, ალპინისტობაზე ფიქრი დავიწყე. სკოლა სვანეთში, სოფელ მაზერში დავამთავრე. ეს სოფელი უშბის ძირასაა გაშენებული. მოგეხსენებათ, უშბა ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი, მაგრამ ურთულესი მწვერვალია და ბავშვობისას უამრავი ცხედარი მინახავს იქიდან ჩამოსვენებული. სწორედ ამიტომ, მთამსვლელობა სისულელედ მიმაჩნდა, მწვერვალების დალაშქვრაზე არასდროს მიფიქრია. სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლის გასაგრძელებლად თბილისში ჩამოვედი. გე-პე-იში ანუ დღევანდელ პოლიტექნიკურ ინსტიტუტში გამოჩენილი მთამსვლელი — პირიბე გვარლიანი ფიზკულტურას გვიტარებდა. ერთხელაც, მან სავარჯიშოდ ბოტანიკური ბაღის კლდეებზე წაგვიყვანა. იმ დღის მერე მეკლდეურობისთვის თავი არ დამინებებია. დაახლოებით 2 წლის შემდეგ ალპინისტურ ბანაკში დავიწყე სიარული, მოგვიანებით თანრიგიც შევასრულე და სპორტის ოსტატობის კანდიდატიც გავხდი. საბჭოთა კავშირის ჩემპიონატებში ვმონაწილეობდი. 1966 წელს დავიწყე ვარჯიში მეკლდეურობაში პირიბე გვარლიანთან, შემდეგ მიხეილ ხერგიანის ჯგუფში გადავედი, რომელიც ყაბარდო-ბალყარეთიდან ახალი გადმოსული იყო. მან მეტეხის კლდეებზე საჩვენებელი შეჯიბრება მოაწყო და მისი ოსტატობით განცვიფრებული დავრჩი. მას შემდეგ მიშა ხერგიანს გვერდიდან არ მოვშორებივარ...

— რომელი იყო თქვენ მიერ დალაშქრული პირველი მწვერვალი?

— ჩრდილოეთ კავკასიაში, 3700 მეტრის სიმაღლის მწვერვალი დავლაშქრეთ. მაშინ 19 წლის ვიყავი და ვერც ვგრძნობდი, მწვერვალზე თუ ავედი. არაფრის შიში არ მქონდა და ამის გამო ინსტრუქტორისგან ბევრ შენიშვნას ვიღებდი. წესრიგს მოგვიანებით მივეჩვიე.

— ბატონო ლადო, რომელი იყო ყველაზე ძნელად დასალაშქრავი მწვერვალი?

— რთული ბევრი იყო, მაგრამ განსაკუთრებით, უშბის სარკედ წოდებულ კლდეზე ასვლა გაგვიძნელდა. ეს მარშრუტი 1976 წელს, შალიკო მარგიანის ხელმძღვანელობით გავიარეთ. სულ ექვსნი ვიყავით. მიზნის მიღწევა ცოტათი გაგვიჭირდა, მაგრამ საბოლოოდ, ჩვენსას მაინც მივაღწიეთ და იმ წელს ჩემპიონებიც გავხდით; გაგვიძნელდა საფრანგეთის ალპებსა და იტალიაში ლაშქრობებიც. იტალიაში უკრაინელ ფერშოვთან ერთად, მეექვსე კატეგორიის ურთულესი მარშრუტი — „გრანდ კაპუჩინი“ გავიარე. სხვათა შორის, ფერშოვი თითქმის ჩემი ასაკისაა და დღემდე აწყობს ექსპედიციებს ჰიმალაიში; ასევე გავიარე ე.წ. „ზუბ-გიგანტი“ — ამ უზარმაზარ კლდეს კბილის ფორმა აქვს და ამიტომაც ეძახიან გიგანტურ კბილს... ადრე შეჯიბრებებს ბუნებრივ კლდეებზე აწყობდნენ, ახლა კი ყველაფერი გაიოლდა — ჩემპიონატებს დარბაზებში, ხელოვნურ „კლდეებზე“ ატარებენ.

— გაიხსენეთ თქვენი მასწავლებელი და მეგობარი, „კლდის ვეფხვად“ წოდებული მიხეილ ხერგიანი.

— მიშა ნამდვილი მოვლენა იყო. ძლიერი გახლდათ არა მარტო როგორც ალპინისტი და მეკლდეური, არამედ როგორც მოთხილამურე. შესანიშნავად თამაშობდა ფრენბურთს, მაგიდის ჩოგბურთს და ვიდრე მთამსვლელობას მიჰყოფდა ხელს, იყო საქართველოს ჩემპიონი ჭიდაობაში. ის დიდი სიყვარულით სარგებლობდა როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთაც. მე მას ძალიან ვუყვარდი. როცა თბილისში პირველად ჩამოვედი, სწორედ მან შემიფარა — ერთ ბინაში ვცხოვრობდით. ყოველ შემოდგომაზე იალტაში ტარდებოდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი მეკლდეურობაში, სადაც მიშას ყოველთვის ჩავყავდი. ჩვენ გუნდზე ადრე ჩავდიოდით იალტაში და იმ კლდეებთან ახლოს, სადაც შეჯიბრება უნდა ჩატარებულიყო, ბინას ვქირაობდით. 15 რესპუბლიკიდან სპეციალურად ჩამოდიოდნენ გუნდები, ხერგიანის ვარჯიშისთვის რომ ედევნე-



ალპინისტი არასდროს უნდა მოდუნდეს, ყოველთვის ყველაფრისთვის მზად უნდა იყოს

ბინათ თვალი. ზოგჯერ ვიმალებოდით — ვიტყოდით, ამა და ამ ადგილას ვვარჯიშობთ-თქო და როცა იქაურობა ხალხით ივსებოდა, სავარჯიშოდ სხვაგან მივდიოდით. ძალიან დიდი ალღო და უნარი ჰქონდა, წინასწარ განესაზღვრა ამინდი. უყვარდა ხიფათში ჩავარდნილი ადამიანების შველა, ამას თავის მოვალეობად მიიჩნევდა. მან უშბაზე ურთულესი ალპინიადა ჩაატარა: 45-კაციანი ჯგუფი უამინდობაში ისე აიყვანა და ჩამოიყვანა, რომ ნაკაწრიც კი არავის ჰქონია. მან ძნელად გასავლელი ადგილები წინასწარ დაამუშავა. იმ დღეს, როცა მწვერვალზე უნდა ავსულიყავით, ძალიან ადრე — 6 საათზე გაგვაღვიძა (თოვლზე გვედგა კარვები და იქ გვეძინა). ყველაფერი ნისლით იყო დაბურული, 2 მეტრში ადამიანს ვერ გაარჩევდი. გვეგონა, ბანაკში დაგვაბრუნებდა, მაგრამ ჩვენდა გასაოცრად, ყველანი ერთ ხაზზე ჩაგვამწკრივა, გვითხრა: მოემზადეთო და გეზი მწვერვალისკენ აიღო. ხმა არავის ამოუღია, მას უკან გავყევით. ნახევარი საათის განმავლობაში ნისლში მივდიოდით, მერე კი ნისლის ბურუსი ნელ-ნელა გაიფანტა. მიშა წინ მიგვიძღოდა თავის მეწყვილესთან და ბავშვობის მეგობართან, მარლენ რატიანთან ერთად. ხერგიანმა მწვერვალზე სეირნობით აგვიყვანა. უშბას, როგორც მოგეხსენებათ, ორი წვერი აქვს — ჩვენ ჩრდილოეთის მწვერვალზე ავედით და იქ ერთ, ფერდობივით ადგილზე მოვკალათდით. ყველაზე მაღლა ალმაზგირ კვიციანი ავიდა, რომელიც ჯფუფში ყველაზე ხანდაზმული — 72 წლის იყო. ის მაზერში მცხოვრები სვანია, მთელი ცხოვრება უშბას ქვევიდან შეჰყურებდა და ოცნებობდა, მწვერვალზე ასულიყო. ალმაზგირმა, უშბის წვერზე ავიდა თუ არა, ზურგჩანთიდან სვანური რახი და პატარა ხარის რქა ამიღო, არაყი დაისხა, ყველა დაგვლოცა, მიშას კი მადლობა უთხრა იმისთვის, რომ მან ნატვრა აუსრულა.

— ის დღე გაიხსენეთ, როცა მიხეილ ხერგიანი დაილუპა.

— 1968 წელს, მანამდე, ვიდრე ეს უბედურება მოხდებოდა, ჩვენ წყვილებში შეჯიბრებაზე იალტაში ერთად გამოვედით. სამწუხაროდ, მაშინ რუსებმა მიშას კლდის სახვრეტი ინსტრუმენტი ათხოვეს, რომელიც პირველივე დარტყმაზე გადაუტყდა. მას საკუთარი სათადარიგო ინსტრუმენტიც მოჰქონდა და ის გამოვიყენეთ, მაგრამ ამასობაში, 2 წუთი დავკარგეთ, რამაც საბოლოო ჯამში, ოქროს მედლის მოპოვების შანსი ხელიდან გაგვაშვებინა. თბილისში რომ ჩამოვედით, მიშა დამპირდა: მომავალ წელს იალტაში ისევ ერთად წავალთ, მანამდე კი კარგად უნდა ვივარჯიშოთო. ცოტა ხანში მიშა იტალიაში მარტო წავიდა და იქიდან მივიღეთ ტრაგიკული ინფორმაცია. ეს ძალიან მტკივნეული გახლდათ ჩემთვის. მიხეილ ხერგიანი ჩემთვის მასწავლებელიც იყო, მეგობარიც და მშობელიც... ალპურ კლუბში ვიყავი, დამლაგებელი ქალი რომ შემოვარდა ტირილით და მითხრა, — მიშა დაიღუპაო. ძალიან დიდხანს, ქალივით ვქვითინებდი... მიშა საქართველოში ჩამოასვენეს. მთელი სვანეთი შეძრა და დაამწუხრა მისმა სიკვდილმა. დაკრძალვაზე ჩამოვიდა მოსკოველი ონიშჩენკო, რომელიც სუალტოს კლდეზე მიშასთან ერთად გახლდათ. მაშინ დიდი ეჭვები იყო იმასთან დაკავშირებით, რომ მიშას უღალატეს, მაგრამ ეს ტყუილია. ონიშჩენკოს იმასაც კი ეუბნებოდნენ, — სვანეთში არ წახვიდე, თორემ მოგკლავენო. უფროსი თაობის წარმომადგენლებმა მას დაკითხვა მართლა მოუწყვეს, მაგრამ ბოლოს, თავიანთი თავის შერცხვათ. მიშას დაღუპვა უბედური შემთხვევა იყო. მისი დაკრძალვის შემდეგაც ჩამოდიოდა ონიშჩენკო სვანეთში და 2002 წელს თბილისში, ოპერისა და ბალეტის თეატრში გამართულ მიხეილ ხერგიანის 70 წლის იუბილესაც დაესწრო.

— ბატონო ლადო, რა თვისებები უნდა ახასიათებდეს ალპინისტს?

— პირველ რიგში, უნდა უყვარდეს მთა და გამუდმებით ვარჯიშობდეს. ალპინისტი არასდროს უნდა მოდუნდეს, ყოველთვის ყველაფრისთვის მზად უნდა იყოს.

— ამჟამად რითი ხართ დაკავებული?

— თავიდან, მიხეილ ხერგიანის რეკომენდაციით, პოლიტექნიკურ უნივერსიტეტში ინსტრუქტორ-მეთოდისტად მიმიღეს, 1984 წელს კი მთამსვლელთა და მეკლდეურთა სკოლის დირექტორად დამნიშნეს. 2007 წელს პრემიერ-მინისტრ ნოღაიდელის განკარგულებით, სკოლას დაფინანსება შეუწყდა. ამჟამად მეკლდეურობის ფედერაციაში, გენერალური მდივანი გახლავართ. სპორტის დეპარტამენტისგან ძალიან მცირე დაფინანსება გვაქვს და შესაბამისად, მსოფლიოს ჩემპიონატზე მეკლდეურების გაშვებას ვერ ვახერხებთ.

— რას გეგმავს ლადო გურჩიანი მომავალში?

— ყველა მთამსვლელის მიზანი, ისევ და ისევ, მწვერვალის დალაშქვრაა. მე პირველი შვილის დაბადებაც კი მთაში შემატყობინეს. მთა თუ დაგიძახებს, მიუხედავად ყველაფრისა, მისკენ უნდა გაემართო... ■

ანტიდეპრესანტი

ინფორმაციულ-შეშეცნებითი კოლაჟი

ეოჩა დვალის უბის წიგნაკიდან:

1. რევოლვერი სემუელ კოლტმა გამოიგონა.

2. სპორტის ენად ინგლისურია აღიარებული.

3. მებარჯეს მეორენაირად ჰარპუნიორი ჰქვია.

4. ინგრიდ ბერგმანი მკერდის კიბოთი გარდაიცვალა.

5. ლაიზა მინელი პირველად სამი წლის ასაკში გამოვიდა სცენაზე.

6. მორბენალი მოციგურავეები ტრეკზე საათის საწინააღმდეგო მიმართულებით დარბიან.

7. ფიფას მოთხოვნით, ფეხბურთის ბურთში ერთ ატმოსფეროზე მეტი წნევა არ უნდა იყოს.

8. ნობელის პრემიის ლაურეატებს მილიონი დოლარითა და ოქროს მედლით აჯილდოებენ.

9. დიდ ბრიტანეთში ყოველ წელიწადს მეხისგან სამი ადამიანი იღუპება, ამერიკაში დაახლოებით — 75.

10. ასტრონავტი ნილ არმსტრონგი, რომელმაც პირველმა დადგა მთვარეზე ფეხი, თავის დროზე კორეის ომში იბრძოდა.

11. გინესის რეკორდების წიგნში მოხვდა ქალი, რომელსაც 25 წლის მანძილზე ვიწრო კორსეტების ტარების გამო წელი კომპაქტდისკის შემოწერილობის გაუხდა.

12. „ემპაიერ სტეიტ ბილდინგი“ ნიუიორკში 13 თვე შენდებოდა. ამ შენობის სახურავამდე ასვლას ლიფტი ერთ წუთს ანდომებს, სახურავიდან გადმოგდებული ნივთი კი მიწაზე ათ წამში ეცემა.

13. „ტოლკო უ ნას სჩიტაიუტ, შტო ვეჩერინკა უდალას, იესლი ვსე გოსტი ზა ნოჩ ტრი რაზა ბეგალი ვ მაგაზინ, სარვალი გოლოს, დვერი ნადა რემონტირავატ, სტეკლო ვსტავლიატ, სასედი ზვანილი ვ მილიციუ, მილიცია პრიხადილა, ეი ნალილი ი ანი ტოუე სჩიტაიუტ, შტო ვეჩერინკა უდალას...“ — ამბობს მიხაილ ზადორნოვი.

14. სანამ სიქსტის კაპელას მოხატავდა, მიქელანჯელო სულისა და სხეულის განწმენდისათვის ექვსი თვე მარხულობდა.

15. კაცობრიობის მიერ ავადმყოფობათა, განსაკუთრებით კი სიფილისის დაძლევის აუცილებლობას ჰიტლერმა „მაინ კამფში“ რამდენიმე თავი დაუთმო.

16. ამერიკელებმა იმდენად დახვეწეს ტატუირების ტექნოლოგია, რომ თვალის რქოვანას ხვრეტენ, შპრიცის საშუალებით თვალის შიგნით საღებავი შეჰყავთ და თეთრ გარსს შავ ფერს აძლევენ.

BMW ახალ როდსტერს გამოუშვებს

კომპანიამ — BMW — როდსტერის — Z4-Z4 SDrive35 — მძლავრი მოდიფიკაცია წარმოადგინა, რომელიც 340 ცხ.ძ. სიმძლავრემდე ფორსირებული 3-ლიტრიანი, 2-ტურბინიანი ძრავათია აღჭურვილი. სიახლის დებიუტი დეტროიტის ავტოსალონზე, 2010 წლის იანვრის დასაწყისში შედგება, ხოლო თავისი დინამიკური მახასიათებლების მიხედვით, ეს ავტომობილი წინა თაობის Z4M-ს აღემატება. მანქანა 100 კმ/სთ სიჩქარეს 4,8 წამში ავითარებს. ყველაზე მძლავრი BMW Z4-ისთვის სტანდარტული ტრანსმისია Launch Control-ის მქონე 7-საფეხურიანი სიჩქარის გადაცემათა კოლოფია. გარდა ამისა, ყველაზე სწრაფი და მძლავრი Z4-ის საბაზო ვერსია სპორტული პაკეტით დაკომპლექტდება, რომელიც ბორბლების 18-დუიმიან დისკებს ითვალისწინებს. ■

„მაზდას“ ახალი ხაზის ძრავა

მომავალი თაობის Mazda MX-5 SKY-G-ის ახალი ხაზის ბენზინის ძრავათი იქნება აღჭურვილი, რომელიც მიმდინარე წლის ოქტომბერში, ტოკიოს მოტორშოუზე წარადგინეს. გამოფენაზე დამსწრე საზოგადოებამ SKY-G-ის ოჯახის 1,3-ლიტრიანი „ოთხიანი“ იხილა, რომელიც 100 კმ მანძილზე 4,7 ლ საწვავს მოიხმარს. ჯერ-ჯერობით უცნობია, თუ როგორი ზომის მოტორი იქნება გამოყენებული ახალ MX-5-ზე, მაგრამ მისი სიმძლავრე 150 ცხ.ძ. გახლავთ. ადრე გავრცელებული ცნობის თანახმად, SKY-G-ის ოჯახის მოტორების შემუშავებისას ერთ-ერთი მთავარი ამოცანა მექანიკური დანაკარგების შემცირება და საწვავ-ჰაეროვანი ნარევის შექმნის გაუმჯობესება იყო. ამასთან, შემქმნელთა აზრით, ასეთი ძრავების საწვავის ეკონომიურობასა და ბრუნვის მაქსიმალურ მომენტს არსებული 2-ლიტრიანი აგრეგატის ანალოგიური მაჩვენებლებისთვის 15%-ით უნდა გადაეჭარბებინა. SKY-G-ის გამაში დიზელი და სიჩქარის გადაცემათა ავტომატური კოლოფიც შედის. წინასწარი ინფორმაციით, მომავალი თაობის Mazda MX-5 ზომით ოდნავ შემცირდება და 10%-ით შემსუბუქდება. მანქანის დებიუტი 2011 წელს შედგება. ■

„კია“ სპორტ-ავტოს გამოუშვებს

კომპანია Kia უკანაამძრავიან სპორტ-ავტოს სერიულ წარმოებაში ჩაშვების შესაძლებლობას განიხილავს. ეს მანქანა კონცეპტ-ავტოს — Kee — მოტივებზეა აწყობილი, რომელიც 2 წლის წინ, ფრანკფურტის მოტორშოუზე წარადგინეს. სამხრეთკორეული ფირმის წარმომადგენლები იმედოვნებენ, რომ სიახლე კონკურენციას Mazda MX-5-სა და „ტოიოტას“ კუპეს გაუწევს, რომელიც იაპონელებმა Subaru-სთან ერთად შეიმუშავეს. იგი ლეგენდარული ჰეჩბეკის — 86 (Hachi-roku) — მემკვიდრეა. წინასწარი მონაცემებით, „კიას“ მოდერნიზებული უკანაამძრავიანი სპორტ-ავტოს — Hyundai Genesis — პლატფორმაზე ააწყობენ, მაგრამ ჯერჯერობით უცნობია, თუ როგორ ძრავას დაუყენებენ ამ მანქანას. „ის ძალიან სწრაფი და მძლავრი არა, მაგრამ კომპაქტური, ხელმისაწვდომი და მართვისთვის სასიამოვნო ანუ ნამდვილი სპორტული ავტომობილი უნდა იყოს“, — განაცხადა Kia-ს დიზაინერმა პიტერ შრეიერმა. აღსანიშნავია, რომ Kee-ს პროტოტიპი 200 ცხ.ძ. მქონე, 6-ცილინდრიანი, 2-ლიტრიანი მოტორითა და სიჩქარის გადაცემათა 6-საფეხურიანი კოლოფით იქნება აღჭურვილი. Kia-ს სპორტ-კუპე ბაზარზე რამდენიმე წლის შემდეგ ანუ მას მერე გამოჩნდება, რაც კომპანიის ბიზნესხელმძღვანელობა ასეთი მოდელის პერსპექტივას დაინახავს და მისი შეძენისთვის მყიდველებიც მზად იქნებიან. გარდა ამისა, უახლოეს 2 წელიწადში კომპანია Kia სამოდელო რიგის გაფართოებას და 2011 წლისთვის ჰეჩბეკ Piacinto-ს მომდევნო მოდელის ჩაშვებას გეგმავს, რომელიც Rio-სა და ახალი Magentis-ის მემკვიდრე იქნება. ■

ტიუნინგ-პროგრამა Lamborghini Gallardo LP560-4-ისთვის

სუპერავტოსთვის — Lamborghini Gallardo LP560-4 — გერმანულმა ტიუნინგ-კომპანიამ — Edo Competition — ახალი პროგრამა მოამზადა. როგორც ოფიციალურ პრესრელიზშია ნათქვამი, ატელიეს სპეციალისტებმა 5,2-ლიტრიანი, 10-ცილინდრიანი მოტორის სიმძლავრე 560-დან 600-მდე გაზარდეს, მასზე უფრო მსუბუქი გამომშვები სისტემა (მისი ხმის რეგულირება სალონიდანვეა შესაძლებელი) და სხვა წინა სპოილერი დააყენეს. ამასთან, სუპერავტოს Dunlop Sport Maxx-ის 19-დუიმიანი დისკები დაუმონტაჟეს, რომელსაც წინა ღერძზე 235/35, ხოლო უკანაზე 305/30 ზომის ბორბლები უყენია. კომპანიის — Edo — მონაცემებით, 100 კმ/სთ სიჩქარეს ტიუნინგირებული ავტომობილი 3,5 წამში ავითარებს (სტანდარტულზე 2,1 წამით ადრე), მისი მაქსიმალური სიჩქარე კი 340 კმ/სთ-ია. ■

ანტიდეპრესანტი

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეოჩა ღვალი

უბის წიგნაკიდან:

17. XVI საუკუნეში ესპანელმა მოჭადრაკემ, გვარად ლოპესმა, მორიგი პარტიის დროს გაწირა პაიკი, რის ხარჯზეც სწრაფად შეძლო შეტევაზე გადასვლა და დაამარცხა მოწინააღმდეგე. ამ ტაქტიკას ლოპესმა მოგვიანებით, გამბიტი უწოდა.

18. მოედანს, სადაც აქლემების დოღი იმართება, კამელოდრომი ჰქვია. აქლემების დოღზე ჟოკეებად ბავშვებს ქირაობენ, რათა მხედრის სიმსუბუქემ დრამოდერს (ცალკუზიან აქლემს) სირბილი გაუადვილოს.

19. ინგლისელები ნებისმიერ პრობლემას მათთვის დამახასიათებელი იუმორით უდგებიან. მეორე მსოფლიო ომის დროს ბრიტანელებმა ცნობილი სამხედრო მარში სახუმარო სიმღერად გადააკეთეს და სულ მალე მთელი ინგლისი ერთხმად გაიოდა, — ადოლფ ჰიტლერს მხოლოდ ცალი სათესლე ჯირკვალი აქვსო, რაც, მესამე რაიხის ისტორიის მკვლევართა ავტორიტეტული განცხადებით, სრული სიცრუე გახლდათ.

20. კორეა 1910 წლიდან მოყოლებული, იაპონიის კოლონია იყო. მეორე მსოფლიო ომის დასასრულს, იაპონელების განდევნის შემდეგ, საბჭოთა კავშირმა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ეს ქვეყანა 38-ე პარალელის გაყოლებაზე შუაზე გაიყვეს: სამხრეთ კორეა ამერიკის გავლენის ქვეშ მოექცა, ჩრდილოეთი — კომუნისტების გავლენის ქვეშ.

21. მეორე მსოფლიო ომის დროს ფრანგი პარტიზანები ლა მანშის თავზე საფოსტო მტრედებს აფრენდნენ და მათი დახმარებით მიკროფირებსა და დაშიფრულ ინფორმაციას გადასცემდნენ ბრიტანელებს. ამის გამო საფოსტო მტრედების მფლობელი ყველა ფრანგი ვალდებული იყო, ოფიციალურად დარეგისტრირებულიყო გერმანელებთან. აღრიცხვაზე არმყოფ მეპატრონეებს ფაშისტები გამოვლენისთანავე ხვრეტდნენ.

22. „ივანე მაჩაბელი ჩვენი ნუგეშია“, — ამბობდა შექსპირის ტრაგედიების უბადლო მთარგმნელის შესახებ ილია ჭავჭავაძე. ამ ორი ადამიანის ურთიერთობა დიდი მეგობრობით დაიწყო და დიდი მტრობით დამთავრდა. როცა ივანე მაჩაბელი უგზო-უკვლოდ დაიკარგა, თბილისელებმა მტკვარიც კი გაჩხრიკეს — ტივებზე მდგარნი ჭოკებით ეძებდნენ მის გვამს. სამაშველო სამუშაოებს ილია ჭავჭავაძეც ესწრებოდა, რასაც აკაკი წერეთლის სევდანარევი ხუმრობა მოჰყოლია: მოიცათ, ხალხო, ტყუილად ეძებთ, წყლიდან რომც ამოიყვანოთ, ილიას დაინახავს და ისევ უკან გადახტებაო.

რუბრიკას უძღვება ექიმი ნინო ჩარგეიშვილი

მაღალი წნევა — მიოკარდიუმის ინფარქტისა და ინსულტის რისკ-ფაქტორი

არტერიული წნევის მატება შეიძლება წლების განმავლობაში, უსიმპტომოდ მიმდინარეობდეს. უკონტროლოდ დარჩენილი ჰიპერტენზია ისეთი სერიოზული დაავადებების განვითარების რისკს ზრდის, როგორიცაა: მიოკარდიუმის ინფარქტი და ინსულტი. არტერიული წნევა განისაზღვრება გულის მიერ გადატუმბული სისხლის რაოდენობით და იმ წინააღმდეგობით, რომელიც სისხლს სისხლძარღვებში მოძრაობისას ხვდება. ასე რომ, რაც მეტი სისხლის გადატუმბვა უხდება გულს და რაც უფრო ძლიერადაა შევიწროებული სისხლძარღვები, მით მაღალია არტერიული წნევა, რომელიც წესით, 140/90-ზე უნდა იყოს. მცდარია მოსახლეობაში გავრცელებული აზრი, თითქოს წნევის ციფრების ნორმა ინდივიდუალურია.

სიმპტომები

ბევრ ადამიანს აქვს არტერიული ჰიპერტენზია, მაგრამ საწყის ეტაპზე, მაშინაც, როცა წნევის ციფრები მნიშვნელოვნადაა მომატებული, თავს ცუდად არ გრძნობს, ზოგიერთს კი პირიქით, აწუხებს თავის ტკივილი, თავბრუსხვევა ან ცხვირიდან მცირე სისხლდენა. ეს სიმპტომები მეტწილად, ვლინდება მაშინ, როცა არტერიულ ჰიპერტენზიას უკვე სერიოზული სახე აქვს მიღებული და ჯანმრთელობას დიდ საფრთხეს უქმნის.

როდის მივმართოთ ექიმს?

წნევის გასაკონტროლებლად, უკვე 20 წლის ასაკიდან, წელიწადში 2-ჯერ უნდა მიმართოთ ექიმს, მაგრამ თუ ამას ვერ მოახერხებთ, მისი გაზომვა საოჯახო პირობებშიც შეიძლება და გირჩევთ, ის ზოგჯერ მაინც გაიკონტროლოთ.

არსებობს ორი სახის არტერიული ჰიპერტენზია:

* პირველადი არტერიული ჰიპერტენზია — შემთხვევათა 90-95%-ში არტერიული წნევის მატებას არა აქვს რაიმე განსაზღვრული მიზეზი. ჰიპერტენზიის ეს სახე, რომელსაც ესენციურ ანუ პირველად არტერიულ ჰიპერტენზიას უწოდებენ, როგორც წესი, ასაკთან ერთად ვითარდება;

* მეორადი არტერიული ჰიპერტენზია — დარჩენილ 5-10%-ში ჰიპერტენზია ვითარდება თანმხლები დაავადებების ფონზე და როგორც წესი, აღმოცენდება მოულოდნელად. პირველად არტერიულ ჰიპერტენზიასთან შედარებით, ის უფრო მაღალია. მეორადი არტერიული ჰიპერტენზიის მიზეზი შეიძლება გახდეს სხვადასხვა დაავადება (თირკმლების დაავადება, თირკმელზედა ჯირკვლების სიმსივნე, გულის თანდაყოლილი პათოლოგია და ა.შ.) ან ზოგიერთი პრეპარატის (ჩასახვის საწინააღმდეგო ტაბლეტების, გაცივების საწინააღმდეგო წამლების და სხვა), ნარკოტიკების (მაგალითად, კოკაინი და ამფეტამინი) მიღება.

არსებობს არტერიული წნევის მატების რისკ-ფაქტორები, რომელთაგან ზოგის გაკონტროლება და თავიდან აცილებაა შესაძლებელი, ზოგის — არა.

არაკონტროლირებად რისკ-ფაქტორებს მიეკუთვნება: ასაკი — ასაკის მატებასთან ერთად ჰიპერტენზიის განვითარების რისკი მატულობს. მამაკაცებს უფრო ხშირად, წნევის მატება შუახნის ასაკში აღენიშნებათ, ქალებს — მენოპაუზის შემდეგ; თანაც არტერიული ჰიპერტენზია მეტწილად, თეთრკანიანებს აწუხებს; მემკვიდრეობა — „წნევიანების“ ოჯახში ჰიპერტენზიამ შეიძლება, მემკვიდრული ხასიათი მიიღოს.

რისკ-ფაქტორები, რომელთა კონტროლიც შესაძლებელია: ჭარბი წონა ან სიმსუქნე, ადინამია, მოწევა, დიდი რაოდენობით მარილის მოხმარება, კალიუმის დეფიციტი, ალკოჰოლის ბოროტად მოხმარება, სტრესი, ქრონიკული დაავადებები — სისხლში ქოლესტერინის დონის მომატება, შაქრიანი დიაბეტი, თირკმლების დაავადება, აპნოს შეტევა ძილში (ხვრინვა) და სხვა.

ცხოვრების წესის შეცვლა

არტერიულმა ჰიპერტენზიამ შეიძლება გამოიწვიოს ინსულტი, მიოკარდიუმის ინფარქტი, გულის უკმარისობა, თირკმლებისა და თვალის ბადურა გარსის პათოლოგიები. ამ დაავადების მკურნალობის მიზანია წნევის დაქვეითება და შესაბამისად, ორგანოების დაზიანების თავიდან აცილება. არტერიული ჰიპერტენზიის მკურნალობა გულისხმობს 2 ძირითად მომენტს: მედიკამენტოზურ მკურნალობას და ცხოვრების წესის შეცვლას.

წამლები დაავადებულს აუცილებლად ექიმმა უნდა დაუნიშნოს სრულფასოვანი გამოკვლევის, არტერიული ჰიპერტენზიის მიზეზისა და თანმხლები დაავადებების გამოვლინების შემდეგ. შესაძლოა, ავადმყოფმა გარკვეული პერიოდი, წნევის დარეგულირება დამოუკიდებლად (ან არასპეციალისტი ნაცნობ-მეგობრის რჩევების საფუძველზე), რომელიმე პრეპარატის მიღებით (ჰიპოტენზიური, შარდმდენი) მოახერხოს, მაგრამ ამას დროებითი ეფექტი ექნება. ასე რომ, ექიმთან ვიზიტი აუცილებელია. თუმცა, არც სპეციალისტის დანიშნულებით მკურნალობა იქნება ეფექტიანი, თუ არ მოხდა ცხოვრების წესის შეცვლა ანუ მავნე ჩვევებზე უარის თქმა და ჯანსაღ, აქტიურ ცხოვრებაზე გადასვლა, რაც გულისხმობს: ჯანსაღ კვებას, სიგარეტზე უარის თქმას, ფიზიკური ვარჯიშებით დაკავებას. რეკომენდებულია ფეხით სიარული, ცურვა, ველოსიპედით სეირნობა. ზღვრული ფიზიკური დატვირთვა მკაცრად განსაზღვრული უნდა იყოს და მასზე კონტროლი პულსის, სუნთქვის გახშირების ინტენსივობაზე დაკვირვებით უნდა მოვახდინოთ. ვარჯიშის შემდეგ გულისცემის სასურველი ციფრები ასეთია:

* 20-29 წელი — 140 წუთში;
* 30-39 წელი — 132 წუთში;
* 40-49 წელი — 125 წუთში;
* 50-59 წელი — 115 წუთში.

ასევე მნიშვნელოვანია:

* ნორმალური ძილი. საკმარისად მიიჩნევა 7 საათი ძილი. თუმცა ეს

ინდივიდუალურია და ზოგს შეიძლება, გამოსაძინებლად 9-10 საათი დასჭირდეს;

* სიმშვიდე, სტრესებისგან თავის არიდება, ღამის ცვლაში მუშაობაზე უარის თქმა;

* წნევის კონტროლი და სპეციალური დღიურის შემოღება, სადაც პაციენტი ჩაინიშნავს დილის, შუადღისა და საღამოს წნევის ციფრებს;

* წნევის მატებისკენ მიდრეკილმა ქალებმა, რომლებიც ორალურ კონტრაცეპტივებს იღებენ, მათი მოხმარება უნდა შეწყვიტონ.

სწორი კვება ჰიპერტენზიის დროს

არტერიული წნევის განვითარების რისკ-ფაქტორებს შორის არის ათეროსკლეროზი, შაქრიანი დიაბეტი და სიმსუქნე. ზედმეტი ჭამა, ცხიმებითა და ნახშირწყლებით მდიდარი კვების რაციონი ხელს უწყობს ამ დაავადების განვითარებას. არტერიული ჰიპერტენზიის დროს ექიმები გვირჩევენ: მარილის მაქსიმალურად შეზღუდვას — მარილის მოხმარება დღეში არ უნდა აღემატებოდეს 5 გრამს. მარილი შეიცავს ნატრიუმს, რომელიც იწვევს ორგანიზმში სითხის შეკავებას და შესაბამისად, არტერიული წნევის მატებას. გაითვალისწინეთ, მარილს დიდი რაოდენობით შეიცავს ძეხვეული, კონსერვირებული და შებოლილი პროდუქტები; მეტი ბოსტნეულის, ხილისა და უჯერი ცხიმის, რომელსაც მიეკუთვნება ზეთი (ის არ შეიცავს ქოლესტერინს) მიღებას; ზღვის პროდუქტების მირთმევას — ამის საშუალებით სისხლში მოხვდება ბუნებრივი ანტიოქსიდანტები, როგორიცაა: ვიტამინი C, ლუტეინი, ბეტა-კაროტინი; კაკაოს მიღებას არტერიული წნევის შესამცირებლად და ჩაის დალევას მის მოსამატებლად; ალკოჰოლური სასმელების შეზღუდვას. თუმცა ბოლო დროს სულ უფრო მეტი იწერება იმის შესახებ, რომ მშრალი წითელი ღვინო, მცირე რაოდენობით (დღეში 20 გრამამდე), სასარგებლოც კი არის; ყავის და კოფეინის შემცველი პროდუქტების შეზღუდვას და ჭვავის პურის მიღებას; კვების რაციონში ცხოველური ცხიმის შემცირებას — ის ქოლესტერინს შეიცავს; ბურღულეულის, თევზის, ქათმისა და ნიგვზის ჭამას; მაგნიუმით, კალიუმითა და კალციუმით მდიდარი პროდუქტებით კვების რაციონის გამდიდრებას.

კალიუმით მდიდარია: გარგარის ჩირი, ავოკადო, ბანანი, ჭარხალი, კივი, გოგრა, უცხიმო რძე, ატამი, ფორთოხალი, მიწის თხილი, კარტოფილი, ქიშმიში, პომიდორი.

მაგნიუმით მდიდარია: ლობიო, ბროკოლი, მიწის თხილი, ხამანწკები, გოგრის თესლი, სოიის რძე, ასკილი, თეთრი პური.

არტერიული ჰიპერტენზიის დროს დიეტის საფუძველს უნდა შეადგენდეს შემდეგი კერძები:

* უცხიმო ხორცი, უცხიმო თევზი (უპირატესად, მოხარშული);

* რძე და რძის პროდუქტები, უცხიმო ხაჭო და ყველი;

* ფაფა (წიწიბურას, ხორბლის, შვრიის და ა.შ.);

* მაწვნის, ხილის წვნიანი. კვირაში 2-ჯერ უცხიმო ხორცის წვნიანის მირთმევაც შესაძლებელია;

* ხილი და ბოსტნეული (ახალი ან დამწნილებული კომბოსტი, ახალი კიტრი, პამიდორი, ყაბაყი და გოგრა) ნედლი ან მოხარშული სახით;

* კალიუმითა და მაგნიუმით მდიდარი პროდუქტები (გარგარი, გარგარის ჩირი, ვაშლი და სხვა).

არტერიული ჰიპერტენზიით დაავადებულებს ექიმთან დროული ვიზიტი, მავნე ჩვევებზე უარის თქმა, ცხოვრების წესის შეცვლა და ექიმის რეკომენდაციის ზედმიწევნით შესრულება ჯანმრთელობას გაგიუმჯობესებთ და ყოველგვარ გართულებას თავიდან აგაცილებთ. ■

ჭარბი წონა ხერხემალს აზიანებს

აღმოჩნდა, რომ ბავშვებში ჭარბი წონა ხერხემლის ნაადრევ დეგენერაციას იწვევს. სამხრეთ ამერიკის რადიოლოგიის საზოგადოებისა და ნიუ-იორკის ბავშვთა საავადმყოფოს პედიატრებმა სხეულის მასის ინდექსსა და ხერხემლის ანომალიებს შორის კავშირი დაადგინეს.

გამოკვლევა 12-დან 20 წლამდე ასაკის 188 მოზარდს ჩაუტარდა, რომელიც არატრავმული წარმოშობის ზურგის ტკივილს უჩიოდა და ამის გამო, 4 წლის განმავლობაში ექიმის დაკვირვების ქვეშ იმყოფებოდა. პაციენტთა 52%-ს ხერხემლის ქვედა ან წელის ნაწილში ცვლილებები აღმოაჩნდა, რომელთა უმრავლესობა ხერხემლის მალათაშორის დისკებში იყო ლოკალიზებული. დისკების დაზიანებისას კი ნერვზე ზეწოლა ხდება, რაც ტკივილსა და სისუსტეს იწვევს.

აქამდე მიიჩნეოდა, რომ ბავშვებში ზურგის ტკივილი კუნთების სპაზმის ან დაჭიმვის ბრალი იყო, მაგრამ ამერიკელმა მედიკოსებმა აღმოაჩინეს, რომ მათ ასაკში ჭარბი წონაც ხერხემლის დაავადებათა განვითარების რისკ-ფაქტორი ყოფილა. ■

P.S. **რუბრიკის ავტორს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელეფონის ნომერზე: 8(99) 30.35.97 ან ელფოსტაზე:** nino.char@yahoo.com
ის თქვენს ნებისმიერ კითხვას გასცემს პასუხს.

სამეცნიერო აღმოჩენა ფობიების განკურნების იმედს იძლევა

ამერიკელმა მეცნიერებმა ფობიების უმედიკამენტოდ განკურნების ახალი მეთოდი შეიმუშავეს: მათ ტვინში მოგონებათა რეარქივაციის პროცესზე ზემოქმედება მოახდინეს და ამ გზით შიშის ბლოკირება შეძლეს.

ჩვეულებრივ, ფსიქოთერაპევტები ფობიებს დაავადებულისთვის შიშის ობიექტის დემონსტრირების გზით მკურნალობენ (მაგალითად, არაქნოფობებს მათთვის უსაფრთხო გარემოში უჩვენებენ ობობებს). ნიუ-იორკელ მეცნიერთა ჯგუფი გამოსაკვლევ პირებს აიძულებდა, გაეხსენებინათ, თუ რასთან იყო ასოცირებული მათი შიში, მერე კი თავის ტვინში მოგონებათა არქივაციის პროცესზე დაიწყეს ზემოქმედება. ჯგუფის ხელმძღვანელის თქმით: „მთავარია, მოგონების ტვინში ჩანერგვისთანავე მოხდეს მასზე ზემოქმედება და იმგვარი რედაქტირება, რაც ადამიანს იმის გაცნობიერებაში დაეხმარება, რომ საფრთხე არ ემუქრება“.

ექსპერიმენტის მონაწილეებს ფერადი სურათების თვალიერებისას ელექტროშოკით „უმასპინძლდებოდნენ“, შემდეგ კი იმავე სურათებს დენის დარტყმის გარეშე უჩვენებდნენ. ერთი წლის შემდეგ ექსპერიმენტის მეორე ეტაპი ჩატარდა. გაირკვა, რომ მათ, ვისი „რედაქტირებაც“ მოგონებების ფიქსირებიდან 6 საათზე მეტი ხნის შემდეგ მოხდა, სურთების მიმართ შიში შენარჩუნებული ჰქონდათ, ხოლო მათ, ვისაც „რედაქტირება“ უფრო ადრე ჩაუტარდათ — არა.

ჯგუფის ხელმძღვანელის განმარტებით, მიზეზი ისაა, რომ ჩვენს მეხსიერებაში რჩება არა თავად მოვლენა, არამედ ის, თუ როგორ მოგვაგონდა იგი ბოლოს. ■

ახალი ნომერი
ოჯახის
მუნიციპალი
ცვნვმ ეკიმოვნ მიხეკლ...

ადამიანი

„ო, არა გაზაფხულზე — ზამთარში... ზამთარში!..“



„...ვერაფერს ქვეყნად ვერ შეველიე, ცხოვრების ყოველ ზვირთში ვერიე, გულში ვიკრავდი ამ ტკბილ მზიანეთს, მსურდა, წამელო ყველა სიამე... წაგყვება რამე?!“ — ის თურმე, ყოველთვის ლაღი და ძალიან თანამედროვე იყო, ახალგაზრდებთან ურთიერთობა უყვარდა და ეს თითქოს მასაც აახალგაზრდავებდა... რა აცოცხლებდა, რა დატოვა და რა წაიღო, — პოეტ-აკადემიკოს ირაკლი აბაშიძის შვილები: ქართული ენციკლოპედიის წამყვანი რედაქტორი, ქალბატონი ირინე აბაშიძე, ქართული ენციკლოპედიის მთავარი რედაქტორი, დიპლომატი, ბატონი ზურაბ აბაშიძე და ჟურნალისტი, ბატონი ვახტანგ აბაშიძე მამასთან ურთიერთობის წლებსა და საინტერესო ამბების თხრობას განაგრძობენ.

წერილი I იხ. „გზა“ №51

ირმა ხარშილაძე

ვახტანგი:

— მამას ხშირად ნახავდით ნოდარ დუმბაძესა და ჯანსუღ ჩარკვიანთან ერთად — ძალიან სიამოვნებდა მათთან ყოფნა, მეგობრობდნენ კიდეც. უყვარდა ახალგაზრდებთან ურთიერთობა, მათგან ბევრ აუცილებელ ინფორმაციასა და ენერგიას იღებდა, რაც არასდროს აშორებდა თანამედროვეობას.

ირინე:

— მეგობრობდა თამაზ ჭილაძესთან, ჭაბუა ამირეჯიბთან, რეზო ამაშუკელთან და მუხრან მაჭავარიანთან, ბევრი მოგონება აკავშირებს მამასთან გურამ დოჩანაშვილს... რუსთაველის იუბილეს დღეებთან დაკავშირებით გამოდიოდა გაზეთი და მამას ოთარ ჭილაძისთვის უთხოვია, შენი ლექსი მომიტანეო. ოთარს უთქვამს: ბატონო ირაკლი, ერთი-ორი ლექსი თუ მექნება და არა მგონია, გაზეთისთვის გამოგადგეთო. მაინც მოატანინა და მახსოვს, მამა გახარებული მეუბნებოდა: იცი, რა არაჩვეულებრივი ლექსი მომიტანაო?! — ლაპარაკი იყო ლექსზე: „დიდი ხნის შემდეგ, დღისით ან ღამით...“

ზურაბი:

— მახსოვს, 1991 წელი იქნებოდა, უკვე არეული ვითარება იყო საქართველოში, მამა ყოველ საღამოს, გვიან სეირნობდა ბარნოვის ქუჩაზე. ერთხელაც, ერთად მოვსეირნობდით. ასე, ღამის 12 საათი იქნებოდა და იქვე გაჩერდა მანქანა, საიდანაც ორი გვარიანად ნასვამი ახალგაზრდა გადმოვიდა. მამასთან მოვიდნენ და, — ბატონო ირაკლი, ისაო, ესაო... — აბურდულად რაღაცების ლაპარაკი დაუწყეს. უეცრად ერთ-ერთს იდეა გაუჩნდა: ჩემთან ავიდეთ, თითო ჭიქა შევსვათო. — კარგი, წავიდეთო, — დათანხმდა მამა. მე გავგიჟდი, მაგრამ ვერაფერი გავაწყვე. ალბათ, არც იმათ ეგონათ, რომ მამა წაჰყვებოდა, მერე კი უკან ვერ დაიხიეს და წავედით (*იცინის*). მივედით საბურთალოზე, იმ ბიჭის ბინაში; გააღვიძეს ოჯახის წევრები, გაუშლევინეს სუფრა და მშვენიერი დრო გავატარეთ — შესანიშნავი ოჯახი აღმოჩნდა (*იცინის*).

ედუარდ კენედი და აბაშიძე ბაზარში

ირინე:

— ანალოგიურ ამბავს ვისმენ ხოლმე ძალიან ბევრ ოჯახში: ჩვენთან ბატონ ირაკლის უქეიფიაო. მამასთვის და მისი მეგობრებისთვის ქეიფი მხოლოდ სმა-ჭამა არასდროს ყოფილა, ეს ურთიერთობების, სჯა-ბაასის, მოსიყვარულების, სიმღერის, ლექსების დღესასწაული გახლდათ.

ვახტანგი:

— მამას მოქეიფეთა ერთი სტაბილური შემადგენლობა ჰყავდა: ტუპია იაშვილი — პაოლო იაშვილის ძმა, კაი კოწია — გურამ ლორთქიფანიძის, ლორთქიას მამა, ვანიჩკა კახიძე — ჯანო კახიძის მამა...

ზურაბი:

— მათი ქეიფის ყურება უდიდესი სიამოვნება იყო — აქ მოისმენდით არაჩვეულებრივ სიმღერებს, საუბარს, ლექსებს... მამას კიდევ ერთი შემადგენლობა ჰყავდა — ალექსანდრე ქუთათელი და სერგო კლდიაშვილი. გამოუვლიდნენ ხოლმე და, — წავიდეთ, ერეკლე, ვიგინოთო, — და მიდიოდნენ სადღაც, რა თქმა უნდა, საქეიფოდ (*იცინის*). საშა ქუთათელსაც გასაოცარი იუმორის გრძნობა ჰქონია.

— გაწვევა უფრო ხშირი იყო თუ მოწვევა?

ვახტანგი:

— ერთიცა და მეორეც. მახსოვს, საზაფხულოდ აფხაზეთში მანქანით რომ მივდიოდით, დანიშნულების ადგილას ჩასვლას სულ მცირე, 3 დღე-ღამეს ვანდომებდით. ჯერ როგორმე ზესტაფონს უნდა გავცდენოდით (თუმცა ასე არ ხდებოდა

ჰარი ბელაფონტე წყნეთში

და ყოველთვის ვჩერდებოდით), მერე თერჯოლისკენ უნდა გადაგვეხვია, მამის მეგობარ სოსო მხეიძესთან; მერე, გამორიცხული იყო, ქუთაისელებს ავცდენოდით და ასე, როდის-როდის ჩავაღწევდით ხოლმე აფხაზეთამდე. ერთხელ დედამ მამას პირობა წაუყენა: მხოლოდ იმ შემთხვევაში წამოვალ, ჩუმად თუ გავიპარებით თბილისიდან და არსად გადავუხვევთო. მამაც დაჰპირდა და შეასრულა კიდეც სიტყვა: მშვიდობიანად გავიარეთ ზესტაფონი, არ გადავუხვიეთ თერჯოლაში, არ შევჩერდით ქუთაისში და ის-ის იყო, ქალაქიდან გავდიოდით, დავინახეთ, გასასვლელი მილიციას გადაეკეტა: ვიღაცას გზაში მამა დაუნახავს, გადაუცია ინფორმაცია და გზაც მოგვიჭრეს. აქ უკვე დედაც უძლური იყო (*იცინიან*).

ზურაბი:

— იმჟამინდელი წვეულებები იმითაც იყო საინტერესო, რომ დღევანდელებისაგან განსხვავებით, უსასრულოდ ვრცელი სადღეგრძელოები არ იცოდნენ: სათქმელს მოკლედ იტყოდნენ, შესვამდნენ და შემდეგ საუბარსა და სიმღერას აგრძელებდნენ.

ვახტანგი:

— ხომ წარმოგიდგენიათ, რა იქნებოდა, როდესაც სუფრასთან ისხდნენ: კონსტანტინე გამსახურდია, შალვა დადიანი, ნიკო მუსხელიშვილი, რომელსაც საოცარი იუმორი ჰქონდა, ლადო გუდიაშვილი, ელენე ახვლედიანი... თითქოს ეს ადამიანები სმასა და სადღეგრძელოებში კი არა, მოსწრებულ სიტყვა-პასუხში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. სუფრასთან მათი ურთიერთობა უფრო ინფორმაციული იყო — ჰყვებოდნენ საინტერესო ამბებს, ლაპარაკობდნენ ისტორიაზე, ხელოვნებაზე, მეცნიერებასა და ასე შემდეგ... მახსოვს, 80-იან წლებში „მშრალი კანონი“ შემოიღეს და სმა აკრძალეს. მამას რადიოდან დაურეკეს და ამაზე აზრი ჰკითხეს. ღიმილით უპასუხა: მე რომ გითხრათ, სმის აკრძალვა კარგია-მეთქი, ვინ დამიჯერებს, ჭიქა არ გამიშვია ხელიდან; თუ გინდათ, ვახტანგ ბერიძეს დაურეკეთ; მანაც უარი თუ გითხრათ, მაშინ ევგენი ხარაძეს მიმართეთ — არც ერთს, არც მეორეს ცხოვრებაში არ დაულევიაო (*იცინის*)...

ირინე:

— იერუსალიმის ექსპედიციის შემდეგ მამა განსაკუთრებულად დაუმეგობრდა გიორგი წერეთელს. რაც შეეხება აკაკი შანიძეს, რომელიც გაცილებით ასაკოვანი იყო, მამის გადმოცემით ვიცი, რომ ძალიან მორიდებულები იყვნენ მასთან. მამის არქივს რომ ვათვალიერებდი, ვიპოვე ქაღალდის ნაგლეჯი, სადაც ეწერა: „ვერ გნახეთ და მწყინსო, ვერ შევესწარ ლხინსო. აკაკი შანიძე“. წერილი იერუსალიმის სასტუმროში იყო დაწერილი — როგორც ჩანს, აკაკი შანიძემ ირაკლისა და გიორგის ნომერში მიაკითხა, ისინი კი არ დახვდნენ, აკაკის გული დასწყდა, — რატომ არ გამიყოლესო? მერე მამა ეუბნებოდა ხოლმე: ბატონო აკაკი, ვერ გიბედავდითო. ბატონი გიორგი ძალიან ხშირად გვსტუმრობდა — ზურიკოსა და ვახტანგსაც კარგად ახსოვთ. არაჩვეულებრივი ადამიანი და ასევე არაჩვეულებრივი აღმოსავლეთმცოდნე იყო.

ვახტანგი:

— თუნდაც კონსტანტინე გამსახურდია — რა საინტერესო ადამიანი იყო! სხვათა შორის, რამდენჯერმე ვყოფილვარ მასთან კოლხურ კოშკში.

ირინე:

— კოშკში მისაპატიჟებლად მისი გამოგზავნილი წერილებიც გვაქვს შენახული: „თქვენმა მონა-მორჩილმა... თქვენმა ძმამ... მოინადირა კალმახი. ამ საღამოს ამოდით და წამოიყვანეთ ვახტანგი“.

ვახტანგი:

— ძალიან მიყვარდა მასთან სტუმრობა, განსაკუთრებით მის შვლებთან „ვმეგობრობდი“. ერთი თითქოს მფრთხალი იყო და უკარება. ნებიერა კი, — გახსოვთ ალბათ, „დიდოსტატის მარჯვენაშიც“ გადაიღეს, — ძალიან მოსიყვარულე გახლდათ, გეთამაშებოდა კიდეც და თავსაც მოგაფერებინებდა...

ზურაბი:

— მახსოვს, ბატონმა კონსტანტინემ ერთ დაბადების დღეზე მწევარი მაჩუქა, ძალიან ჯიშიანი ლეკვი იყო. ახლა გამახსენდა: შველიც ხომ გვაჩუქა, გახსოვთ, წყნეთში რომ გვყავდა და მერე გაგვექცა (*უდასტურებენ. — ავტ.*)?

ირინე:

— მე კიდევ, დღესასწაულივით მახსოვს ჩემი ნათლია — სიმონ ჩიქოვანის მეუღლე, მარიკა ჩიქოვანი. მშობლების გარეშეც ვსტუმრობდი ხოლმე მარიკასა და სიმონს „თერთმეტსართულიანში“ და მათთან ურთიერთობა არასდროს დამავიწყდება... ძალიან ხშირად გვსტუმრობდა გოგლა ლეონიძე. მახსოვს, ერთხელ მოვიდა და მამას უთხრა: მთელი ღამე არ მძინებია, ირაკლი, ლექსი დავწერე და ამეკვიატა, რომ ეს რითმა ვიღაცას აქვს თავის ლექსში, მაგრამ ვერ-რაფრით ვიხსენებო.

ზურაბი:

— მახსოვს კიდევ, საქართველოში სტუმრად მყოფი რუსი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი, მიხაილ შოლოხოვი გვეწვია წყნეთში.

ირინე:

— სენატორი ედუარდ კენედი იყო საქართველოში ჩამოსული და მამა მასპინძლობდა. კენედის უთხოვია, აღმოსავლური ბაზრის ნახვა მაინტერესებს და იქნებ წამიყვანოთო. ეს კი მართლა არ იყო პროტოკოლით გათვალისწინებული, მაგრამ მამას უარი ვერ უთქვამს და საკუთარი პასუხისმგებლობით „დეზერტირების ბაზარში“ წაუყვანია სტუმარი. კენედის თურმე ფასები აინტერესებდა. ერთ ქართლელ ვაშლის გამყიდველს მისდგომია. კენედი ეკითხება ფასს, მამა კი ეუბნება გამყიდველს, — ხომ ცნობ ამ კაცს, სტუმარიაო, — და ჩუმად ანიშნებს, დაუკლიო. გაოცებულ გამყიდველს ჩუმადვე უპასუხია: ბატონო ირაკლი, თქვენ კი გცნობთ, მაგრამ ამ კაცს პირველად ვხედავო... მაინც დაუკლია და საბოლოოდ, კენედი ძალიან კმაყოფილი დაბრუნდა ქართული ბაზრიდან (*იცინის*)... მამას ძალიან მოსწონდა, რომ ცნობდნენ. ერთხელაც, ისევ ბაზარში, ვიღაც გამყიდველისთვის უკითხავს: ვერ მიცანიო? — კი გიცანი, ჭაბუა ამირეჯიბი ხარო, — უპასუხია გამყიდველს, — აშკარად ხმამ შეიყვანა შეცდომაში (*იცინის*).

ვახტანგი:

— მამას ოპერაცია რომ გაუკეთეს და ყელის იოგები ამოაჭრეს, თავიდან საერთოდ ვერ იღებდა ხმას, ამიტომ სასტვენი ჰქონდა და როცა ოთახიდან სასტვენის ხმას გავიგონებდით, ზუსტად ვიცოდით, ვის გვეძახდა (*იცინის*).

— ფილმ „მუსიკის ჰანგების“ პერსონაჟი — კაპიტანი ფონ ტრაპი გამახსენდა: ვის რამდენი დასტვენით გიძახებდათ ბატონი ირაკლი?

— ერთი დასტვენით დედას ეძახდა, ორით — ირინეს, სამით — ზურას და ოთხით — მე ანუ ასაკობრივი იერარქია დაცული იყო (*იცინის*).

ზურაბი:

— ერთხელ უმაღლეს საბჭოში უსაყვედურიათ: სხდომებს რატომ აცდენთო? დაუმშვიდებია: ჩემზე კარგ დეპუტატს ვერ ნახავთ — ხმა არ მაქვს და ტაშს გიკრავთო (*იცინის*)...

ქალბატონი ირინე დედ-მამასთან ერთად

ირაკლი აბაშიძე, გურამ ფანჯიკიძე, ჭაბუა ამირეჯიბი

ირინე:

— ვატო ერთი წლისაც არ იყო, თბილისში ჰარი ბელაფონტე ოჯახით რომ ჩამოვიდა. იმ დროს ბელაფონტე ისეთივე პოპულარული იყო, როგორიც დღეს მაიკლ ჯექსონი. მამამ, რა თქმა უნდა, შინ მოიპატიჟა. ცოლი მულატი ჰყავდა, შვილი — შავკანიანი. იმ დღეს ბატონი ილიკო სუხიშვილი, ქალბატონი ნინო რამიშვილი და კიდევ ბევრი სტუმარი მოვიწვიეთ. ვატო ძალიან საყვარელი, თეთრი, ფუმფულა ბავშვი იყო და საბავშვო საწოლში იწვა. უეცრად განწირული კივილი დაიწყო. სასწრაფოდ მისცვივდნენ, მაგრამ ვერაფრით დააწყნარეს და ვერც კივილის მიზეზი გაიგეს. ბოლოს ბელაფონტეს ცოლმა თქვა, — მაგას ჩემი ბიჭი უკბენდაო (*იცინის*).

ვახტანგი:

— წესით, მას შემდეგ რასისტი უნდა გავმხდარიყავი, მაგრამ არაფერი გამომივიდა (*იცინის*).

— ბატონმა ზურაბმა საუბრის დასაწყისშივე აღნიშნა, რომ როგორც ნაბოლარა, საკმაოდ განებივრებული ბავშვი იყავით...

— გადაჭარბებითაა ნათქვამი, რადგან ყოველთვის ვიცოდი, რა შეიძლებოდა ჩემთვის და რა — არა. რომ ვუკვირდები, მშობლისა და შვილის მაშინდელი და დღევანდელი ურთიერთობები მკვეთრად განსხვავებულია. ჩვენ და მშობლები მეგობრები ნამდვილად არ ვიყავით, მეც მიჭირს დღეს შვილებთან მეგობრობა. ვერც გავიგე, ეს რას ნიშნავს: რაღაც სისულელე უნდა გავაკეთოთ ერთად თუ პირიქით — ძალიან ჭკვიანური?.. ეს ცოტათი გამოგონილი რამ მგონია, რადგან ვფიქრობ, მამისა და შვილის ურთიერთობა ვერაფრით გაიგივდება მეგობრების დამოკიდებულებასთან. შეიძლება, სიახლოვე, მეტი სითამამე, მაგრამ — არა მეგობრობა. მაგალითად, მამას „ირაკლის“ ვერაფრით დავუძახებდი. სიგარეტიც არასდროს მომიწევია მასთან, მიუხედავად იმისა, რომ იცოდა, ვეწეოდი. თავისუფლებას გვაძლევდა, მაგრამ ამ თავისუფლების ზღვარი თვითონვე მშვენივრად ვიცოდით. როცა წამოვიზარდე, შინ ხშირად ვაგვიანებდი. ფრთხილად შევიპარებოდი სახლში, ვინმე რომ არ გამეღვიძებინა და უეცრად მამას ოთახში სინათლე აინთებოდა — ცხადია, მელოდებოდა. ვსაყვედურობდი: რატომ მელოდები, დაიძინე, ცუდი რა უნდა შემემთხვას-მეთქი?! დღემდე მუდამ მისი სიტყვები ჩამესმის: გეყოლება შვილები და მერე მიხვდები, რატომ არ მეძინებაო. 4 ვაჟი მყავს და ყოველდღე ეს სიტყვები მაგონდება (*იცინის*)... ძალიან მაღიზიანებდა, თითქოს მაკომპლექსებდა კიდეც, სასკოლო ღონისძიებებზე მუდამ მამას ლექსის თქმას რომ მთხოვდნენ. ამას გავურბოდი, თავისუფლება მინდოდა.

— ანუ გარდა სიამაყისა, ირაკლი აბაშიძის შვილობა მარწუხიც იყო?

— ასეა. იმ ასაკში მშობლის მარწუხიდანაც გინდა თავის დაღწევა, დროის, რეჟიმისა და კიდევ ბევრი რამის მარწუხიდან და... გინდა თავისუფლება.

ირინე:

— მართალია, მამას ხმამაღალი სიტყვა და უხეშობაც კი არ მახსოვს, დღეს რომ ვუფიქრდები, ვხვდები, რომ ამის მიღმა მისი სიმკაცრე იმალებოდა. მე ძალიან დამოკიდებული ვიყავი ჩემს მშობლებზე. ჩვენი შვილები გაცილებით დამოუკიდებლები არიან.

ზურაბი:

— სადაც უნდა მოვხვედრილიყავი, მუდამ ასე წარმადგენდნენ: გაიცანით, ირაკლის შვილიაო. არადა, ახალგაზრდას საკუთარი თავის დამკვიდრება გინდა, გსურს, შენი გზა იპოვო... ჩემს ქალიშვილებზე, მაგალითად, ასე ხაზგასმით იშვიათად იტყვიან: გაიცანით, ირაკლი აბაშიძის შვილიშვილები ან ზურაბ აბაშიძის შვილები არიანო...

— თუმცა თითოეულ თქვენგანს მხოლოდ ირაკლი აბაშიძის შვილობით როდი გიცნობენ — თქვენ საკუთარი და საკმაოდ თვალსაჩინო ადგილი გაქვთ ქართველ საზოგადოებაში. თუ იცით, თქვენი შვილები როგორ გაფასებენ, რას გრძნობენ, რას განიცდიან თქვენთან ურთიერთობისას? თუ ინტერესდებიან თქვენი ცხოვრებით?

ზურაბი:

— იცით, ახალგაზრდობაში აღბათ, მეც საკუთარი ცხოვრება და ურთიერთობები უფრო მაინტერესებდა. ფესვებისკენ მიბრუნება, წინაპრების ამბების მოძიების სურვილი მერე და მერე, ასაკთან ერთად მოდის. ჩვენს შვილებსაც დაუდგებათ ეს დრო. თუმცა ახლა, მამას იუბილეს სამზადისში ძალიან გვეხმარებოდნენ.

ვახტანგი:

— დღეს ბევრ რამეზე მწყდება გული — მეტი სიახლოვე შემეძლო ჩემს შვილებთან, მაგრამ საკმაოდ ახალგაზრდაც გახლდით, თანაც, პირველი ვაჟის დაბადებიდან, 1984 წლიდან მოყოლებული, დაახლოებით 20 წლის განმავლობაში მუდამ დაკავებული ვიყავი ხან ჩემი პროფესიული საქმიანობით, ხან სახელმწიფო სამსახურით, ამიტომ ნაკლებ დროს ვატარებდი ოჯახში. არადა, ახლა რომ ვუფიქრდები, ბევრად უფრო ნაყოფიერად, კარგად შემეძლო ამ დროის გამოყენება შვილებთან ურთიერთობისთვის. ეს მერე ყოველთვის აისახება შვილებზე, ოჯახზე. ახლა კი იმ დროს ვეღარ დააბრუნებ...

— როგორც ბატონი ირაკლი ახერხებდა ტაქტიანად, შეპარვით თქვენთვის ბიძგის, მიმართულების მოცემას, თქვენ იმავეს თუ ახერხებთ?

— მამა შეფარვით, თანამიმდევრულად ყოველთვის გვამზადებდა დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის. ჩვენც, ალბათ რაღაც დოზით, დელიკატურად ვცდილობთ, რაღაც გეზი მივცეთ შვილებს, მაგრამ... ესენი მაინც სხვა თაობის ადამიანები არიან. თუმცა პირველ შედეგებს არა უშავს (*იცინის*)...

ზურაბი:

— რაც თავი მახსოვს, მამას მუდამ ჰქონდა რაღაც იდეა, რომელსაც აუცილებლად მიიყვანდა ხოლმე ბოლომდე.

ირინე:

— მისი ბოლო დიდი სიყვარული — ენციკლოპედია იყო. თითოეული ტომის კორექტურას თავადვე აკეთებდა და ვერ წარმოიდგენთ, ყოველი ტომის გამოსვლით რა ბედნიერი იყო.

ზურაბი:

— რომ მომკლათ, მაგას ვერ გავაკეთებ. ჩემი იმედი არ გქონდეთ (*იცინის*).

— ბოლოს, ხანში რომ შევიდა, სევდა დაეტყო?

ირინე:

— რა თქმა უნდა, დაეტყო. განიცდიდა ყველაფერს, რაც იმ დროს საქართველოში ხდებოდა... ამბობენ, პოეტებს განსაკუთრებული წინათგრძნობა აქვთო. ეს წინათგრძნობა, ინტუიცია მამას ლექსებშიც იგრძნობა და თუ ჩაუღრმავდები, მის ლექსად ნათქვამს აუცილებლად დააკავშირებ მოგვიანებით მომხდარ მოვლენებთან. ეს მხოლოდ ეპოქას კი არა, მის ცხოვრებასაც ეხებოდა.

ირაკლი და ზურაბ აბაშიძეები

გამორჩეულად უყვარდა გაზაფხული და შინ ყოველთვის აყვავებული ტოტით ბრუნდებოდა. ფეხით სიარული უყვარდა და ერთხელაც შინ დაბრუნებულმა გვითხრა: მოვდიოდი და ვფიქრობდი, — როგორ არ მინდა, გაზაფხულზე სიკვდილიო. ლექსიც დაწერა: „ო, არა გაზაფხულზე, ამ მზეში, ამ დარში, ო, არა გაზაფხულზე — ზამთარში... ზამთარში!..“ იცით, როგორი ზამთარი იყო, როცა გარდაიცვალა?! საშინელი!.. ■

„ქართველი მხოლოდ საქართველოში, თავის მიწაზე იქნება ბედნიერი“...



საზღვარგარეთ მყოფი უამრავი ემიგრანტი ახალ წელს სამშობლოდან საკმაოდ შორს ხვდება. ამას ყველა მათგანი განიცდის. ერთ-ერთ ქართველ ემიგრანტს ინტერნეტის საშუალებით დავუკავშირდი. ნათია ნათათრალიშვილი უკვე მრავალი წელია, კვიპროსში ცხოვრობს. იგი იქ დაოჯახდა და შვილიც შეეძინა. მისი მეუღლე ქართველია, რომელმაც შეყვარებულს კვიპროსში ჩააკითხა და მასთან დარჩა კიდეც. როგორია მათი სიყვარულის ამბავი და როგორ ხვდებიან ქართველები ახალ წელს უცხო ქვეყანაში, ამ ყველაფერზე თავად ნათია გვესაუბრება.

ნათია ჟივიძე

— დაახლოებით 8 წლის წინ, დედაჩემი ოჯახური პირობების გასაუმჯობესებლად, სამუშაოდ კუნძულ კვიპროსზე გაემგზავრა. მის გარეშე ვერ გავძელი და რამდენიმე თვის შემდეგ მეც გამიჩნდა წასვლის სურვილი. იმ დროს ისეთ ასაკში ვიყავი, როცა ადამიანი სულ ახლის ძიებაშია. თან ვიფიქრე, დედას მოვინახულებ, ენას ვისწავლი და რამდენიმე თვეში უკან დავბრუნდები-მეთქი. თბილისში ტექნიკურ უნივერსიტეტში უცხო ენების ფაკულტეტზე, მთარგმნელი რეფერენტის პროფესიას გერმანული ენის განხრით ვეუფლებოდი. გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, ინსტიტუტში აკადემიური ავიღე და კვიპროსში გავემგზავრე.

— ლეგალურად გაემგზავრე?

— რა თქმა უნდა, ტურისტული ვიზით წამოვედი, რომლის მიხედვითაც აქ ყოფნა 3 თვის განმავლობაში შემეძლო. ჩამოსვლისთანავე ქალაქებისა და ეკლესია-მონასტრების დათვალიერება დავიწყე. გარდა ამისა, დავდიოდი ზღვაზე და სანაპიროზე ვირუჯებოდი. სამმა თვემ უცებ გაირბინა. ამასობაში აქ ყოფნასაც შევეჩვიე და რაც მთავარია, დედის გარეშე საქართველოში დაბრუნებაზე ფიქრი ძალიან მიჭირდა. დედა მუშაობდა და ვიცოდი, წლების განმავლობაში საქართველოში დაბრუნებას ვერ შეძლებდა. სწორედ ამის გამო მეც დავრჩი. მოგვიანებით, მე და დედამ ჩემი ძმაც და მამაც აქ ჩამოვიყვანეთ. ასე შევიკრიბეთ მთელი ოჯახი ერთად, რაც ჩვენთვის უდიდესი ბედნიერებაა.

— სამუშაო იოლად მოძებნე? სად მუშაობდი?

— ამ ხნის განმავლობაში ვმუშაობდი მაღაზიაში, კაფესა და რესტორანში. სამუშაოს ხშირად არ ვიცვლიდი, რადგან აქაურები როდესაც მიხვდებიან, რომ ნორმალური, პატიოსანი, შრომისმოყვარე ადამიანი ხარ, ძალიან გაფასებენ და პირობებს გიქმნიან, თავი რომ კომფორტულად იგრძნო. ხშირად მსმენია, რომ საზღვარგარეთ ბევრს გაუსაძლის პირობებში უწევს ყოფნა და მუშაობა, მაგრამ საბედნიეროდ, ეს მე არ გამომიცდია. ანაზღაურება საშუალოდ 600 ევროდან 1.000 ევრომდეა, ეს კი იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენ ხანს მუშაობ.

— იოლია უცხო ქვეყანაში თავის დამკვიდრება?

— უცხო ქვეყანაში თავის დამკვიდრება იოლი ნამდვილად არ არის. ადამიანი სრულიად უცხო გარემოსა და უცხო ხალხში ხვდები, მაგრამ შეუძლებელი არაფერია. უფლის წყალობით, ეს ყველაფერი გადავლახე. უნდა აღვნიშნო, რომ აქ უდიდესი ცხოვრებისეული გამოცდილება შევიძინე. ცხოვრება დამოუკიდებლად ვისწავლე — ჩემი საქმე, სამსახური და ფული მქონდა. ასე რომ, შრომის ფასი აქ ვისწავლე.

— ბერძნული ენა ადვილად შეისწავლე?

— ენის უცოდინარობა დისკომფორტს მიქმნიდა. ამიტომ ენის შესწავლა ლექსიკონისა და სხვა სპეციალური სახელმძღვანელოების მეშვეობით დავიწყე. პარალელურად, რამდენიმეთვიანი კურსიც გავიარე და ბერძნულად მალევე ავლაპარაკდი. ბერძნულის სწავლა ადვილი ნამდვილად არ ყოფილა, მაგრამ იმდენად მინდოდა შემესწავლა, რომ ამ საქმეს მთელი გულისყურით მოვეკიდე. ძნელია, ცხოვრობდე უცხო ქვეყანაში და იქაური ენა არ გესმოდეს. თანაც ბერძნები უძველესი კულტურის მქონე ხალხია, აფასებენ თავიანთ ქვეყანას, ენას, სარწმუნოებას. სწორედ ამიტომ, როცა უცხოელი მათ ენაზე ლაპარაკობს, უხარიათ და მეტად აფასებენ.

— ბერძნებს რა რეაქცია ჰქონდათ, როცა იგებდნენ, რომ ქართველი იყავი?

— როცა კვიპროსში ჩამოვედი, ბევრმა აქაურმა არც კი იცოდა, საქართველო სად მდებარეობდა, ზოგიერთს ჩვენც რუსები ვეგონეთ, რაც ძალიან მწყინდა. ყველას ვუხსნიდი, სად მდებარეობს და როგორი ქვეყანაა საქართველო. ახლა კი ჩვენს ქვეყანას უკვე კარგად იცნობენ. აქ პატიოსან, ერთგულ ადამიანებს ძალიან აფასებენ. ბერძნები პატივს მცემენ და ურთიერთობაც შესანიშნავად გამომდის. საერთოდ, მათ კარგი იუმორის გრძნობა აქვთ, რის გამოც, მათთან კონტაქტი უფრო მიადვილდება.

— როგორც მივხვდი, ბერძენი ხალხი ძალიან მოგწონს.

— ცუდი და კარგი ადამიანი ყველა ქვეყანასა და ერში არსებობს, მაგრამ საბედნიეროდ, მე მხოლოდ კარგ ბერძნებთან მომიწია ურთიერთობამ. რამდენიმე ბერძენ გოგონასთან, რომელთან ერთადაც ადრე ვმუშაობდი, დღემდე ვმეგობრობ. უბრალოდ, აქ ცოტა სხვანაირი ცხოვრების სტილი და რიტმია. ყველა მუშაობს და ბევრი თავისუფალი დრო არ აქვთ. ამის გამო მათ ისე ხშირად ვეღარ ვნახულობ, როგორც — ადრე. ძირითადად კი მაინც ქართველი მეგობრები მყავს. მოგეხსენებათ, აქ რამდენი ქართველი ცხოვრობს, შესაბამისად, ბევრი საუკეთესო მეგობარი შევიძინე. ბევრთან ოჯახებით დავახლოვდით. ისიც უნდა აღვნიშნო, რომ რამდენიმე მათგანი საქართველოში უკვე დაბრუნდა, მაგრამ ურთიერთობა არ შეგვიწყვეტია. მათ ინტერნეტისა და ტელეფონის საშუალებით ვეკონტაქტები. რამდენიმე მათგანს დავუნათესავდი კიდეც, შვილი — ლუკა მოვანათვლინე. ძალიან მიყვარს კვირადღე, რადგან კვირაობით ყველა ისვენებს და მთელი მრევლი წმინდა მამაის სახელობის ეკლესიაში ვიკრიბე-

ბით. გვყავს ჩვენი უსაყვარლესი მამა ანდრია. ის ჩვენს ქალაქში ცხოვრობს და ხშირად ატარებს წირვა-ლოცვას. გვაქვს იმისი საშუალება, რომ ყველა ქრისტიანულ დღესასწაულს ეკლესიაში ღამისთევით შევხვდეთ და ვიზეიმოთ. კვიპროსში, კერძოდ კი ლიმასოლში მყოფ ქართველებს ერთმანეთთან მჭიდრო და მეგობრული ურთიერთობა გვაქვს.

— როგორც ვიცი, ქართველი მეუღლე გყავს. თქვენი სიყვარულის ამბავი კვიპროსში დაიწყო?

— მართალი ხარ. მე და აჩიკოს უკვე ორი წლის შვილიც გვყავს. ჩვენი სიყვარულის ამბავი კი საქართველოში დაიწყო. მე და აჩი ინსტიტუტშიც ერთად ვსწავლობდით და თან მეზობლებიც ვიყავით. ასე დავმეგობრდით, ერთად ბევრ დროს ვატარებდით და მალევე მივხვდით, რომ ერთმანეთი გვიყვარდა. რამდენიმე თვეში, მე აქ უნდა წამოვსულიყავი, რასაც ორივე ძალიან განვიცდიდით. თავს მხოლოდ იმით ვიმშვიდებდით, რომ მალევე უკან დავბრუნდებოდი და ისევ ერთად ვიქნებოდით. ჩვენი განშორების დღეს ახლაც მძიმედ ვიხსენებ. მართალია, ერთმანეთს ტელეფონით ხშირად ვეკონტაქტებოდით, უამრავ მესიჯს ვუგზავნიდით, მაგრამ შეყვარებულებისთვის ეს ყველაფერი საკმარისი არ იყო და აჩიკომ გადაწყვიტა, ჩემთან ჩამოსულიყო. ამ საქციელით ძალიან გამახარა. ჩვენი შეყვარებულობის პერიოდი კვიპროსში კიდევ ორი წელი გაგრძელდა. 2006 წლის 15 ოქტომბერს კი დავქორწინდით. ეს ჩემს ცხოვრებაში უბედნიერესი დღე იყო.

— როგორ გაიხსენებ შენს ქორწილს?

— ჯვარი ლიმასოლის წმინდა მამაის სახელობის ეკლესიაში დავიწერეთ. ეს ტაძარი ბერძნებმა დროებით გადმოგვცეს და ამჟამად იქ ქართული წირვა-ლოცვა აღევლინება. ჯვარი ჩვენმა საყვარელმა მამა ზაქარია ფერაძემ დაგვწერა. ქორწილი კი ბერძნულ რესტორანში გადავიხადეთ. სუფრას, რა თქმა უნდა, ქართველი თამადა ტრადიციული სადღეგრძელოებით უძღვებოდა. ასევე, გვყავდა ქართველი მომღერალიც (რესტორანს კი თავისი მომღერლები ჰყავდა, რომლებიც დროდადრო ბერძნულ და ინგლისურ სიმღერებს მღეროდნენ). რაც შეეხება კერძებს, ესეც შერეული, ქართულ-ბერძნული გახლდათ. რასაკვირველია, მათ შორის იყო: ხაჭაპური, საცივი, საწებელი (რომელიც ბერძნებსაც ძალიან მოეწონათ)... სტუმრები ძირითადად, აქ მყოფი ქართველები იყვნენ, თუმცა ბევრი ბერძენი მეგობარიც გვყავდა. მათ ჩვენი ქორწილი ძალიან მოეწონათ. აღფრთოვანდნენ ჩვენი სუფრის კულტურით, სადღეგრძელოებით. გვითხრეს, რომ თურმე ადრე მათაც ასეთივე ტრადიციები ჰქონიათ, რომლებიც ნელ-ნელა მიივიწყეს. ერთერთ ბერძენ სტუმარს ცეკვა „ქართული“ ისე მოეწონა, რომ მისი შესრულების სურვილი თვითონაც გაუჩნდა და სხვათა შორის, კარგადაც გამოუვიდა. მოკლედ, ყველაფერმა შესანიშნავად ჩაიარა, თუმცა გული იმაზე დამწყდა, რომ ბევრი ჩემი ახლობელი და მეგობარი, რომელიც საქართველოში ცხოვრობს, ამ დღეს, ჩვენთან ერთად ვერ იყო... ცხოვრებაში ხომ ყველაფერი ისე არ ხდება, როგორც ჩვენ გვინდა?

— რას გვეტყვი შენი შვილის შესახებ?

— ლუკამ ჩვენი ცხოვრება კიდევ უფრო გაალამაზა. ახლა ის უკვე 2 წლის არის. პატარაა, მაგრამ იცის, რომ საქართველოში ნათესავები ჰყავს. მათ ტელეფონით ხშირად ელაპარაკება. საბავშვო ბაღში ჯერ არ დაგვყავს და ამიტომ ძირითადად, ქართულად ლაპარაკობს. ბერძნულადაც მხოლოდ ახლახან ალაპარაკდა. ეს აქაურ პატარებთან თამაშის შედეგია. გვაქვს ქართული საბავშვო ლექსებისა და ზღაპრების წიგნები, რომლებსაც ხშირად ვუკითხავ. ვცდილობ, ქართული ენა და საქართველო პატარაობიდანვე შევაყვარო. მსურს, რომ მაქსიმალურად ბევრი რამ იცოდეს თავისი ქვეყნის შესახებ.

— შენი ოჯახის წევრები ისევ მანდ არიან? რას საქმიანობენ?

— კი, ჩემი და, დედა, დეიდა, ბიძა და კიდევ ბევრი სხვა ახლობელი აქ არის. ჩემი ძმა და მამაჩემი საქართველოში რამდენიმე თვის წინ დაბრუნდნენ. ჩემიანების აქ ყოფნა საზღვარგარეთ ცხოვრებას მიადვილებს. ყველა მათგანი მუშაობს. აუცილებლად უნდა აღვნიშნო, რომ ჩემი და — სალომე აქ, ტაძარში გალობს. კვიპროსში უკვე 60-კაციანი მგალობელთა გუნდია ჩამოყალიბებული. ეს აქ მყოფი ქართველებისთვის უდიდესი ბედნიერებაა. როდესაც წირვა-ლოცვა ქართულად აღევლინება და ადამიანს ქართული გალობა ესმის, ყველანაირი ყოფითი პრობლემა ავიწყდება. კიდევ უამრავი ქართული ღონისძიება ტარდება, რომელშიც ჩემი და აქტიურადაა ჩაბმული.

— შენი მეუღლის მშობლებიც მანდ არიან?

— ჩემს მეუღლეს მშობლები და ახლობლები საქართველოში ჰყავს. მისი ძმა და რძალი გარკვეული პერიოდი აქ იყვნენ, მაგრამ კვლავ საქართველოში დაბრუნდნენ. ჩვენც და აჩის მშობლებსაც ძალიან გვიჭირს ასე შორიშორს ყოფნა. მათ ბავშვი ჯერ არ უნახავთ და ძალიან ენატრებათ. მოუთმენლად ელოდებიან ჩვენს სამშობლოში დაბრუნებას. აჩიკო კი 5 წელია, საქართველოში არ ყოფილა. მე სამშობლოში ჩამოსვლა 8 წლის განმავლობაში ორჯერ მოვახერხე და უკან წამოსვლა ძალიან განვიცადე. არ მეყო ის დრო და მაშინ გადავწყვიტე, რომ საქართველოში მანამდე აღარ ჩამოვალ, ვიდრე იქ სამუდამოდ არ დავბრუნდები...

— მოდი, თემა შევცვალოთ და ახალ წელზე ვისაუბროთ. კვიპროსში როგორ ხვდებიან ახალ წელს და რა საახალწლო ტრადიციები აქვთ ბერძნებს?

— სიმართლე რომ ვთქვა, აქ ახალ წელზე მეტად შობას აღნიშნავენ. ბერძნები შობას 25 დე-

2006 წლის 15 ოქტომბერს კი დავქორწინდით

ბი (ეს სიტყვა არ მიყვარს) სხდებიან... თავიდან ზოგიერთი ცოტა დაიბნა, მაგრამ თავისუფლად იპოზიორა. არ მინდოდა, მათ ტრაგიკული სახეები ჰქონოდათ.

— როგორც ვიცი, გადაღებები სხვადასხვა ადგილას გქონდა, არა?

— დიახ, ყველა ფოტო სხვადასხვა ადგილზეა გადაღებული. ინტერიერს დიდ ყურადღებას ვაქცევდი. არ მინ-

დოდა, ავეჯით დატვირთული ყოფილიყო... გადაღებები მქონდა — კაფეში, მაღაზიაში, აეროპორტში, ფილარმონიაში, ქუჩაშიც კი. ყველა გაკვირვებული მეკითხებოდა, ეტლში რატომ იღებო? მგონი, ჩემმა პროექტმა ბევრი ადამიანი ჩააფიქრა...

— ანა, იმ შენობებში, სადაც ფოტოებს იღებდი, პანდუსი რომ არ იყო, ეტლით როგორ შეხვედი?

— ჩემთვის ბარიერი არ არსებობს. ეტლით ყველგან ავდივარ და შევდივარ. ამაში ჩემი მძღოლი მეხმარება. ის კი არა, შარშან სტეფანწმინდაში, გერგეთის სამებაშიც კი ავედი...

— ეტლით?

— დიახ, ნახევარი გზა ეტლით გავიარე. ასვლას 2 საათი მოვუნდით, თან ჩემი მოსკოველი მეგობრებიც მახლდნენ. მათ საქართველო დავათვალიერებინე, ბათუმშიც ჩავიყვანე. გამოგიტყდებით და მომავალში სვანეთის დალაშქვრას ვაპირებ (*იცინის*).

— ყოჩაღ! შექებას ნამდვილად იმსახურებ. ვფიქრობ, შენი ცხოვრება, ბევრი იმ ადამიანისთვის, რომელიც ეტლით გადაადგილდება, მისაბაძი უნდა იყოს.

— საერთოდ, ძალიან აქტიური ადამიანი ვარ. 13 წლიდან ვმუშაობ.

— რომელი იყო შენი პირველი სამსახური?

— ერთ-ერთ რადიოში საბავშვო გადაცემის წამყვანი ვიყავი. ჩემს რადიოსტუდიას „სითბოს კუნძული“ ერქვა, ხოლო გადაცემას — „მზიანი ღამე“. ის პერიოდი ძალიან კარგად მახსენდება. ბავშვებს სხვადასხვა თემას ვთავაზობდი. რადიოს შემდეგ ხატვამ გამიტაცა. გამოფენა-გაყიდვებსაც ვაწყობდი. ძალიან მინდოდა, რომ ბავშვთა ქალაქ „მზიურში“ ყოველწლიურად ფესტივალი ჩამეტარებინა. დიდი გაჭირვებით ქალბატონ ქეთი დუმბაძეს დავუკავშირდი. მას ჩემი იდეა მოეწონა და ასე „დაიბადა“ „მზის ფესტივალი — მზიანი ღამე“.

— როგორც გატყობ, შენზე ნოდარ დუმბაძის გავლენა იგრძნობა.

— ნოდარ დუმბაძე ჩემთვის საყვარელ მწერალზე უფრო მეტია...

— ანა, ფოტოების გადაღებებით საერთოდ, რა ასაკიდან დაინტერესდი?

— ერთხელ ჩემმა მეგობარმა ნინო ქათამაძემ მკითხა, ფოტოების გადაღება არ გიცდიაო? ამ საქმისკენ მან მიბიძგა. ფოტოაპარატიც კი მათხოვა. მერე ნელ-ნელა გადაღებები დავიწყე. ჩემს პირველ გამოფენას — „ფერები მონაფერები“ დავარქვი. როცა ამ გამოფენისთვის ფოტოებს ვიღებდი, რამდენიმე მათგანის სტუდიაში გადაღებაც მომიხდა. ამისთვის კი სტუდიური განათება იყო საჭირო და დასახმარებლად, „ბინასტუდიას“ მივმართე. დღეს კი მათი თანამშრომელი ვარ... გადაღება ჩემით ვისწავლე, თავიდან ვერთობოდი, შემდეგ სერიოზულად დავინტერესდი.

— როგორც ვიცი, ეტლით ბავშვობიდანვე გადაადგილდები. სკოლაში თუ დადიოდი?

— მაშინ ადაპტირებული სკოლები ნაკლებად არსებობდა. ამ სისტემას ახლა უფრო აწყობენ. მე ჩვეულებრივ სკოლაში ვსწავლობდი, ბოლო წლებში კი მასწავლებლები ჩემთან სახლში თვითონ მოდიოდნენ.

— კიდევ რა გიტაცებს?

— ბავშვობაში ვქარგავდი. ძალიან მიყვარს მუსიკაც.

— თავისუფალ დროს რით ერთობი?

— ხან მეგობრებთან ერთად ვარ, ხან ვკითხულობ. ბევრი საყვარელი ავტორი მყავს. მაგრამ ყველაზე მეტად ვინც მიყვარს, უკვე გითხარი... „მზის ფესტივალს“ ამიტომაც ვატარებ. მინდა, „მზიური“ ერთი დღით მაინც დაემსგავსოს ნამდვილ ბავშვთა ქალაქს, რომ ყველამ დაინახოს ის მზე, რომელზეც დუმბაძე წერდა. პირველ წელს მინდოდა, ეტლს მიჯაჭვული ბავშვებიც მომეყვანა. სამწუხაროდ, მხოლოდ ისეთები მოვიდნენ, რომლებიც გონებრივად არიან შეზღუდულები.

— რატომ?

— დაკომპლექსებული არიან... როდესაც ეტლს მიჯაჭვული ადამიანი ქუჩაში გადიხარ, საზოგადოებრივი ტრანსპორტით ვერ მგზავრობ, რადგან პანდუსები არ არის. ვერც შენობებში შედიხარ, მუდმივად ვიღაცის დახმარება გჭირდება, სულ გესმის შენი მისამართით ნათქვამი სიტყვები: „ვაიმე, შვილო!“, „მეცოდები“... ეს ყველაფერი საბოლოო ჯამში, ჩვენნაირ ადამიანებზე ცუდად აისახება, ბევრი ამის გამო სახლშიც იკეტება, გარეთ გასვლის სურვილი აღარ უჩნდება.

— ჩვენში ეტლი უამრავ ადამიანს სჭირდება. საქართველოში ხარისხიანი ეტლის შეძენა შესაძლებელი თუ არის?

— საერთოდ, ეტლი მრავალნაირია: მასიური, აქტიური, ელექტრო და ა.შ. ეტლები სახელმწიფომ უფასოდაც დაგვირიგა, მაგრამ ისინი აქტიური ადამიანისთვის აბსოლუტურად გამოუსადეგარია. მე ასეთი 3 ეტლი მაქვს და ვერც ერთს ვერ ვიყენებ.

არაკომფორტული და უხეშია. ახლახან შეიქმნა კოალიცია „დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის“. მისი მხარდაჭერით, თითოეული ადამიანისთვის ინდივიდუალურად მოხდება ეტლის აწყობა. ალბათ ის უკეთესი ხარისხის იქნება და პრობლემაც მოიხსნება. ეტლი, რომელშიც ახლა მე ვზივარ, საზღვარგარეთიდან გამოვიწერე...

— როგორია ეტლიდან დანახული სამყარო?

— ჩვეულებრივი. ყველაფერს ისე აღვიქვამ, როგორც ჯანმრთელი ადამიანები აღიქვამენ.

— რაზე ოცნებობ?

— პარიზში ყავის დასალევად მინდა გავფრინდე (*იცინის*). ეს — ხუმრობით. საერთოდ, ნიუიორკში მინდა წასვლა, უცხო გარემოში, უცხო ხალხის ნახვა მინდა და ეგვიპტეში მოგზაურობაც. არარეალურზე არასდროს ვფიქრობ. მე ოცნებას მიზანს ვუწოდებ! თუ მიზანს ვერ მივაღწიე, ე.ი. სათანადოდ არ მნდომებია და მხოლოდ ზედაპირული სურვილი ყოფილა.

— ძლიერი ადამიანი ჩანხარ!..

— მოთმინების უნარი და შრომისმოყვარეობა — ესაა ჩემი ხასიათის ძლიერი მხარეები.

— ანუ შენთვის შრომა — სიამოვნებაა?

— დიახ. მინდა, სულ დაკავებული და რეალიზებული ვიყო.

— ანა, შეყვარებული ხარ?

— ახლა არა (*იცინის*).

— ...

— რა თქმა უნდა, მყვარებია. ის სიყვარული წარსულში დარჩა.

— მეტს არაფერს მეტყვი?

— მეტი რა გითხრა?! უკვე დამთავრდა...

— ოჯახის შექმნაზე გიფიქრია?

— რა თქმა უნდა, მიფიქრია... (პაუზის შემდეგ) როგორც უფალი ინებებს, ისე იქნება.

— შენს სამომავლო გეგმებზე რას გვეტყვი?

— ვნახოთ, ეს პროექტი რამდენად წარმატებული იქნება. ახლა გამოფენამ კინოთეატრ „ამირანში“ გადაინაცვლა. არ მინდოდა, გამოფენა 3 დეკემბერს — ინვალიდების დღეს დამთხვეოდა. საქართველოში ხომ ასეა: პრობლემას მხოლოდ 1 დღით იხსენებენ და მერე ივიწყებენ... მომავალი პროექტის იდეა მაქვს, ალბათ მას 1 წელიწადში განვახორციელებ. მასში მხოლოდ ქალბატონები როდი მიიღებენ მონაწილეობას, უფრო მასშტაბური იქნება და საზოგადოების ყველა ფენას მოიცავს. ჯერჯერობით მეტს ვერაფერს გეტყვით...

■

უჩვეულო ინტერვიუ

ანუ მოზარდები და საახალწლო ფანტაზიები

ალბათ, ბავშვობაში ყველას გქონიათ სურვილი, თოვლის ბაბუა თქვენი მეგობარი ან სულაც, ნათესავი ყოფილიყო და თქვენთვის ყველა სურვილი აესრულებინა. ახალი წლის ჯადოსნურ ღამეს ყველაფერი სრულდებაო, — ამბობენ, მაგრამ ზოგჯერ იმედგაცრუებულები ვრჩებით, რადგან ბაბუ სანუკვარ სურვილს ვერ გვისრულებს და მის ნაცვლად იაფფასიან საჩუქარს ან შოკოლადს გვიტოვებს ბალიშის ქვეშ. თუმცა, ისიც კარგია, როცა ადამიანი ოპტიმისტურადაა განწყობილი და სჯერა, რომ ამ წელს თუ არა, მომავალ წელს მაინც გაუმართლებს...

„იდეალური ქალი ვერ ვიპოვე...“

ლიკა ქაჯაია

სალომეა, *19 წლის:*

— ბავშვობაში მეგონა, რომ თოვლის ბაბუ ჩვენს სახლებში მართლაც, საკვამურიდან ჩამოდიოდა. ჰოდა, ჩემს გაოცებას ის ფაქტი იწვევდა, რომ ბუხარი არ გვქონდა და კაცმა არ იცის, ამ საკვამურს სად პოულობდა (*იცინის*).

— ანუ მას შენთვის საჩუქრები მოჰქონდა, არა?

— კი, მოჰქონდა, მაგრამ ჩემი ნამდვილი სურვილის შესრულება მხოლოდ ერთხელ შეძლო. მას წერილი მივწერე და ვთხოვე, ველოსიპედი მომიტანე-მეთქი. ჰოდა, ახალ წელს ზუსტად ისეთი „ველოპიპედი“ (მაშინ ასე ვეძახდი) მომართვა, რომელიც მე და მამამ ბაზრობაზე შევარჩიეთ (*იცინის*). ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა დილით, ჩემს ლოგინთან დადებული, ღამაზ ქაღალდში გახვეული, ბაბთადაკრული ყუთი ვნახე.

— თოვლის ბაბუსგან საჩუქარს დამდეგ ახალ წელს თუ ელოდები?

— რა თქმა უნდა, ველოდები და იმედით ვცოცხლობ, მაგრამ ისიც წინასწარ ვიცი, რომ თოვლის ბაბუ ჩემთვის ველარ მოიცლის...

— რატომ?

— მე ხომ პატარა აღარ ვარ... ისე, ჩემთვის თინეიჯერობის ბოლო წელია და ვინ იცის, იქნებ, 2010 წელსაც დამაჯილდოოს. ჩემი სურვილია, სახლში ბუხარი გამიკეთოს...

— ბუხარი რად გინდა?

— რად მინდა და, როცა ბუხარი მექნება, ჩემთან მოსვლა უფრო გაუადვილდება. თანაც, მე მხოლოდ ბუხრის გაკეთებას არ ვთხოვ. მივწერ: ეს იმიტომ გთხოვე, რომ ჩემთან, მიუხედავად ჩემი ასაკისა, ყოველ წელს მოხვიდე-მეთქი (*იცინის*).

— რომ დაგიჯეროს, მაგრამ 2011 წლიდან ის კი არ მოგიტანოს, რასაც სთხოვ, არამედ საჩუქარი დამოუკიდებლად შეგირჩიოს, გული არ დაგწყდება?

— ისეთს რას მაჩუქებს, გული რომ დამწყდეს? მე ყველანაირი საჩუქარი გამახარებს!

— ვთქვათ, ერთხელაც ბუხრიდან ტომარაში ჩასმული ყმაწვილი ჩამოგიგდო, როგორ მოიქცევი?

— ვაი... ალბათ, ეს საჩუქარი ყველაზე მეტად გამახარებს (*იცინის*).

— იმ შემთხვევაშიც, თუ ის ბიჭი გარეგნულად არ მოგეწონება?

— იმედია, მახინჯს არ ჩამომიგდებს. ბოლოს და ბოლოს, ჩემს თოვლის ბაბუს ხომ ვუყვარვარ და ცუდ საქმეს ვერ გამიჩალიჩებს... ალბათ, ტომარას რომ გავხსნი, იქიდან ულამაზესი, შავგვრემანი, მაღალი ბიჭი გადმოვა, ხელზე მემთხვევა და მეტყვის: მზად ვარ, მთელი ცხოვრება შენ გვერდით გავატარო, ჭირსა თუ ლხინში მხარში ამოგიდგე. იცოდე, ფეხქვეშ ფიანდაზად გაგეგებიო...

— ისეთ საქმროს ეძებ, რომელიც ფეხქვეშ გაგეგება და შენი მონა იქნება?..

— რატომაც არა, კარგი იქნება, თუ ასეთ საქმროს ვიპოვი! აბა, მე უნდა გავეგო ფიანდაზად? რა სისულელეა! ისეთ ქმარს ვეძებ, რომელიც ყველა სურვილს შემისრულებს, ყველა ჩემს ახირებას დაკმაყოფილებს, მე კი ამის სანაცვლოდ, ძაღლივით ერთგული ვიქნები და ცოლის მოვალეობასაც ფრიადზე შევასრულებ.

— ქალის მოვალეობაა სამზარეულში ტრიალი, წინდების რეცხვა (ხელით და არა სარეცხი მანქანით), სადილების კეთება...

— (*მაწყვეტინებს*) არა მგონია, თავად ასე იქცეოდე, თორემ ჩემთან სალაპარაკოდ ვერ მოიცლიდი. ქალის მოვალეობა ოჯახში სისუფთავის დაცვა კია, მაგრამ სულაც არაა სავალდებულო, დღე და ღამე სამზარეულოში ციბრუტივით იტრიალო და ქუჩაში ცხვირიც არ გაყო. ქალმა ისევე, როგორც კაცმა, უნდა იმუშაოს და პარალელურად, დრო საოჯახო საქმეებისთვისაც გამონახოს... საინტერესოა, რატომ უნდა ვთქვა უარი თანამედროვე ტექნიკის გამოყენებაზე, თუ ის საქმეს გამიადვილებს და დროის ეკონომიასაც გამიკეთებს? რატომ უნდა ვრეცხო იგივე წინდები ხელით?

— იმიტომ, რომ თურმე, სარეცხი მანქანა ქსოვილს აფუჭებს...

— (*იცინის*) მეკაიფები, არა? ისე, ეს მეც გამიგონია, მაგრამ ხომ იცი, წინდის ყიდვა ახლა 75 თეთრადაც შეიძლება და თუ ვიმუშავებ, იმის საშუალებაც მექნება, რომ ქმარს „ნასკები“ ყოველდღე ვუყიდო...

— შეყვარებული გყავს?

— მყავს!

— ის შენს გემოვნებას აკმაყოფილებს?

— „ბულკი“ ნამდვილად არაა, მაგრამ სახლში სარეცხი მანქანაც აქვს და ცოლად გაყოლის შემთხვევაში, ავტომობილის ყიდვასაც მპირდება. აუფ, გასკდებიან ახლა გოგონები შურით (*იცინის*).

— როცა შენ გეუბნებიან, რომ ვიღაც გოგო გათხოვდა და მას უზრუნველი ცხოვრება ექნება, იბოღმები?

— არა, რატომ უნდა დავიბოღმო?

— აბა, რატომ გგონია, რომ სხვები დაიბოღმებიან, თუკი სახლში სარეცხი მანქანა გექნება და ავტომობილიც გეყოლება?

— რა ვიცი, ამქვეყნად როგორც კეთილებს, ისე ბოროტებს რა გამოლევს?!

— თოვლის ბაბუამ „ბულკი“ რომ მოგიყვანოს საჩუქრად, შეყვარებულზე უარს იტყვი?

— ნუ, ეგ ხომ ზღაპარია და მე უბრალოდ, ხუმრობაში აგყევი... ალბათ, ჩემს შეყვარებულს არავისზე გავცვლი.

— ახალი წლისთვის უკვე ემზადები?

— კი, უკვე ნაძვის ხე მოვრთე, მენიუ ჩამოვწერე და ტანსაცმელიც ვიყიდე.

— რა უნდა ჩაიცვა?

— მე ყოველ ახალ წელს წითელი ტანსაცმლით ვეგებები და ამ მხრივ არც დამდეგი ახალი წელი იქნება გამონაკლისი. სხვათა შორის, წითელი ფერი ჩემს შეყვარებულსაც ძალიან მოსწონს. ის ხარის წელში დაბადებული კუროა და ეტყობა, წითელი ამიტომაც იზიდავს (*იცინის*).

ზალიკო, *18 წლის:*

— „გზიდან“ მირეკავ? ეს რომელი ჟურნალია?

— ნუთუ, „გზა“ ერთხელაც არ წაგიკითხავს?

— არა! ისე, რატომ უნდა წამეკითხა?

— იმიტომ, რომ საინტერესო სტატიებს ვწერთ.

— ქართველი ჟურნალისტები მატყუარები ხართ, ყველგან და ყოველთვის სკანდალს ეძებთ. სიმართლე გითხრა, ქართულ ჟურნალ-გაზეთებში საინტერესო არაფერი მინახავს და წამიკითხავს. არც ჩვენი ტელევიზია მომწონს — იქაურობა მკვლელი-მანიაკებითაა სავსე.

— რას გულისხმობ?

— ტელეჟურნალისტები სიცოცხლეს ნელ-ნელა გვიშხამავენ ანუ ნელ-ნელა გვკლავენ. ყოველთვის მხოლოდ უარყოფით მოვლენებს აშუქებენ, დადებით რაღაცებს კი ან ჩქმალავენ, ან ბოლოში, ისე უმნიშვნელოდ ახსენებენ, ადამიანის ყურადღების მიღმა რჩება.

— მინდოდა, შენთან მხიარული ინტერვიუ ჩამეწერა, შენ კი ლაპარაკი ისე დაიწყე...

— (*მაწყვეტინებს*) კარგი იუმორი რომ მაქვს, ამიტომაც ვერ ვუყურებ ქართულ ე.წ. სახალისო შოუებს. მე არც „შაბათის შოუს“ სკეტჩებზე მეცინება და არც „შუა ქალაქის“ მსახიობების „ტყლარჭვაზე“.

— „შუა ქალაქი“ დიდი პოპულარობით სარგებლობს...

— ეს იმიტომ, რომ კონკურენტი არ ჰყავს.

— საინტერესოა, რამეს თუ უყურებ ან კითხულობ?

— ინტერნეტის მეშვეობით ვკითხულობ ლიტერატურას და ჩემს სახლში ტელევიზორი გამუდმებით რუსულ არხებს უჩვენებს.

— ალბათ, ახალ წელსაც რუსულ არხებს მიანიჭებ უპირატესობას და რუსი მომღერლებისა და მსახიობების „ტყლარჭვით“ დატკბები, არა?

— ნამდვილად!

— ღირსი ხარ, თოვლის ბაბუა ახალი წლის ღამეს შენს სახლში შემოიპაროს, შენი ოთახი ქართული ჟურნალ-გაზეთებით აავსოს და რუსული ტელეარხების ყურების საშუალება არ მოგცეს...

— შენ რა, თოვლის ბაბუს არსებობის ისევ გჯერა?

— მჯერა და იმედი მაქვს, რომ ახალ წელს მხოლოდ ქართულ გადაცემებს ვუყურებ...

— კი, აბა, რა, თოვლის ბაბუ შენ ფოჩიან კანფეტებს მოგიტანს, მე კი, ჟურნალ-გაზეთებს, მეტი საქმე არა აქვს (*იცინის*).

— თოვლის ბაბუს არსებობა როდიდან აღარ გჯერა?

— მხოლოდ 4 წლამდე მაბოლებდნენ მშობლები, მერე კი მიხვდნენ, რომ ჩემი მოტყუება არც ისე ადვილია.

— შენ ის თუ იცი, რომ ახალ წელს ჩვენი მერი დიდ სიურპრიზს გვპირდება?

— რა სიურპრიზს?

— თითოეულ ოჯახს, რომელიც თბილისში ცხოვრობს, 1.000 ლარს აჩუქებს...

— აუფ, მეტი საქმე არა აქვს!

— მართლა გეუბნები. აი, რა ცუდია, ქართულ ჟურნალ-გაზეთებს რომ არ კითხულობ, თორემ ისიც გეცოდინებოდა, რომ საახალწლოდ, ყველა თბილისელის ოჯახში მივა თოვლის ბაბუას ფორმაში გადაცმული ადამიანი და მათ 1.000 ლართან ერთად, ტკბილეულს მიუტანს. თანაც, ერთი სურვილის ასრულებასაც შეჰპირდება.

— მე რომ ვთხოვო, ეგრევე მანქანა „გამიჩითოს“, თანაც, „მერსედესის“ ჯიპი, „გაჩითავს“?

— რა თქმა უნდა, სურვილს იმწუთას ვერ შეგისრულებს, მაგრამ 14 იანვრამდე შენი თხოვნა ასრულდება.

— ისე მელაპარაკები, რომ მგონი, დავიჯერე ეს ნაბოდვარი (*იცინის*).

— თუ არ გჯერა, შენი ნებაა, მაგრამ თოვლის ბაბუა რომ მოგადგება და შენ პირს დააღებ, მერე გაგახსენდები.

— (*ფიქრობს*) აუ, რა მაგარია. ეს სიმართლეა?

— ჰო, აბა რა! „გზა“ გამოკითხვას აწარმოებს, მერიის თხოვნით. მერს აინტერესებს, ძირითადად, რა მოთხოვნა ექნება მოსახლეობას. თუ შეიძლება, შენი მისამართი მიკარნახე.

— რად გინდა?

— რად მინდა და, თოვლის ბაბუს შენთან მართლა გამოვატანთ ჟურნალ-გაზეთებს და იმედია, ჩვენი მკითხველიც გახდები.

— სიამოვნებით (*ზალიკო თავის მისამართს მკარნახობს*)... აუ, რა მაგარია, ასეთი სიურპრიზი ჩვენთვის, უბრალო ხალხისთვის ჯერ არავის მოუწყვია. ისე, მე აქ ქირით ვცხოვრობ და საჩუქარი მაინც მეკუთვნის?

— კი, აბა რა, რა მნიშვნელობა აქვს, ქირით ცხოვრობ თუ საკუთარ სახლში, ახალ წელს ხომ აქ იქნები?

— სოფელში უნდა წავსულიყავი, მაგრამ ახლა აღარ წავალ. ისე, ასეთ სიურპრიზს სოფლების მოსახლეობას არ მოუწყობენ?

— წელს ბიუჯეტი მხოლოდ თბილისის მოსახლეობას გასწვდება და 2011 წელს ვნახოთ, იქნებ, სოფლებიც დავიაროთო, — ასე თქვეს და რა ვიცი...

— გაიხარე, დიდი მადლობა, აწი მხოლოდ ქართულ პრესას გავეცნობი. აუ, რა მაგარია!

— რომ გითხრა, ის ყველაფერი, რაც გითხარი, სიცრუეა-მეთქი?

— ეს რაში დაგჭირდებოდა?

— შენ თქვი, რომ შენი მოტყუება არც ისე ადვილია და თანაც, ცუდად იქცევი, ქართულ პრესას და გადაცემებს რომ არ სწყალობ...

— ე.ი. „გამაცურე“?

— რა ვიცი... ისე კი იმედს ნუ დაკარგავ, რა იცი, იქნებ, თოვლის ბაბუ მართლაც გესტუმროს... ■

„ყველას სჯობდა, უზომოდ ემოციური იყო“

„ჯეოსტარი“ ნელ-ნელა ფინალს უახლოვდება და ფანების მღელვარებაც მატულობს. როგორც ფორუმელები ამბობენ, ყველაფერი ჩაწყობილია და წინასწარვე იყო გათვლილი, თუ ვის უნდა გაემარჯვა.

„დღეს მაინც მოვიშოროთ მოუშორებელი ჭირი“

DEUTSHA:

„მაინც ვერ გავიგე, თუკი გამარჯვებულს ხალხი ირჩევს, ეს ჟიური რისთვის ზის მანდ? ალბათ, მოცლილები არიან... ვაჟას ბევრი ფანი ჰყავსო, ესაო და ისაო, აბა, სად არიან, ერთი ცალი მაინც მანახვეთ :)“.

ჯეოსტარი 2009:

„მათ ნოდიკოს გულშემატკივრებმა ვაჯობეთ და აქ ვეღარ შემოდიან. მთავარია, მესიჯებით არ გვაჯობონ, თორემ ეს არაფერს წყვეტს. აქვე დავამატებ, ძალიან დიდი მადლობა მათ, ვინც ნოდიკოს თუნდაც ერთ მესიჯს გაუგზავნის“.

DEUTSHA:

„შენ ნოდიკო ხარ, ტუტუცი ვიყო :))“.

ჯეოსტარი 2009:

„კარგი, რა, დოიჩ, რა ნოდიკო. ჯერ ერთი, გოგო ვარ და მეორეც, ნოდიკოს აქ ამდენი პოსტის დასატოვებლად სად სცალია? მაგრად მაცინე, რა :))“.

ვენერა ოგოლაშვილი:

„ნეტავ, ვინ გაიმარჯვებს?“

ნენ:

„ისე ვნერვიულოოობ... ნეტავ, მალე მოვიდეს 10 საათი. დათუნაააა...“

ჯეოსტარი 2009:

„დღეს მე ალბათ, ნერვიულობისგან მოვკვდები!“

ნენ:

„მე კი ან ნერვიულობისგან ფსიქიატრიულში, ან იფარქტით — საავადმყოფოში მოვხვდები“.

ჯეოსტარი 2009:

„მე ალბათ, უარესი დამემართება მაშინ, როცა ბოლო წამებს დაითვლიან... ჯერ ახლა ვარ გიჟივით და მერე რა მოხდება, ხომ წარმოგიდგენიათ“.

DEUTSHA:

„დღეს დიდი და საინტერესო დღეა. ძირს მანია!“

ანტიმანია:

„აბა, ხალხო, გავმაგრდეთ. იქნებ, დღეს მაინც მოვიშოროთ მოუშორებელი ჭირი“.

ჯეოსტარი 2009:

„აბა, მოასწარით დამესიჯება, თორემ სულ ცოტა დრო რჩება... მე ალბათ, ამ „ჯეოსტარს“ გადავყვები“.

ანტიმანია:

„აბა, მოვიდა ჯუნგლებიდან გამოქცეული ყმაწვილი...“

ჯეოსტარი 2009:

„ნერვიულობის პიკია, გავგიჟდები ახლა... რა იდიოტი ვარ, ისე ვნერვიულობ, ქუჩაში თასმაგახსნილი და პალტოს გარეშე გავდიოდი“.

ლელი:

„ნოდიკო მაგარია, ვაჟა კი მგონი, კეკომ გაქაჩა. პირველ ტურს არა უშავს... დათუნა საერთოდ არ ვარგოდა, ერთი ბგერა საშინლად გააფუჭა. აი, მეორე ტურში კი მომეწონა, მისი ნამღერი ასე ჯერ არ მომწონებია!.. ნოდიკო დარჩაააა“.

ანტიმანია:

„ხალხო, სად ვცხოვრობთ, ვაი, ვაი და კიდევ, ვაი! აფერისტები არიან ესენი. არ არსებობს, ვაჟა მოსახლეობის სიმპათია იყოს, ტყუილია... ნოდიკოს ფანებს ვულოცავ პროექტში მის დარჩენას“.

ნენ:

„ვერ ვიტან მანია-ბერიძეს. ვაჟამ ვერაფერიც ვერ იმღერა, მაგრამ იმ ქალმა მაინც აქო და ადიდა, დათუნას კი ერთი ბგერა შეეშალა და გალანძღა. ის თარსი ქალი ვისაც გადაეკიდა, ყველა გავარდა“.

თამ-ა:

„არ დავინახო აქ შეურაცხმყოფელი პოსტები, აქ ზოოპარკი კი არ გვაქვს“.

ჯეოსტარი 2009:

„ნოდიკო ძალიან მაგარი იყო, შოკში ვარ. დათუნა ძალიან შემეცოდა, ამას ნამდვილად არ იმსახურებდა. აი, ვაჟა კი სალომემ და ანიმ „გაქაჩეს“. მათ ნოდიკოსთან ერთად რომ ემღერათ, მერე გენახათ სრული ფურორი. ფინალში ვაააართ...“

ნენ:

„ამ პროექტს აღარ ვუყურებ მანამ, სანამ მარინასნაირების ხელში იქნება. ნოდიკო მართლაც იმსახურებს გამარჯვებას და კარგია, ფინალში რომ გავიდა, მაგრამ მე ამ პროექტს აღარ ვუყურებ! რატომ? — დათუნა რომ გავარდა იმიტომ! არარეალური პროცენტები იყო. რამდენი ფანი ჰყავდა და ახლა აღარ უმესიჯებენ თურმე“.

ანტიმანია:

„ეს პროექტი ვაჟამ რომ მოიგოს, მერე ნახე ჩემი დამოკიდებულება ამ ყველაფრის მიმართ“.

თამა:

„კარგი, დამშვიდდი. ისე, სიმღერის შერჩევასაც დიდი მნიშვნელობა აქვს, დამერწმუნებით, ალბათ“.

ანტიმანია:

„გვაბოლებენ“, გვატყუებენ... ისევ ხალხმა თუ არ იაქტიურა, ამ ქვეყანაში ყველაფერი ჩაიძირება. ნოდიკო არც ჩემი ძმაკაცია და არც — ნათესავი, მაგრამ ფაქტია, ძლიერია და ეს უნდა დაუფასდეს კიდეც. აბა, მთავრობას რომ უნდა ვაჟას გაყვანა, ესაა კარგი საქმე?“

მა-ტუტა:

„დღეს მეც მივადევნე თვალი „ჯეოსტარს“. მანიას აქვს თავისებური შარმი და არ მიკვირს, ბევრი რომ უმესიჯებს. ნოდარისგან განსხვავებით, სცენაზე კარგად მანევრირებს და ეს კიდევ ერთი პლუსია... ისე, სიმართლე გითხრათ, დიდად არც ერთით არ მოვხიბლულვარ“.

პატუ-პატი:

„გეთანხმები, ეს „ჯეოსტარი“ საერთოდ არ მომწონს და მარინა ბერიძის უადგილო ქებაც მაღიზიანებს. როცა მგონია, ამას გააკრიტიკებს-მეთქი, სწორედ მაშინ იღვრება ლექსებად. ვაჟას აქვს შარმი, როდესაც თავის პონტში „უბერავს“, მაგრამ ზოგჯერ საერთოდ ვერ მღერის. გუშინ რომელიღაც დუეტს მოვკარი ყური და პარტნიორს ზედაც არ უყურებდა, თავისთვის „უბერავდა“. მგონი, უკვე დაიჯერა, რომ ყველაზე მაგარია და სხვებს ზედაც არ უყურებს... ნოდიკოს იმ დუეტს მოვუსმინე, რომელიც ქერა გოგონასთან ერთად შეასრულა და ჩემი აზრით, მგონი, იმ გოგომ გააფუჭა სიმღერა... დათუნა კი არ ვიცი, რატომ მოგწონთ, ნამეტნავად შებოჭილია“.

ლელი:

„მეორე ტურში დათუნა ყველას სჯობდა, უზომოდ ემოციური იყო... ნოდიკოს დარჩენა გამიხარდა“.

თამა:

„ჩემთვის უკვე სულერთია, ვინ გაიმარჯვებს, უბრალოდ, დათუნასკენ მიმიწევდა გული“.

ლანამინდელი:

„ასეც იყო მოსალოდნელი, რომ მგელაძეს გააგდებდნენ. „ჯეოსტარი“ კი გახდება მანია, მაგრამ არა იმიტომ, რომ ხალხს ასე უნდა, არამედ იმიტომ, რომ ესაა ამათი წარმატებული პროექტი“.

ნენ:

„დათუნას სიმღერები აგდებულად იყო შერჩეული. ყველაზე მეტად იმაზე ვგიჟდები, მარინამ ჭოლაც თავისნაირი რომ გახადა... ვაჟას მართლა აქვს შარმი, მაგრამ ჯაზის გარდა, ვერაფერს მღერის“.

■

ბიბლუსი

ბიბლუსი — იგივეა, რაც პაპირუსი, გრაგნილი, წიგნი

წვეთი პოეზია



ყივჩალის პაემანი

„...ერთი მეც გადავუქნიე,
წვერიმც ვუწვდინე მიწასა“...
მუხრანული

ყურღანებიდან გნოლი გაფრინდა,
ყაბარდოს ველი გადაიარა,
ისევ აღვსდექი! მუხრანის ბოლოს
ჩასაფრებული ვსინჯავ იარაღს.

ქსანზედ, არაგვზედ ისევ ჰყვავიან
ხოდაბუნები თავთუხებისა,
შენი ტუჩებიც ისე ტკბილია,
როგორც ბადაგი დადუღებისას.

ხოხობას გნახე, მიწურვილ იყო
როცა ზაფხული რუსთაველისა,
ნეტამც ბადაგი არ დამელია
და იმ დღეს ხმალი არ ამელესა!

ტრამალ და ტრამალ გამოგედევნე,
შემოვამტვერე გზები ტრიალი,
მცხეთას ვუმტვრიე საკეტურები,
ვლეწე ტაძრები ყელაპტრიანი!

მაგრამ თვითონაც დაილეწება,
დაბადებულა ვინც ჯი ყივჩალად,
მუზარადიან შენს ქმარს შემოვხვდი,
თავი შუაზე გადამიჩეხა!

მოდი, მომხვიე ხელი ჭრილობას,
ველარა გხედავ, სისხლით ვიცლები...
როგორც საძროხე ქვაბს ოშხივარი,
ქართლის ხეობებს ასდის ნისლები...

მოდი! გეძახი ათას წლის მერე,
დამნაცროს ელვამ შენი ტანისა;
ვარდის ფურცლობის ნიშანი არი
და დრო ახალი პაემანისა!..

გიორგი ლეონიძე

პატარა ლექსიკონი

ძლიერ აღელვებასთან დაკავშირებით ხშირად იტყვიან, —
მწყობრიდან გამომიყვანაო
რომელ მწყობრზეა საუბარი — ჯარისკაცების?..
უნდა ვთქვათ, —
წონასწორობიდან გამომიყვანაო

სიყვარულის საზღაური

მარი ჯაფარიძე

გოჩა 2 თვის წინ ნაყიდ, იტალიურ საწოლზე იწვა და თვალგაშტერებული ჭერს უყურებდა. არ იცოდა, რა უნდა გაეკეთებინა, როგორ გაეგრძელებინა ცხოვრება.

ცოლის გარდაცვალებიდან 40 დღე მთელ ცხოვრებად ეჩვენებოდა. ცდილობდა, იშვიათად მისულიყო იმ ბინაში, სადაც ყველაფერი ბედნიერად გატარებულ 4 წელს აგონებდა. ხან დედასთან რჩებოდა ღამის გასათევად, ხან — დასთან და ხანაც — ახლობლებთან. იმ კარადის კარის გაღებისაც კი ეშინოდა, სადაც მისი გარდაცვლილი მეუღლის ნივთები ჯერ კიდევ ეწყო. ეშინოდა სამზარეულოში შესვლის, სადაც საღამოობით ის და ნატო ისხდნენ და ყავას სვამდნენ, თან საუბრობდნენ და დღის ამბებს უყვებოდნენ ერთმანეთს. იმ საწოლში დაწოლის ეშინოდა, რომელსაც ჯერ კიდევ შემორჩენოდა ახალგაზრდა ქალის სურნელი.

დღეს კი ცოლის საფლავთან დაიფიცა, რომ აღარ იქნება „უსახლკარო“ და იქ დაბრუნდება, სადაც თავს ბედნიერად გრძნობდა.

გოჩა კურსზე ყველასგან გამორჩეული ბიჭი იყო. მაღალი, წელში გამართული, თაფლისფერი თვალებითა და შავი, გრუზა თმით. მას საოცარი, მამაკაცური მიმზიდველობა ჰქონდა, რასაც ქალები ჭკუიდან გადაჰყავდა. ბევრი გოგონა ოცნებობდა მის ცოლობაზე და ღამღამობით, ბალიშში ცხვირჩარგული ოცნებობდა იმ დღეზე, როცა გოჩა ცოლობას სთხოვდა.

მაგრამ გოჩას თანაკურსელებისთვის არ ეცალა. მას ჯერ კიდევ მოსწავლეობისას შეუყვარდა უნივერმაღ „თბილისის“ საკანცელარიო განყოფილების გამყიდველი, ეკა, რომელიც მასზე 4 წლით უფროსი იყო.

ყველას ძალიან გაუკვირდა, როდესაც მესამე კურსზე, პირველ სექტემბერს უნივერსიტეტში მისულ გოჩას ხელზე საქორწინო რგოლი ეკეთა. ის ბიჭებიდან პირველი იყო, ვინც ოჯახის „ყულფში“ გაყო თავი.

1 თვის შემდეგ კურსი კიდევ ერთმა ახალმა ამბავმა შეძრა: გოჩას საუკეთესო მეგობარმა, მერაბმაც მოიყვანა ცოლი. მერაბს შვილი მალევე შეეძინა, ეკა კი არ ფეხმძიმდებოდა, მაგრამ გოჩა ბედნიერებისგან მაინც მეცხრე ცაზე იყო. მის გვერდით იყო ქალი, რომელიც დღითი დღე უფრო უყვარდებოდა.

შემდეგ ეკა ავად გახდა. ერთი საავადმყოფოდან მეორეში გადადიოდნენ, ერთ ექიმს მეორე ცვლიდა, მაგრამ კონკრეტული დიაგნოზის დასმა ვერც ერთმა ვერ შეძლო. ეკასთან ცხოვრების ბოლო 3 წელი ნამდვილ ჯოჯოხეთად გადაიქცა. ქალი მუდმივად სცენებს აწყობდა. გოჩა დღითი დღე შორდებოდა ცოლს. სამსახურში უფროსს ეხვეწებოდა, რომ მივლინებაში გაეშვათ, ოღონდ ეკას გვერდით არ ყოფილიყო.

— გოჩა, სარკეში ჩაგიხედავს? რას ჰგავხარ, ძალიან გახდი, ცოცხალი მიცვალებული ხარ, შემოხედვისაც კი მეშინია, — ეუბნებოდა ნინო, მერაბის ცოლი, როდესაც გოჩა მათი სახლის ზღურბლს გადააბიჯებდა ხოლმე.

— მეტი აღარ შემიძლია, ეკა აუტანელი გახდა, ეჭვიანობს და ეჩვენება, რომ ვღალატობ.

— ცოტა უნდა მოეშვა, დაისვენო...

— როგორ?

— ადექი და საყვარელი გაიჩინე.

— გაიჩინე კარგია, თითქოს ნორმალური ქალები ქუჩაში ეყარონ და მე უარს ვამბობდე...

— აუცილებელი სულაც არაა, რომ ნორმალური იყოს. მთავარია, მასთან თავი კარგად იგრძნო.

გოჩამ ირიბად შეხედა ნინოს, რომელიც მის სახეს ცივი მზერით სწავლობდა. ქალი კიდევ დიდხანს ლაპარაკობდა, მაგრამ მამაკაცს ტვინი გაეთიშა, ფიქრისა და მოსმენის უნარი აღარ ჰქონდა...

მეგობრის სახლიდან წამოსულ გოჩას იმედი მიეცა, რომ აუცილებლად შეხვდებოდა ქალს, რომელიც მას გაყინულ სულს გაუთბობდა.

ნინოსთან საუბრის შემდეგ მხოლოდ 1 კვირა იყო გასული, როდესაც მშვნიერ ქალს გადაეყარა. ახალგაზრდა მამაკაცში კვლავ გაიღვიძა სიცოცხლის წყურვილმა... ერთ ქალს მეორე ცვლიდა, სარეცელს — სარეცელი...

გარდაცვალებამდე რამდენიმე თვის განმავლობაში ეკა ლოგინიდან აღარ დგებოდა. გოჩამ იგრძნო, რომ ცოლი ხელიდან ეცლებოდა. ცდილობდა, შინ მეტი დრო გაეტარებინა. ცოლის საწოლს არ სცილდებოდა. ქალები კი გადაივიწყა. ეკამ ქმრის მკლავებში დალია სული. თვალებიც გოჩამ დაუხუჭა.

ამას ხანგრძლივი დეპრესია მოჰყვა. მამაკაცი თავს ვერ ერეოდა. გარდაცვლილი ცოლი ყოველღამე ესიზმრებოდა და პატიებას სთხოვდა.

ცხოვრებამ თავისი გაიტანა და 30 წლის ქვრივი მამაკაცის ყოფა 1 წლის შემდეგ კალაპოტში ჩადგა. ის ძველებურად დადიოდა მივლინებებში, სადაც სულიერედაც ისვენებდა. გოჩას არც ახსოვდა, რამდენი ქალი ჰყავდა გამოცვლილი. ამის დამახსოვრება არც სჭირდებოდა. მოსწონდა უზრუნველი ცხოვრება, რომელიც დღესასწაულს ჰგავდა. მამაკაცი არასოდეს ეძლეოდა სიყვარულს ბოლომდე. მისთვის სულერთი იყო, რომელი ქალი იყო მის გვერდით ამა თუ იმ მომენტში, ვინ ეფერებოდა.

ქალები კი მხოლოდ მის საწოლში შეთრევაზე კი არა, იმაზე ოცნებობდნენ, როგორ მოეხერხებინათ მასზე დაქორწინება. მამაკაცი როგორც კი მიხვდებოდა, რომ „საქმე“ სხვა მიმართულებას იღებდა, ქალს შორდებოდა.

გოჩას ცხოვრებაში სიყვარული მოულოდნელად მოვიდა და მამაკაცი მიხვდა, რომ 15 წლის ბიჭივით იყო შეყვარებული. გრძნობამ მყარად მოიკიდა ფეხი მის გულში. გოჩამ ძილი და მოსვენება დაკარგა. მხოლოდ იმ გოგოზე ფიქრობდა, ვინც მისი ცხოვრება თავდაყირა დააყენა და აიძულა, სამყაროსთვის სხვა თვალით შეეხედა.

ავადმყოფობა, რომელსაც „სიყვარული“ ერქვა, გოჩას მაშინ შეეყარა, როდესაც ერთ-ერთი წარმოების გენერალურ დირექტორად მუშაობდა. მისი რჩეული კი მეგობრის, მერაბის შვილი, ნატო იყო.

— გოჩა ბიძია, ხომ არ დაგავიწყდათ, რომ შაბათს დაბადების დღე მაქვს? — ჰკითხა დირექტორის კაბინეტში შესულმა გოგონამ.

— რა თქმა უნდა, მახსოვს, ჩემო ლამაზო, — გოჩამ გოგონას ლოყაზე აკოცა.

— ერთი სათხოვარი მაქვს.

— გისმენ, ყველაფერს შეგისრულებ, რასაც მთხოვ.

— მინდა, რომ ჩემს დაბადების დღეზე მარტო მოხვიდეთ და თქვენი რომელიმე ქალი არ მოიყოლოთ.

გოჩას გაეღიმა და შეეცადა, კიდევ ერთხელ ეკოცნა გოგონასთვის, მაგრამ მან თავი აარიდა.

— მე საწოლში ვერ შემითრევთ, სულელების კატეგორიას არ მივეკუთვნები.

— ნატო, ვერ გცნობ... შენ უკვე გაიზარდე...

გოგონა კარისკენ წავიდა, მერე შემობრუნდა, თავისი დიდრონი, თაფლისფერი თვალები შეანათა და ჰკითხა:

— თქვენ თუ იცით, რამდენი ქალი გააუბედურეთ?..

იმ ღამეს მამაკაცს თავის საწოლში მარტო ეძინა, თვალწინ კი 18 წლის ნატო ედგა, რომლიც ისეთი ლამაზი იყო, ნებისმიერ მამაკაცს ჭკუიდან გადაიყვანდა.

მშვენივრად ესმოდა, რომ ნატო მისი მორიგი მსხვერპლი ვერ გახდებოდა, მაგრამ ინსტინქტი და გული მისკენ ეწეოდა.

ასეთი ამაღლებული და ლირიკული განწყობილება, როდესაც სამყარო მხოლოდ ვარდისფერ და ცისფერ ფერებში ეჩვენებოდა, გოჩას დიდი ხანია, არ ჰქონია.

როგორც იქნა, შაბათი დადგა. იუბილარი სტუმარს ცისფერ, ჰაეროვან, ტანზე მომდგარ კაბაში შეხვდა.

— თვალისმომჭრელად გამოიყურები.

— უცნაურია... მხოლოდ ახლა შენიშნეთ, რომ ლამაზი ვარ?

— უკაცრავად, — გაიღიმა მამაკაცმა.

— გაპატიეთ...

გოგონა მთელი საღამო მხიარულობდა და გოჩასკენ მზერას ჩუმ-ჩუმად აპარებდა.

— გოჩა ბიძია, რას ელოდებით? საცეკვაოდ გამიწვიეთ, თორემ შესაძლოა, მომდევნო დაბადების დღეს უკვე სხვისი კანონიერი ცოლი ვიყო, — უთხრა გოგონამ და თავი უკან გადააგდო.

მამაკაცს არ დაუმალავს, რომ ამ ლამაზი არსების გულში ჩაკვრა უნდოდა. გოგონამ ხელები გაუწოდა, მან კი მკლავები მოხვია და მუსიკის ჰანგზე, დარბაზში დატრიალდნენ.

ახალგაზრდა ქალის სხეული მამაკაცს სწვავდა...

— რა დაგემართათ? — ჰკითხა ნატომ, როდესაც მის აღელვებულ სახეს შეხედა. — ცუდად ხომ არ ხართ?

— არა, ცოტა დავთვერი.

— ჩემით თუ სასმელმა დაგათროთ?

— შენით, — კბილებში გამოცრა მამაკაცმა.

გოჩა შინ გუნებაგაფუჭებული დაბრუნდა. საწოლზე გაუხდელად მიწვა. ცდილობდა, ნატოზე არ ეფიქრა, მაგრამ არაფერი გამოსდიოდა. არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო, რას დალოდებოდა, რისი იმედი უნდა ჰქონოდა...

დაბადების დღის შემდეგ რამდენიმე დღემ გაიარა. გენერალური დირექტორის კაბინეტში ტელეფონმა დარეკა. ნატო იყო და მამაკაცს სასწრაფოდ, მნიშვნელოვან საკითხზე შეხვედრას სთხოვდა.

მეორე დღეს გოგონა გოჩას კაბინეტში, გრძელ მაგიდასთან იჯდა.

— რით შემიძლია, დაგეხმარო? — გოჩა გოგონას თვალს არ აშორებდა.

— მამამ მითხრა, რომ თქვენთან ერთი ადგილი თავისუფლდება, — თავდაჯერებული მზერა ჰქონდა გოგონას, — ჩემი მეგობარი სამსახურს ეძებს.

— მოვიფიქრებ.

— რა არის მოსაფიქრებელი? მდივნის ადგილს გთხოვთ, თქვენი მოადგილის ხომ არა?! თანაც, ისეთი ლამაზი გოგონაა, არ ინანებთ.

— მდა�ა... — ჩაილაპარაკა მამაკაცმა.

ნატო წამოდგა, გოჩას მიუახლოვდა, ზურგს უკან დაუდგა და თმაზე მოეფერა.

— მიიღეთ სამსახურში ჩემი მეგობარი, მეც მოვალ ხოლმე მასთან და თქვენთან შეხვედრის შანსიც უფრო ხშირად მექნება.

...ნატოს ტყუილი არ უთქვამს — ის ხშირად მიდიოდა დირექტორის მისაღებში. გოჩამ მოსვენება დაკარგა, ის ყველა მამაკაცზე ეჭვიანობდა. ხშირად კი ნატოს თავის მეუღლედ წარმოიდგენდა. თანახმა იყო, თავისი არეული ცხოვრება დაელაგებინა და 18 წლის გოგონას ბრძანებებს დამორჩილებოდა.

— გოჩა ბიძია, შეგიძლიათ, თქვენი დაკეტილი ბინის გასაღები მომცეთ? — ხელი გაუწოდა ნატომ ერთ დღეს. — ოღონდ არ მკითხოთ, რისთვის მჭირდება.

— გასაღები? იქნებ „იმ ბინის გასაღებიც მოგცე, სადაც ფული დევს“? — „12 სკამი“ გაახსენდა გოჩას.

— სიამოვნებით გამოგართმევთ ფულსაც და გასაღებსაც, — გაიცინა გოგონამ.

— შეყვარებული გყავს?

— რას გულისხმობთ?

გოჩას სურდა, გოგონა გულში ჩაეკრა და ეთქვა, რომ უკვე დიდი ხანია, მოსვენება დაკარგა, რომ შეყვარებულია...

სავარძლის საზურგეზე გადაწვა და გოგონა თავიდან ფეხებამდე შეათვალიერა.

— ასე რატომ მიყურებთ? ხომ არ შეგიყვარდით? თქვენს ასაკში ასეთი რამ იოლი შესაძლებელია.

გოჩას მაგიდასთან მივიდა, მამაკაცის წინ, მაგიდის კიდეზე ჩამოჯდა და ფეხი ფეხზე გადაიდო.

გოჩამ გაიცინა და ისევ სავარძლის საზურგეზე გადაწვა.

— მე ძვირი ვღირვარ, არა მგონია, თქვენ შემწვდეთ...

— შენ როგორ ფიქრობ?

— დარწმუნებული ვარ. გასაღები მომეცით, გასაღებს ველოდები, — ჩურჩულით წარმოთქვა გოგონამ და ხელი გაუწოდა.

გოჩა წამოდგა, სეიფიდან გასაღები გამოიღო და ნატოს გაუწოდა.

გოგონამ მადლობა გადაუხადა და კაბინეტიდან გავიდა.

„აი, დასასრული... რომელიც ასე მალე დადგა... მაგრამ დასაწყისი არსებობდა?.. — გაიფიქრა გოჩამ. — მან შემომინთო ცეცხლი და მანვე გაანელა... სულელი... არა, არა, ის არ ჰგავს დანარჩენებს, არ ჰგავს იმ ქალებს, რომლებთანაც აქამდე მქონია კავშირი. ის არასოდეს დანებდება პირველ შემხვედრ მამაკაცს. მის თვალებში ცეცხლია ჩაბუდებული, ღიმილსა და სხეულში კი — ვნება... ის ნადირს ჰგავს, რომელსაც გალიაში ვარ გამოამწყვდევ. გალიაში მოკვდება, მას სივრცე სჭირდება... სიყვარული სჭირდება... გიჟური და ვნებიანი სიყვარული“...

ფიქრში გართულს სამსახურში შემოაღამდა. როდესაც საჭეს მიუჯდა, გადაწყვიტა, თავის სახლში მისულიყო, რომლის გასაღებიც გოგონამ რამდენიმე საათის წინ გამოართვა და ენახა, რას აკეთებდა იქ „მისი“ ნატო.

მამაკაცმა კიბე ჩუმად, ფეხაკრეფით აიარა და კარზე დაკაკუნა. ცოტა ხანში ნატომ კარი გააღო. გოგონა თხელ, ვარდისფერ, მოკლე ღამის პერანგში იყო გამოწყობილი. მამაკაცმა მის ლამაზ ფეხებს თვალი შეავლო.

ნატომ გაიღიმა.

— მოხვედით?.. ვიცოდი, რომ მოხვიდოდით. გაები ხაფანგში? — „შენობით“ მიმართვაზე გადავიდა. — არ მეგონა, თუ ასე იოლი დასაბმელი იქნებოდი.

— რაზე მელაპარაკები, ვერ გავიგე, — თქვა მამაკაცმა და ზღურბლს გადააბიჯა.

...არ ახსოვს, როგორ ჩაიკრა გულში გოგონა, როგორ აიტაცა ხელში და ტუჩებზე დაეკონა. ახალგაზრდა სხეულის სიმხურვალე იგრძნო. მამაკაცი თავის ხელში აყვანას ცდილობდა, გრძნობას ებრძოდა, მაგრამ ბოლოს დანებდა...

მისი ხელები ახალგაზრდა სხეულს სწავლობდა... მის შეხებაზე გოგონას სხეული იძაბებოდა და ვნებების მორევში იძირებოდა.

— ნამდვილი სატანა ხარ, ბოროტი ჯადოქარი, — ჩურჩულებდა მამაკაცი...

გოჩამ ნატო ხელში აყვანილი შეიყვანა საძინებელში, სადაც სხვა, მრავალ ქალს გაუთევია ღამე.

იმ მდგომარეობამდე იყო მისული, როდესაც ადამიანს განსჯის უნარი ტოვებს. გოგონა ვნებით სავსე თვალებით უყურებდა და სიამოვნებისგან დნებოდა...

საწოლში წამომჯდარ გოჩას თავი ხელებში ჰქონდა ჩარგული.

— არა, ეს შეუძლებელია, — ჩურჩულებდა ის.

— გოჩა, მე ბედნიერი ვარ...

გოგონამ ბალიშიდან თავი წამოსწია და მამაკაცის შიშველ მხარს შეეხო.

— ეს რა გამაკეთებინე?! ეს რა ვქენი!.. რატომ არ მითხარი, ქალწული თუ იყავი?.. — მამაკაცს თვალზე ცრემლი მოადგა.

ამ დღის შემდეგ ისინი ერთმანეთს ხშირად ხვდებოდნენ... გოჩას მსგავსი განცდა არასოდეს ჰქონია. შეეძლო, საათობით ეყურებინა მძინარე ნატოსთვის და მისი სილამაზით დამტკბარიყო. გო-

ჩას არ შეეძლო იმის დაჯერება, რომ გოგონას, რომელიც ქალად თვითონ აქცია, ბავშვობიდან უზომოდ უყვარდა.

— მე შენ მიყვარხარ, გოჩა, უზომოდ მიყვარხარ, ჭკუის დაკარგვამდე... სიმართლე მითხარი — ხომ არასოდეს მიმატოვებ? — ცრემლიანი თვალებით ეკითხებოდა ნატო.

— ჩემს შვილთან მიკარება როგორ გაბედე?! — იყვირა გენერალური დირექტორის კაბინეტში ქარიშხალივით შეჭრილმა მერაბმა და გოჩას საყელოში სწვდა... — ქალები დაილია?! წმინდა არაფერი არსებობს შენთვის?! როგორ გაბედე!

— დამშვიდდი, — წყნარი ხმით თქვა გოჩამ, — მე ნატო მიყვარს.

— გიყვარს?! მოგკლავ, შენი!.. — ხელები ყელში წაუჭირა მერაბმა.

— გვიანია ჩემი მოკვლა: მალე ბაბუა გახდები... — ძლივს გაითავისუფლა თავი მერაბის ხელებისგან.

— რა თქვი?! — ყურებს არ უჯერებდა კაცი.

— ნატო ორსულადაა.

მერაბს სახე აელეწა. საშინელი ხმა გამოსცა, რაღაც, ყვირილისა თუ კვნესის მაგვარი... მერე სახეზე ხელები აიფარა.

— ასე ნუ მეხუმრები, — ბოლო იმედს ჩაებღაუჭა მამა, — ხომ იცი, რომ გული მაწუხებს. მითხარი, რომ ეს ტყუილია, რომ ეს ხუმრობაა...

— რაიმე გაქვს ჩემი საწინააღმდეგო?! ერთადერთი ნაკლი ის მაქვს, რომ ასაკით ნატოზე უფროსი ვარ... მესმის შენი, შენ ხომ ჩემნაირ სიძეზე არ ოცნებობდი...

— შენი დედაც!..

მერაბმა სწრაფი ნაბიჯით დატოვა გოჩას კაბინეტი და კარი გაიჯახუნა.

მეგობრები 3 დღის განმავლობაში ერთმანეთს ემალებოდნენ...

შემდეგ მერაბმა გოჩას კაბინეტის კარი ისევ შეაღო.

— დიდი ხანია, ვხვდებოდი, რომ საქმე ასე დასრულდებოდა. ჩემი გოგო შენზე ბავშვობიდან იყო შეყვარებული. ის გაიზარდა და... — მერაბი გაჩუმდა, თავი დახარა. — მას უყვარხარ...

— მეც მიყვარს, — ხმადაბლა თქვა გოჩამ, — კარგი ქმარი ვიქნები...

40 დღე გავიდა მას შემდეგ, რაც ნატო გარდაიცვალა...

მერაბი და გოჩა საფრანგეთში იყვნენ საქმეზე წასულები. ნატო კი დროებით საცხოვრებლად დედასთან გადავიდა. ერთ დღეს კი მაღაზიაში წავიდა და აღარ დაბრუნდა... მისი გაუპატიურებული, ნაწამები და დასახიჩრებული სხეული მხოლოდ 4 დღის შემდეგ, თბილისის გარეუბანში, მიტოვებულ ელექტროსადგურში იპოვეს. ამის შემდეგ 3 თვის განმავლობაში ამავე ელექტროსადგურში კიდევ 4 გვამი აღმოაჩინეს. პოლიციელები განაცვიფრა იმ ფაქტმა, რომ ყველა მოკლული ქალი თავის ქმარზე გაცილებით უმცროსი ასაკის გახლდათ.

ნატოს 3 მცირეწლოვანი შვილი დარჩა. უფროსი მხოლოდ 4 წლის იყო, უმცროსი, ტყუპი გოგონა კი — 6 თვის.

საყვარელი ცოლის დაღუპვის შემდეგ, გოჩამ ყოველგვარი იმედი დაკარგა. ვერ წარმოედგინა, როგორ უნდა ეცხოვრა ნატოს გარეშე...

ამ ამბიდან 3 წელი გავიდა. დამნაშავე ვერ იპოვეს.

გოჩა ერთბაშად დაბერდა... საცხოვრებლად მერაბთან გადავიდა. სამსახურის გარდა არაფერი აინტერესებდა. ბავშვების აღზრდა ნატოს დედამ, ნინომ იკისრა.

...გოჩა ქუთაისში, მორიგ მივლინებაში იყო. სასტუმროს დერეფანში მაღალი, წაბლისფერთმიანი ქალი შენიშნა. მამაკაცის მზერა ოქროს ძეწკვმა და კულონმა მიიპყრო, რომელიც ქალს გულზე ეკიდა. შეამცივნა... არა, შეუძლებელი იყო, შეშლოდა... ნატოსი იყო. თვითონ უყიდა ეგვიპტეში, როდესაც ნატო 20 წლის გახდა და დაბადების დღის აღსანიშნავად, სამოგზაუროდ წავიდნენ.

— უკაცრავად, თუ შეიძლება, მითხარით, ეს საიდან გაქვთ? — ხელით ანიშნა ძეწკვზე.

— მოგწონთ?.. მაჩუქეს.

— გაჩუქეს?

— დიახ, 3 წლის წინ ჩემმა ახლობელმა მაჩუქა. მას ჩემთვის ბედნიერება მოაქვს.

— ეს ძეწკვი ჩემს გარდაცვლილ ცოლს ეკუთვნოდა, — ერთი ამოსუნთქვით თქვა გოჩამ. ცდილობდა, ქალისთვის თვალებში არ შეეხედა, — და გარდაცვალების დღესაც ეგ ეკეთა.

— არა, ალბათ გეშლებათ, ეს თემომ მაჩუქა. ის ვერავის მოკლავდა, ნამდვილად გეშლებათ, — ენა დაება ქალს, — მას ლამაზი ნივთები უყვარს, მაგრამ ამის გულისთვის მკვლელობას არ ჩაიდენს.

გოჩამ უცნობი ქალი ნომერში მიიწვია. საფულედან ნატოს ფოტო ამოიღო და ქალს გაუწოდა. სურათიდან ლამაზი, მოღიმარი გოგონა იყურებოდა, რომელსაც ზუსტად ისეთივე ძეწკვი ეკეთა, როგორიც ახლა მის ყელს ამშვენებდა.

გოჩამ შენიშნა, როგორ აუკანკალდა ქალს ხელები.

— იქნებ, კიდევ არსებობს ასეთი მეორე ყელსაბამი?

ქალმა ნებართვა ითხოვა, ჩანთიდან სიგარეტის კოლოფი ამოაძვრინა და ხელის კანკალით მოუკიდა.

— ერთმანეთი ბათუმში გავიცანით. პლაჟზე ჩვენ გვერდით ლამაზი, ათლეტური აღნაგობის მამაკაცი ირუჯებოდა. ერთმანეთს გამოველაპარაკეთ. აღმოჩნდა, რომ ერთ-ერთ პოლიკლინიკაში გინეკოლოგად მუშაობდა. ის ჩემზე 15 წლით უმცროსი იყო, მაგრამ ამას ჩვენი ურთიერთობისთვის ხელი არ შეუშლია. პირიქით...

— რა პირიქით? — შეშფოთებული ხმით ჰკითხა გოჩამ.

ქალმა ღრმა ნაფაზი დაარტყა, კვამლი შეისუნთქა, სურათი გოჩას დაუბრუნა და განაგრძო:

— თემომ თავის დროზე მძიმე სულიერი ტრავმა გადაიტანა: ცოლმა მიატოვა და თავისზე 28 წლით უფროს მამაკაცზე გათხოვდა. ქალმა შვილთან შეხვედრაც კი აუკრძალა...

— ახლა სადაა თქვენი მეგობარი?

— რატომ მეკითხებით?

— იმიტომ, რომ ეს ძალზე მნიშვნელოვანია.

— ციხეშია. ხულიგნობის გამო დააკავეს: მთვრალმა 2 მამაკაცი სცემა. მას ციხე არ ემუქრებოდა, მაგრამ რატომღაც, სასამართლოზე თქვა, რომ მას შემდეგ, რაც პოლიკლინიკის მთავარ ექიმად დანიშნეს, ქრთამს იღებდა. რატომ, რა მიზეზით მოიქცა ასე, ვერავინ გაიგო. არადა, დაქორწინებას ვაპირებდით.

— ჩემთვის ყველაფერი ნათელია: ეგ თქვენი თემო — მკვლელია. თუ არ ვცდები, გვარად მარტიაშვილი უნდა იყოს..

— დიახ, — თვალები აახამხამა ქალმა.

— ის ჩემი მეუღლის ექიმი გახლდათ. კონსულტაციებზე მასთან დადიოდა. მან კი ყველა ის პაციენტი გამოასალმა სიცოცხლეს, რომელსაც ასაკით ბევრად უფროსი ქმარი ჰყავდა.

— არა, არა, — სახეზე ხელები აიფარა ქალმა... — თემოს არავის მოკვლა არ შეეძლო...

გოჩა წამოდგა, ტელეფონს დასწვდა და იმ გამომძიებლის ნომერი აკრიბა, ვინც მისი ცოლის მკვლელობის საქმეს იძიებდა.

— ჰო, გოჩა, — გაისმა მამაკაცის ხმა.

— ჩემი ცოლის მკვლელი ვიპოვე...

შეხვედრები სტალინთან

ფრაგმენტები ვლადიმირ კარპოვის წიგნიდან „გენერალისიმუსი"

ვერც პირველი და ვერც მეორე დირექტივა, რომელიც ასევე არარეალური აღმოჩნდა, სასაზღვრო ტერიტორიებზე განლაგებულმა საბჭოთა საჯარისო ნაწილებმა ვერ შეასრულეს. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ საშინელი ომის პირველ დღეს არც სტალინს და არც თავდაცვის სახელმწიფო კომისარიატს არ შესწევდათ უნარი, კომპეტენტურად გასძღოლოდნენ არმიის საბრძოლო მოქმედებებს...

დასაწყისი იხ. „გზა", №27-51

22 ივნისს, დილის 6 საათამდე, გენერალურმა შტაბმა ვერაფრით მოახერხა იმის დადგენა, თუ რა ხდებოდა სახელმწიფო საზღვარზე. ათის ნახევარზე სტალინი კვლავ შეხვდა ტიმოშენკოსა და ჟუკოვს, წაიკითხა მათ მიერ მომზადებული ბრძანებულების პროექტი მობილიზაციის შესახებ, შეიტანა ცვლილებები და ნაწილობრივ შეამცირა კიდეც მობილიზაციის მასშტაბი: სტალინს ჯერ კიდევ ვერ წარმოედგინა, თუ რა დიდი ომი დაიწყო...

დიდი ომის დასაწყისი

ტიმოშენკომ სტალინს წარუდგინა პროექტი სარდლობის მთავარი შტაბის ჩამოყალიბების შესახებ. სტალინმა თქვა, რომ ამ პროექტს პოლიტბიუროში განხილვის შემდეგ მოაწერდა ხელს. შტაბი 23 ივნისს, პარტიის ცეკასა და სახკომსაბჭოს ერთობლივ სხდომაზე დაამტკიცეს. მის თავმჯდომარედ თავდაცვის სახკომი ტიმოშენკო დანიშნეს, თუმცა მის მიერ წინადღეს შემოტანილი პროექტით, ეს პოსტი იმთავითვე სტალინს უნდა დაეკავებინა.

22 ივნისს შუადღეს, ხალხისადმი მიმართვით რადიოეთერში მოლოტოვი გამოვიდა. აი, როგორ იხსენებდა ამ გამოსვლის ამბავს თავად სახკომსაბჭოს თავმჯდომარე, როცა მას ამ წიგნზე მუშაობისას შევხვდი:

„იმ საშინელ დღეს, განხილვების, განკარგულებებისა და სატელეფონო საუბრების ციებ-ცხელების ვითარებაში ვიღაცამ თქვა, რომ აუცილებელი იყო, ხალხისთვის მიგვემართა და მტრის განდევნისკენ საბრძოლველად მოგვეწოდებინა. პაუზა ჩამოვარდა, ყველა სტალინს შესცქეროდა. მე ვთქვი, რომ ხალხისა და ქვეყნის წინაშე უთუოდ, სტალინი უნდა გამოსულიყო. პოლიტბიუროს წევრები დუმდნენ — იცდიდნენ, რას იტყოდა სტალინი. ის დიდხანს არ პასუხობდა ამ კითხვას, ჩვეულებისამებრ, ოთახში მიდიმოდიოდა. შემდეგ ამ წინადადებას უარყოფითად უპასუხა. მას მიაჩნდა, რომ პირველ დღეს მისი გამოსვლა მიზანშეწონილი არ იქნებოდა და ამჯერად ხალხისათვის მე უნდა მიმემართა.

...ამ პირველ სამთავრობო გამოსვლაში გაისმა სიტყვები, რომლებიც მოლოტოვს სტალინმა უკარნახა და დიდი სამამულო ომის თავისებურ დევიზად იქცა: „ჩვენი საქმე სამართლიანია. მტერს გავანადგურებთ. ჩვენ გავიმარჯვებთ!"

სტალინი მოლოტოვის გამოსვლით კმაყოფილი დარჩა. შემდეგ უთხრა:

— ახლახან ველაპარაკე ფრონტების სარდლებს. მათ არც იციან, რა მდგომარეობაა შექმნილი საზღვარზე. გასაკვირია, რომ ასეთი მხედართმთავრები დაიბნნენ და არ იციან, რა მოიმოქმედონ. მათ კონკრეტული მოვალეობები აქვთ და ეს მოვალეობები მანამდეც უნდა შეასრულონ, ვიდრე ჩვენგან განკარგულებებს მიიღებენ. აბა, რისთვისაა არმია?!

შუადღისთვის სტალინმა ჟუკოვს დაურეკა და უთხრა:

— ჩვენი სარდლები მოკლებული არიან უშუალოდ ფრონტზე საბრძოლო მოქმედების ხელმძღვანელობის გამოცდილებას და, როგორც ჩანს, დაიბნნენ. პოლიტბიურომ გადაწყვიტა, თქვენ მიგავლინოთ სამხრეთ-დასავლეთ ფრონტზე, როგორც უმაღლესი შტაბის წარმომადგენელი; დასავლეთის ფრონტზე შაპოშნიკოვი და კულიკი გაემგზავრებიან. თქვენ დაუყოვნებლივ უნდა გაფრინდეთ კიევში, იქიდან კი ხრუშჩოვთან ერთად, — ტერნოპოლში, ფრონტის შტაბში...

ამით დასრულდა ამ საშინელი ომის პირველი დღე. მომდევნო დღეებშიც წითელი არმიის სარდლობა ვერ ფლობდა სიტუაციას და სათანადოდ ვერ ხელმძღვანელობდა ჯარების მოქმედებას. ამ თვალსაზრისით, აღმოსავლეთით ჰიტლერის ლაშქრობა ძალიან ჰგავდა იმ ელვისებურ იერიშებს, რომლებიც მან თავის დროზე დასავლეთ ევროპის ქვეყნებს მიაყენა: ამ ქვეყნების ხელმძღვანელები მიყენებული დარტყმებისგან დამბლადაცემულებივით იყვნენ და არ შესწევდათ იმის უნარი, რომ რაიმე წინააღმდეგობა გაეწიათ გერმანიის ჯარებისთვის.

და აი, საბჭოთა კავშირსაც თითქოს იგივე მოსდიოდა, რაც თავის დროზე საფრანგეთს გადახდა თავს. ჩვენი ქვეყნის ხელმძღვანელობაც თითქოს შოკში იყო გერმანელთა მოულოდნელი და მყისიერი იერიშებისგან და, დარღვეული კავშირგაბმულობის პირობებში, საჯარისო ნაწილებს სათანადო დირექტივებსაც ვერ აძლევდა. და შესაძლოა, სწორედ პოლიტბიუროს ბევრი წევრის მიერ განცდილი დაბნეულობა იყო იმის მიზეზი, რომ მათ ვერაფრით ამოშალეს საკუთარი მეხსიერებიდან შიში და მრავალი წლის შემდეგ, მაშინ განცდილ შოკს თავად სტალინის დაბნეულობით ხსნიდნენ. ამიტომ მიმაჩნია საჭიროდ, გავაბათილო ზოგიერთი მათგანის მტკიცებაა — თითქოს სტალინი საქმეებს გაერიდა კიდეც და, დეპრესიაში მყოფი, აგარაკზე იჯდა.

ამ მხრივ ყველაზე მეტად, ორმა ადამიანმა გამოიჩინა თავი — ბერიამ და ხრუშჩოვმა. აი, რას ჰყვებოდა ხრუშჩოვი ომის დასაწყისის შესახებ:

„სტალინი დაიბნა და რამდენიმე დღით სრულიად ჩამოსცილდა ქვეყნის ხელმძღვანელობას — კუნცევოში გაემგზავრა და იქ იმყოფებოდა". ხრ-

გაგრძელება იხ. გვ. 75

ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით
gza.fantazia@gmail.com

დასაწყისი
იხ. „გზა“ №37-51

გოჩა მანველიძე

მძღოლმა გზისპირას შეაჩერა მანქანა და გოგას საპირისპირო მხარეს მიანიშნა.

— იქ არის „ისკრა“.

— იქ?! — გაუკვირდა გოგას. ლითონის მაღალი ღობის მიღმა, მხოლოდ დაბურული ტყე მოჩანდა.

— ჰო, იქაა. აქედან არ ჩანს. ხეები ეფარება. ჭიშკარში შედი, გზას გაჰყევი და პირდაპირ სანატორიუმს მიადგები, — მიასწავლა მძღოლმა.

— გმადლობთ, — უპასუხა გოგამ. მერე ფული გადაუხადა, მანქანიდან გადავიდა და ჭიშკარს მიაშურა.

ჭიშკრის გვერდით, მცირე ზომის ჯიხურთან დარაჯი იჯდა. მადიანად შეექცეოდა ფუნთუშას და დროდადრო ბოთლიდან მაწონს აყოლებდა. გოგას მიახლოებისას ტუჩები ხელისგულით მოიწმინდა და ჰკითხა: სად მიდიხარო?

— ეს სანატორიუმი „ისკრაა“? — ჰკითხა მან.

— „ისკრაა“... მაგრამ ვერ შეგიშვებ, — წინ გადაუდგა დარაჯი გოგას, — უფროსობის ბრძანებაა. სანატორიუმის ტერიტორიაზე უცხო პირების შეშვება არ შეიძლება.

— დამსვენებლები არ მაინტერესებს. ნაცნობს ვეძებ.

— რა მნიშვნელობა აქვს, ვის ეძებ. ტერიტორიაზე მაინც ვერ შეგიშვებ, თუ შენი ნაცნობი სანატორიუმში მუშაობს, მითხარი და ტელეფონით დავუკავშირდები, — შესთავაზა დარაჯმა.

— დიმა ჰქვია, — ყოყმანით უპასუხა გოგამ.

— დიმა... დიმა... დიმა... — ჩაფიქრდა დარაჯი. — აქ სამი დიმა მუშაობს. შენ რომელი გჭირდება. რა გვარია შენი ნაცნობი?

— გვარი არ ვიცი, — თავი გაიქნია გოგამ.

— ნაცნობის გვარი არ იცი? — ეჭვით ჰკითხა დარაჯმა.

— სოხუმიდან მოვდივარ. საერთო ნაცნობმა მაგ კაცთან რაღაც დამაბარა. გვარი დამავიწყდა, მაგრამ ის ვიცი, რომ სანატორიუმის ადმინისტრატორად მუშაობს.

— აა... შენ დიმა ჯინჯოლია გჭირდება, მაგრამ ახლა აქ არ არის. მოცდა მოგიწევს.

— მალე მოვა? — სწრაფად ჰკითხა გოგამ.

— აბა, რა გითხრა. დილიდან სანატორიუმში ტრიალებდა. მერე გავიდა. დაელოდე. ალბათ მალე გამოჩნდება, — თქვა დარაჯმა.

— დაველოდები, — უპასუხა გოგამ და უკან გაბრუნდა.

გამვლელების ყურადღება რომ არ მიექცია, იქვე მცირე ფანჩატურში შევიდა. იქიდან კარგად მოჩანდა სანატორიუმში შესასვლელი ჭიშკარი. სტავროს მიერ აღწერილი დიმას „ჟიგული“ არ გამოეპარებოდა. სამაგიეროდ მას ვერავინ შენიშნავდა.

„აქამდე მოვაღწიე, მაგრამ რა იქნება შემდეგ? — გოგამ სიგარეტს მოუკიდა და ფიქრს მიეცა. — ერთ მკვლელს კიდევ ორი დაემატა. ისე კი რა მნიშვნელობა აქვს ამას. მე ერთიც მეყოფა. რით უნდა მოვუგო მკვლელს, რომელიც ყველა შემთხვევაში მზადაა სასხლეტის დასაშვებად და დაუფიქრებლადაც აკეთებს ამას!.. არა... არა... ამაზე ფიქრით არ უნდა მოვსულიყავი აქ. ასე წინასწარ განწირული ადამიანი თუ იფიქრებს. მე კი ამისთვის არ მიწვალია. ყველაფერზე უარი ვთქვი. მართლაც ჩალით ხომ არაა ქვეყანა დახურული. შეიძლებოდა თბილისში დარჩენა და თავის მართლება. ადრე თუ გვიან, ყველაფერი გაირკვეოდა. არც ზუგდიდის შემდეგ იყო გვიან. მაშინაც შეიძლებოდა უკან დაბრუნება და გამომძიებლისთვის ყველაფრის ახსნა. მანქანისა და იარაღის წართმევას არ შემარჩენდა, მაგრამ მთავარი საქმე მაინც გაკეთდებოდა. მკვლელობის ბრალდებას მომიხსნიდნენ, გამამართლებდნენ. ამის მერე მანქანასა და იარაღზე რამდენიც გაუხარდებოდათ, იმდენი წელი მოეს აჯათ, მაგრამ რას მომცემდა ეს?.. ყოველ შემთხვევაში იმას არა, რაც მინდა. იმ კაცმა ჩემთან უნდა აგოს პასუხი და არა მოსამართლესთან და პროკურორთან. რატომ... რატომ... რატომ?! ვერ მოვისვენებ, ვიდრე ამ კითხვაზე არ მიპასუხებს. ამაში კი გამომძიებელი და პროკურორი ვერ დამეხმარებიან!.. მალე იმ არაკაცის მეგობარი გამოჩნდება... და რა მოჰყვება ამას?.. რას იზამს ის კაცი, როცა მნახავს?! დაიბნევა. დარწმუნებული ვარ, წარმოდგენაც არ ექნება მომხდარის შესახებ. მაგრამ რაში მაინტერესებს მისი გაკვირვება. მთავარი ისაა, რას მოიმოქმედებს შემდეგ?.. რაც უნდა მოხდეს, ერთი რამ უეჭველია. მე არაფრის გაკეთება არ მომიწევს. ის არაკაცი თვითონ მომძებნის და თავად გადაწყვეტს ჩვენს დავას...“

გოგას ისევ მოუნდა სიგარეტი, მაგრამ კოლოფი ცარიელი აღმოჩნდა. მიმოიხედა. ფანჩატურიდან ასიოდე მეტრის მოშორებით ჯიხური შენიშნა, სადაც სიგარეტის ყიდვა შეიძლებოდა.

ახალგაზრდა ქალმა სწრაფად გადათვალა ფული და კოლოფი გაუწოდა. გოგამ იქვე მოუკიდა სიგარეტს. ამ დროს ჯიხურთან მანქანა შეჩერდა.

— „მარლბორო“ გაქვს? — მანქანიდან დაუძახეს გამყიდველს.

— მაქვს, — უპასუხა მან.

ამასობაში გოგამ სიგარეტს მოუკიდა და ფანჩატურისკენ წავიდა. მაგრამ ორიოდე ნაბიჯიც არ ჰქონდა გადადგმული, რომ უკნიდან ჩაესმა:

— აქეთ მოიხედე, ბიჭო!

გოგა გაკვირვებული შებრუნდა. მანქანიდან გადმოსული მამაკაცი ყურადღებით აკვირდებოდა.

— რა გნებავთ? — ჰკითხა გოგამ.

პასუხად მამაკაცი სწრაფი ნაბიჯით წამოვიდა მისკენ. ამ დროს გოგამ პისტოლეტს მოჰკრა თვალი, რომელიც უცნობს ქამარში ჰქონდა გარჭობილი.

„მილიციელია!..“ — ელვის სისწრაფით გაუელვა გონებაში, მაშ-

ინვე შებრუნდა და გაიქცა.

— გაჩერდი, ნაბიჭვარო!.. — იყვირა მამაკაცმა და სირბილით დაედევნა.

ქუჩაში დამალვა შეუძლებელი იყო. მარჯვენა მხარეს სანატორიუმის მაღალი ღობე აღმართულიყო. ვიდრე მასზე გადასვლას მოახერხებდა, მდევარი წამოეწეოდა. მარცხენა მხრიდან კი ქუჩას ქვის მასიური კედელი მიუყვებოდა. თავის დახსნის ერთადერთი გზა, გზაჯვარედინი იყო, რომელიც ორასიოდე მეტრში მოჩანდა, მაგრამ გოგამ იქამდე მირბენა ველარ მოასწრო. მანქანა, რომლიდანაც გადმოვიდა მილიციელი, საბურავების წივილით მოსწყდა ადგილს, წინ გადაუსწრო და გზაჯვარედინთან შედგა. მანქანიდან მამაკაცი გადმოხტა, პისტოლეტი დაუმიზნა და უყვირა.

— გაჩერდი, ახვარო!..

გოგა მაშინვე ადგილზე გაქვავდა და იმის ნიშნად, რომ წინააღმდეგობის გაწევას არ აპირებდა, ხელები მაღლა ასწია.

მდევარი ზვავივით დაეძგერა. ძლიერი ბიძგით დასცა მიწაზე, კეფაზე პისტოლეტი მიაბჯინა და მეწყვილეს უყვირა:

— რას უყურებ?! დროზე დაადე „ნარუჩნიკი“!..

მილიციელი მაშინვე დაიძრა ადგილიდან, პისტოლეტი შეინახა და გოგას მაჯებზე ხელბორკილი მოარგო. ამის შემდეგ მილიციელებმა ფეხზე ააყენეს, მანქანაში ჩასვეს და სასწრაფოდ მოაშორეს იქაურობას.

გოგას უკვე ჰქონდა დაკითხვების გამოცდილება. მაგრამ მაშინ მისი დაკითხვა, გიორგის კაბინეტში ხდებოდა. ახლა კი ისეთ ჯურღმულში მოხვდა, რომლის მსგავსიც მეორე მსოფლიო ომის თემაზე გადაღებულ ფილმებში თუ ჰქონდა ნანახი.

მცირე ზომის ოთახს მხოლოდ ერთი, გისოსით დაგმანული სარკმელი ჰქონდა. კედლები, იატაკი და ჭერი შიშველი ბეტონისა იყო. კუთხეში კარადა მოჩანდა. ოთახის შუაში კი იატაკში ჩაცემენტებული რკინის მაგიდა და ორი ტაბურეტი იდგა.

მილიციელებმა გოგა ხელისკვრით შეაგდეს ოთახში. საგულდაგულოდ გაჩხრიკეს და მისი ჯიბეებიდან ამოღებული ნივთები მაგიდაზე დაყარეს. მერე ერთ-ერთმა მათგანმა ხელბორკილით მაგიდაზე მიაბა, სახეში ჩააცქერდა და დამცინავად ჰკითხა:

— მიცანი, ნაბიჭვარო?!

— რა გინდათ ჩემგან? — ჰკითხა გოგამ.

— ოჰო!.. — გაიკვირვა მილიციელმა. — როდის ალაპარაკდი ქართულად?

— დაბადებიდან რამდენიმე თვის შემდეგ.

— ხუმრობის ხასიათზე ხარ?! — ავად თქვა მილიციელმა, მერე კი სწრაფად მოიქნია ხელი და გოგას სახეში გაარტყა.

— დაწყნარდი, თამაზ, — ჩაერია მეორე მილიციელი.

— დავწყნარდე?! — ბრაზით გახედა თამაზმა. — შენ ხომ აზრზე არა ხარ, ვინ არის და რისთვის იძებნება ეს ნაბიჭვარი?!

— ვინაა? — ჰკითხა მილიციელმა.

— ხიჟბა გაგიგია?

— ოჰო! — მილიციელმა გაოცებით შეხედა გოგას.

— ჰო... ისაა... — თქვა თამაზმა და ისევ გოგას მიუბრუნდა, — ვიცოდი, კოლონიიდან რომ გაიქეცი, მაგრამ ნაღდად არ მეგონა, აქ ჩამოსვლას თუ გაბედავდი!

— მოიცა... მოიცა... — ჩაურთო მეორე მილიციელმა. — რამე ხომ არ გეშლება?! ხიჟბა აფხაზია. ეს კი თავისუფლად ლაპარაკობს ქართულად.

— ამ ნაბიჭვარმა აფხაზურად ლაპარაკი არ იცის!

— არ იცის? — გაუკვირდა მილიციელს. — ასეთი აფხაზი ჯერ არ შემხვედრია!

— ჰო, უნიკალური ვინმეა. განსაკუთრებით მისი დოსიე! მოგეწონება! — უპასუხა თამაზმა.

— რა შუაშია დოსიე, კრიმინალი კრიმინალია, მაგრამ რამეში არ შევცდეთ.

— ეს ნაბიჭვარი რუსეთში გაიზარდა. მამამისი სამხედრო იყო და ბოშასავით დაწანწალებდა აქეთ-იქით. დედა რუსი ჰყავდა და საიდან უნდა ესწავლა აფხაზურად ლაპარაკი, — განაგრძო თამაზმა, — არაფერი მეშლება, ისაა. რა დამავიწყებს მის თავს. ახლაც ყურში მიდგას ამ ნაბიჭვარის ნასროლი ტყვიის წივილი. ბეწვზე გადავრჩი. რამდენიმე სანტიმეტრით ამაცილა ტყვია, — თამაზი ისევ გოგას მიუბრუნდა და ბრაზით უყვირა: — გახსოვს, ნაბიჭვარო?!

— ვიღაცაში გეშლები.

— უჰ შენი!.. — წამოიყვირა თამაზმა და მუშტი შემართა, მაგრამ თანაშემწე სწრაფად სწვდა მარჯვენაში, უკან დასწია და გოგასთვის ჩამორთმეული პასპორტი აუფრიალა თვალწინ.

— მოიცა... პასპორტი თბილისშია გაცემული. ეს ხიჟბა არ არის. ნახე, რა წერია აქ... კილაძე გიორგი!..

— „ტრუხაა“!.. შენ არ იცნობ ამ დამპალს. მაგას არც პასპორტის შოვნა გაუჭირდებოდა და ქართულის სწავლასაც არ დაიზარებდა. თანაც დროც ჰქონდა. რა უნდა ეკეთებინა რვა თვე. ეგდო „ნარზე“ და ქართულად ლაპარაკში იწაფებოდა! ასეა თუ არა?! — გოგას ჰკითხა თამაზმა.

გოგა უკვე თავადაც ხვდებოდა, რომ ყველაფერი თავიდან იწყებოდა. გაგრელი მილიციელი იგივე შეცდომას უშვებდა, რომელიც თავის დროზე გიორგიმ დაუშვა. მას იმ არაკაცს ამსგავსებდა, რომლის მოსაძებნადაც ჩამოვიდა აფხაზეთში. რა უნდა მოემოქმედებინა ასეთ ვითარებაში? ემტკიცებინა, რომ თბილისელი ექიმი იყო და არაფერი აკავშირებდა ხიჟბას სისხლიან საქმიანობასთან? მაგრამ ის ხომ თავადაც ძებნილი იყო?! მილიციელებს არ გაუჭირდებოდათ ამის გარკვევა და ამით ყველაფერი დამთავრდებოდა. მას დაუყოვნებლივ დააბრუნებდნენ თბილისის სამმართველოში. მაგრამ როდემდე და როგორ უნდა დაემალა თავისი ნამდვილი ვინაობა? მით უმეტეს მაშინ, როცა მას მილიციელებზე თავდამსხმელად და კოლონიიდან გაქცეულ პატიმრად მიიჩნევდნენ.

— ხმა ამოიღე, დამპალო! — იყვირა მისი დუმილით გაღიზიანებულმა თამაზმა.



— არ ვიცი, რაზე ლაპარაკობთ. ადრე არასოდეს შეგხვედრივართ და აფხაზეთში სულ სამჯერ ვარ ნამყოფი.

— სამჯერაა ნამყოფი!.. — დამცინავად თქვა თამაზმა. — მე შეგახსენებ, რამდენჯერ ხარ ნამყოფი და



იმასაც, რომ ყოველ ჩამოსვლაზე ადამიანის სისხლი დაღვარე... გახსოვს ლუკიანენკო?..

— ვინაა ლუკიანენკო? — ჰკითხა გოგამ.

— დამსვენებელი, რომელიც შენ დაჭერი!.. აფხაზეთში გულგრილად არასოდეს ეკიდებოდნენ ჩრდილოეთიდან ჩამოსულ ქერა ქალებს, მაგრამ ყველაფერს აქვს საზღვარი. ბრიყვიც მიხვდება, რომ თაფლობის თვის ზღვაზე გასატარებლად ჩამოსული ქალი, კუროს ძებნას არ დაიწყებს. მაგრამ შენ ისეთი „ნაგლი“ ხარ, რომ მაინც არ მოეშვი იმ ქალს და როცა მისმა ქმარმა შემოგიტია, დანა ატაკე!.. ასე იყო თუ არა?

გოგამ დუმილით უპასუხა.

— მე იქ არ ვყოფილვარ, არც ის ქალი მინახავს და არც მისი ქმარი, მაგრამ იმაზეც უარს ხომ ვერ მათქმევინებ, რასაც თავად შევესწარი, — განაგრძო თამაზმა, — გახსოვს სოხუმის პორტი?..

გოგას ისევ არაფერი უთქვამს.

— ის დღე სიცოცხლის ბოლომდე მემახსოვრება, — თანაშემწეს გახედა თამაზმა, — მაშინ სოხუმის „ოურში“ ვმუშაობდი... ორნი ვიყავით — მე და ვიქტორ გულბანი. პორტში რაღაც საქმეზე მივედით. „პრიჩალთან“ კაფესთან ვიდექით, როცა ვიქტორმა ამ დამპალს მოჰკრა თვალი. ვიღაც ტიპთან ერთად იყო, „პრიჩალისკენ“ მიდიოდნენ. იმ დღეს სოჭის მიმართულებით „კომეტა“ გადიოდა. მერე გავარკვიეთ, რომ რუსეთში მოხევა ჰქონდა გადაწყვეტილი. თავისი ჭკუით „მასკიროვკა“ გაეკეთებინა: წვერი ჰქონდა მოშვებული და მზის სათვალე ეკეთა, მაგრამ ვიქტორმა მაინც იცნო. კარგი ბიჭი იყო საწყალი, ნაღდი „ოპერი“. სხვა მის ადგილას, აფორიაქდებოდა და თავს „გაიშიფრავდა“. ვიქტორმა კი არაფერი შეიმჩნია. ჩუმად მითხრა: ის წვერიანი ნაბიჭვარი, ხიჟბაა, „პრიჩალისკენ“ მიდის. მე წინ გადავუსწრებ, რომ გემზე ასვლა ვერ მოასწროს, შენ კი უკნიდან გამოჰყევიო... „კაროჩე“ გავიყავით. ვიქტორი წინ წავიდა, მე უკნიდან ავეკიდე. ყველაფერი კარგად იყო. ზედმეტი ხმაურის გარეშე ავიყვანდით, მაგრამ მეორე ტიპმა ვიქტორი იცნო და ამ დამპალსაც ანიშნა. ვიქტორი უფრო ახლოს იყო მათგან და როგორც კი მიხვდა, „გავიშიფრეო“, მაშინვე წინ გავარდა. ამ დამპალმა კი ეგრევე გაისროლა. ვიქტორს ორი ტყვია მოარტყა — ერთი მუცელში, მეორე მკერდში. მერე უკან შემობრუნდა და ჩემკენ გამოიქცა. ვესროლე... მთელი „აბოიმა“ დავცალე. აზრზე არა ვარ, როგორ გადარჩა. ალბათ თავად სატანა მფარველობს ამ დამპალს. თვითონაც მესროდა. მოსაკლავად ვყავდი გამეტებული, თავში მიმიზნებდა. ორმა ტყვიამ ყურთან ჩამიწუილა. მეც კაცი ვარ, თავი არ მომბეზრებია. თანაც „აბოიმაც“ ცარიელი მქონდა, რაღა უნდა მექნა?! გზიდან ჩამოვეცალე და ჯიხურის უკან დავიმალე. ვიდრე „აბოიმას“ შევცვლიდი, ეს ნაბიჭვარი გაიქცა, მაგრამ შორს მაინც ვერ წავიდა. სროლის ხმაზე მოვარდნილმა პორტის მილიციამ აიყვანა. ჩხრეკისას ჯიბიდან პასპორტი ამოვუღეთ. ვერაფერს იტყოდი. ნაღდი პასპორტი იყო. რუსეთის მოქალაქეზე, ივან მიხეევზე იყო გაცემული. შენ კი მიმტკიცებ, თბილისელი კაცია, გოგა კილაძეო!.. ახლა რას იტყვი. იქნებ ესეც მოგონილია?! — თამაზი სახეში ჩააცქერდა გოგას.

— არ ვიცი. შეიძლება, ასეთი რამ მართლაც მოხდა, მაგრამ მე არაფერი მაკავშირებს მაგ საქმესთან.

თამაზმა უკმაყოფილოდ გაიქნია თავი და მერე უთხრა:

— არ გიკვირს, რომ დანახვისთანავე არ მიგაბრიდე?!

გოგას არაფერი უთქვამს.

— გიკვირს... შენი დაბრედვისთვის მადლობას მეტყოდნენ. შენ ხომ ყველაფერი არ იცი. რომ გცოდნოდა, გაგრაში ჩამოსვლას ვერ გაბედავდი. აქ ნაღდად სიკვდილი გელის... ვიქტორი ორი კვირის წინ მოკვდა. ექიმებმა დაადგინეს, რომ ამის მიზეზი შენი ნასროლი ტყვია იყო. რვა თვე იწვალა საწყალმა და მაინც შენი წერა გახდა. მაგრამ მაინც ნუ გაგიხარდება, რომ ცოცხალი ხარ და ნურც იმაზე იოცნებებ, რომ ეს ამბავი „სროკით“ დამთავრდება. არა, ნაბიჭვარო. შენ უკვე „ტრუპი“ ხარ!.. სიამოვნებით დაგახლიდი ტყვიას და რომელიმე ღობის ძირში მიგაგდებდი, მაგრამ ამას რეზოს გარეშე არ გავაკეთებ!.. იმან გადაწყვიტოს, შენი ბედი!.. იცი, ვინ არის რეზო?!

გოგამ უხმოდ გაიქნია თავი.

— სამძებროს უფროსია, რეზო გულბანი — ვიქტორის უფროსი ძმა, იმ ვიქტორის, რომელიც შენს ნასროლ ტყვიას შეეწირა!..

— მე არავისთვის მისვრია. თქვენ ჩემი პასპორტი გაქვთ. წესიერად გაარკვიეთ ჩემი ვინაობა და მერე დამადანაშაულეთ, — უპასუხა გოგამ.

— ესე იგი, მაინც ძველებურად უბერავ!.. — ბრაზით ჩაილაპარაკა თამაზმა, მერე კი მოულოდნელად მოიქნია ხელი და მუშტი სახეში დააძგერა.

მწველმა ტკივილმა ელვის სისწრაფით დაურბინა გოგას. პირში სისხლის გემო იგრძნო. ენით მოისინჯა გახეთქილი ტუჩი და გააფთრებული მზერა მიაბჯინა მილიციელს.

— რას იბღვირები, ნაბიჭვარო?! — იყვირა მან და მეორედ მოიქნია მარჯვენა.

ამჯერად გოგამ იმარჯვა და დარტყმას თავი აარიდა. თამაზი გაშმაგდა. ორივე ხელით მკერდში სწვდა, თავისკენ მიიზიდა და ძლიერად შეანჯღრია. გოგა ორივე ხელით მაგიდაზე იყო მიბმული. მაგრამ მაინც შეეწინააღმდეგა და როდესაც მილიციელი მაინც არ მოეშვა, უკან გადაიხარა, მერე კი სწრაფი მოძრაობით თავი სახეში დააძგერა. დარტყმა იმდენად ძლიერი იყო, რომ თამაზმა თავის შეკავება ვეღარ შეძლო და მოწყვეტილი იატაკს დაეხეთქა.

— თავი გამანებე... გესმის, რას ვამბობ?! მე არ დამიჭრია შენი თანამშრომელი! — მთელი ხმით იყვირა გოგამ.

— მოგკლავ, ნაბიჭვარო!.. — თამაზი ყვირილით წამოიჭრა ფეხზე, კუთხეში მდგარი რკინის კარადიდან ხის მსხვილი კეტი გამოიღო და გამეტებით დაუშინა თავში.

მეორე დარტყმაზე გოგას თვალთ დაუბნელდა და გონდაკარგული ჩაიკეცა იატაკზე.

მცირე საკანი. ცხაურიდან შემოჭრილი მზის სხივი ვერაფერს აკლებს სიბნელეს. ხის „ნარი“. კუთხეში ორმოცდაათიოდე წლის მამაკაცი მოკუნტულა. მეორე, რომელიც საპირისპირო მხარეს ზის, შედარებით ახალგაზრდაა. ოცდაათიოდე წლისა იქნება. კუთხეში დაჭეჭყილი სათლი დგას, რომელიც ტუალეტის მაგივრობას უწევს საკანში მყოფთ. იატაკი ჭუჭყითაა დაფარული...

ეს იყო სურათი, რომელიც გოგამ გონებაზე მოსვლის შემდეგ იხილა...

— სად ვარ? — იკითხა გაჭირვებით.

— „კაპეზეა“, — უპასუხა ახალგაზრდამ.

— ვინ მომიყვანა აქ? — განაგრძო გოგამ.

— შენ რა, არაფერი გახსოვს? — ახალგაზრდა მისკენ დაიხარა და სახეში ჩააცქერდა.

— არა...

— ძაღლებმა მაგარი ნაცემი მოგიყვანეს. სამი ან ოთხი საათი უგონოდ იყავი, — ამ სიტყვებთან ერთად ახალგაზრდამ სველი ცხვირსახოცი მიაწოდა, — სახე მოიწმინდე.

გოგამ ცხვირსახოცი ფრთხილად მოისვა სახეზე. მაშინვე ტკივილი იგრძნო. სახე მოისინჯა. ტუჩი და წარბი გახეთქილი ჰქონდა, მაგრამ ეს ყველაფერი არ იყო. თავბრუსხვევა და გულისრევის შეგრძნება მოსვენებას არ აძლევდა. ეს კი ტვინის შერყევის უტყუარი ნიშანი იყო.

— გავიცნოთ ერთმანეთი. რომა მქვია, გვარად ლაკობა ვარ. გუდაუთაში ვცხოვრობ...

— გოგა.

— მესმის, ძმაო. მესამე კაცთან არ ღირს ბაზარი, — რომამ კუთხეში მოკუნტულ მამაკაცზე მიანიშნა, — ისედაც ვიცი, ვინცა ხარ.

— ვინ ვარ? — ჰკითხა გოგამ.

— ჩვენი ძმა და მეგობარი, — ბუნდოვანი პასუხი გასცა რომამ.

— სახელი?.. სახელი რა მქვია?

— აუუ... მართლა მაგრად „დაუპრესიხართ“!

— ჰო, მაგრად მცემეს, მაგრამ ეგ არაფერ შუაშია. სახელი და გვარი არ დამვიწყნია.

— აბა, რას მეკითხები? — გაუკვირდა რომას.

— შენ ვინ გგონივარ?

რომა მისკენ დაიხარა და ჩურჩულით უთხრა:

— რაული ხარ, ხიჟბა.

— არა... გეშლება. მილიციასაც ეგრე ჰგონია.

— აგრე იყოს, ძმაო. პირველად არ ვზივარ „კაპეზეში“. შენს ადგილას მეც ასე მოვიქცეოდი, — მშვიდად თქვა რომამ.

ამის თქმა იყო და, საკნის კარი ჭრიალით გაიღო. დერეფნიდან შემოჭრილი სინათლე პირდაპირ გოგას დაეცა. მისი თანამოსაუბრე მაშინვე უკან გაიქცა და კედელს გაეკრა. გოგა კი გაჭირვებით წამოჯდა და კარს გახედა. დერეფანში რამდენიმე მამაკაცი იდგა. ერთი მათგანი გოგასთვის კარგად ნაცნობი თამაზი იყო, დანარჩენები ნანახი არ ჰყავდა.

მამაკაცებიდან ერთ-ერთი საკანში შევიდა, გოგას თმაში ჩაავლო ხელი, თავი მაღლა ააწევინა და დამცინავად უთხრა:

— გამარჯობა, რაულ!

— ხელი გამიშვი, — უღონოდ გაიბრძოლა გოგამ.

მისდა გასაოცრად, მამაკაცმა მაშინვე შეუშვა ხელი და უკან გადგა.

— ვინ ხართ და რა გინდათ ჩემგან? — ჰკითხა გოგამ.

— ვერ მიცანი?! — ჰკითხა მამაკაცმა.

— ვერა.

— სამაგიეროდ, მე გიცანი, ნაბიჭვარო! — ბრაზით გამოცრა მამაკაცმა.

— რეზო ხართ? — გოგა თავად მიხვდა, ვინც უნდა ყოფილიყო უცნობი.

— ხედავ, რა სწრაფად დაგიბრუნდა მახსოვრობა. დროზე გაანძრიე ტვინი. ბევრი დრო არა მაქვს.

— შენც ხიჟბა გგონივარ? — განაგრძო გოგამ.

— რა, ის არ ხარ?! — ავად ჩაიცინა რეზომ.

— არა...

— მაშ, ვინ ხარ?

— თქვენ ჩემი პასპორტი გაქვთ.

— ესე იგი, თბილისელი კაცი ხარ. წესიერი, პატიოსანი ბიჭი და არასოდეს შეხვედრიხარ ჩემს ძმას?

— არ შევხვედრივარ და...

გოგას სიტყვაც არ ჰქონდა დამთავრებული, რომ რეზო ელვის სისწრაფით სწვდა თმაში, თავისკენ მიიზიდა, ტუჩები ლამის ყურზე მიაბჯინა და ღვარძლით ჩასჩურჩულა:

— დიდხანს ვერ იბლატავებ, ნაბიჭვარო. აქ „კაპეზეში“ ხელს არ გახლებ. მაგრამ ვნახოთ, რა ხასიათზე დადგები, როცა ჩემი ძმის საფლავზე მიგათრევ და ღორივით გამოგჭრი ყელს!..

გაგრძელება შემდეგ ნომერში

დასაწყისი იხ. გვ. 71

უშჩოვის თქმით, მან ამის შესახებ ბერიასგან იცოდა:

„აი, რას ჰყვებოდა ბერია. როცა ომი დაიწყო, სტალინთან პოლიტბიუროს წევრები შეიკრიბნენ. სტალინი სრულიად დათრგუნვილი იყო. მან დაახლოებით ასეთი განცხადება გააკეთა: „ომი დაიწყო. ის კატასტროფულად ვითარდება. ლენინმა პროლეტარული, საბჭოთა სახელმწიფო დაგვიტოვა, ჩვენ კი ჩავისვარეთ“. სწორედ ეს სიტყვები თქვაო, ირწმუნებოდა ბერია. შემდეგ დასძინა: „ხელმძღვანელობაზე უარს ვამბობ“. მერე გავიდა, მანქანაში ჩაჯდა და აგარაკისკენ გაემგზავრა... ამის შემდეგ რამდენიმე დღე გავიდა. გადავწყვიტეთ, სტალინთან წავსულიყავით და დაგვებრუნებინა, რათა მისი სახელი და შესაძლებლობები ქვეყნის თავდაცვის საქმისთვის გამოგვეყენებინა. როცა იქ ჩავედით, სტალინის სახის გამომეტყველებით მივხვდი, რომ მას ძალიან შეეშინდა. ალბათ იფიქრა, — ჩემს დასაპატიმრებლად ხომ არ ჩამოვიდნენ, რადგან საქმეს გავერიდე და გერმანელებისთვის წინააღმდეგობის გასაწევად საჭირო ზომებს არ ვიღებო?.. ჩვენ შევეცადეთ, დაგვერწმუნებინა, რომ ჩვენს ვეებერთელა ქვეყანას ყველა რესურსი ჰქონდა საიმისოდ, რომ თავდაცვა მოგვეხერხებინა; უნდა მოგვეხდინა მრეწველობის, ხალხის მასების მობილიზება — ერთი სიტყვით, ყველა ზომა მიგვეღო საიმისოდ, რათა ჰიტლერის წინააღმდეგ სათანადო ბრძოლა დაგვეწყო. სტალინი თითქოს ცოტათი გონს მოვიდა“...

მიაქციეთ ყურადღება იმას, თუ ვინ ცდილობს, სტალინი ესოდენ ცუდად წარმოგვიდგინოს: პოლიტბიუროს ორი წევრი — ბერია (თუ საერთოდ, ხრუშჩოვი სიმართლეს ამბობდა მისი მონათხრობის შესახებ) და ხრუშჩოვი — ადამიანები, რომლებიც ბელადის თანამებრძოლებად მიიჩნეოდნენ, ფარულად კი სძულდათ. აი, ასეთი „თანამებრძოლები“ სცხებდნენ ჩირქს სტალინს და იმასაც არ ითვალისწინებდნენ, რომ არსებობს უტყუარი დოკუმენტები, რომლებიც მოწმობს, რომ იმ დღეებში, როდესაც სტალინი თითქოსდა აგარაკზე „იმალებოდა“, კვლავაც პოსტზე იმყოფებოდა. ამას ადასტურებს მისი მისაღების სარეგისტრაციო ჟურნალი, რომელშიც საათებისა და წუთების სიზუსტითაა აღნუსხული, თუ ვის ხვდებოდა ის ომის პირველ დღეებში და რა თათბირები იმართებოდა მის კაბინეტში.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

მე - ფსიქოლოგი



ინგა ჯაყელი

დასაწყისი იხ. „გზა“ №40-51

გაოგნებული ვიყავი თეას მიერ გამჟღავნებული საიდუმლოთი. ის კი განაგრძობდა:

— მშობლები ხშირად მტოვებდნენ მასთან მარტო... 12 წლითაა ჩემზე უფროსი, ფაქტობრივად, ერთად ვიზრდებოდით და ხშირად ჰქონდა ჩემი დამცირების საშუალება... მე კი ვერ ვამხელდი — მემუქრებოდა, რომ მშობლებს დამიხოცავდა, მეც მომკლავდა... რომ წამოვიზარდე, დაახლოებით 12-13 წლიდან აღარ დავემორჩილე და თავის მოკვლით დავემუქრე: საიდუმლოს მიწაში წავიღებ, მაგრამ შენზე შურს ასე ვიძიებ-მეთქი!.. შემეშვა. თავის მოკვლა ვერ გავბედე... მერე ცოლი შეირთო და თითქოს მერიდებოდა, მაგრამ ოჯახი მალე დაენგრა. ერთხელაც დამიმარტოხელა და ისეთი რამ მითხრა, ისტერიკა დამემართა: ცოლის შერთვამ მხოლოდ იმაში დამარწმუნა, რომ არ შემიძლია სხვა ქალის სიყვარული; როგორც კი სრულწლოვანი გახდები, საზღვარგარეთ გავიპაროთ და იქ ვიცხოვროთ ერთადო!.. დამემუქრა — თუ სხვის სიყვარულს გავბედავდი, შეყვარებულს მანამდე მომიკლავდა, სანამ დაქორწინებას მოვასწრებდით... მის მუქარას ყურადღებას არ მივაქცევდი, სხვა რამის შიში რომ არ მქონოდა: რა უნდა მეთქვა ქმრისთვის ან მშობლებისთვის, როცა გაირკვეოდა, რომ ქალწული აღარ ვიყავი?!. ასეთი სირცხვილის ატანა არ შემიძლია და ამიტომ, არასოდეს გავთხოვდები ალბათ... შეიძლება, მონასტერსაც შევაფარო თავი...

— თეა, არასოდეს გყვარებია?

— კი, მომწონდა ვიღაც-ვიღაცები, მაგრამ სერიოზულ სიყვარულზე ფიქრის უფლებასაც ვერ ვაძლევდი თავს...

— არ გიფიქრია, რომ ვისაც სიცოცხლესავით ეყვარები, ის გაგიგებს და საიდუმლოსაც შეგინახავს...

— თაზოს სად გავექცევი?! ის არ მომცემს მშვიდად ცხოვრების საშუალებას... მეორედაც შეირთო ცოლი, მაგრამ ის გოგოც დატანჯა უაზრო ეჭვიანობით და ერთი წელიც არ უცხოვრია მასთან... მამაჩემს თაზო ძალიან უყვარს, ასეთ რამეს როგორ წარმოიდგენს და ასე მგონია, რომც გავბედო სიმართლის თქმა, იმას დაუჯერებს და არა — მე... არც ის მინდა, ერთმანეთი დახოცონ... ჩემი სიკვდილია ალბათ საუკეთესო გამოსავალი...

— არ ვიცი, ეს შვებას მოგიტანს თუ არა, მაგრამ უფრო უარესებიც ხდება და ახლო ნათესავების მსხვერპლი მარტო შენ არ ხარ. მამებსაც გაუუბედურებიათ საკუთარი შვილები...

— მართლა?! — ცრემლი შეაშრა თეას.

— ჰო, მაგრამ ცხოვრება მაინც გაუგრძელებიათ. შენც შეძლებ, ოღონდ — უნდა მენდო...

თეა მენდო.

2 წლის განმავლობაში კვირაში ორჯერ ვხვდებოდი და დავარწმუნე, რომ ცხოვრების გაგრძელების, სიხარულის და სიყვარულის უფლება ჰქონდა. მერე ერთი კარგი ბიჭი შეუყვარდა და ჩვენ მას ერთად ვუთხარით, რომ წლების წინ თეა გაიტაცეს და მასზე ძალა იხმარეს; ქალწულობის აღდგენით ძვირფასი ადამიანის მოტყუება არ ისურვა და ამით, სიყვარულსა და ნდობას ჩრდილი არ მიაყენა... თუ შეძლებდა მის გაგებას, ხომ კარგი, არადა...

ბუნებრივია, ის, რომ საკუთარი ბიძის მსხვერპლი იყო, არ გვითქვამს...

რეზომ თეას გაგებაც შეძლო და პატიებაც. 2 თვის წინ ჰქონდათ ქორწილი და ბედნიერი წყვილი, ახლობლებთან ერთად, მეც გავაცილე საქორწინო მოგზაურობაში. ნეტავ, ახლა რაღა უნდა მომხდარიყო?!.

თემურ რუხაძის ტელეფონის ნომერი ავკრიბე.

— თეამ თავის მოკვლა სცადა, ვენები გადაიჭრა... ექიმებმა ძლივს გადაარჩინეს. ახლაც რეანიმაციაშია და მხოლოდ თქვენთან უნდა ლაპარაკი. სად ბრძანდებით, რომ მანქანით მოგაკითხოთ? — გაბზარული ხმით მკითხა კაცმა.

— სამსახურში ვარ! — ვუპასუხე.

...მანქანის საჭესთან თაზო რუხაძე იჯდა. როცა კარი მომიხურა და თავად საჭეს მიუჯდა, ველარ მოვითმინე და მივახალე:

— მე არ ვიცი, ამჯერად რამ მიიყვანა თქვენი ძმისშვილი თვითმკვლელობამდე, მაგრამ თქვენს ადგილზე ასე მშვიდად ვერ ვიქნებოდი...

გაფითრებულმა შემომხედა:

— ყველაფერი იცით?

— ვიცი და, თეასთვის რომ არ მიმეცა პირობა, კარგა ხნის წინ გამოგკეტავდი ციხეში! — გადავედი „შენობით“ მიმართვაზე, რადგან ეს კაცი არაფრით იმსახურებდა პატივისცემას. — თუ, რა თქმა უნდა, მანამდე ძმა არ გაგიყენებდა ჯოჯოხეთის გზას... 5 წლის ბავშვზე სექსუალური ძალადობა რამ გაფიქრებინა?!

— არა, რას ამბობთ! — არც 5 და არც 10 წლის ასაკში მასთან სექსი არ მქონია. ისე — „ვეთამაშებოდი“...

— რას ჰქვია — „ეთამაშებოდი“?! — კაცის მოულოდნელი აღსარებით დავიბენი.

— ვაშიშვლებდი... მეც ვშიშვლდებოდი... ვეფერებოდი, მაგრამ... მის ქალწულობას არ შევხებივარ, თუმცა არ დაგიმალავთ, რომ ძალიან მიჭირდა თავის შეკავება... შიში მაჩერებდა...

— ეგ უარესი გარყვნილობაა, მე თუ მკითხავ... იქნებ, ისიც უარყო, რომ საზღვარგარეთ გაქცევას აძალებდი?..

— არ უარვყოფ... მე ის მართლა სიგიჟემდე მიყვარს, მაგრამ — არა როგორც ძმისშვილი... ორივე ცოლს მისი მიზეზით დავშორდი...

— არაკაცი ხარ, ავადმყოფი! — თავი ვერ შევიკავე, რომ ის დამერქმია მისთვის, რასაც იმსახურებდა.

არაფერი მიპასუხა.

საავადმყოფოს ეზოში შესული, ზემოთ არ ამომყვა:

— უთხარით, რომ სასწრაფო საქმეზე გავხდი წასასვლელი. არ შემიძლია ახლა არავის დანახვა, ცუდად ვარ!..

პასუხი აღარ გამიცია...

რეანიმაციის შესასვლელთან უამრავი ადამიანი ირეოდა, მათ შორის, თეას ქმარი — რეზოც. დამინახა თუ არა, მთხოვა, ჯერ მისთვის მომესმინა. გვერდზე გავდექით.

— ორი კვირა არ მივკარებივარ... — მითხრა რეზომ. — გადატანილი სტრესის გამო ძალიან ცუდად იყო. წელს ზემოთაც რომ დამინახა შიშველი, ლამის ისტერიკაში ჩავარდა... ხომ იცით, ძალიან მიყვარს და ტკივილს ვერ მივაყენებდი... როგორც შემეძლო, ვუადვილებდი და ვაჩვევდი, რომ სექსუალური ურთიერთობა საყვარელ ადამიანთან ტკივილს კი არა, სიხარულს მიანიჭებდა... როგორღაც შევაჩვიე იმ აზრს, რომ „ეს“ ადრე თუ გვიან, უნდა მომხდარიყო და მოხდა კიდევაც. გაოგნებული დავრჩი — თეა ქალწული ყოფილა... შეიძლება, არ უნდა მეკითხა, მაგრამ ვერ მოვითმინე: — ვინ იყო ის არაკაცი, რომ ვერაფერი მოგიხერხა და ქალწული დაგტოვა, შენ კი ამის გამო ამდენი ხანი იტანჯებოდი-მეთქი?.. გაოგნებული მიცქერდა. ალბათ ჯობდა, ეტირა. ისევ ისტერიკა დაემართა. საკუთარ თავში ჩაიკეტა. აღარ მელაპარაკებოდა. საჭმელს არ ეკარებოდა და შემეშინდა... საქორწინო მოგზაურობა შევწყვიტეთ და შინ დროზე ადრე დავბრუნდით... სხვათა შორის, ვცდილობდი თქვენთან დარეკვას და ტელეფონი სულ გამორთული გქონდათ.

— ჰო, რამდენიმე დღე სხვა ნომერი მქონდა. ოფისში ვერ მომაკითხეთ?

— რა ვიცი, ვეღარ მოვიფიქრე. თან, მაღალი სიცხეები ჰქონდა. რამდენიმე დღე უგონოდ მყოფი ბოდავდა, სხვა ექიმები ეხვივნენ თავს...

— ბოდვის დროს რაიმე აზრიანს ამბობდა?

— სიკვდილს ნატრობდა... სხვა არაფერი უთქვამს...

შვებით ამოვისუნთქე. არ მინდოდა, რეზოს გაეგო, თეას უბედურების მიზეზი ბიძამისი რომ იყო. ეჭვიც არ მეპარება, ამის გადახარშვას ვერ შეძლებდა და მიუხედავად ყველაფრისა, თეას მიმართ შეიძლებოდა, გული გასცივებოდა...

— მე მგონი, შევძლებ დახმარებას... ის, რომ თეა ქალწული არ გვეგონა და თავადაც ამან ჩააგდო შოკში, ჩვენ გარდა არავინ უნდა იცოდეს — ამას, მე მგონი, ხვდები...

— რა თქმა უნდა, მაგრამ ძალიან მინდა ვიცოდე, ვინ იყო ის არაკაცი, ასეთ დღეში რომ ჩააგდო საწყალი გოგო...

— ის კაცი მკვდარია! — არც კი ვიცი, რატომ ვთქვი ასე... — მკვდარია და თავს აღარასოდეს გაგახსენებთ.

— კიდევ კარგი, თორემ დაფიცებული მქონდა, რომ მოვკლავდი. თავს კი დავიღუპავდი, მაგრამ არ ვაცოცხლებდი...

— კარგი, ყველაფერი დამთავრდა და ახლა შენსავით, არავინ სჭირდება თეას. ისე, კარგი იქნება, თუ საერთოდ წახვალთ საქართველოდან და სხვაგან იცხოვრებთ. თემურს არ გაუჭირდება თქვენი დახმარება...

— მისი დახმარება არც დაგვჭირდება. დედაჩემი უკვე დიდი ხანია, იტალიაში ცხოვრობს, მოქალაქეობაც აქვს მიღებული. ჩემი ძმა კი ესპანეთის მოქალაქეა, იქაური ცოლი ჰყავს. ორივე სიხარულით მიგვიღებს...

— ძალიანაც კარგი. გაარიდე თეა აქაურ მოგონებებს და პირობას გაძლევ, ყველაფერი კარგად იქნება...

...ჩემს დანახვაზე თეა ატირდა. ექიმი გაუწყრა:

— არ შეიძლება ნერვიულობა. თუ არ დამშვიდდები, არავის მივცემ შენთან საუბრის უფლებას.

— მარტო დაგვტოვეთ, ექიმო, და პირობას გაძლევთ, რომ თეა აღარ იტირებს!.. — ვთქვი დარწმუნებით და ექიმმა თხოვნა აღარ გამამეორებინა.

— ქალწული ვყოფილვარ!.. — შემომტირა გოგომ.

არ გავაწყვეტინე. არ მინდოდა, გაეგო, რომ უკვე ვიცოდი...

— რისთვის ვიტანჯებოდი მთელი ბავშვობა, რისთვის მკლავდა შიში და მხილების მოლოდინი?! რეზოც გაოგნებული დარჩა. თავიდან ხუმრობა სცადა: რას მაშაყირებდით შენ და შენი ფსიქოლოგიო?!.. რა მეხუმრებოდა?! ცოტა დამაკლდა და მეთოთხმეტე სართულის ფანჯრიდან გადავხტებოდი: რატომ უნდა მქონოდა ასეთი გამორჩეული და კოშმარული ბავშვობა, რატომ, რა დავაშავე ამის ფასი?!. მძულს თაზო. თავის მოკვლა იმიტომ ვცადე, რომ ის არ მომეკლა, — შეუძლებელია, ორივემ ვიცოცხლოთ და ვიაროთ ერთ ქალაქში...

— თაზო ვეღარასოდეს მოგიახლოვდება! — ვთქვი მტკიცედ.

— რა იცი? — ცრემლი შეაშრა თეას.

— მან მომიყვანა საავადმყოფომდე და ვერ შევძელი დუმილი, მხილებით დავემუქრე, თუ სადმე არ გადაიკარგება...

— მერე?!

— ეზოდანვე „დაახვია“, ვეღარ გაბედა ზემოთ ამოვსვლა და იმედია, სანამ მოძებნიან, მანამდე გაქრება. ჯანდაბამდეც გზა ჰქონია!..

— არ გაქრება და მოვკლავ! — სასტიკი გაუხდა მზერა თეას. — უკვე ვიცი, რომ ყველაფრის პატიება არ შეიძლება...

დიდხანს ვილაპარაკეთ. თეა მხოლოდ მას შემდეგ დავტოვე, რაც დავრწმუნდი, რომ თვითმკვლელობას აზრად აღარ გაივლებდა...

ისეთ დაღლილობას ვგრძნობდი, მეგონა, გაჩერებამდე მისვლაც კი გამიჭირდებოდა. ტაქსი საავადმყოფოს ეზოშივე გავაჩერე. შინ მისულმა შხაპი მივიღე და ის იყო, დაძინება დავაპირე, რომ მობილურმა დარეკა. უცნობი ნომერი იყო და თავიდან არ მინდოდა, მეპასუხა, მაგრამ დღეს იმდენი რამ მოხდა, თავს ამის უფლება ვერ მივეცი:

— ბატონო! — ჩავძახე ტელეფონს.

— რეზო ვარ, თეას ქმარი...

— მოხდა რამე?! თეა ხომ კარგადაა?! — უცებ გამოვფხიზლდი შეშფოთებისგან.

— თეა კი კარგადაა, მაგრამ ბიძამისი — თაზო დაიღუპა. მანქანით ხიდის ჯებირი გაანგრია და მტკვარში გადავარდა... მაშველებმა მანქანის პოვნა და ამოღება რომ შეძლეს, კაცი უკვე მკვდარი იყო... ყველაზე უცნაური ისაა, რომ თვითმხილველები ამბობენ, — თითქოს ძალით გააკეთაო... ბოლოს თქვენ ნახეთ და რამე ხომ არ შეატყვეთ ან — ვინ დაურეკა და რა საქმეზე წავიდა, თქვენთვის არ უთქვამს?

...ისე კი თაზოსთვის სიკვდილი ყველაზე კარგი გამოსავალი იყო, მაგრამ ამას რეზოს ვერ ვეტყოდი:

— სამწუხაროა, მაგრამ ვერაფრით დაგეხმარები... მე მაინც მგონია, რომ ავარია იქნებოდა. სხვათა შორის, ახსენა, რომ დილიდან ცოტა გული აწუხებდა... იქნებ, შეტევა მოუვიდა საჭესთან მჭდომს? — უცებ გამოვაცხვე სახელდახელო ტყუილი...

აღარ მეძინებოდა. ვინმესთვის რომ არ მომეყოლა დღევანდელი დღის ამბები, დაგროვილი ბოღმა „გამხეთქავდა“... გავედი და ფრთხილად დავაკაკუნე მედიკოს კარზე. მაშინვე გამიღო:

— ხომ არ გეძინა?

— არა-ა. ასე ადვილად რომ მეძინებოდეს... შემოდი.

...თითქმის 2 საათი ვექაქანებოდი და ისიც ვიშვიშით მისმენდა:

— ვააჰ, კაცო, ქვეყანა მართლა ჯოჯოხეთად ქცეულა! მე კი ტყემალზე ვზივარ და ბლის კურკებს ვისვრი...

მეორე დღეს, სანამ სამსახურში მივიდოდი, თეა უნდა მენახა.

რეანიმაციიდან ჩვეულებრივ პალატაში გადაეყვანათ და მასთან მხოლოდ რეზო იყო. რომ შევედი, რაღაც მანიშნა და მივხვდი — თაზოს სიკვდილს უმალავდნენ...

— მარტო დაგვტოვე ქალები, სალაპარაკო გვაქვს, — ვთხოვე რეზოს და თვალი ჩავუკარი იმის ნიშნად, რომ სათხოვარს მივუხვდი. თუმცა, კარი გაიხურა თუ არა, მაშინვე თაზოს ამბავი გავაგებინე:

— გიმალავენ. ჰგონიათ, რომ ძალიან დაგწყდება გული და შენც აჰყევი თამაშში... მთავარია, რომ ერთი ვაჟკაცური ნაბიჯი მაინც გადადგა ნაბიჭვარმა ბიძაშენმა და თავს ის განაჩენი გამოუტანა, რომელიც დაიმსახურა...

— თაზომ თავი მოიკლა?! — პანიკა ჩაუდგა თეას თვალებში, მაგრამ იქვე ისეთი რამეც დავინახე, რამაც სიმშვიდის საფუძველი მომცა...

ხანგრძლივი პაუზა ჩამოვარდა. მერე ისევ თეამ დარღვია დუმილი:

— სიცარიელეს ვგრძნობ: არც ვდარდობ, ბუნებრივია, რომ მოკვდა, მაგრამ... სასიხარულოც არაფერია. ეგაა, რადგან აწი ჯოჯოხეთშიღა თუ შევხვდები იმ ნაბიჭვარს, სიკვდილი აღარ მინდა და ძალიან დიდხანს უნდა ვიცოცხლო...

— ეგ უკვე ბევრს ნიშნავს, მერწმუნე! — გადავეხვიე გოგოს. — იმედია, აღარ დაგჭირდები, მაგრამ თუ ჩემთან ლაპარაკის სურვილი გაგიჩნდება, ყველაფერს გადავდებ შენი გულისთვის...

— შენ ჩემი საუკეთესო და ერთადერთი მეგობარი ხარ! — როგორც იქნა, გაიღიმა თეამ.

— იმედია, ერთადერთი — მხოლოდ ჯერჯერობით... დასამალი არაფერი გჭირს და აუცილებლად უნდა დაუახლოვდე სხვებსაც, ადამიანების რწმენა უნდა დაიბრუნო...

მიუხედავად იმისა, რომ თაზოს თვითმკვლელობისკენ ფაქტობრივად, მე ვუბიძგე, არაფერს ვნანობდი. არც ჯოჯოხეთის მეშინოდა რატომღაც... ასეთი არაკაცები სიკვდილის ღირსი არიან...

რეზის შორიდანვე გავუღიმე:

— ბევრად უკეთაა და ახლა შენზეა დამოკიდებული, როგორ დააღწევს თავს შექმნილ სიტუაციას... თაზოს ამბავსაც ნუ დაუმალავ და რაც მალე ეტყვი, მით უკეთესი: ბარემ ერთად მოინელოს ყველაფერი...

— ახლაა ვითომ მაგის დრო?.. — დაეჭვდა ბიჭი.

— სწორედ ახლაა დრო: ეჭვით არ უნდა იცხოვროს, თორემ არავინ იცის, რა სისულელე მოუვა თავში.

— ჰო, მითხრა, — რაღაც უცნაურად იქცევიან, მგონი, რაღაცას მიმალავენო... — პაუზის შემდეგ მითხრა:

— მადლობელი ვარ თქვენი! — და ხელზე მაკოცა.

— ძალიან ვგულშემატკივრობ თქვენს ოჯახს და მინდა, ვიმეგობროთ. შეგიძლია, დამირეკო, როცა საჭიროდ ჩათვლი...

გაგრძელება შემდეგ ნომერში



სევდის სუნთქვა

სვეტა კვარაცხელია

ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით

gza.fantazia@gmail.com

დასაწყისი იხ. „გზა“, № 51

მეოთხე სართულზე ავედით. ტიმმა კარი გააღო და ჩამრთველი გადაატრიალა. გაოცებისგან ოხვრა აღმომხდა, ისეთი ღამაზი და მდიდრული ავეჯი იდგა ოთახში. საიდან აქვს ამ კაცს ამდენი ფული? ნუთუ ასე მდიდარია? ნეტავ, მილიონერია?

— გშია, ქეთი? — ძალიან შინაურულად მომმართა ტიმმა.

— არ ვიცი... — დაბნეულმა ვუპასუხე.

— იქნებ კონკრეტული პასუხი გამცე?.. — მოუთმენლობა დაეტყო მამაკაცს ხმაში.

ახლაღა შევნიშნე მისი ტონი და კვლავ კანკალმა ამიტანა. რა მინდოდა აქ?! რამ გააღიზიანა ასე?.. მოსალოდნელმა ღამემ თუ?.. იქნებ არ ვიქცევი მისთვის შესაფერისად?

— ჰო, ცოტათი მომშივდა, მგონი... სიამოვნებით შევჭამდი რამეს, — ჩქარ-ჩქარა ვუპასუხე, რომ არ გაბრაზდესმეთქი.

— კარგი. შენ მოწესრიგდი, მე კი წავალ და ვახშმის თადარიგს დავიჭერ, — ოდნავ დამშვიდებული ხმით თქვა და გავიდა.

ყველაზე ახლოს მდგარ სავარძელში ჩავჯექი და ჩავფიქრდი. ისიც ჩემსავით, დაძაბულია. ჩემი მდგომარეობა გასაგებია, მაგრამ თავად რა სჭირს? ჩემთან ერთი ღამის გათევა მისთვის მხოლოდ მორიგი თავგადასავალი იქნება და მეტი არაფერი, რამ გააღიზიანა? იქნებ ველარ ითმენს და იმიტომ?.. იქნებ იფიქრა, რა დროს ვახშამი იყოო?! საინტერესოა, საიდან უნდა მოიტანოს საჭმელი? ახლა 9 საათი მაინც იქნება. ნიუ-იორკში ამ დროს არ ვახშმობენ, სამზარეულო წესით, დაკეტილი უნდა იყოს.

თავი რომ ავწიე, ალვარესი კარის ზღურბლზე იდგა და დაჟინებით მომშტერებოდა.

— ვახშამს 10 წუთში მოიტანენ, — ოდნავ დაღლილი ხმით თქვა, — ჭამის წინ არ გინდა, ცოტა წითელი ღვინო დალიო?

— სიამოვნებით, — ახლა დალევა მართლაც არ მაწყენდა, ოდნავ მაინც მომიხსნიდა დაძაბულობას და უხერხულ სიტუაციასაც განმუხტავდა.

— ხომ არ მოიწყინე? — ტიმი მომიახლოვდა და ჩემ წინ ჩაიმუხლა.

— არ ვიცი... რამდენი წლის ხართ? — ვკითხე და თვალი თვალში გავუყარე.

— ოცდაექვსის... შენ?

— რომელ თვეში ხართ დაბადებული? — გავაგრძელე დაკითხვა.

— თებერვალში, 27 თებერვალს.

— ესე იგი, თევზები ხართ?

— ასე გამოდის.

— გასაგებია. აქ დაიბადეთ, ნიუ-იორკში?

— ჰო, რა თქმა უნდა. ხომ გითხარი წელან.

— მაშინ ეს უცნაური აქცენტი საიდან გაქვთ? — არ მოვასვენე.

— ღმერთო ჩემო, ქეთი! შენ დაზვერვაში უნდა გემუშავა! — სიცილით წამოიძახა. — არ მეგონა, თუ ასეთი შესამჩნევი იყო ჩემი აქცენტი.

— თითქმის შეუმჩნეველია, მაგრამ მე მუსიკალური სმენა მაქვს და ასეთ რამეებს ადვილად ვხვდები. თანაც, მეც ხომ უცხოელი ვარ... მიპასუხეთ კიითვაზე: თუ აქ დაბადებული ხართ, რატომ გაქვთ აქცენტი?

— რა იყო, აგენტად ხომ არ მიმიჩნევ? — ტიმმა გაღიმება სცადა. — შემთხვევით, სპეცსამსახურებს ხომ არ უპირებ ჩემს გადაცემას?

— მაგაზე ვიფიქრებ, — ირონიულად შევნიშნე და თვალი ჩავუკარი, — ყველაფერი თქვენს პასუხზეა დამოკიდებული. მაშ ასე, საიდან უცხოური აქცენტი? — არა და არ ვეშვებოდი.

— ეს ალბათ, იმის ბრალია, რომ ზედმეტად ხშირად მიწევს სხვადასხვა ენაზე ლაპარაკი, — უგუნებოდ ამიხსნა ალვარესმა და წამოდგა.

— მაგალითად, რომელზე?

— მოდი, არ გვინდა, რა, გთხოვ. რაში გჭირდება ამის ცოდნა?

ამ დროს კარზე დააკაკუნეს. ტიმმა თეთრპიჯაკიანი მამაკაცი ოთახში შემოაცილა. მან თავაზიანად დამიკრა თავი და ვერცხლისფერი ლანგრიდან კერძების გადმოლაგებას შეუდგა.

როცა ოფიციანტმა სუფრის გაშლა დაამთავრა, კვლავ დამიკრა თავი და გავიდა.

— მოდი, ქეთი, მიირთვი. ხომ გშიოდა, — ხელი დამიქნია ალვარესმა და მაგიდისკენ მიმითითა. — იმედია, არ მიწყენ, ასეთი ღარიბული ვახშამი რომ გამომივიდა.

— რა სისულელეა, ამდენს ნამდვილად არ ველოდი, — გავიღიმე და მაგიდას მივუჯექი.

დაძაბულობა არ მშორდებოდა. ვეცადე, მთელი აქცენტი საჭმელზე გადამეტანა და დროებით მაინც არ მეფიქრა ამ უცხო ადამიანზე. შემწვარი ქათმის ერთი ნაჭერი გადმოვიღე თეფშზე და ტომატის სოუსიც მოვასხი. უგემრიელესი კერძი იყო. რამდენიმე ლუკმა რომ გადავყლაპე, ტიმს შევხედე. მას პირი არაფრისთვის დაეკარებინა. იჯდა ჩემ წინ, ნიკაპი ხელისგულზე ჩამოეყრდნო და მომჩერებოდა. მისი მზერისგან კინაღამ სასულეში გადამცდა ლუკმა.

— რატომ არ ჭამთ? ძალიან გემრიელია.

— ეჭვიც არ მეპარება, — უცნაური ხმით ჩაილაპარაკა, — შეგერგოს, — თქვა, მაგრამ თვითონ მაინც არ გადაიღო საჭმელი.

მეც დავკარგე ჭამის მადა, ბოლო ლუკმა გადავყლაპე და ღვინო მოვწრუპე.

— კიდევ ხომ არ ინებებ რამეს? — მკითხა ტიმმა, როცა ხელები გავიწმინდე.

— არა, გმადლობთ. თქვენ რატომ არაფერი მიირთვით?

— მე არა ვარ მშიერი... ყოველ შემთხვევაში, ამწუთას ნამდვილად, არ მშია. აი, დალევით კი დავლევ... შენთან ერთად, — თქვა და ბოკალი ასწია, — გაგვიმარჯოს, ქეთი!

მეც მივუჭახუნე, გავუღიმე და კვლავ მოვსვი.

— ეგ ბოლომდე უნდა დალიო, — გაფრთხილების ნიშნად საჩვენებელი თითი გაფშიკა.

— ეგ სადაური წესია?

— ქართული... განა ასე არ არის?

გაოცებისგან შუბლი შევიჭმუხნე. მას ჩემი რეაქცია არ გამოჰპარვია.

— დალიე, დალიე, მე ბევრი რამ ვიცი თქვენი ქვეყნის შესახებ. რატომ გაგიკვირდა?

— საიდან? — ცნობისმოყვარეობამ შემიპყრო.

— როგორ გგონია — ქართველები მხოლოდ საქართველოში ცხოვრობენ? აქაურობა სავსეა ემიგრანტებით. მეც ვიცნობ ზოგიერთ მათგანს, რამდენიმე მეგობარიც მყავს საქართველოდან.

— მართლა? — ცოტა არ იყოს, დავეჭვდი.

— მართლა, მართლა. რა არის აქ დაუჯერებელი?

— არა, არაფერი... — თვალები დავხარე და ბოკალს ჩავაშტერდი... კარგა ხანს ვატრიალე ხელში, მერე თავი გავაქნიე, — რაც იქნება, იქნება-მეთქი, — და ღვინო ბოლომდე გამოვცალე.

— აი, მესმის! — გაიცინა ალვარესმა. — ასე ვაუკაცურად ჩვენებური ქალებიც კი ვერ სვამენ.

— ანუ ესპანელი ქალები?

— ჰო, ესპანელი. იცი, მთელი საღამოა, გიყურებ და ვერ მივხვდი, რამ მომხიბლა შენში. არა, ლამაზი რომ ხარ, უდავოა, მაგრამ აქ იმდენი ლამაზი ქალი დადის, ეს არ გამაკვირვებდა. უბრალოდ, არ ჰგავხარ იმ ქალებს, რომლებთანაც ოდესმე მქონია ურთიერთობა, — გამოცდილები, ამბიციურები, საკუთარ თავში დარწმუნებულნი, რომლებმაც იციან, რასაც აკეთებენ. შენს თვალებში კი ისეთი გასაკვირი გულწრფელობა და ნდობა იკითხება, რომ ძალაუნებურად ინტერესი მიჩნდება, მოგეფერო... ამიტომაც ახლა უნდა გაკოცო, სხვანაირად არ შემიძლია, — თქვა ტიმმა, წამოდგა და ჩემ ზურგს უკან დადგა.

მხრები ავიწურე, როცა მკლავებზე მისი თითების შეხება ვიგრძენი. ერთიანად ავიშალე. მან ფრთხილად წამომაყენა და თავისკენ შემაბრუნა. ერთხანს ასე, გაუნძრევლად შევცქეროდით ერთმანეთს თვალებში. მერე ხელებით სახე დამიჭირა და ტუჩები ტუჩებზე მომადო...

ცახცახმა ამიტანა. ვერ ვიტყვი, რომ მსიამოვნებდა მისი შეხება. უფრო შიშმა ამიტანა, ვიდრე სურვილმა. რა ვიცი, ვინ არის და რას მიპირებს, რატომ ვენდე ასე ბრმად?!

თავდაპირველად მისი ტუჩები უმოძრაოდ რჩებოდა, მერე კი ოდნავ გაეპო ბაგეები და...

ისე უხეშად დამიწყო მოფერება, ცივმა ოფლმა დამასხა. ვცდილობდი, მისი კოცნა ამერიდებინა, მაგრამ ეს არ იყო ადვილი. ამასთან, მთელი სისწრაფით ცდილობდა, გაეხადა ჩემთვის ტანსაცმელი და ისე დაეძგერა ჩემს ჟაკეტს, ლამის შემომახია. ჯერ იყო და, ხელები გამეხლართა ჟაკეტში, მერე წონასწორობა დავკარგე და კინაღამ იატაკზე მოვადინე ზღართანი. მან მძლავრად მომხვია მკლავები და მაგიდაზე შემომსვა.

ახლა კი დამცხაااა! ეს რა დღეში ჩავიგდე თავი, ნამდვილი მანიაკია!..

როგორც იქნა, გონს მოვეგე და წინააღმდეგობის გაწევა ვცადე. ამასობაში ერთი ბოკალი მაგიდიდან გადავარდა და ნამსხვრევებად იქცა. ერთიანად დავიძაბე, ლამის იყო, მეკივლა, მაგრამ ვინ მიშველიდა უცხო ქვეყანაში, უცხო სასტუმროში?! თან სირცხვილი მწვავდა, თან სინანული, ასე ადვილად რომ დავთანხმდი სრულიად უცხო მამაკაცს ღამის გათევაზე.

უეცრად ტიმი დამშვიდდა და ხელი შემიშვა. ხმამაღლა ვსუნთქავდი შეშინებული. ჟაკეტი კვლავ ჩავიცვი და უკუსვლით კედელს მივეტმასნე. როგორ გავაღწიო აქედან? ამაზე ფიქრი გონებას მიბურღავდა. ისე შევშინდი, კანკალს ვერ ვიკავებდი. ფართოდ გახელილი თვალებით მივჩერებოდი უცნაურ მამაკაცს, შიშჩამდგარი თვალებით. რა იდიოტი ვარ, ნამდვილი შტერი! ეს რა ჩავიდინე! — ვკიცხავდი ჩემს თავს და ერთი სული მქონდა, გავქცეულიყავი.

ტიმმა თმაზე ხელი გადაისვა და იმ სკამზე ჩამოჯდა, რომლიდანაც სულ რამდენიმე წუთის წინ ამაყენა. მას ფეხები უკანკალებდა.

— მაპატიე, ქეთი, — დახშული ხმით თქვა, — უბრალოდ, არ ვიცი, რა დამემართა. არ მინდოდა შენი შეშინება. არ მინდა, ქალის უნახავი გეგონო. ძალიან გთხოვ, არ წახვიდე, მაპატიე...

მე კი ისე ვიყავი კედელს მიკრული, ადგილიდან დაძვრას ვერ ვახერხებდი. ახლა ერთი ნაბიჯიც რომ გადამედგა, წავიქცეოდი.

— ძალიან შეგაშინე? — ნელ-ნელა დაუწყნარდა სახე და თბილად გამიღიმა. — ასეთი რამ ჯერ არ მომსვლია, მართლა არ ვიცი, რა დამემართა.

— არა, არ შემშინებია, — რაც შეიძლებოდა, მშვიდად ვუპასუხე, — იმის უფრო შემეშინდა, ბოკალი რომ გატყდა.

მამაკაცმა მზერა იატაკისკენ გადაიტანა.

— მართლა?.. არც კი შემიმჩნევია, — შეცბუნებულმა ჩაილაპარაკა და თავი დახარა.

საუბარი ვერა და ვერ აეწყო და ამაში დამნაშავე მხოლოდ თვითონ იყო.

— კარგი, იმედია, მაპატიებ. არაფერს დაგიშავებ, პირობას გაძლევ. შეგიძლია დაწვე, მე ჰოლში გავალ და იქ დავიძინებ, — ხელები გაშალა ტიმმა, დამნაშავესავით შემომღიმა და გარეთ გავიდა.

კარგა ხანს ვიდექი გახევებული. არ ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავი. ახლა რომ ვერსად წავიდოდი, ამაში ეჭვიც არ მეპარებოდა. არც გამიშვებდა. უფრო მეტიც, ჩემს ჭირვეულობას შეიძლებოდა, უფრო გაეღიზიანებინა იგი. ამიტომ გადავწყვიტე, საწოლზე ჩაცმული მივწოლილიყავი და მშვიდად დავლოდებოდი, როგორ ჩაივლიდა ღამე. ბოლოს და ბოლოს, ხომ არ მომკლავს?! თუ სურვილი ისევ აღეძვრება, ჯანდაბას, რაც იქნება, იქნება. როგორმე გავუძლებ ერთ შემოტევასაც. წინააღმდეგობის გაწევა სრული უაზრობაა. თან ბოდიშიც მომიხადა. იქნებ მართლაც არ უნდოდა, ასე გამოსულიყო?

როგორც იქნა, ადგილიდან დავიძარი და საწოლამდე რის ვაი-ვაგლახით მივაღწიე. შუქი ანთებული დავტოვე, ფეხზე გავიხადე და თავი ბალიშზე მივდე, თან მთელი გულისყური ჰოლისკენ მქონდა, ყოველ წამს ველოდი, როდის შემოვიდოდა.

არ შემოსულა...

არ ვიცი, რამდენ ხანს ვფხიზლობდი. როდის-როდის, წამთვლიმა და... ისე გათენდა, არაფერი გამიგია.

თვალი რომ გავახილე, იმწუთას ვერც მოვიაზრე, სად

ვიმყოფებოდი. მერე და მერე, მსწრაფლ აღვიდგინე გონებაში, რაც წინაღამეს მოხდა. ჰო, სასტუმროში ვარ, ვინმე ტიმ ალვარესთან ერთად. ამერიკაში დაბადებული ესპანელი მამაკაცი, უცნაური აქცენტით...

გარედან შუქი თითქმის არ შემოდიოდა. მუქი ფერის მძიმე ფარდები ფანჯარას ბოლომდე ფარავდა. „გათენდა თუ ისევ ღამეა?“ — გავიფიქრე ჩემთვის და სანამ ამ კითხვაზე პასუხს ვიპოვიდი, გავიგონე, როგორ გაიღო კარი. ერთიანად შემბოჭა დაძაბულობამ. ღმერთო, ოღონდ სიზმარი იყოს ეს ყველაფერი!

კარისკენ გავიხედე. ზღურბლთან ტიმი იდგა.

— დილა მშვიდობისა, — მშვიდად მომესალმა.

მის ხმაში დაღლილობა და შფოთვა იგრძნობოდა. ალბათ თეთრად გაათენა ღამე. მე კი მეძინა... ჰმ... რამ დამაძინა?! ცხოვრებაში არასდროს გამღვიძებია უცხო და თუნდაც ნახევრად უცხო მამაკაცის გვერდით. როგორ იქცევიან ასეთ დროს ქალები?.. წარმოდგენა არ მქონდა, ამიტომ მისი მისალმება უპასუხოდ დავტოვე.

— რა იყო, არ მელაპარაკები? — ტიმი იქვე მდგარ სავარძელში ჩაესვენა.

— კი, რატომაც არა?! — ახლა კი ვიკადრე პასუხის გაცემა.

— ალბათ სისულელეა იმის კითხვა, კარგად გეძინა თუ არა, — იმავე დაღლილი ტონით გააგრძელა ალვარესმა.

— თქვენ წარმოიდგინეთ, მკვდარივით მეძინა, — არ დავმალე, — საწოლი ისეთი რბილია, რომ...

— მართლა? ჩემზე მეტად გაგმართლებია... მე კი ვერაფრით შევძელი დაძინება, — რატომღაც, ხმა გაუცივდა. — ჰო, მართლა, სხვათა შორის, აეროპორტში დავრეკე.

მისმა ტონმა მიმანიშნა, რომ ჩემი წასვლის დრო დადგა. როგორც ჩანს, იმედი გავუცრუე წუხელ ღამით და ახლა ერთი სული აქვს, როდის გათავისუფლდება ჩემგან.

— მე... ახლავე ავდგები! — ნაჩქარევად წარმოვთქვი და საწოლზე წამოვჯექი. — ხელ-პირს გადავიბან და... ათ წუთში მზად ვიქნები. იმედია, აქ ტაქსის გამოძახება ძნელი არ იქნება.

— არ ვისაუზმოთ? — თითქოს დაბნეულად მკითხა.

— ვფიქრობ, უკეთესი იქნება, თუ აეროპორტში წავიხემსებ. მაპატიეთ... ხომ არ გაგიგიათ, როდის მიფრინავს ჩემი თვითმფრინავი? მართლა, რომელი საათია? — კითხვები მივაყარე.

— ჯერ რომელ კითხვას ვუპასუხო? — ღიმილი ვერ შეიკავა ტიმმა.

— ჰო, მგონი, ბევრი მომივიდა.

— ახლა ცხრის ნახევარია. ასე რომ, საჩქარო არაფერია. თვითმფრინავი მხოლოდ საღამოს იქნება... სამწუხაროდ.

— რა-ა? — ამის გაგონებაზე გულს შემომეყარა.

— რას ვიზამთ, ამინდს წინ ვერავინ აღვუდგებით.

— რა უნდა ვქნა?

— უნდა დაელოდო, სხვა რა დაგრჩენია.

— მაგრამ მე მოცდა არ შემიძლია...

— გგონია, მე შემიძლია? მეც მიფუჭდება საქმეები, მაგრამ თავს ზევით ძალა არ არის.

— თქვენ საით მიფრინავთ? — სინდისის ქენჯნა ვიგრძენი, აქამდე რომ არ დავინტერესდი მისი საქმეებით.

— ევროპაში, — არ დააკონკრეტა.

— ბიზნესი?

— ჰო, — მოკლედ მომიჭრა, არც ამჯერად დამიკონკრეტა.

— შეიძლება, გავიგო, სად მუშაობთ?

— სხვა დროს მოგიყვები.

— რომელ სხვა დროს?

— როცა კიდევ შევხვდებით ერთმანეთს.

— და გგონიათ, რომ ოდესმე კიდევ შევხვდებით?

— რა თქმა უნდა, ამაში ოდნავადაც არ მეპარება ეჭვი, — ეშმაკურად გამიღიმა და თვალი თვალში გამიყარა.

პასუხი არ გავეცი. არ ვიცი, რა იგულისხმა ნათქვამში.

— აქედან დარეკვა შეიძლება? იქნებ დავუკავშირდე ჩემებს.

— რა თქმა უნდა, ახლავე მივცემ შეკვეთას. მითხარით კოდი და ტელეფონის ნომერი.

ვუკარნახე. იგი ტელეფონის აპარატს მიუჯდა და ინგლისურად გააბა ვიღაცასთან ლაპარაკი.

ცოტა ხანში ზარი გაისმა. ტიმი წამოდგა, აპარატი ხელში დაიჭირა და ყურმილი მომაწოდა.

— ალო! — ჩავძახე სუნთქვაშეკრულმა. — დედა, შენ ხარ? — ვიცანი დედაჩემის შეშინებული ხმა.

— როგორ ხარ, ქეთი, შვილო! გადავირიეთ ყველანი!

— ფრენა გადაიდო, დედა, აქ საშინელი ამინდია!

— ვიცი, უკვე გვითხრეს აეროპორტში.

— ამაღამ გამოვფრინდები... ხომ დამხვდებით?

— მამაშენი ახლაც იქ არის და გელოდება. ნუ გეშინია, დაგელოდებით, აბა, რას ვიზამთ.

— რედაქციაში დარეკე და გააგებინე ჩემი ამბავი.

— იციან უკვე, ნუ გეშინია. ხომ კარ...

დედამ წინადადების დამთავრება ვერ მოასწრო, რომ გაითიშა. გული დამწყდა.

— გაწყდა კავშირი? — ტიმმა შემომხედა.

— ჰო.

— არა უშავს, მთავარი სათქმელის თქმა ხომ მოასწარი?

— თქვენ რა იცით? — წარბები შევჭმუხნე.

— არ ვიცი, უბრალოდ, ისე გკითხე.

— კი, მოვასწარი.

— ჰოდა, ძალიან კარგი. წავალ, საუზმეზე ვიზრუნებ.

— მე მხოლოდ ჩაის დავლევ.

— მაგასაც ვნახავთ, — გამიღიმა ალვარესმა და გავიდა.

როგორც კი ტიმმა კარი გაიხურა, წამოვხტი და სააბაზანოში შევვარდი. ხელ-პირი ჩქარ-ჩქარა დავიბანე, პირში წყალი გამოვივლე, ახლა კბილების გახეხვის არც თავი მქონდა და არც დრო. ერთი სული მქონდა, აქედან დროზე გავქცეულიყავი.

სააბაზანოდან გამოსული პირდაპირ შევეჩეხე. შევცბუნდი.

— ისე მექცევი, როგორც უცხო ადამიანს... ასეა? — მკითხა კოპებშეკრულმა.

— და რა, არ ხართ ჩემთვის უცხო? ჩვენ მხოლოდ გუშინ გავიცანით ერთმანეთი, — უკან არ დავიხიე.

— მე მგონი, „გუშინსა“ და „დღეს“ შორის რაღაც მოხდა... და ეს „რაღაც“, ჩემი აზრით, საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო. ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის. შენთვის არა?

— ჩემთვის? — არ ვიცოდი, მის კითხვაზე რა პასუხი გამეცა.

როგორ ამეხსნა მისთვის, რომ ასეთი რამ ჩემს ცხოვრებაში პირველად გავაკეთე?.. რომ ქართველი ქალები არ ვართ მიჩვეული ერთი ღამის თავგადასავლებს და ამერიკაში რომ არ ვყოფილიყავი, მსგავს რამეს ცოცხალი თავით არ ჩავიდენდი. ალბათ ის ამას ვერ გაიგებდა. ამიტომაც ვერაფერი ვუპასუხე. იგი ბავშვურ სისულელედ ჩამითვლიდა ამ ყველაფერს.

— შეგიძლია, არაფერი მითხრა, ჩემთვის ყველაფერი გასაგებია, — თქვა ტიმმა და მისი ხმა ზედ ჩემს ყურთან გაისმა. სანამ გონს მოვეგებოდი, ვიგრძენი, როგორ მომიმწყვდია მკლავებში და ტუჩებით ყელზე დამეკონა. — შენ ყველაფერი სახეზე გაწერია. თუ უკვე არ გადავეჩვიე სხვისი აზრების სახეზე წაკითხვას, მაშინ ჩემი ნათქვამი სიმართლე აღმოჩნდება.

— რომელი ნათქვამი? — ლამის სული შემიგუბდა.

— სახეზე გაწერია, რომ ეს ღამე შენთვის განსაკუთრებული იყო, მაგრამ მე იმედი გაგიცრუე. გამოვიცანი?

დამალვას აზრი არ ჰქონდა, ამიტომ უღონოდ დავუქნიე თავი. ტიმმა თმაზე გადამისვა ხელი და ჩურჩულით გააგრძელა:

— იქნებ ახლა მაინც გავუგოთ ერთმანეთს?.. პირობას გაძლევ, ისე არ მოვიქცევი, როგორც წუხელ.

პროტესტის ნიშნად რაღაცის თქმა დავაპირე, მაგრამ ტიმმა ამის საშუალება არ მომცა. იგი უეცრად ტუჩებში დამეძგერა და კოცნა დამიწყო...

კარგა ხანს უმწეოდ ვიფართხალე მის ძლიერ მკლავებში და ბოლოს, როცა მივხვდი, რომ წინააღმდეგობას ვერ გავუწევდი, თუმცა დიდად არც მქონია ამის სურვილი, ნელ-ნელა მოვდუნდი და მის მკერდზე მივესვენე...

— არაჩვეულებრივი ხარ, — მიჩურჩულა ტიმმა, როცა ვნებისგან დამცხრალი, ორივე გულაღმა გავიშოტეთ.

არაფერი მითქვამს, გაბრუებული ვიყავი. არაჩვეულებრივი წუთები იყო. დიდი ხანია, მსგავსი რამ არ განმიცდია. მართალია, ეს არ იყო სიყვარული, მაგრამ უდიდესი სიამოვნება რომ იყო, ამას ვგრძნობდი.

— წამოდი, ვისაუზმოთ, ჩვენ ბევრი გვაქვს სალაპარაკო, — მოულოდნელად, ოდნავ მშრალი ხმით მითხრა და წამოდგა.

მისმა ტონმა, ცოტა არ იყოს, დამძაბა. რაღაც უეცრად შეიცვალა. ხმა არ ამომიღია, მეც ავდექი და ჩაცმას შევუდექი.

— წყალს გადავივლებ და ჩამოვალ, — გაბზარული ხმით წარმოვთქვი.

— როგორც გინდა, ოღონდ დიდხანს არ მალოდინო, ძალიან მომშივდა, — იმავე ტონით მიპასუხა.

მაინც ვერ მივხვდი, რამ გამოიწვია ჩვენს ურთიერთობაში ასეთი უეცარი ცვლილება, მაგრამ შეკითხვას აზრი არ ჰქონდა. არასასურველი პასუხის შემეშინდა, თუმცა იმას მაინც მივხვდი, რომ ცოტა ხნით მასთან დარჩენის უფლება ჯერ კიდევ მქონდა. ამიტომ უნიჭოდ გავუღიმე.

ტიმი გავიდა თუ არა, ჩანთიდან კბილის ჯაგრისი და პასტა ამოვიღე და კვლავ სააბაზანოში შევბრუნდი. სულაც არ ვჩქარობდი. ჯერ ტანთ გადავივლე, მერე კბილები გავიხეხე, თმა დავივარცხნე და როცა „დილის პროცედურებს“ მოვრჩი, მშვიდად გამოვედი ოთახში. საინტერესოა, რაზე უნდა მელაპარაკოს?

საუზმემ უღიმღამოდ ჩაიარა, თუ არ ჩავთვლით რამდენიმე კომპლიმენტს, რომელიც მან მითხრა. დანარჩენი დრო ისე გავიდა, სიტყვა არ დაუძრავს. მისი დუმილი გულს მიკლავდა. ან კი რას ველოდი?! მან მიიღო ის, რისთვისაც აქ მომიყვანა. სხვა რა უნდა ექნა? ცოლად ხომ არ შემირთავდა?

როცა საუზმეს მოვრჩით, შემომთავაზა, ყავა ნომერში დავლიოთო. თავი დავუქნიე. ჩემთვის სულერთი იყო, სად დავლევდი ყავას.

ცოტა არ იყოს, გაოგნებული ვიყავი. საწოლში ასეთი ენაწყლიანი მამაკაცი ახლა თითქოს დამუნჯებულიყო. ყავის სმის პროცესმაც სრულ მდუმარებაში ჩაიარა. ბოლოს, როცა ეს დუმილი მომბეზრდა, ჩავახველე და წამოვდექი.

— მაპატიეთ... ძალიან დიდი მადლობა ყველაფრისთვის, მაგრამ მგონი, ჩემი წასვლის დროა. იქნებ ტაქსი გამომიძახოთ?

— მაგრამ ჯერ ადრეა, ქეთი. საღამომდე უამრავი დროა. სად უნდა წახვიდე?! აეროპორტში უაზრო ლოდინს არ სჯობია, აქ დარჩე? — ოდნავ გაწელილად მითხრა.

— არა უშავს, არ გამიჭირდება.

— მაგრამ თუკი არ მინდა ტაქსის გამოძახება?.. — თავი ასწია უეცრად და ჯიქურ შემომხედა.

დავიბენი. გაკვირვებულმა წარბები ავწიე და ოდნავ გავწითლდი.

— სხვა რა გზაა, ქუჩაში გავალ და იქ გავაჩერებ. კიდევ ერთხელ დიდი მადლობა, რომ შემიფარეთ, — ვთქვი და კარისკენ გავემართე.

— მოიცა, ქეთი, — დამეწია მისი ხმა, — როგორ შეგიძლია, ასე წახვიდე?! ჩვენ აუცილებლად უნდა ვილაპარაკოთ.

— რაზე, თუ საიდუმლო არ არის? — პრეტენზიულად გაისმა ჩემი ხმა. — ლაპარაკი თუ გინდოდათ, აქამდე რას უცდიდით? მთელი საათია, ხმა არ ამოგიღიათ... მეგონა, არ იცოდით, როგორ დამმშვიდობებოდით და ამიტომაც გადავწყვიტე წასვლა.

— დაჯექი და ისე ვილაპარაკოთ.

— კარგი, რა პრობლემაა?! — მხრები ავიჩეჩე, მოვტრიალდი და ტახტზე მოვკალათდი.

— მომისმინე, ქეთი... არ ვიცი, როგორ მიიღებ ჩემს სიტყვებს, მაგრამ... შენნაირ გოგოს პირველად შევხვდი...

— მეც პირველად შევხვდი თქვენნაირ მამაკაცს, — შევნიშნე მეც.

— მაგრამ არსებობს ისეთი წინააღმდეგობრივი მდგომარეობა, რომელიც მაიძულებს, მალე დაგშორდე. მინდა, გამიგო.

— გაუგებარი არაფერია. მეც მაგ დღეში ვარ, — თავს ძალა დავატანე და გავიღიმე.

— დიდი სიამოვნებით დავრჩებოდი შენთან ერთად აქ კიდევ რამდენიმე დღეს, მაგრამ ეს შეუძლებელია. საქმეები არ იცდის. შენც გეჩქარება... მაგრამ აუცილებლად მოგძებნი, სადაც უნდა იყო. გასაგებია?

— მომძებნი? რისთვის? ეს ხომ მხოლოდ ერთი ღამის თავგადასავალი იყო ჩვენთვის.

— ერთი ღამის თავგადასავალი? შენ ასე ფიქრობ?

— თქვენ არა?

— მე არა. ჩემთვის ეს უფრო მეტი იყო, ვიდრე ერთი ღამის თავგადასავალი. მერწმუნე. ამიტომ გთხოვ, საღამომდე დარჩე. მერე მე თვითონ გაგაცილებ აეროპორტში.

— ეს ასე აუცილებელია?

— ვერ ხვდები, როგორ მჭირდება ახლა შენ გვერდით ყოფნა?

— ვერა, ვერ ვხვდები.

— მართლა ვერ ხვდები?

— იქნებ მიმახვედროთ, ტიმ! — მოთმინების ფიალა ამევსო და ხმას ავუწიე.

— მადლობა ღმერთს! როგორც იქნა, სახელით მომმართე. რა სასიამოვნო მოსასმენი იყო, ვერც წარმოიდგენ.

— იქნებ ძველ თემას დავუბრუნდეთ? დრო არ იცდის...

— ასე კარგად არასდროს არც ერთ ქალთან არ მიგრძნია თავი... ვერ გიმეტებ... მინდა, რაც შეიძლება, გავიხანგრძლივო შენ გვერდით ყოფნის სიამოვნება. ახლა გასაგებად ვთქვი? როგორი იქნება შენი პასუხი?

ერთხანს ჩავფიქრდი, რაღაცებს ვაანალიზებდი, მერე თავი ავწიე და ხმადაბლა დავიწყე:

— თუკი თქვენი ნათქვამი სწორად გავიგე, ჩემი თანხმობის შემთხვევაში, თქვენთან ერთად სექსი კიდევ ერთხელ მომიწევს... ეს კი იმას ნიშნავს, რომ თქვენს თვალში პატიოსანი ქალის შთაბეჭდილებას ვერ მოვახდენ. თუმცა რაც ჩვენ შორის მოხდა, მას მერე ალბათ არც ფიქრობთ ასე.

— ქეთი! მოდი, წუხანდელი ღამე და ეს დილა ჩავთვალოთ, რომ სიზმარი იყო. შენს წესიერებაში ეჭვი რომ შემპარვოდა, არც შეგაჩერებდი და არც ის მოხდებოდა, რაც უკვე მოხდა. უწესო ღამაზ ქალებს მიაქვთ ნიუ-იორკი. მე შენთან ყოფნა მსიამოვნებს და მინდა, ეს სიამოვნება რაც შეიძლება გავიხანგრძლივო... სულ ეს არის, რაც უნდა მეთქვა. ახლა შენს პასუხს ველოდები. ან „ჰო“ უნდა მითხრა, ან — „არა“...

ახლა რომ დავთანხმდე, უფრო შევეჩვევი. მერე? მერე ძალიან გამიჭირდება. მერე მთელი ცხოვრება აქ გატარებულ დღე-ღამეზე უნდა ვიფიქრო. ის მამაკაცია, ხვალ უკვე აღარ ვემახსოვრები. მოგძებნიო... ან მომძებნის, ან — არა. ვინ ვარ მისთვის? ერთი სასიამოვნო თავგადასავალი და მეტი არაფერი. აჯობებს, დროზე წავიდე აქედან, რომ ამ შეხვედრამ ტკივილი არ დამიტოვოს.

— არა, ვერ დავრჩები, — მტკიცედ წარმოვთქვი, — მაპატიე, ტიმ, მაგრამ აეროპორტში უნდა წავიდე და ძალიან გთხოვ, ჩემს დათანხმებას ნუღარ შეეცდები. სულერთია, არაფერი გამოვა. გამაცილე, თუ შეგიძლია!..

რამდენიმე წუთის შემდეგ ყვითელი ტაქსი ორივეს აეროპორტისკენ მიგვაქროლებდა...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

დასაწყისი იხ. „გზა“, № 43-51

მარი ჯაფარიძე

როდესაც ანა თბილისში ჩამოვიდა, უკვე ბნელოდა. ანგარიშმიუცემლად დაადგა შინისკენ მიმავალ გზას, მაგრამ ეზოში შესულმა, მანქანა მოაბრუნა და უკან წამოვიდა. ცოტა ხანში 5 დეკემბრის ქუჩაზე, ერთ-ერთ კორპუსთან გაჩერდა. ბირჟაზე მდგარი ბიჭების ყურადღება წითელმა ჯიპმა მიიპყრო და როცა იქიდან გადმოსულ ქალს მოჰკრეს თვალი, უმალ წელში გასწორდნენ, გაჩუმდნენ და თვალმოუშორებლად უყურებდნენ. ანა პირდაპირ მათკენ გაემართა.

— გამარჯობა, — მიესალმა ქალი და მათ წინ გაჩერდა.

— გაგიმარჯოს, ლამაზო, — ერთ-ერთმა პასუხი დაუბრუნა და ძმაკაცისგან გვერდში მუჯლუგუნი მიიღო.

— რისთვის შეწუხებულხართ? — ზრდილობიანად ჰკითხა ყველაზე მაღალმა და წინ აესვეტა. ამით ანიშნა, აქ მთავარი მე ვარო.

— ერთ კაცს ვეძებ, ამ უბანში ცხოვრობს, იქნებ იცოდეთ, სად შეიძლება მისი ნახვა?

— ვინაა ეგ კაცი, გვითხარით და თქვენთვის, მიწიდან ამოვიღებთ, — ისევ მაღალმა გამოიდო თავი.

— ეს კაცი გიორგი ნიჟარაძეა, — მოკლედ თქვა ქალმა.

ბიჭები შეიშმუშნნენ, ერთმანეთს რაღაც გადაულაპარაკეს, თითქოს ყოყმანობდნენ.

— რა არის, ბიჭებო, რა ხდება? — ჰკითხა ანამ და მათკენ წაიწია, რომ გაეგონა, რაზე საუბრობდნენ.

— არაფერი...

— აბა, რატომ შეშფოთდით? გიორგი ჩემი ძველი მეგობარია, უცხოეთში ვიყავი და წლებია, არ მინახავს. უბრალოდ, მისი მონახულება გადავწყვიტე...

— ჩვენ კი ვიცით, ეგ კაცი სად ცხოვრობს და ისიც ვიცით, ვინაა, მაგრამ მის დაუკითხავად ვერავითარ ინფორმაციას ვერ მოგცემთ.

— კარგი, მაშინ დაურეკეთ და ჰკითხეთ.

— ხვალ დავურეკავთ ან ვინმეს მივაგზავნით.

— არა, ახლავე დაურეკეთ, — უკან დახევას არ აპირებდა ანა, — მეჩქარება, აუცილებელი საქმე მაქვს.

— აკი, უბრალოდ, სანახავად მიდიოდით?

— ეგ თქვენი საქმე არაა. იცოდეთ, თუ უთქვენოდ მივაგენი, ვეტყვი, რომ მისი კოორდინატები არ მომეცით და მერე თქვენ გაეცით პასუხი.

— კარგი, დავურეკავ, — ისევ მაღალმა აიღო ინიციატივა, — რა ვუთხრა, ვინ კითხულობს?

— გადაეცით, რომ სვანი ანა კითხულობს.

მაღალი დანარჩენებს გამოეყო და შენობის კუთხეს მიეფარა. რამდენიმე წუთში კვლავ გამოჩნდა.

— წავიდეთ, — თავი გადააქნია გაურკვეველი მიმართულებით და ანას მანქანაში დაუკითხავად მოთავსდა.

— ვაკე-საბურთალოს გზაზე გავიდეთ, — მოჭრით უთხრა მაღალმა.

— აქ აღარ ცხოვრობს? — საუბრის გაბმა სცადა ანამ.

— არა, — მოკლედ უპასუხა მამაკაცმა.

— ეს ბინა გაყიდა?

— თავად მას ჰკითხეთ და ყველაფერზე პასუხს ის გაგცემთ, — პასუხს თავი აარიდა.

ამის შემდეგ, ვიდრე საჭირო მისამართზე არ მივიდნენ, არც ერთს ხმა აღარ ამოუღია.

— აი, ეს კორპუსია, აი, ის ფანჯრები, — ხელი გაიშვირა მესამე სართულის გაჩახჩახებული ფანჯრებისკენ მამაკაცმა.

— აქედან რით დაბრუნდები? — შეწუხდა ანა.

— მაგაზე ნუ იდარდებთ.

— აი, ეს გამომართვით და ტაქსით წადით, — ანამ 20-ლარიანი გაუწოდა.

— როგორ გეკადრებათ, გენაცვალე?! მე „ხელის“ ბიჭი ხომ არ გგონივართ, ფულს რომ მიხდით!

— უკაცრავად, — ანამ გულწრფელად ინანა, ფული რომ შესთავაზა.

— კარგად, მშვენიერო ლედი! — გალანტურად დაემშვიდობა მამაკაცი და მანქანის კარი მიხურა.

როგორც ჩანს, ანას უკვე ელოდნენ, ვინაიდან ის იყო, ზარის ღილაკზე თითი უნდა მიეჭირა, რომ კარი გაიღო.

— მოდი, ჩემი გოგო, მოდი, — გიორგი თბილად გადაეხვია, მერე მხარზე ხელი მოხვია და მისაღებში ისე შეიყვანა.

საკმაოდ მოზრდილი ბინა იყო, კარგად მოწყობილი. გიორგიმ ჯერ კარგად შეათვალიერა, მერე სავარძელზე მიუთითა...

რამდენიმე წუთის განმავლობაში ერთმანეთს ამბები მოკლედ გამოჰკითხეს. ამასობაში შუახნის ქალმა ძვირფასი, ფაიფურის ფინჯნებით ყავაც შემოიტანა.

— დალევ რამეს? — ჰკითხა მერაბმა.

— არა, საჭესთან ვარ, „გრადუსიანს“ ვერ დავლევ, მინერალური კი შეიძლება.

— კარგი. მარო, მინერალური მოგვიტანე, — გასძახა ქალს, — მარო ჩემი დამხმარეა, წესით, 6 საათზე მიდის ხოლმე, მაგრამ დღეს გვიანობამდე შემორჩა.

— ისევ უცოლო ხარ? — გაუღიმა ანამ.

— რაც შენ არ მინახავხარ, 2 ცოლი გამოვიცვალე. მესამეს ვეძებ და მგონი შენი ფეხით მოხვედი, — თვალი ჩაუკრა მამაკაცმა.

— არა, არა, — ხელი და თავი ერთდროულად გააქნია ანამ და გაიცინა. — პირველობაზე არ დაგთანხმდი და...

— იქნებ, ახლა მოეგე გონს და მიხვდი, რომ მშვენიერ ოჯახს შევქმნით?

— კარგი, გიო, ოდესღაც ხომ უნდა გაიზარდო, სულ ბავშვად ხომ არ უნდა დარჩე!

— ცუდია ბავშვობა?.. გახსოვს, რამდენი თაყვანისმცემელი გაგილახე?! — გულიანად ხითხითებდა მამაკაცი. — შენზე კი ვიცი ამბები, გოჩას კარგად ვიცნობდი... გული დამწყდა, რომ მოკლეს, — უცებ დასერიოზულდა.

— მაგაზე ფიქრიც აღარ მინდა, — ამოიოხრა ანამ, — მაგის შემდეგ მეორედაც დავქვრივდი.

...და ანამ მოკლედ უამბო თავისი თავ-

გადასავალი. ოღონდ დაკარგული შვილის ამბავი დაუმალა. გიორგი თავს აქნევდა დანანებით და უხმოდ უსმენდა.

— ახლა რამ გაგახსენა ჩემი თავი? ვიცი, მონატრებას არ მოუყვანიხარ ჩემთან და ბარემ მიზეზიც თქვი.

— იარაღის ყიდვა მინდა, — პირდაპირ, ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე დააკმაყოფილა მამაკაცის ცნობისმოყვარეობა.

— ჰმ, რაშია საქმე? რისთვის დაგჭირვებია იარაღი ან რა ტიპის იარაღი გინდა — ავტომატი თუ ყუმბარმტყორცნი?.. ან იქნებ ტანკი?..

— მცირე ზომის პისტოლეტზეც თანახმა ვარ. ძველი დრო რომ იყოს, ავტომატს ვარჩევდი, — გაიღიმა ქალმა.

— გინდა, რომ მე დაგეხმარო იარაღის ყიდვაში? ახლა ძველი დრო აღარაა — შეგიძლია, მაღაზიაში მიხვიდე და სასურველი იარაღი შეიძინო. უარს არავინ გეტყვის. საქმე ისაა, მერე როგორ აპირებ მის ტარებას.

— მაღაზიაში ნაყიდი არ მინდა, ისე უნდა მაშოვნინო.

— კარგი, თუ ასეა, მაშინ 2 დღე მომეცი და ვეცდები, რაიმე შენი შესაფერისი ვიშოვო. მაგრამ ერთი რამ უნდა იცოდე: მე ძველ ცხოვრებას დიდი ხანია, დავემშვიდობე, ახლა ბიზნესი წამოვიწყე, საკმაოდ წარმატებულადაც და შარი არ მინდა. ძველი სიყვარულის ხათრით დაგეხმარები...

— ხომ იცი, რომ სამარე ვარ?!

— კი, შენი იმედი კი მაქვს.

— ჰოდა, მაშინ 2 დღე ბევრია: ან ამაღამვე, ან ხვალ დილით იარაღი უკვე უნდა მქონდეს.

— რაღაც სერიოზული გაქვს ჩაფიქრებული, თორემ ასე არ მოიწადინებდი. ანა, ახლა სხვა დროა, აქედან რომ წახვედი, მაშინ სხვა სიტუაცია იყო...

— ყველაფერი ვიცი, — სიტყვა გააწყვეტინა ქალმა, — ჭკუის დამრიგებელს არ ვეძებ და არც ეცადო, მორალი მიკითხო... მიუხედავად იმისა, რომ ვიცი, რა საფრთხეს შეიძლება გადავეყარო, მაინც მინდა იარაღი. მჭირდება, გესმის?

— გასაგებია. ხვალ დილით მოდი და დაგახვედრებ, — როგორც იქნა, დაყაბულდა გიორგი.

— კარგი. მაშინ ჩემი მისია დღეს ამოწურულია და ხვალ, 12 საათისთვის მოვალ.

— აქ ნუ მოხვალ, დამირეკე და შეგხვდები.

— როგორ დაგირეკო? ის შენი უბნელი ბიჭები ისე უფრთხილდებიან შენს ნომერსა და მისამართს, სიტყვა ვერ დავაცდენინე...

— ასეა საჭირო, — კმაყოფილი ღიმილი გამოესახა მამაკაცს. — ჩაიწერე ჩემი ნომერი და დამირეკე.

— კარგი, წავედი, — წამოდგა ანა და გასასვლელისკენ გაემართა.

— კარგად მოიფიქრე — იქნებ დარჩენილიყავი?.. — გიორგიმ წელზე ხელი მოხვია.

— ფრთხილად იყავი, იმ იარაღის პირველი მსხვერპლი შენ არ აღმოჩნდე, — შეჰღიმა ქალმა, მაგრამ სახეზე ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, მამაკაცი მიხვდა, — ამ წუთში სულ არ ხუმრობდა და რასაც ამბობდა, იმის გამკეთებელიც იყო.

გიორგიმ ხელი ცივად უშვა, კარი გაუღო და ეზომდე ჩააცილა.

— ჰო-ო, ამ მანქანით თუ დადიხარ, იარაღი ნამდვილად გჭირდება. მაგრამ ჩვენს ქვეყანაში კრიმინოგენული სიტუაცია გამოსწორებულია და შეგიძლია, უშიშრად იარო...

— მაგას ვხვდები, რომ კრიმინოგენული სიტუაცია მაგრად გამოსწორებულა: შენ „გარეთ“ ხარ, ბიზნესს „აკეთებ“, თან — წარმატებულად და არავინ გედავება წარსულის გამო...

— ყველაფერი ისეა, როგორც საჭიროა. ჩემი წარსულის გამო მხოლოდ ღმერთი მომედავება, როცა მის წინაშე წარვდგები. მანამდე კი ბევრი დროა და ამ ცხოვრებით ტკბობას ვაპირებ. ამიტომ, ციხე და პატიმრობა ჩემს გეგმებში არ შედის.

დილით ანა სასიამოვნო სურნელმა გააღვიძა. თვალები გაახილა და ოთახს მოავლო. ტუმბოზე წითელი ვარდებით სავსე ლარნაკი იდგა.

ვარდებმა ბელტრანი გაახსენა. მას სჩვეოდა დილაობით ასეთი თაიგულის დატოვება... თითქოს დრო უკან დაბრუნდა და ეგონა, რამდენიმე წუთის შემდეგ თავად ბელტრანიც შემოაღებდა კარს და ყავას მოართმევდა საწოლში...

თვალები დახუჭა და წამოიდგინა ის, რაც 4 წლის განმავლობაში ყოველდღიურ მოვლენად იყო ქცეული...

...და თვალებდახუჭულს კარის გაღების ხმა მოესმა. თვალის გახელის შეეშინდა... რამდენიმე წამში კი ყავის არომატიც შეიგრძნო...

ხომ არ გავგიჟდიო?! — გაიფიქრა და ასე გაუნძრევლად ელოდა, რა მოხდებოდა შემდეგ.

— გძინავს? — ჩუმად იკითხა ნინომ, რომ არ გაეღვიძებინა.

ქალმა თვალები გაახილა და დის დანახვაზე შვებით ამოისუნთქა.

— რა იყო, ასე გაგიხარდა ჩემი დანახვა? — როგორც ჩანს, ემოცია სახეზე აღბეჭდა.

— შენი დანახვა ყოველთვის მიხარია, მაგრამ დღეს — განსაკუთრებით, რადგან ყავას დილაობით იშვიათად მიდღეს და არც ვარდების თაიგულით მანებივრებ მაინცდამაინც... ვინ გაჩუქა ეს ვარდები?

— მე კი არა, შენ გაჩუქეს.

— მე-ე?! ვინ? — გაუკვირდა ანას.

— აბა, რა ვიცი. შენ უნდა იცოდე, ვინაა შენი თაყვანისმცემელი.

— შენ ნახე, ვინ მოიტანა? როგორი ტიპი იყო? — დაინტერესდა ანა.

— არა, დილით კართან ვნახე: კარზე ზარი დაირეკა. გავედი და ეს თაიგული დამხვდა. ჰოდა, ვიფიქრე, ჩემი იყო, მაგრამ ბარათზე ერთი სიტყვა ეწერა — „ანას“. იმედი გამიცრუვდა, მაგრამ მე ხომ შურიანი და ბოროტი არ ვარ. ავდექი და ყავაც საწოლში მოგართვი, რომ დილის მშვენიერება სრულად შეგეგრძნო.

— ისე, მართლა მშვენიერი დილაა. ნეტავ, საღამო როგორი იქნება?.. — დაფიქრებით ჩაილაპარაკა ანამ, რადგან გაახსენდა, რომ საღამოს ის და დავითი ემზართან აპირებდნენ მისვლას: ამ საღამოს პასუხი უნდა გაეგოთ...

საწოლში წამოჯდა და ყავა მოხვრიპა. ესიამოვნა ცხელი სითხე. თან იმაზე ფიქრობდა, ვის შეიძლებოდა, ვარდები გამოეგზავნა... საბოლოოდ იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ეს გიორგის ნახელავი იყო, მაგრამ ერთი კითხვა რჩებოდა: როგორ გაიგო მისი მისამართი ასე უცებ?

საათს დახედა. უკვე 10 სრულდებოდა... წამოდგა, ფლოსტებში ფეხი წაყო და სააბაზანოსკენ გაემართა... მანამდე დედამ საუზმე გაუმზადა და ლამის აიძულა, რომ ესაუზმა.

— დე-ე, სვანეთში ჩვენთან სახლში ყველაზე ხშირად ვინ მოდიოდა?

— რა ვიცი, ყველა მოდიოდა — მეზობლები, ნათესავები... რომელი ერთი გავიხსენო?! აღრიცხვას არ ვაწარმოებდი.

— გახსოვს, სკივრში უცნაური ფურცლები რომ ვიპოვე?

— კი, — თავი დაუქნია დედამ.

— რაო, რა გაარკვიე? — ნინოც დაინტერესდა და ანას წინ, სკამზე ჩამოჯდა.

— გუშინ სართიჭალაში ვიყავი, მოლას ვაჩვენე და აღმოჩნდა, რომ საშინელი ჯადო ყოფილა. ჰოდა, დე, ახლა შენ უნდა გაიხსენო, ვის შეეძლო, სხვენში

ასულიყო და სკივრში ეს ფურცლები ჩაედო, რადგან მესამე ფურცელია დაკარგული და თუ ის არ ვიპოვეთ, არაფერი გვეშველება, — ანა ერბოკვერცხს ჩანგლით ანაწილებდა თეფშზე და უგემურად ჭამდა.

— რას ამბობ?! რა გვეშველება?.. — ლოყებზე შემოიწყო ხელები ნინომ.

— ვის რა დავუშავეთ?! რატომ გაგვიმეტეს ასე? — დაფიქრებით თქვა დედამ და თვალი ერთ წერტილს გაუშტერა.

ანამ საუზმე მიატოვა, მობილური მოძებნა და ნომერი აკრიბა.

— გიორგი, მე ვარ... ანა ვარ.... ჰო, მერე?.. როდის? სად?.. კარგი, ერთ საათში ვიქნები...

— სად მიდიხარ და ვინაა გიორგი? — ოთახისკენ მიმავალს, ნინო აედევნა.

— სავარაუდოდ, მაგ თაიგულის ავტორი.

— ახალია ვინმე? — გაეცინა ნინოს.

— არა, ეგ ყველაზე ძველია.

— აა, მახსოვს. ეგ ისაა, სვანი რომაა, არა? უშგულში რომ გაიცანი და მერე თბილისში შეხვდი. „ძველი ბიჭი“ იყო, მახსოვს, „ქურდულს“ აწვებოდა...

— ახლა ბიზნესმენია და საქმოსნობას აწვება...

— სად ნახე? — ცნობისმოყვარეობა არ ასვენებდა ნინოს.

— დავურეკე გუშინ და შეხვედრა ვთხოვე, საქმე მაქვს, — მოიტყუა ანამ.

ერთ საათში გიორგის მითითებულ მისამართზე მივიდა და კარზე დააკაკუნა. ასაკოვანი, სიმპათიური მამაკაცი გამოეგება.



— მობრძანდით, ქალიშვილო, მობრძანდით, — შინ შეიპატიჟა ქალი.

ანამ გაბედულად შეაბიჯა და ირგვლივ მიმოიხედა.

— ეს ამანათი დატოვეს თქვენთვის, — ცელოფანის პარკი მიაწოდა მამაკაცმა.

— გავხსნა? — იკითხა ქალმა.

— არა, ჯობია, არ გახსნათ. მერწმუნეთ, უკმაყოფილო არ დარჩებით. თან, თავისი „პრისპოსობლენიები“ მოჰყვება.

— ყველაფერი?

— დიახ, ყველაფერი.

— ფასი?

— 1.000 დოლარი.

ანამ ფული გადაუთვალა, მადლობა გადაუხადა და იქაურობა დატოვა.

სახლში დაბრუნდა და ტუალეტში ჩაიკეტა. ცელოფანიდან პისტოლეტი ამოიღო, მჭიდი მოხსნა, შეამოწმა, მერე ტყვიები ჩადო, მჭიდი ისევ მოარგო, იარაღი ორივე ხელით დაიჭირა, წინ გაიშვირა, ცალი თვალი მოჭუტა და კედელს დაუმიზნა...

— ბუჰ! — თქვა ჩუმად და კმაყოფილმა იარაღი ქამარში გაირჭო. მერე ზემოდან ბლუზა გადმოიწია და ტუალეტიდან გამოვიდა.

— წავედი, — გასძახა დედას და კარი გაიხურა.

იარაღი მანქანის „ბარდაჩოკში“ შეინახა, გადაკეტა და გასაღები ჯიბეში ჩაიდო.

— ესეც ასე... ახლა შეიძლება, ყველაფერი მშვიდად მოვაგვაროთ, — ჩაილაპარაკა თავისთვის და მანქანა ადგილიდან დაძრა.

საღამომდე რამდენიმე ადგილი შემოიარა. ბოლოს კი დათქმულ დროს, სამშობიაროსთან მივიდა, სადაც დავითს უნდა დალოდებოდა.

დრო ისე გაიწელა, რომ მოეჩვენა, წუთი წელიწადს უტოლდებოდა. დავითმა სულ 10 წუთით დააგვიანა, მაგრამ ანამ საყვედურისგან თავი ვერ შეიკავა:

— კარგი, რა, დავით, ხომ იცი, რომ ზუსტად დათქმულ დროს აქ უნდა შევხვედროდით! ახლა წასული რომ დაგვხვდეს?

— არ წავიდოდა, ნუ ნერვიულობ... საცობში ვიდექი და იმიტომ დამაგვიანდა, — თავის მართლება სცადა მამაკაცმა.

ემზარის კაბინეტთან მისულმა ანამ ღრმად ამოიოხრა და სახელური ჩამოსწია.

ექიმი ფანჯარასთან იდგა და კარის გაღების ხმაზე თითქოს შეხტა... უცებ შემობრუნდა და ანასა და დავითს თავი დაუქნია. ვერ გაიგებდი, მიესალმა თუ შესვლის ნებართვა დართო.

— ჩვენ მოვედით, — ანამ გაუღიმა, მამაკაცი რომ არ დაეფრთხო.

— ვხედავ, რომ მოხვედით, მაგრამ ვერაფრით გაგახარებთ, რადგან აბსურდია, რასაც თქვენ ამბობთ: არავითარი გოგონა მე არ გამიშვილებია და არც ვინმესთან გარიგებაზე წავსულვარ. ასე რომ, ამჯერადაც ტყუილად შეწუხდით...

— ბატონო ექიმო, — დავითი მისკენ წავიდა, — თქვენ გგონიათ, გუშინ რომ გემუქრებოდით, სიტყვებს ჰაერზე ვისროდი და რაც ვთქვი, იმის შემსრულებელი არ ვარ?..

— თქვენი მუქარა არ მაინტერესებს, მაგისთვის კი შესაძლოა, სამართალდამცველებთან მოგიწიოთ ურთიერთობამ.

— აქეთ მემუქრებით?! — გაოცდა დავითი.

— არა, კი არ გემუქრებით, გაფრთხილებთ.

— გამოდის, უარით გვიშვებთ? — ანას ნიკაპი და ხმა უკანკალებდა.

— დიახ, სამწუხაროდ. მოხარული ვიქნებოდი, დახმარება რომ შემეძლოს, მაგრამ თუ ასეთი ფაქტი ნამდვილად მოხდა, მე მასში მონაწილეობა არ მიმიღია და თქვენი შვილი თავად უნდა ეძებოთ, ჩემს დაუხმარებლად...

— კარგი, ჩვენ ახლა წავალთ, მაგრამ თავს ისევ შეგახსენებთ, — დავითმა ანას კარისკენ უბიძგა.

— რა უნდა ვქნათ ახლა? — ჰკითხა ანამ, როცა ეზოში ჩავიდნენ.

— ამ დღეებში მოვაკითხავ უშენოდ და დაველაპარაკები...

ანა დავითს დამშვიდობა და საჭეს მიუჯდა, მაგრამ მხოლოდ მის მოსაჩვენებლად დაძრა მანქანა. ცოტა ხანში უკან მიბრუნდა. სამშობიაროს მისაღებში ემზარის ტელეფონის ნომერი იკითხა და გამობრუნდა.

გვიანობამდე იხეტიალა ქალაქში, შუაღამისას კი ტელეფონზე დარეკა.

— ექიმო, თქვენ ხართ? — ხმას შეშფოთებული ტონი მისცა.

— დიახ.

— იცით, ჩემი და მშობიარობს, მოულოდნელად დაეწყო ტკივილი; შეგიძლიათ, მობრძანდეთ?

— სად? სად უნდა მოვიდე? — დაფაცურდა ემზარი.

— თქვენ სად ხართ?

— მე მორიგე ვარ და შესაბამისად — სამშობიაროში. მითხარით, სად მოვიდე.

— ჩვენ მოგაკითხავთ. მანქანას ახლავე გამოვუშვებ, 10 წუთში მანდ იქნება. მანამდე რა გავაკეთოთ, ის გვითხარით... — მეტი დამაჯერებლობისთვის ჰკითხა ანამ.

ექიმმა რჩევები მისცა.

10 წუთში კი ისევ დაურეკა ემზარს და უთხრა, — გარეთ წითელი ჯიპით გელოდებით და დროზე გამოდით, თორემ შესაძლოა, დაგვაგვიანდესო...

ორიოდე წუთში ემზარი გამოჩნდა. ხელში საკვოიაჟის მაგვარი ჩანთა ეჭირა და მანქანისკენ მიიჩქაროდა.

წინა კარი გამოაღო, სალონში 15 წლის ბიჭივით შეხტა და როცა კარი მიიჯახუნა, მხოლოდ ამის შემდეგ შეხედა მძღოლს და ენა ჩაუვარდა.

— შუაღამე მშვიდობის, ბატონო ექიმო... — გაუღიმა ქალმა და მანქანა ადგილიდან მოწყვიტა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

გზა ბილეთები

თვალჩალურჯებამდე თავგანწირვა

„იმ ზაფხულს, ოჯახთან ერთად ბორჯომში ვისვენებდი. ჩემი მეგობრებიც იქ იყვნენ. ყოველ საღამოს პარკში ვსეირნობდით და უამრავი თავგადასავალი გადაგვხდა. ჩემი სუსტი წერტილი ექსტრემალური გართობაა და შესაბამისად, ე.წ. „ამერიკული მთები“ და პარაშუტით ხტომა — ჩემი ოცნება. პარკში დამონტაჟებულ „ტაიფუნსაც“ გულგრილად ვერ ვუცქერდი და გავამდიდრე სკვერის ადმინისტრაცია. ჩემი მეგობრები კი მხოლოდ ჩემი გულშემატკივრობით შემოიფარგლებოდნენ. ერთ საღამოს, ნიკამ გადაწყვიტა თავგანწირვა. დასძლია შიში და გვერდით მომიჯდა. უჰ... იმან იქ იკივლა და იღრიალაა?! თან „მთები ბანს ეუბნებოდნენ“ და მეგონა, ხელებში ჩამაკვდებოდა. მთელი ღამე თავდაყირა ეკიდა ჩემი სოლიდარობის მსხვერპლი. ჭკუა მაინც ვერ ისწავლა და მეგობარი გოგონების „მიხედვა“ ძველებური პათოსით გააგრძელა. 2 დღის შემდეგ, მე და ჩემი დაქალი „ფანტას“ და ფახლავას მივირთმევდით და დამსვენებელი ბიჭები გადაგვეკიდნენ, ჩვენც გვაჭამეთ, თქვენი ლამაზი თვალების ჭირიმეო. კაიფობდნენ, რა, თავისი ჭკუით. ჰოდა, გამოგვეცხადა ნიკა. — იცით, მე ვინა ვარო? გაეჭიმა ბიჭებს. ამათი შემწუხებელი, ყველა მტკვარში ან მიწაშიაო. მე და თეას გაგვეღიმა, მაგრამ ცოტა ხანში, თვალჩალურჯებულ ნიკუშას რომ ვუვლიდით, სიცილი მაშინ უნდა გენახათ. ეჰ, მას მერე რამდენჯერ გაილახა ჩვენ გამო ჩვენი ნიკოლოზ თავდადებული... მგონი, ჰობად ექცა უკვე. ნიკ, ამ ახალ წელს მაინც გადარჩე, ნეტავ. პარიჟანკა“.

სევდიანი მონოლოგი

„თემამ ერთი ნაღვლიანი ამბავი გამახსენა, რომელიც სულ მინდოდა, თქვენთვის მომეთხრო. როცა ადამიანი გიყვარს, მაშინ სიყვარულის ობიექტს მნიშვნელობა არ აქვს. ის შეიძლება იყოს მეგობარი, შეყვარებული ან ოჯახის წევრი და ყველა ვარიანტში მისი სიცოცხლის გადასარჩენად საკუთარს უყოყმანოდ დადებ სასწორზე. ჩემი დეიდაშვილი კახა და მისი კლასელი ნია სკოლის პირველი ზარიდან ბოლო ზარამდე ერთ მერხზე ისხდნენ და მომავალშიც ხელიხელჩაკიდებულები

მარი ჯაფარიძე

გამარჯობა! იმედია „გზავნილების“ წაკითხვის განწყობილებაზე ხართ. ამჯერად, თქვენი მეგობრები და მათი თავგანწირვები უნდა განვიხილოთ. თემამ რამდენიმე ძველი მკითხველი დააბრუნა. მათ არც ახლები ჩამორჩნენ და დღეს რამდენიმე ახალ, უცხო სახელსაც აღმოაჩენთ. ასე რომ, შეუდექით „გზავნილების“ „აღმართს“ და ისიამოვნეთ.

მეგობრისთვის თავგანწირვა

მოკლე ჩართვა

რა იცვლება ქორწინების შემდეგ?

• კაცისთვის არ ვიცი. აი, ქალისთვის ყველაფერი იცვლება: დილის ძილის ცნება ქრება, მუცელი დაუგეგმავად იბერება, დედამთილი გყავს, ქმარი ხვრინავს, სალონის გზა აღარ გახსოვს, დაქალები აღარ მოდიან, ქმარი დილით მკაცრად განსაზღვრულ თანხას გიტოვებს, აღარც ყვავილები მოაქვს... ვაიმე, ცუდად ვარ! მგონი, გათხოვება გადავიფიქრე. :) პარიჟანკა.

• ჩემი აზრით, ურთიერთპატივისცემა ნელდება... რაღაც მომენტში, რა თქმა უნდა. უფრო თავისუფლად აგინებენ ერთმანეთს. აღარც იმდენად რომანტიკულია ურთიერთობა... ეს ჩემი მოკრძალებული აზრია, შექმნილი მდგომარეობის ზეგავლენით. ჭორიკანა.

• ქორწინების შემდეგ, რაოდენობა იცვლება. დათო.

• რა იცვლება ქორწინების შემდეგ? პირველ რიგში გოგო კარგავს თავისუფლებას. შემდეგ კი ბევრი პრობლემა იჩენს თავს.

• თითქმის ყველაფერი. ისე ვეღარ გაერთობი, როგორც ქორწინებამდე! ნუ, მე პირადად გათხოვილი არ ვარ და ჯერ არც ვაპირებ! EMO ANGEL.

• ჰოო... ძაან კაი კითხვაა... 1. ქალი სუქდება! 2. კაცი მუშაობს მძიმედ, მაგრამ მაინც ბედნიერებაა, როცა ვინმე გიყვარს (მე ჯერ ისევ კენტად ვარ). ქორწილი ეს ბედნიერებაა. MINI BOY.

• პირველ რიგში, საცხოვრებელ ადგილს იცვლი (გამონაკლისი მხოლოდ იმ შემთხვევაშია, თუ ქმარს ჩაისიძებ). ეს კითხვა ჩეემს დიდ ბიჭსაც (შეყვარებულს) დავუსვი და ახლა, ჩვენს ერთობლივ პასუხს მოგწერთ. რაც მთავარია, აღარასოდეს ვიქნებით მარტო, თავისუფლად გავანდობთ ერთმანეთს ჩვენს ტკივილსა და სიხარულს. ყოველთვის ერთად, ხელჩაკიდებულები ვივლით ყველგან. თუ ჩახუტება და ტირილი მომინდება, მას ჩავეხუტები. ქორწინების შემდეგ ყველაფერი ლამაზია. მთავარია, ეს სილამაზე დაინახო. P.S. ტირიფო და მგზავრო, დარწმუნებული ვარ, თქვენ უკვე დაინახეთ ეს სილამაზე. ლამაზ ცხოვრებას გისურვებთ! თქვენი ლუნა.

აპირებდნენ შებიჯებას. მარშან, 21 აპრილს ხელი უნდა მოეწერათ. მანამდე კი საბედისწერო, 19 აპრილი იყო. ამ დღეს ნიამ თავისი დისშვილი, 4 წლის თემიკო სკვერში გასართობად გაიყვანა. სანამ თემიკო ველოსიპედით სეირნობდა, ნია ლამაზ ოცნებებში ჩაიძირა, საიდანაც პატრულის გაბმულმა „სირენამ“ გამოიყვანა. ნიასთვის წამები გაიყინა. თემიკო გზის სავალ ნაწილზე გასულიყო და მისკენ თავაწყვეტილი მოჰქროდა პატრულადევნებული მანქანა. ნია ადგილიდან მოწყდა და ბავშვისკენ გაიქცა. ველოსიპედიანად მოსროლილი თემიკოს ბღავილი, ნიას დაზაფრული კივილი და მუხრუჭების შემზარავი ხრჭიალი ერთმანეთში აირია. თემიკო უმნიშვნელო ტრავმებით გადარჩა, ნია კი საავადმყოფოში მეორე დღეს მოვიდა გონს. იმ ღამით გამშრალი ტუჩებითა და მიმქრალი მზერით თავისი ცისფერი დღიური და კალამი მოითხოვა და მის ბოლო ფურცელზე კახასთვის ულამაზესი ჩანახატი ჩაწერა, რომელსაც „სევდიანი მონოლოგი“ დაარქვა. 21 აპრილის, გამთენიისას კი სიკვდილისგან სიცოცხლისკენ მიმავალი ბეწვის ხიდი ჩაუწყდა და მისი თითების სიცივეშეპარული სითბო კახას ათრთოლებულ თითებში ჩაიკარგა. ჩემო კეთილო მარი, ახლა მოგწერ ნიას ჩანახატს და მისი დაბეჭდვით დიდ მადლს იზამ, რადგან ნიას უკანასკნელ ამოსუნთქვას გააცოცხლებ:

„თითები მითრთის და არ მემორჩილება. გარშემო ყველაფერი არაამქვეყნიურ ნისლში იძირება და მხოლოდ შენს დაბინდულ, ლურჯ თვალებს ვხედავ, რომელიც სიყვარულის უფლებით იდუმალ სამყაროში მიმაცილებს, მაგრამ გზაგასაყართან ეს თვალებიც დაკარგავენ ძალას და აკრძალულ ზღუდეს მარტო გადავაბიჯებ. დაუმშვიდობებლად წავალ. ყოველ 21 აპრილს მოდი ჩემს საფლავზე და მომიტანე წითელი მიხაკების თაიგული. მზის ჩასვლის ხანს მოდი მხოლოდ, როცა შავ მარმარილოზეც აკიაფდება მზის სხივები. სასაფლაოზე სიჩუმე იქნება. მარადისობის საუფლოს კარი უხმოდ გაიღება და დაისის იდუმალი ნათება შენთან მომიყვანს ისევ ისეთს, როგორსაც სიცოცხლეში დამიმახსოვრებ. ნისლისფერ კაბაში მიხილავ, გვირილების გვირგვინით თავზე... რამდენიმე წუთში კი დაისი სულთათანას უკანასკნელ მინორულ აკორდს აიღებს და ისევ ჩემს სამყაროში დამაბრუნებს. გვირილების გვირგვინს დაგიტოვებ, სისხლისფერი მიხაკების სანაცვლოდ. მინდა გთხოვო: ყოველი წლის 21 აპრილს „ცისფერი დღიურიდან“ ამოხიე თითო ღექსი და მიხაკებთან ერთად მომიტანე. წლები გავა... ერთ დღესაც გათენდება აპრილის მზიანი დილა და დღიურში არც ერთი ფურცელი აღარ დარჩება, ამ „სევდიანი მონოლოგის“ გარდა. მაშინ სარკესთან მიდი და კარგად დააკვირდი საკუთარ თავს. გაოცდები, მთლად ვერცხლისფერი გექნება თმა. იმ 21 აპრილს სევდიანი მოხვალ... ღიმილით შეგხვდები. იმ დღიდან აღარასოდეს დაბრუნდები სასაფლაოდან სახლში. ჩემს სამყაროში გაჩუქებ ადგილს და სისხლისფერი მიხაკების მილიონ თაიგულს!“ ელექტრა“.

უდანაშაულო დამნაშავე

„ბორჯომი-თბილისის მატარებლით მგზავრობდა ერთი მოხუცი, რომელიც მგზავრებს თავის ამბავს უყვებოდა: „მრავალი წლის წინ, მე და ნოდარი, რომელიც ჩემი საუკეთესო მეგობარი იყო, ერთად ვისვენებდით სოხუმში. ოჯახებით ვმეგობრობდით, ამიტომ ნოდარის მშობლები სიხარულით დაგვთანხმდნენ, რომ მათი ვაჟი ჩვენთან ერთად წამოსულიყო დასასვენებლად. ზღვაზე კარგად ვერთობოდით და უკან დაბრუნებაც აღარ გვინდოდა. უბედნიერესი დღეები დაგვიდგა, მაგრამ არ გაგვახარა წუთისოფელმა. ერთ ავბედით დღეს ზღვაში შევცურე. უცებ ღელვა ატყდა და ტალღამ ჩამითრია. ნოდარმა დამინახა და ჩემს საშველად შემოვიდა ზღვაში, მაგრამ... მაშველები მოგვეხმარნენ და ტალღებთან ბრძოლით დაღლილი გამომიყვანეს ნაპირზე. გარშემო ხალხი შემომეხვია და სულ მალე ნოდარი დავინახე. დაღუპულიყო, საცოდავი... ეს ტკივილი მაშინ უფრო გამიმძაფრდა, როცა ნოდარის მშობლებმა ვაჟის გარდაცვალების შესახებ გაიგეს. მათ მიწასთან გაგვასწორეს მეც და ჩემი ოჯახიც. მე მაბრალებდნენ შვილის დაღუპვას. მათი შეშლილი სახეები დღესაც თვალწინ მიდგას. ნოდარის დაღუპვიდან ერთ თვეში თავის მოკვლაც კი ვცადე, მაგრამ გადამარჩინეს. ნოდარის საფლავზე ხშირად დავდიოდი. ერთხელ, იქ ყოფნისას მომისწრეს მისმა მშობლებმა. გამლანძღეს. ნოდარის მამა დამემუქრა, თუ კიდევ გაბედავ აქ მოსვლას, ჩემი შვილის ბედს გაგაზიარებინებო. მაინც ვერ შემაშინეს

მარცხენა მარჯვენის დედები — ოქროსფერია, მძე მარცვლებად გამოლო, ვიდრე ძმობა ჰარდაჰარ საქმეარეულოში მოხვედრა

და დღესაც ხშირად მივდივარ მის საფლავზე, რათა ჩემი ის დანაშაული გამოვისყიდო, რომელსაც ბრალად ნოდარის მშობლები მდებენ“. დამავოი“.

ზურგზე მოკიდებული

„ჩემი ბიძაშვილის ძმაკაცს ოჯახი დაენგრა. დიდი ძალისხმევისა და მცდელობის მიუხედავად, ვეღარ შემოირიგა მეუღლე და, ის იყო, მიემსგავსა მილეულ მთვარეს, უღელში მარტოდ შთენილი ბიჭი, რომ ჩემმა ბიძაშვილმა ბაზრობაზე გაისეირნა და ხალხის ნაკადში დალანდა ძმაკაცის ცოლყოფილი. არც აცია, არც აცხელა და სპონტანურად გადაწყვიტა, ძმაკაცს დახმარებოდა. მიიჭრა გოგოსთან, დააცხრა, როგორც მსხვერპლს, ზურგზე მოიგდო საწყალიო, ჩვენთვის კარგად ნაცნობ არაკში რომაა აღწერილი, ზუსტად ისე წამოიგდო ზურგზე და დააპირა გაქცევა, მაგრამ იქვე მდგომმა მანდილოსნებმა შეამჩნიეს რა ძალადობა, რა თქმა უნდა, მოისურვეს დახმარებოდნენ გოგოს და ყველა დამოუკიდებლად, მაგრამ შეთანხმებულებივით ერთ გუნდად შეკრულნი გარს შემოერტყნენ, მათ თვალში უსინდისო მოძალადეს და დაუშინეს ყველაფერი, რაც ხელში მოხვდათ. ამ სიტუაციის უფრო მეტად დრამატიზებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა იმან, რომ ჩემმა ბიძაშვილმა ქართული არ იცოდა და უშედეგოდ გაიძახოდა, ცოლი მიმყავს, ცოლიო. არადა, იმის თქმა უნდოდა, ძმაკაცის ცოლია, ჩემთვის კი არ მიმყავსო. მაშინ პატრული არ „ჰყვაოდა“ ჯერ და თვითონ მანდილოსნებმა აღკვეთეს ძალადობა. ერთი გემრიელად გაჩეჩეს ჩემი ბიძაშვილი, პანღურიც მიაყოლეს და გაუშვეს სახლში. მემე“.

ახალი კაბა

„დღევანდელმა თემამ ბავშვობის მოგონებები ამიშალა. ჩემს „პატარა ქალობაში“ მამამ დაბადების დღეზე საჩუქრად ნიკო ლომოურის „პაწია მეგობრები“ მომიტანა. წიგნის წაკითხვის შემდეგ ოცნებად მექცა მეგობრისთვის თავი გამეწირა. დედამ „მდუშებიანი“ (მაშინ ასე ვეძახდი) კაბა შემიკერა. ამ კაბაში გამოვეწყვე და მეზობელთან გავიქეცი, რომ ახალი კაბა მეჩვენებინა. მან კი მირჩია, როცა ახალი რამე გაცვია, სასაფლაოზე უნდა გაიარო და მკვდრები დაგლოცავენო. მეც ერთად წასვლა შევთავაზე. ამ წანწალში ვართ და მზეოს ფეხი გაეჭრა (ფეხშიშველები ვიყავით). დამიდგა თავგანწირვის დრო. ახალ კაბას ბოლო „რუში“ მოვახიე და მზეოს ფეხი შევუხვიე. იმ საღამოს კი დედის რისხვას და მამის შექებას ვერ გადავურჩი. თამრო“.

ქალის მსხვერპლნი

„5 წლის წინ, როცა ჯერ კიდევ „გეპეის“ სტუდენტად ვითვლებოდი და მენეჯმენტს ვსწავლობდი, ჩემს კურსზე ერთი მაგარი ნაშა სწავლობდა, რომლის გულისთვისაც ბიჭები რას აღარ ჩავდიოდით. ერთმანეთისთვის ცხვირ-პირიც კი დაგვინაყავს (ახლა ძმებივით ვართ). ჰოდა, ეს გოგოც ხან ვის კალთაში იყო, ხან — ვის. მეც მერგო რიგი და ყველა სურვილსაც ვუსრულებდი, თუმცაღა, როგორც გაირკვა, მას ჩვენი ჯგუფელი უყვარდა (აეჭვიანებდა, როგორც ჩანს). ჰოდა, ისიც გაირკვა, რომ ეს ნაშა ორშვილიანი, თანაც, არც მეტი, არც ნაკლები, „პრასტიტუტკა“ იყო. ეს ყველაფერი კი ძმაკაცმა გვითხრა და ასე გაწირა თავი (მერე იმ გოგომ ქვა უთავაზა). თქვენი MINI BOY. P.S. მართლა მინი კი არ ვარ“.

2 ბედნიერება

„ანის 18 წლისას ოქროს დაბადების დღე ჰქონდა. მთხოვა, ოღონდ წამოდი და ტაქსის ფული რომ არ დაგეხარჯოს, დედას ვეტყვი და ჯიპით მიგასისინებთ თემქაზეო (ჰმ, მიდი და ენდე საკუთარ დაქალს). საჩუქარიც ვიყიდე, ტაქსის ფულიც მივითვალე, გამოვიპრანჭე და წავედი. ცოტას ხომ არ ნიშნავს? თამადის მოადგილედ ვიყავი მიწვეული (ეეეჰ, ახალგაზრდობაში რა კარგად ვსვამდი?!). მივედით, მოვშინაურდით. დაახლოებით 2 საათში ტუალეტში გავედი, მაკიაჟის შესასწორებლად. ჩემმა პრანჭვამ 10 წუთს გასტანა. დავბრუნდი მაგიდასთან და კაციშვილი არ ჩანს. ანა კი საეჭვოდ დადიოდა მთელი საღამო აქეთ-იქით, მაგრამ თამადა სადღა წავიდა-მეთქი, კი გამიკვირდა. ოფიციანტების ფხუკუნი მომესმა. თვალი მათ მზერას გავაყოლე და გამოვშტერდი: ნინო დეიდა კიოდა, თან პატრულში რეკავდა და იყო ერთი ამბავი. თურმე

თუ ჭალის სძოლხარ, ეს იმას ნიშნავს, შენ მას ოყვარდი, ოყვარხარ და ეყვარები

მოკლე ჩართვა

რა იცვლება ქორწინების შემდეგ?

• ქორწინების შემდეგ ის იცვლება, რომ ზამთარში „გრელკის“ ნაცვლად ადამიანთან მოგიწევს ჩახუტება. კლეოპატრა.

• არის ასეთი გამონათქვამი: ქორწინებას განაპირობებს ინტერესი, რაც იმედგაცრუებით მთავრდება. :) ალბათ არის ამაში სიმართლე. ლი ჰარვი ოსვალდი.

• ჩემი დისა და სიძის მაგალითით თუ ვიმსჯელებთ, არაფერიც არ იცვლება. ისევ აღმერთებენ და აფანატებენ ერთმანეთზე. ვენაცვალე მაგათ, რატომ უნდა იცვლებოდეს საერთოდ რამე? უბრალოდ, ერთად ცხოვრობენ... შუზი.

• აუ, რა იცვლება? ხასიათი, ფსიქიკა და ბევრი რამე. უფრო საყვარელი ხდები, ითვალისწინებ სხვის აზრს. მოკლედ რომ ვთქვა, მოკლე ჩართვა ხდება. სატანა.

• უმეტეს შემთხვევაში, როცა კაცი ქალს თავისად დაიგულებს, ყურადღებას ადუნებს. აღარ არის ის რომანტიკა, ის სითბო, ის ყურადღება, სიურპრიზები და გრძნობაც ხუნდება, მაგრამ არა რა, სადაც ნამდვილი სიყვარულია და ნამდვილ კაცთან გაქვს საქმე (ქალთანაც, მარტო კაცებს კი არ ვერჩი), არაფერიც არ იცვლება და გრძნობაც მუდამ ხალასია. ყველას ასეთ ნამდვილ სიყვარულს გისურვებთ. შოკოლადა.

• საერთოდ, ამბობენ, ქორწინების შემდეგ გრძნობა უფერულდებაო. ნაწილობრივ მართალია. იმ ოჯახში, სადაც ერთმანეთის მიმართ უპატივცემულობაა, ვერ უგებენ ერთმანეთს, გაუფერულდება, აბა რა იქნება? მეორე მხრივ, სიცრუეა, რადგან თუ ადამიანი გულწრფელად გიყვარს, მაშინ სიყვარული მარადიულია. მე ვფიქრობ, ადამიანი ბოლომდე ვერ განსაზღვრავს ეს სიმართლეა თუ სიცრუე. ყველა იმას ამბობს, რის ბედქვეშაც არის. ასე რომ, თუ ღრმად ხართ დარწმუნებული სიყვარულში, ქორწინების შემდეგ გრძნობა კი არ უფერულდება, უფრო მუქდება. ლა-ლილა.

• დედამთილი გეყოლება, დედამ-თი-ლიი! მაგის მერე რაც იცვლება, ეგ უკვე მეორეხარისხოვანია. ფეშენა.

მოკლე ჩართვა

რა იცვლება ქორწინების შემდეგ?

• თითქმის ყველაფერი იცვლება. პირველ რიგში თავად მეორე ნახევარი და რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს, უმეტესად — უარესობისკენ. ბევრია უსიამოვნო სიურპრიზიც. გამიგია, შეგუების პროცესი საკმაოდ რთულიაო, მაგრამ გულის სიღრმეში მაინც მინდა მჯეროდეს ზღაპრის კეთილი დასასრულის. სხვაგვარად ცხოვრება აზრს დაკარგავს. სვანის ასული.

• იცვლება მხოლოდ სახლი, ადამიანები, ოჯახის წევრები, მაგრამ ზოგს ისეთი ბედი აქვს, რომ არაფერი იცვლება, რადგან კარგი ოჯახი ხვდება. ექსტაზი.

• რა იცვლება და�ა... აი, მაგალითად, კაცის ლექსიკონში ჩნდება ახალი წინადადებები: „ნასკი“ გამხადე ქალო (ან ჩამაცვი, რა ვიცი)“, „სადაა ჩემი პერანგი? შარვალი? „ნასკი“? „მაიკა“? აუჰ, საწყალი ცოლები. აი, ქალში კი ცვლილება ფიზიკურად ხდება. გააიბერებიან და ელოდებიან პატარას დაბადებას. ისე კი რა ჯობია ოჯახურ იდილიას? მართალი ხართ, არც არაფერი! დამავიო.

• რა იცვლება? ყველაფერი. სულ მეუღლეს უნდა შესაციცინო თვალებში და სხვაც ბევრი რამ. ასეა. მპუა. დიკი ანგელი.

• ქორწინების შემდეგ მთავრდება ზღაპარი და იწყება რეალობა და გაგიმართლათ, თუ რეალობა მეტისმეტად შორს არ არის „ზღაპრისგან“. სწორედ ეს მწარე რეალობა ანგრევს ოჯახებს (ალბათ, თორემ მე რა ვიცი, აბა?) ისე, სადაც ნდობა და ნამდვილი სიყვარულია, ქორწინება ცუდისკენ არაფერს შეცვლის. პრიქით. ჩუპი.

ჩემი უნამუსო დაქალი ადგა და ბათუმში გაიპარა, გათხოვდა. გული დამწყდა. თურმე, ჩემ გარდა ყველა დაქალმა იცოდა, რომ უნდა გაპარულიყო, მაგრამ ღამე რომ მომწერა, იმიტომ არ გითხარი, ვიცოდი, ინერვიულებდიო, ყველაფერი დამავიწყდა. P.S. რომ ჩამოვიდა და ვნახე, წუწუნებდა, იქ დაქალი რომ არ მყავს, მოვიწყინე, სულ მარტო ვარო. თავი გავწირე და ანის ქმრის მეჯვარეს (ანის მეჯვარე მე ვიყავი) მივყვები ცოლად. მეტი თავგანწირვა რაღა გინდათ?! ჭრიჭინა“.

მომტაცებელნი

„IX კლასში ჩემი ჯგუფელი ბიჭი სერიოზულად იყო შეყვარებული თანაკლასელ, ლამაზ გოგოზე და მიუხედავად დაოჯახებისთვის საჭირო პირობების არქონისა, სერიოზულად აპირებდა მის მოტაცებას. მამის მანქანით მის დახმარებას კი, ასევე ჩვენი კლასელი ნიკა აპირებდა და ხშირად აწყობდნენ გეგმებს, დიდი კაცებივით ისე, რომ მოსალოდნელ შედეგებზე არც ერთს უფიქრია, ბავშვური გულუბრყვილობის გამო. ერთხელაც, ნიკას სერიოზულად ვუთხარი, მოტაცება რომც მოახერხოთ, ხომ იცით, მაია არ დარჩება, გიჩივლებთ და თანამზრახველობისთვის კარგა ხანს მოგიწევს ციხეში ყურყუტი-მეთქი. ნიკას ძალიან უყვარს საკუთარი თავი და გაკვირვებულმა შემომხედა. მაგაზე არ მიფიქრია, ჩემი თავი მეცოდება, თან მამა გადაირევაო, უცებ გადაიფიქრა თავგანწირვა. ბიჭები გაიზარდნენ, დაჭკვიანდნენ, ახლა ოჯახზე სხვანაირი მოსაზრება აქვთ. სვანის ასული“.

მიტოვებული და მეგობრიანი

„ეს ამბავი ჩემს მეგობარს, ჯაბას ეხება. პაპანაქება ივლისია, მე ეროვნული გამოცდების ციებ-ცხელება მაქვს და ამ დროს ჩემმა მეზობელმა ცოლი მოიყვანა და ქორწილი ჩემი ბოლო გამოცდის წინა დღეს დანიშნეს (ეცლიათ ცოტა, მოუთმენლები). მე რა თქმა უნდა, ვერ მივდიოდი გამოცდის გამო (ვისაც „ეროვნულები“ ჩაუბარებია, გამიგებს). თან პირველი წელი იყო „ეროვნულების“ და ლომაიამ, აპა, თქვენ უნდა აჩვენოთ კლასიო და რა მექნა აპა, გამეცრუებინა იმედი კახუჩელასთვის? :) რას ჰქვია, არ მოდიხარო?! ამიჯანყდა სამეზობლო. შენ მაინც ჩააბარებო, მითხრეს ნამეტნავად დარწმუნებულებმა ჩემს შესაძლებლობებში. ჰოდა, დამითანხმეს (ცნობისთვის, იმედები გავუმართლე სამეზობლოს). წავედი ქორწილში, რომ არ წავსულიყავი, მთელი ცხოვრება ვინანებდი ალბათ. ნუ, როგორი დრო ვატარე, სხვა დროს მოგიყვებით, მაგრამ მთელი დღე რომ არ დავმჯდარვარ, ეს ფაქტი იყო. ზემოთ ხსენებული ჯაბა გვიან მოვიდა და ისე დათვრა, ბეჭზე გადაკიდებული წაიღეს შინ.

მეც ძლივს, 2 საათზე მივლასლასდი სახლში. ნუ, სიძე-დედოფალი წასულაო, რომ გავიგეთ, მოგვერიდასავით და იმიტომ. სამზე ძლივს დავწექი და როგორ გამეღვიძა დილით ახლაც მიკვირს. რეკორდული სისწრაფით ჩავიცვი და გავქუსლე გამოცდაზე. იქ რომ მივქლოშინდი და დავრწმუნდი, არ დამგვიანებია, მაშინ ამოვისუნთქე გზაში ჩასუნთქულმა და იმასაც მივხვდი, რომ მარტო ვიყავი. ნუ, თუ არ ჩავთვლით დედასა და დეიდას დატოვებულ ბარათებს, რომლებშიც წარმატებას მისურვებდნენ და პატიებას მთხოვდნენ, რომ ვერ მოვიდოდნენ (დილით მაგიდაზე დამხვდა და ჩანთაში ისე ჩავკუჭე, რეგისტრაციის დროს ძლივს წავიკითხე). ჩემი დები კიდევ, შუაგულ ძილში დავტოვე და როცა „პირდაპირი სტილიდან“ „ირიბში“ გადამყავდა წინადადებები (უცხო ენის გამოცდა მქონდა), ისინი ჯერ კიდევ ფერად სიზმრებს ხედავდნენ. ვიდექი ასე მარტო, უგულშემატკივროდ ამდენ ხალხში. თან ვლოცულობდი, ფეხზე არ ჩამძინებოდა. დაიწყო შესვლა. ჩანთა დაცვამ დაიტოვა, თან თანაგრძნობით გამიღიმა, არავინ გახლავსო? მოვლენ-მეთქი, დავაიმედე თუ თავი დავიიმედე და შევაღწიე, როგორც იქნა შენობაში. ვწერე, მაგრამ რა ვწერე?! ცალი ხელით ვწერდი, ცალით თვალის ქუთუთოებს ვეხმარებოდი, რომ არ დამხუჭვოდა და ამ გამწარებულ გულზე ოცი წუთიც მომრჩა. გავქუსლე გარეთ, რა მიმარბენინებდა ნეტავ? მელოდა ვინმე თუ რა? გავეშურე თავჩაღუნული, ჭიშკრისკენ. ათასი უცხო თვალი მიყურებდა ალბათ და ჩემი ახლობელი არავინ იყო. სწორედ ამ დროს გავიგონე განწირული ყვირილი, რომელიც აშკარად ყველას ხმას ფარავდა — შოშიაااა! ნაცნობმა ხმამ ზემოთ ამახედა და რას ხედავს ჩემი თვალები? ჯაბა (ისედაც ორმეტრიანია), შემაღლებულზე დგას და მთელი ხმით გაჰყვირის ჩემს სახელს. ვაიმეეე, თქვენ ხომ არ იცით, რა დამემართა. იმ დროს ყველაზე ბედნიერი ვიყავი მგონი, მსოფლიოში. თან შოკოლადასთან უშოკოლადოდ ხომ არ მოვიდოდა? ჯერ პირი ჩავიტკბარუნე, მერე ჩემი ჩაბარება აღვნიშნეთ, ყველა ჩემი საყვარელი ადგილი მოვინახულეთ და უძალიანმაგრესი დრო გავატარე. არც დაღლა მიგრძნია და აღარც ძილის სურვილი. P.S. არ ვიცი, ეს რამდენად არის თავგანწირვა სხვისთვის, მაგრამ ჩემთვის უფრო მეტიც იყო და სულ მემახსოვრება. P.S.S. გენაცვალე ჯაბუ, ყველაზე მაგარი მეგობარი, მეზობელი და ნათესავი ხარ, მსოფლიოში. შოკოლადა“.

სერენადა

„მეგობარმა, გოგო მომწონს, წამყევიო. უნდა გენახათ, ფანჯარასთან რა ლექსების კორიანტელი დავუყენე. იცით, რა საყვარლად გადმოეფინნენ ფანჯრებიდან მამა, დედა, თავად ის გოგონა, ბიძაშვილები და მეზობლები?.. მეც ვაქუხებდი — „მიყვარხარ ძლიერ, ძლიერ“... ოღონდ, უყვარხარ ძლიერ, ძლიერ, ასე ვუკითხავდი. ზუსტად 27 ლექსი წავიკითხეთ. არა, ხომ შეიძლებოდა, გავეძუყნეთ და რამე? ჯანდაბას, კიდევ ორი ნეკნი მაგრამ რათა, ჰა? არადა, დაბეჭდებული მაქვს, მასეთ სიტუაციებში რახი-რუხი გვერდებში. წასვლამდე მამამისმა გვითხრა, არ წახვიდეთ, გცემენ იცოდეთო. მე ვუთხარი, შენი ენა ეშმაკის ჩექმასთან-მეთქი და თან სამჯერ დავაკაკუნე. მაგიტომ გადავრჩით ალბათ. არა რა, მაგარი ხარ ჩემო თავო... 9717“.

გულისტკივილი

„ბავშვობაში ცოტა ამაყი და დიდგული ვიყავი და ეს შემთხვევა თავგანწირ-

ვად თუ არა, მეგობრისთვის გარჯად შეიძლება, ჩაითვალოს. პირველ კლასში მე და ჩემი დაქალი პირველად წავეკიდეთ ერთმანეთს. არ მინდოდა, მე გამომეჩინა შერიგების ინიციატივა და შესვენებაზე სამასწავლებლოსთან ცრემლი წამსკდა და ხელი მუცელზე მივიდე... რა გჭირსო? მკითხა მასწავლებელმა. — გული მტკივა, მა

„ნამდვილ მეგობრობას ვერაფერი დაამარცხებს!“

„ურთიერთობაში მთავარი ნდობა და ერთგულებაა...“

„გზის“ №51-ში დაიბეჭდა 16 წლის მავნეს მესიჯი. შეგახსენებთ, ის გვწერდა, რომ დაქალები „სასტავში“ ახალშემოსული გოგონას გამო დაკარგა. ნინომ მეგობრებს შორის შუღლი ჩამოაგდო, უნდობლობის მარცვალი დათესა და მიზანსაც მიაღწია — გოგონები ერთმანეთს წააჩხუბა, სამეგობრო დაშალა. „როცა გავაცნობიერე, რომ ნინო რაღაცას ურევდა, ვცადე, ყველასთვის თვალი ამეხილა, მაგრამ ამაოდ, მეგობრებმა არ დამიჯერეს და ისიც კი მითხრეს, რომ უნამუსო ვიყავი, რადგან მის „ღვაწლს“ არ ვაფასებდი... გული ძალიან მტკივა და აღარ ვიცი, რა ვქნა...“

ლიკა ქაჯაია



სალი 19:

„დიდი ხანია, „გზას“ ვკითხულობ და ერთი სული მაქვს ხოლმე, როდის მოვა ხუთშაბათი, რათა მისი კითხვით ვისიამოვნო, დავტკბე. მინდა, მავნეს ვუთხრა: თავს ნურაფერში იდანაშაულებ. შენ ყველაფერი გააკეთე მეგობრობის გადასარჩენად. დამიჯერე, მალე ისინიც მიხვდებიან თავიანთ შეცდომას და კვლავ ერთად იქნებით“.

შავი ვარდი:

„თუ მართლა ასეთი მეგობრები იყავით, ერთმანეთს რატომ არ ენდობოდით? რატომ აჰყევით ვიღაცის ჭორებს? თქვენი „სასტავის“ დაშლა თქვენივე ბრალია. შენი წერილიდან ნათლად ჩანს, რომ ნამდვილი მეგობრები არ ყოფილხართ, ყველაფერი ტყუილზე გქონდათ აგებული. თუ ერთმანეთი მართლა გიყვართ, დაილაპარაკეთ და ძველი ურთიერთობა აღადგინეთ. წარმატებები!“

სარვიეტა:

„იცი, რა უნდა გააკეთო? შეიკრიბეთ მეგობრები შენივე თხოვნითა და ინიციატივით, დაილაპარაკეთ მომხდარზე. ნუთუ, მხოლოდ სიმბოლური იყო თქვენი დაქალობა? ასეთი ძვირფასი და სამაგალითო მეგობრობა რატომ გაწყვიტეთ ნინოს გამო?.. აი, ეს ჩვენი რჩევებიც წაკითხე მათ და უთხარი, რომ ეს ამბავი მართლა მტკივნეულად განიცადე. კარგი იქნება, თუ ახალ წელს ერთად შეხვდებით. P.S. იმ ნინოს თმით ვითრევდი, ნიკოფსიიდან დარუბანდამდე, რა! მაპატიეთ, ბოლო დროს ჩემდა უნებურად, აგრესიულობას რომ ვიჩენ. მერწმუნეთ, ეს თავადაც არ მომწონს :))“.

ლუნა:

„ნინო შურიანი გოგოა და მისნაირი ადამიანებისგან თავი შორს უნდა დაიჭირო. მან არც მეგობრობის და არც სიყვარულის ფასი არ იცის. წინააღმდეგ შემთხვევაში, ასე არ მოიქცეოდა. ალბათ, არც თქვენი ურთიერთობა იყო მყარი, თორემ მას ვერაფერი მოერეოდა. სჯობს, ცოტა და ნამდვილი მეგობარი გყავდეს, ვიდრე ბევრი და ისეთი, რომელიც ზურგს უკან გჭორავს. ფარ-ხმალს ნუ დაყრი, მოინდომე, ეძებე და აუცილებლად იპოვი ნამდვილ მეგობარს. გკოცნი ბევრს!“

ჭრიჭინა:

„ოთხივე უნდა შეიკრიბოთ, თქვენი დანაშაული აღიაროთ და ერთმანეთს გულში მაგრად ჩაეკრათ. დაქალი ისეთი განძია, რომელსაც ვერასდროს ვერავინ და ვერაფერი შეცვლის. იმ წუნკალის გამო ერთმანეთი არ დაკარგოთ, მის პროვოკაციებს არ წამოეგოთ. დამიჯერე, საკუთარი გამოცდილებიდან გეუბნები, მეგობრების გარეშე არსებობა გაგიჭირდება. P.S. რუისპირო, გამომეხმაურე, რა, შენი ნომერი ვერ ვიშოვე“.

თოლია:

„ამ ურთიერთობის დანგრევაში დამნაშავე, პირველ რიგში, ნინოა, მან ამისთვის ყველაფერი გააკეთა. თუმცა ის, რაც თავად არ გინახავს და არ გაგიგონია, არც უნდა დაიჯერო. ჩემი აზრით, ძველი სამეგობრო უნდა შეკრიბო (რა თქმა უნდა, ნინოს გამოკლებით), დაჯდეთ, ერთმანეთს გულახდილად დაელაპარაკოთ, გული გადაუშალოთ და შერიგდეთ. ნინოს კი ღმერთმა ყველაფერი მიუტევოს. ეტყობა, მას თქვენი შურდა, მაგრამ აქვე გეტყვი: ნამდვილ მეგობრობას ვერაფერი დაამარცხებს!.. თუ ძალიან მოინდომებ, პრობლემა მოგვარდება. ღმერთი გფარავდეს!“

უცნობი:

„ნინო ბოროტი ადამიანია, რომელიც მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობს. ეცადეთ, მეგობრობა მის გარეშე გააგრძელოთ. დაქალებმა ერთმანეთის პატიება უნდა შეძლოთ“.

დიკი ანგელ:

„მათ უთხარი, რომ ყველაფერს ნანობ და მათთან ურთიერთობა გინდა, მაგრამ ბოლომდე არც ერთს არ ენდო. თუ გინდა, დამიკავშირდი და ვიმეგობროთ“.

სვანის ასული:

„მეც მყავს ჩემი ოთხეული. ერთმანეთისგან გარეგნულად და ხასიათით რადიკალურად განსხვავებულები ვართ. ჩვენი ურთიერთობის ძალიან შურდათ, გვჭორავდნენ, ზოგიერთი ბიჭი რიგრიგობითაც გვეპრანჭებოდა და ცდილობდა, წავეჩხუბებინეთ, მაგრამ ყველა ბარიერი გადავლახეთ და დღესაც ერთად ვართ. 2 დაქალი უკვე გაგვითხოვდა და დავნათესავდით კიდეც... საინტერესოა, ის გოგო რას გერჩოდათ? ალბათ, ბოროტი და შურიანია. ჰო, ეს მისი პრობლემაა, მაგრამ ამჯერად, დაზარალებულები თქვენ ხართ, რაც ყველაზე მთავარია, ერთმანეთის ნდობა დაკარგეთ, მაგრამ იმ ძველი კარგი დროის ხათრით, ბოროტის ჯიბრზე, ერთ-ერთმა მაინც გადააბიჯეთ სიამაყეს და მიეცით უკანასკნელი შანსი თქვენს სანიმუშო მეგობრობას. ერთხელ კიდევ შეხვდით ერთმანეთს, გულახდილად ილაპარაკეთ, აღიარეთ, რომ გიჭირთ ცალ-ცალკე ყოფნა და ვინ იცის, იქნებ გაბზარულის გამრთელება შეძლოთ კიდეც“.

ნაკო:

„ოჰ, როგორ მესმის შენი!.. მეც ანალოგიურ სიტუაციაში აღმოვჩნდი. ნინოსნაირი ადამიანები ავადმყოფები არიან, სხვების უბედურება უხარიათ. დაეცადე შენს მეგობრებს და თვითონ მიხვდებიან ყველაფერს, მერე კი შესაძლოა, მოგიბოდიშონ კიდეც. ეცადე, ამის გამო არ „დაიგრუზო“. თუ ნამდვილი მეგობრები არიან, დაგიბრუნდებიან“.

დამავიი:

„არ ვიცი, ნინოს რაში სჭირდებოდა თქვენი დაშორება. ალბათ, შურდა თქვენი მეგობრობის, ერთგულებისა და სიყვარულის. მავნე, ძალიან კარგი იქნება, თუ ერთმანეთს შეცდომებს აპატიებთ. ძველი მეგობრობის ხათრით მაინც, ეცადეთ, ურთიერთობა აღადგინოთ. თქვენ უერთმანეთოდ ყოფნა ყოველთვის გაგიჭირდებათ. წარმატებები!“

პუსი:

„ჯობია, შეიკრიბოთ და დაილაპარაკოთ ნინოს „გმირულ“ საქციელზე. თუ ასეთი მჭიდრო მეგობრობა გაკავშირებდათ, ცუდია, ისინი რომ დაკარგე“.

გრუზინკა:

„იცი, ჩემი აზრით, შენ ავადმყოფობა უნდა გაითამაშო. შენს დაქალებს გააგებინე, რომ ძალიან ცუდად ხარ და მათი ნახვა გინდა. არა მგონია, „ავადმყოფს“ (ჯვარი გწერია) უარი გითხრან. როცა მოვლენ, ეცადე, დამაჯერებლად, ფაქტებით ილაპარაკო. დაარწმუნე ისინი, რომ თქვენი დაშორება ნინოს ბრალია. ისე, ამას თავადაც მიხვდებიან. წარმატებები!“

მარიამი:

„გირჩევ, ის გოგოები ნახო, დაელაპარაკო და უთხრა, რომ თქვენ შორის ნინო ჩადგა და დაგაშორათ. წარმატებებს გისურვებ, ღმერთმა დაგლოცოს“.

რუსპირი:

„იმის მიზეზი, რომ ადამიანებთან კონფლიქტი გაქვს, შენი ბრალიცაა და იმ საზოგადოებისაც, რომელთანაც ურთიერთობა გიწევს :)). შენ დაქალობა „დამალობანას“ თამაში ხომ არ გგონია? დაქალობა მეგობრობას, მეგობრობა კი დობას გულისხმობს. დას არ ენდე და ვიღაც „გადამთიელის“ ლაპარაკის გამო დათმე მეგობრები?.. ყოველგვარ ურთიერთობაში მთავარი ნდობა და ერთგულებაა, არ უნდა ვირხეოდეთ ისე, როგორც ლერწამი ქარის დროს. დაელაპარაკე დაქალებს და იქნებ, შერიგდეთ“.

ზოკოლადა:

„არ მესმის, ადამიანებს სხვისი ბედნიერების რატომ შურთ? მგონი, ნინოსაც თქვენი დაქალობის შურდა და ეს ამიტომაც ჩაიდინა... ნუ დაიბოღმები, ჩემო კარგო, ეს ალბათ, თქვენი მეგობრობის გამოცდაც იყო, რომელიც ვერც ერთმა ვერ ჩააბარეთ. პატიება კი გვიანი არასდროსაა. ერთმანეთს დაელაპარაკეთ, პატიება სთხოვეთ და საკუთარ თავს დაუმტკიცეთ, რომ თქვენი მეგობრობა და სიყვარული შურსა და ბოროტებაზე მაღლა დგას. მთელი გულით ბედნიერებას და წარმატებას გისურვებ!“

სატანა:

„მართლა ცუდი სიტუაციაა. მეც გადავიტანე ასეთი ამბავი. მერწმუნე, ყველაფრისთვის დროა საჭირო. ნინოს გარდა, ყველანი უნდა შეიკრიბოთ და დაილაპარაკოთ. მას ალბათ, შური ამოძრავებდა და ეს უნდა გამოააშკარავოთ. ცუდად არ გამიგო, მაგრამ შენი მეგობრები ძალიან მიამიტები ყოფილან. საერთოდ კი, დიდი ხნის მეგობრობაში სხვას ცხვირი არ უნდა ჩააყოფინო. წარმატებები!“

ემო ანგელ:

„უთხარი მეგობრებს, რომ მათ გარეშე ცუდად ხარ. დარწმუნებული ვარ, მათაც ძალიან უნდათ შენთან შერიგება. წარმატებას გისურვებთ! მეგობრობაზე კარგი ამქვეყნად არაფერია. P. S. ისე, მგზავნელებო, მე ახალი ვარ და მიმიღებთ? ASHLEY PSD შენი გაცნობა მინდა“.

SK8ER BOY:

„გოგო, რას მიქვია, მეგობრები ახალმა დაქალმა ერთმანეთს დაგაშორათ? დაქალს, მეგობარს არ დაუჯერე და ვიღაც „გადაკარგულიდან“ მოთრეულს მიენდე? არა, იმას არ ვამბობ, რომ „სასტავში“ ახალი დაქალი არ უნდა მიიღოთ, მაგრამ პირველ რიგში, შენს მეორე მეს ანუ შენს დაქალს უნდა ენდო... შენივე მონათხრობიდან ჩანს, რომ თქვენი მეგობრობა ისეთივე „ფალში“ იყო, როგორიც ახლაა. თუ ერთმანეთს არ ენდობოდით, როგორი მეგობრები იყავით? ეცადეთ, შერიგდეთ, მაგრამ სიმართლე გითხრა, მგონია, რომ ამას აზრი არ აქვს. წარმატებები!“ ■

უცნობი:

„ბავშვებო, ყველას ძალიან დიდი მადლობა რჩევებისთვის. ჭრიჭინა, გაიხარე, შენი სიტყვები ისე მესიამოვნა, ვერ გადმოგცემ. გადარეულო, არ მიმაჩნია, რომ შენი შესაცოდი რაიმე მჭირს. მიუხედავად ყველაფრისა, საკუთარი თავი საცოდავ არსებად არ მიმაჩნია. დამავიი, გაიხარე. სიმართლე გითხრა, ბიჭის აზრი ძალიან მაინტერესებდა. სვანო, ლუნა, სვანის ასულო, მეამბოხევ, ძალიან მიყვარხართ... ჰო, დედა უკვე ვნახე და იცით, ვერაფერი ვიგრძენი, საერთოდ ვერაფერი. სიმართლე გითხრათ, არც კი შემეცოდა. გამაოცა მისმა სიმტკიცემ, ერთი წვეთი ცრემლიც არ გადმოვარდნია... ძალიან გთხოვთ, ამ ნომერზე: 8(98) 31.33.58 მომწერეთ, რა. ჭრიჭინ, ძალიან გამახარე, თუ დამიმესიჯეს. უღრმესი მადლობა“.

ჰაწკუ:

„ლიკა, ადრე შეგვპირდი, „გზა“ 2010-ში 10 წლის ხდება და საახალწლოდ ჩვენს კულისებში ჩაგაჭყიტებთო. ჰოდა, იმედია, პირობა არ დაგვიწყნია. ხომ მალე ვიხილავთ იმ ადამიანის სახეებს, რომლებიც ჩვენი გულის გასახარად ყოველდღე, თავდაუზოგავად შრომობენ, რათა ხუთშაბათს „მუცელი ამოგვიყორონ“. აბა, გელოდებით სულმოუთქმელად. კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ჩემ სახლში :)). ყველანი მიყვარხართ, გაიხარეთ“.

მარიამი:

„მოგესალმებით ყველას. ძალიან მინდა, ცოტა ადამიანს დასჭირდეს ჩვენი დახმარება, მაგრამ ვიცი, კაცობრიობას პრობლემა არასდროს გამოელევა და ლიკაც ამ რუბრიკას კიდევ დიდხანს შემოგვთავაზებს. მადლობა ჟურნალის რედაქტორსა და მთელ კოლექტივს, რომ ჩვენზე ზრუნავენ და ბევრ რამეში გვეხმარებიან. „გზა“ მართლა ძალიან მიყვარს. ლიკა, ალბათ, როგორც მესაფლავე ნატრობს ბევრ გარდაცვლილს, ისე შენც ბევრი გაჭირვებული ადამიანის არსებობას ნატრობ, არა :))? ეს ხუმრობით, ისე კი ვიცი, რომ სხვისი უბედურება ნამდვილად არ გახარებს, პირიქით, ყველაფერს ძალიან განიცდი... „გზას“ ვუსურვებ, 2010 წელს ტირაჟი გაორმაგებინოს, 2011-ში კი ყველა რეკორდი მოეხსნას. გკოცნით“. ■

„დახმარებას ულამაზესი გოგონას სიცოცხლის გასახანგრძლივებლად ვითხოვ...“

შევჩენკო ირაკლი:

„გამარჯობა, ძალიან გთხოვთ, დახმარებას და რჩევების მოცემას ნურც ჩემთვის დაიზარებთ. მე პატიმარი გახლავართ, ქსნის მეშვიდე კოლონიაში ვზივარ. სულ რამდენიმე წელი დამრჩა მოსახდელი, მაგრამ გარეთ გამოსვლა ძალიან მეჩქარება. რატომ? — გარეთ შეყვარებული მელოდება, რომელიც ცუდადაა და მინდა, მთელი დარჩენილი ცხოვრება მის გვერდით გავატარო. მას თავში სიმსივნე აღმოაჩნდა და გუშინ ოპერაცია გაუკეთეს. მითხარით, რა უნდა მოვიმოქმედო, რომ ციხიდან დროზე ადრე გამოვიდე? მე ხომ ამ ჯოჯოხეთიდან თავის დაღწევას მხოლოდ საკუთარი თავისთვის კი არა, ერთი ულამაზესი გოგონას სიცოცხლის გასახანგრძლივებლად ვითხოვ. მჯერა, თუკი ერთად ვიქნებით, ვერაგ დაავადებასაც აუცილებლად დავამარცხებთ!“

*P.S. **მაშ ასე, თუ შევჩენკო ირაკლის წერილის წაკითხვის შემდეგ, მასთან დაკონტაქტების სურვილი გაგიჩნდებათ, დაგვიმესიჯეთ ტელეფონის ნომერზე: 8.58. 25.60.81. მას თქვენი დახმარების იმედი აქვს.***

მობილი-ზაცია

იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი „მობილი-ზაციაში“ მოხვდეს, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა GZA გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრიბოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოგზავნოთ ნომერზე: 8884. ჩემს მობილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ: ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ვრცელი მესიჯის გამოგზავნა გსურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ.

ქალები

1. ქართული, ტრადიციული ოჯახის შექმნის მსურველი მამაკაცი შემორჩა კიდევ ვინმე? თუ ასეა, 38 წლის მანდილოსანი თქვენს მესიჯს დაელოდება. სცადეთ.

2. ვარ 18 წლის. მსურს ოჯახი შევქმნა. დამიკავშირდით მაღლები. დიკი ანგელი.

3. ოჯახურ სითბო-სიმყუდროვეს არ ვეძებ და სამაგისოდ ნურავინ მომწერთ. მხოლოდ მგზავნელების გაცნობა მინდა! ნიკი მიაწერეთ, ოლონდ. ფეშენა.

4. გავიცნობ ყურადღებიან, სიყვარულს მოწყურებულ, შეძლებულ მამრს, 40-45 წლამდე. სასურველია, ჰყავდეს მანქანა.

5. ჩემი სახელია ინგა. ვარ 30 წლის, გასათხოვარი გოგონა. ვცხოვრობ რაიონში. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 40 წლამდე ასაკის მამაკაცს.

6. უმშვენიერეს და მიმზიდველ საქალბატონეს სურს ოჯახი შექმნას. არის კი დღეს 40 წელს ზემოთ მყოფი, ქართველი, ნამდვილი ვაჟკაცი მამაკაცი, რომელიც მის გულს დაიპყრობს?

7. გავიცნობ 35-40 წლამდე ასაკის, განათლებულ მამაკაცს, რომელიც ჩემსავით მოწყენილი და მარტოსულია. ვარ 32 წლის, სიმპათიური, ფილოლოგი. სოფო.

კაცები

8. ვარ 33/195/82. სერიოზული ურთიერთობისთვის გავიცნობ მანდილოსანს.

9. ურთიერთობის სტატუსის დაკონკრეტება ბანალურად მეჩვენება. დამეკონტაქტოს ქალბატონი, რომელსაც უყვარს ფილოსოფია, როკი და აკრძალული ხილი. შტაინერი.

სხვადასხვა

• მე უშუალოდ რომ გავლანძღო ადამიანი, იმის მერიდება, თქვენ კი მთელი ქვეყნის გასაგონად აფერადებთ ერთმანეთს, ნაირ-ნაირი სიტყვებით. ჯობია, პირადად ისიყვარულოთ ან ზრდილობიან ფარგლებში შეამკოთ ერთმანეთი. ამდენი ხანი თვალს გადევნებთ. ბოლოს, ლანძღვაში გამარჯვებულს გამოგაცხადებთ. ალინა.

• ერთი სუპერგოგომ ამიხსნას, სიტყვა ძუნა რას ნიშნავს? ალინა.

• რომ დაიძინებ, გთხოვ, სარკმელი დატოვე ღია, დავემსგავსები მე შენს გამო უნაზეს ნიავს, ჩემს სათუთ სიტყვებს შენ მოისმენ ძილის წინ ლოცვად, თუ ნებას მომცემ, მე გაჩუქებ მხოლოდ ერთ კოცნას, მერე კი აღარ შეგაწუხებ, შენ ახლოს ყოფნით, რა დაშავდება ჩემო კარგო, ღამეულ კოცნით? სოფი19.

• გარეთ ცივი ქარი ქრის და წვიმის წვეთებს მინაზე ანარცხებს. საწყალი წვეთები ისე საცოდავად მიცოცავენ შუშაზე, თითქოს მეხვეწებიან, სკარლეტ, შემოგვიშვი, გვცივაო. ეს წვეთები ერთ გასაოცარ ადამიანს მაგონებს. ადამიანს, რომელიც ჩემთვის ყველაფერია. სულ ცოტა ხანია ვიცნობ, მაგრამ უკვე დავკარგე. თუმცა, მისგან ბევრი ტკბილი მოგონება დამრჩა. სულ მახსენდება, როგორ დავდიოდით წვიმაში ზღვაზე, როგორ მიკითხავდა საკუთარ ლექსებს, რომლებიც მისი სულივით წმინდა და მისი ლურჯი თვალებივით ღრმა იყო. მერე? მერე ჩემი სისულელით ბევრი ცუდი რამ გავაკეთე. რომ იცოდეს, როგორ ვნანობ, როგორ მენატრება... ვიცი, არ მაპატიებს და ამას არც ვთხოვ. ვიცი, რომ ჩემმა ხასიათმა დაღალა. უბრალოდ, მინდა იცოდეს, რომ ვნანობ და ძალიან მიყვარს. სკარლეტ.

• მე ვარ ის ქალი, შენ რომ ეძებდი, ის ქალი, შენ რომ გიცდიდა თავისი ცხოვრების ცრემლიან გზაზე. მე ვარ ის სიო, შენ რომ გაგრილებს, ის ნაკადული, წყურვილს რომ გიკლავს. მე შენი ცელქი, ანცი გოგო ვარ, შენ რომ არასდროს არ მოგასვენებს. შენ ის ხარ, მე რომ მეძებდა, საჩუქრად მარტობისას ჩუმად რომ მინატრა. შენ ბეღურა ხარ, მე თავშესაფარი და სიყვარულის შენი დარაჯი. ტირიფი73.

• არა, გეხუტე, ახალი ვარ, სულ ცინცხალი. შენი მესიჯები მაგრად მომეწონა. მაგრად ნერ ხოლმე, გაიხარე! აქ ჩემი სახელი შეცდომით წერია. ტელეფონმა გაჭედა თუ რა ხდებოდა, არ ვიცი. მე თიკუნია999 ვარ და თიკუნია77 წერია.

• ჩემო პატარა გიგუნია, შენს დედიკოს ენატრები ძალიან. გაკოცე ბევრი. ჩემი სიხარული ხარ. დედი, შენი ხმა რომ მესმის, როგორ მეტიტინები ტელეფონზე, ვგიჟდები. თქვენი თიკუნია999.

• ხალხო, რა ამბავია? რა იყო, რა შეჭამეთ ერთმანეთი? რა სიტყვების კორიანტელია?

ყურადღება! გთავაზობთ სიმბოლოებს, რომლის მიხედვითაც „მობილი-ზაციისთვის“ გამოსაგზავნი მესიჯის ტექსტი უნდა აკრიბოთ. ეს განსაკუთრებულად ეხება საბერძნეთში მცხოვრებ მგზავნელებს, რადგან მათი მესიჯების გაშიფვრა ძალიან მიჭირს. მესიჯი, რომელიც ამ წესის მიხედვით არ იქნება აკრებილი, არ გამოქვეყნდება!

ა — a	მ — m	ღ — gh
ბ — b	ნ — n	ყ — y
გ — g	ო — o	შ — sh
დ — d	პ — p	ჩ — ch
ე — e	ჟ — zh	ც — c
ვ — v	რ — r	ძ — dz
ზ — z	ს — s	წ — w
თ — t	ტ — t	ჭ — wh
ი — i	უ — u	ხ — x
კ — k	ფ — f	ჯ — j
ლ — l	ქ — q	ჰ — h

სუპერგოგო, რა ამბავია, თავი სად გგონია? რა სიტყვებს წერ? არ იცი, რომ მილიონობით ადამიანი კითხულობს შენს ნაწერს? ცოტა ზრდილობიანად წერე, თუ წერ. თავი დაანებე სხვის ლანძღვას და თავს მიხედე, სუპერგოგოვ. თიკუნია999.

• აუ, რა მაგარია ნინი შერმადინი. ყოველ პარასკევს დიდი განცდებით ველოდებით მე და ჩემი ქალბატონი (ანუ, ვისთანაც ვმუშაობ). ჩემზე უფრო ის განიცდის და იძახის, ნეტავ გაიმარჯვოსო. ნინი, ყველას ძალიან გვიყვარხარ, ბერძნებსაც კი. წარმატებებს გისურვებთ. თიკუნია999.

• ხუთი წელია, საბერძნეთში ვარ. რამდენი ტანჯვა მაქვს გადატანილი, ვინ იცის. ახლა კი მინდა ჩემი ჭირისა და ლხინის გამზიარებელ ოჯახს საბერძნეთში, აგურიდა ხასალამბოს შვილებს, სიძეებსა და შვილიშვილებს მივულოცო ახალი წლის მობრძანება. მინდა ვუსურვო ჯანმრთელობა და ულევი სიხარული.

• ლ.77, ღმერთმა დაგლოცოს. ძალიან კარგ მესიჯებს გზავნი. თან ყოველთვის თბილსა და სასიყვარულოს, მაგრამ ერთი რამ მაინტერესებს, სახელს ხშირად რატომ იცვლი? მართლა კეთილი ადამიანი ხარ.

• ლ.77, თითქმის ყველა შენი მესიჯის საიდუმლოს ვხვდები. დაიმახსოვრე, სულით ბინძური არასდროს გასუფთავდება. ნაგავი ნაგვად დარჩება. შენ კი მართლა სუფთა სულის ხარ და ღმერთი არ მიგატოვებს. ბრალი იმას, ვისაც ღმერთი დაივიწყებს. უცნობი74.

• ლ.77, მინდა შენთან მეგობრობა და თუ სურვილი გექნება, შემეხმიანე. შენი ჩათვლით ერთ თბილ და კეთილ მეგობარს შევიძენ. მართლა მსურს შენთან მეგობრობა. ღმერთი შენკენ. ბ.გ.

• ქარის მოტანილი რა მაქვს, რომ უკან გავატანო ქარს? ჩემი სიყვარული თვითონ შევქმენი და როგორ გავატანო სხვას? შენი სიყვარულით გამთბარი მივეკედლები სხვას. მე ხომ მაგ თვალების მჯერა და როგორ დავუჯერებ სხვას? ქარის მოტანილი არ ხარ და რატომ გაგატანო სხვას? სოფი19.

• ნუ, მოკლედ, ამ ბოლო დროს მარიამული საერთოდ აღარ მიბეჭდავს გზავნილებს (თუ მიდის საერთოდ). მომენატრეთ. კამ-კამა.

• თქვენი ჟურნალის ერთგული მკითხველი ვარ. რამდენი ხანია, თვალს ვადევნებ ორი ქალბატონის მესიჯებს. ოსი ლია წერდა, ბერძენი მამაკაცი გავლახე იმისათვის, რომ ქართველებზე თქვა, ვერ ვიტანო და ვიღაც თამრომ გალანძღა, როგორ დაარტყი მოხუცებულსო. იმ ბერძენ კაცს დაურტყამს იმ ოსი ლიასთვის ხელი და იმანაც დაარტყა. ნეტავ ვიცოდე, რას ექომაგება, ის თამრო ბერძნებს, ან რატომ ლანძღავს ოს ლიას? იქნებ ისიც უთხრას, წადი შენს ახალგორში, ისიც ოსეთიაო? თამროსნაირ ადამიანზე იტყვიან ხოლმე, არამკითხე მოამბეო, მიტყიპე და მიაგდეო. გთხოვ მარი, ნუღარ დაუბეჭდავ ასეთ უსამართლო ადამიანს მესიჯს, როგორიც თამროა. თბილისი, თ.რ.

• თქვენ გწერთ თამრო ათენიდან, ოს ლიასნაირ ტუტუც ხალხს როგორ უბეჭდავთ მესიჯებსო? ახლა მე მოგმართავთ მარი, თამროსნაირ ტუტუცს მართლა როგორ უბეჭდავთ მესიჯებს, ოს ლიას რომ სწერს, წადი შენს ოსეთშიო. თანაც, ცხინვალშიო. ოსმა ლიამ კარგად მისწერა, უწიგნური რომაა მართლა და ვერ გაუგია, ცხინვალი ოსეთია თუ საქართველოს მიწა.

• მარი, როგორ ხარ, საყვარელო? მომენატრე! ეჰ, რა არის, ყველას რომ დავავიწყდი? პირადზეც თითქმის არავინ მწერს. არადა, როგორ მიყვარხართ?! ნეტავ, სადმე რამე შემეშალა? არავის მოკითხვა-მოფერება-მილოცვა-ჩახუტება რომ არ მავიწყდება? არც არავის კამათ-ლანძღვაში ვერევი... არ ვიცი, არ ვიცი... ეს კიდევ არაფერი. ნეტავ, სულ რატომ კამათობენ? რამ გააბოროტგააღიზიანა ეს ხალხი (ყველას არ ვგულისხმობ)? აქაურობა ადრე გაცილებით ლამაზი იყო. ძველებო, დაბრუნდით და გაახალისეთ აქაურობა, რაა! მე კი რა ვიცი, წავალ, წავალ და შორიდან მოგეფერებით... ენიგმა, ASHLEY, 9717, დუჩ, ჩუპ, გრუზ, ლუნა, კამი, ლიმონ, GREEN, SWEET, პარი, კამ-კამ, ოლე, ნიკოლ, მანაველ, კანიბალკა, ედელვაის, აბეზარ, მაესტრო, სუპერსთარ, ლი ჰარვი, უზნეო, იდუმალ, სევდიან, ჭრიჭ, კოზა, ნონ სტოპ, იკუშკები, იკჩო, ვერმახტ, როკო, პავლიკ, ფელამუშ, ათენი-23, ილინი, ლორელაი, ეშმაკუნა, ლელუჩია... მარი და ლიკა მიყვარხართ და მუდამ მეყვარებით, მართლა! სულ მემახსოვრებით. გაკოცეთ უამრავი! თქვენი CRAZY GIRL.

• ქალო, სირცხვილია, შინ შედი, ნიავი ურცხვად გეხება და გლოკავს. ქალო, ეგ ღიმილი, ჯოკონდასებური, ვიღაცას ქუჩაში მოკლავს. ნიავი გიწეწავს ფაფუკ თმის ღერებს, ვნებამორეული გსინჯავს, ქალო! სირცხვილია, ყელს როგორ იღერებს მაგ სავსე გულ-მკერდში ჭინკა. როგორ სვამს ეშმაკი, ურქო და უკუდო, ბადაგით სავსე ფინჯანს, ქალო, სირცხვილია, დახარე ქუთუთო, შიშველი თვალები გიჩანს! 9717.

• ბერძნებს ისეთი ადამიანები ექომაგებიან, რომლებიც ფულის გამო ყველაფერზე წამსვლელები არიან. სინამდვილეში ყველამ იცის, როგორც გვექცევიან. გაჭირვებისაა, ჩვენი აქ ყოფნა. ლ.ა.

• რა დამაძინებს, რა დამაძინებს, უსაშველოა წუხილი ჩემი, შენი თვალების ზღვაში ჩავძირე, იმედისა და ოცნების გემი. ვერ დამათრობდა მე ვერც თამადა, ერთი შეხედვით, შენ რომ დამათვრე, რატომ შემხედე ასე თამამად, თვალები რატომ შემომანათე? მას შემდეგ ჩემთვის ყველგან ღამეა და ყოველ წუთას უფრო ღამდება, ჩემი სიმღერა განა რამეა? ოღონდ ეგაა, არ დაბერდება. რა დამაძინებს, რა დამაძინებს, უკვე მეძინა მე ჩემი წილი, მაგრამ ამ მიწას ვიდრე ვამძიმებ, არ გეღირსება შენც მშვიდი ძილი! ლუნა.

• თენგო ჯაყელიძეს მინდა ვუთხრა, რომ ჩემზე მუქარებსა და თაღლითობას შეეშვას. არ მეშინია მისი მუქარების. ბედნიერებას ვეღარ ეღირსება. თუ სურვილი აქვს, სითბომ და სიყვარულმა კვლავ დაისადგუროს მის გაყინულ ოჯახში, თავი დამანებოს.

• უი, მართლა, მოკითხვა ჩემს კარგ მეზობელს, სოფი19-ს. ხალხოო, კი, მეზობლები ვართ, ჟინვალი ხომ კახეთის გარეუბანია, არა? მეზობლები? დაუე ნათესავებიც ვართ. დედაჩემი და დედამისი ქალები არიან და ხომ გამოვდივართ ნათესავები? ნუ, ახლა, ადამი და ევას მხრიდან ხომ საერთოდ, რა... ჰაეროვაან, რათ დამეკარგე, ჰა? მომენატრე, შე გიჟო. 9717.

• ქარი მძვინვარებს, ეხეთქება ხეებს დაჭრილი... უკიდეგანო სიშავეში ცა იკარგება... მე უსაშველო მოლოდინით გადავიღალე, ალბათ მუდმივი ზამთარია, ჩემი განგებაც... შიშველ ტოტებში ჩაიკარგა მაისის სითბო... აღარც მე გელი სიშორიდან, აღარც შენ მიხმობ... და მიიცვლება რიჟრაჟისგან დაჭრილი ქარიც, ზეცა დასტირებს უნუგეშო ცრემლებს დააყრის, ალბათ სინათლე ეღირსება ამ სულსაც ბოლოს, ზამთარიც გავა, რომ დაბრუნდე, ამას გთხოვ მხოლოდ... მარ, ეს ლექსი ამწამს დავწერე და შენ გეძღვნება. თუ ცუდია, ბოდიში. უბრალოდ, შენ მოგიძღვნი. ASHLEY.

• ოსი ლია რაღაცას იტყუება და მისნაირებს სჯერათ. ამპარტავნობას თავი დაანებეთ და იმ საქმეს მიხედეთ, ფულს რისთვისაც გიხდიან. მაგ ლიას მოსამსახურე რომ ჰყავდეს, ბერძნებზე უარესად მოექცეოდა. მაგისთანები არიან, ბერძნებს ქართველები რომ შეაძულეს. გმადლობთ, თქვენი ჟურნალისთვის. ათენი.

• ცოლიან კაცს ვხვდებოდი. მინდოდა, თავიდან მომეშორებინა, მაგრამ მისი მუქარის მეშინოდა. ძალიან ცუდად მექცეოდა, კოშმარად მიქცია ცხოვრება. მისგან დავფეხმძიმდი, მაგრამ აბორტი გავიკეთე. ხალხო, მე დედა ვეღარასოდეს გავხდები. ექიმმა მითხრა, თუ ამ ბავშვს მოიშორებ, ვერასოდეს დაფეხმძიმდებიო. მაინც მოვიშორე... ქეთი...

• მაარ, მომენატრე! მე ვარ მეე, შემომიშვი გზავნილ-იორკში, გთხოვ. დღეს ნამეტანი სენტიმენტალურ ხასიათზე ვარ. თქვენი მონატრების ბრალია. მინდა, ყველა მოგიკითხოთ და გთხოვ, მომეცი ამის საშუალება. ეს ახლები ხომ მთლად გულს ხვდებიან, ჭკვიანები და დასაფასებლები არიან ნამდვილად (ნუ, ვინც ბევრს არ ილანძღება), მაგრამ ის ძველი ხალხი მინდა ისევ! მათთან მართლა ძალიან ახლო ურთიერთობა მქონდა და საშინლად მენატრებიან. მინდა სესი, პარიჟანკა, ილინი, კანიბალკა, პავლიკა, პენსიონერი, ბაო-ბაო, კაკუ, ლეო91, ნელკა, ჩუქჩა, სტიქია, მაზოხისტკა, ისტერიჩკა, ბერბიჭა, ჯონი დეპი, მგელო, ჩორი, იკჩო, თაისი, შეწირული, ბოხო, სიკვდილა, ჭრიჭინა, პია, ელისო, ნინო-მილანი, ლილუ-19, გველი-16, მზე, როკო, ლელუჩია, მაესტრო, სუპერსთარი, ზაზუნა22, ლიმონა, 9717, ენიგმა, კამელია, ანარქია, ფელამუშა, საჩალელი, დუჩი, ჩორტიოზნაეტი, ზმიზმი, კოხი, ლორელაი, რუსკა, მანაველი, ჩუპი, მის13.07, ჰუსსიკა, მამაცი თოჯინა, გიჟპოეტა, იკუშკები, მგლის და, CRAZY GIRL და ა.შ (ვიცი ბევრი გამომრჩა და მე მაპატიეთ), მუდამ აქ იყვნენ. გთხოვთ, რომ არ დაივიწყოთ ერთი ძალად უდარდელი, მხიარული და თქვენზე შეყვარებული გოგონა. ყველას, ყველას გისურვებთ, რომ ბედნიერი შობა-ახალი წელი გაგთენებოდეთ! მე კი მარ, როგორც კი გამოვკეთდები, დაგიბრუნდებით მაშინვე, სამ-

უდამოდ! მიყვარხართ მარ, მართლა ძალიან მიყვარხართ. ნიკოლი.

• აუ მარ მოგიკითხე და პასუხი მომწერეოო?! შემშურდა აბეზარასიიიი... :-) მეც მინდა.

• აუ, მარ, სიზმარში რომ გნახე, იციიი? აუუ, რა მლანძღეეეე?! გამასწორე მიწასთან. რას მერჩოდი, გოგო, შენეე? ა? გეფიცები, დღევანდელი „გზა“ შიშის კანკალით გადავშალე, მეთქი ეგაა და გლახად ამიხდა სიზმარი და მომკვეთა მარიმ „გზავნილებიდან“- მეთქი, მააარა არაა, აქანე ვარ, ბატონო და მართლა არაფერი დააპიროთ, თვარა ვერ გაუძლებს ჩემი სუსტი გული ამდენს და მომიწევს ჩაპრანჭულსა და გულზე ხელებდაკრეფილს „სპალნიადან“ „ზალაში“, ნიკალას დროინდელი „ლუსტრის“ ქვეშ გადასახლება. ა, მოდით მერე, ვისაც არ დაგეზარებათ, გაიშალეთ თმა და დამიტირეთ ჩემი ცოცხალ-მკვდრიანად. :) დამავოი.

• მიყვარს ნაბიჯი დარხეული და წარამარა, მიყვარს ვარდები, ოღონდ თეთრი, წმინდა, ხალასი, შენს სადღეგრძელოს ვიმეორებ მარად და მარად, როდესაც ღვინით აივსება საჩემო თასი. ირიბად დავალ, ჩემი ლანდი ბარბაცით დამდევს, ცა სისხლისფერად შეიღება, როგორც იარა, ჰო, მე ოდესმე მოვიპარავ თოვლივით ვარდებს და შენს სახლის წინ თავს მოვიკლავ, ვარდებიანად... სალომე22, უმაგრესი ადამიანი ხარ, ლამაზი ლექსი იყო. მართლა ტკბილია სამშობლო. 9717.

• როცა დაშორდი შენ საქართველოს, დაკარგე ძალა და მადლი მისი, შენ გირჩევნია შენი ღარიბი, ვიდრე მდიდარი ქვეყანა სხვისი. ჯობს ღარიბობა შენს სამშობლოში, ჯობს რომ გესმოდეს ენა ქართული, ო, ისე სწრაფად მიფრინავს წლები, თითქოს თამაშით იყო გართული. როდესაც გახდი შენ ემიგრანტი, შევიწროება იგრძენი მაშინ, უცხო კანონებს ემორჩილები, დადიხარ, როგორც დასჯილი ბავშვი. შენს ქვეყანაში შენ ფრთები გესხა და პატრიოტი ქართველი გერქვა, შენ იქ შეგეძლო შენი ლექსები, ხალხის წინაშე ხმამაღლა გეთქვა. შენ ასე შორსაც სულ გეყვარება, შენი მთები და შენი ბუნება, რაც მთავარია, გემახსოვრება, ენა, მამული, სარწმუნოება... თუმცა დაშორდი შენ საქართველოს, არ დაგიკარგავს შენ მადლი მისი, მას ურჩევნია ეგ შენი სევდა, ვიდრე ღიმილი ვიღაცა, სხვისი. გულს ნუ გაიტეხ, ქართველო ქალო, ბავშვობა კვლავაც განმეორდება, ნაცნობი ბაღი და საქართველო, ნაცნობ ვარდებით დაგელოდება... სალომე, ულამაზესი ლექსია, ძალიან მომეწონა და ანი ემიგრანტების სადღეგრძელოს დალევისას ყოველთვის ვიტყვი ამ ლექსს. ძალიან კარგი ადამიანი ჩანხარ, გაიხარე და ნუ მოიწყენ. 9717.

• გამარჯობა მარიკუნა. რომ მიყვარხარ, უკვე იცი. მარ, „მობილი-ზაცია“ რატომ აითვალწუნე? „გაცნობის“ რუბრიკას შენი სიახლეები აკლია. არადა, მარტოსულების ცხოვრებას ლამაზ წუთებსა და იმედს ჩუქნიდა. ახლა გამოგზავნილი მესიჯი არ იბეჭდება, ზოგჯერ ნომერსაც ვერ გაიგებ. ვიცი, იდეების უშრეტი წყარო ხარ. მიაქციე ყურადღება და გაალამაზე ეგ რუბრიკა. მგონი, ეს ბევრი შენი მკითხველის აზრია. დატრიალდი, ჩემო კუდრაჭავ და შენი ლამაზი ხელი დაატყვე „მობილი-ზაციის“ ამ ნაწილს.

• ASHLEY, დაი, პირადში არა, მაგრამ აქ ხომ გიცნობ? ვიცი, როგორი ადამიანი ხარ და არ მომწონს, ჩემიანებს რომ ცუდად ეპყრობიან. ეს სამეული გულის ამრევიაა... თოლია.

• ენიგმა, ნუ მაეჭვიანეეებ... ნიკი ეწერა. ეტყობა, ბოლომდე არ წაგიკითხავს. არა უშავს... გკოცნი ბეევრს. ჩემი სიცოცხლეები ხართ. ლიმონ, სად წახვედი, ანგელოზო? გაკოცე. თოლია.

• ვაჰ, კაცოო, გიყურებთ და თმა ყალყზე მიდგება (აფსუს, სურენას გაკეთებულო პრიჩოსკაავ)! ჯერ ვიღაც გააბოზეთ, ახლა მისტერს უბურღავთ ტვინს... მაპატიეთ და, ვინ გხმარობთ, რომ ყვირით? მისტერს თუ ჯანსაღი წარმოდგენა არ აქვს ქალებზე, რა თქვენი საქმეა? ვინც პასუხი გასცა, მის მესიჯს, სწორედ მასეთები გოიმდებიან ყველაზე იოლად! ან ASHLEY თუ ბოზი და თახსირია, თქვენ რა? სამაგიეროდ, პატიოსანი გოგონები ხომ გყავთ, გაპარებულები რომ სხედან „გზავნილების“ პრეზიდიუმში? ეს აქ არიან წყნარად, თორემ აბა რამე მოვიდეს?! „მარტო ვარ, ვიყინები, მოდი, მომეფერეს“ რამდენი სწერს ასევე მგზავნელ ბიჭს? წაგვლეკეს ვითომ პატიოსნებმა, ანანისტებმა და კაცზე დახამებულებმა! სერიოზული გარღვევა გაქვთ ხალხო, შეგნებაში! მე პატიოსნებას ცოტა სხვა კრიტერიუმით ვაფასებ. არავის გავკიცხავ, მაგრამ ტალახს რომ ისვრით გამალებულები, თავადაც გემრიელად ღრუტუნებთ და მგონი ეგ ტალახი თქვენ უფრო გამოგადგებათ. სხვისი შეხედულებებისა და პირადი ცხოვრების ჩხრეკას თავი დაანებეეეთ! თეთრი ყვავი.

• ზოგ-ზოგიერთებს ძაან ვთხოვ, თეთრი ყვავის და დანარჩენი მგზავნელების სახელით ნუ მეჭორავებიან. საკმაოდ ჯანსაღი იუმორის გრძნობა მაქვს, მაგრამ ეგეთი რამ მგონი ხუმრობა არაა... უჰ, არ აღმაშფოთ-შემაშფოთეს, კაცოოო?! SWEET-GIRL.

• მააარ, უუუძალიანესად გამიხარდა შენი შეფასებები „ოდნოში“ და აბეზარას ნათქვამზე გამახსენდა, შენ რომ პირველად მომწერე. მახსოვს, ბულვარში მოვდიოდი, მაესტროსთან და ვერმახტთან ერთად. გავჩერდი და... ბიჭებო, მარიმ მომწერა-მეთქი. მერე ხელის კანკალით გწერდით პასუხს... მერე რამდენ ხანს ვინახავდი შენს მესიჯებს?! მაშინ ეს ყოვლად წარმოუდგენელი და მაგარი გრძნობა იყო... ახლა კი... ახლა უკვე მიჩვეული ვარ. :) ის ერთი მესიჯი კი ახლაც მაქვს, ამ ზაფხულს შენი ნახვა რომ გვინდოდა მე, მაესტროს და სუპერსთარს და ბულვარში გამოსვლა გთხოვეთ, შენ კი — ჩემთან ამოდით, სახლშიო... ჩვენ მოგვერიდა, შენ კი გვაფიცე, გიჟები ხომ არ ხართ, თუ მართლა გიყვარვართ, მესტუმრეთო... ამის შემდეგ უარს როგორ გავბედავდით? და ჩვენც ამოვცუნცულდით. ჯერ შენი ოპელიჩი ავაჭყვიტინეთ და ჭორიკანა მეზობელი გამოვახედეთ, მერე მაესტროს ველიკი ძლივს ავათრიეთ მეორეზე და შენთან დიიდხანს ვიჭუკჭუკეთ. ეეეჰ, შემომაწვა ნოსტალგია. იცი, რა ძაან მიყვარხართ? უუუსაზღვროდ და უკიდეგანოდ. SWEET-GIRL.

• თაზო, ყველაფერი მალე კარგად იქნება. რაც გითხრას შენმა ადვოკატმა, მაგას მოუსმინე, ეგ შეძლებს შენს დახმარებას, დეიდა. გთხოვ, დაწყნარდი და ნულარ ნერვიულობ.

• შოთა ტყეშელაშვილს: ძალიან ვნერვიულობ, მართლა მიჭირს უშენოდ. ახლა ხომ კარგად მიხვდი, მთავარი როლი ვინ ითამაშა ამ საქმეში? გული მწყდება, არ გეკუთვნოდა.

• შოთიკო, ჩემო სიხარულო, ძალიან მიყვარხარ და მენატრები. მართლა მიჭირს უშენოდ. გული დამწყდა, შენებმა იმ ქალს რომ დაუჯერეს. იმედს ნუ დაკარგავ. მიყვარხარ. ე.კ.

• მე პირველად ვამესიჯებ „გზაში“. კითხვით კი ყოველთვის ვკითხულობ და ძალიან მიყვარს. იმედია, ბედი გამილიმებს და გამომიქვეყნებ. მომდევნო ნომერს დაველოდები.

• ზარების გუგუნი ისმოდა ზეციდან, ტაძარში იწვოდა ათასი სანთელი, თქვენთვის ლოცულობდნენ პატარა სანთლები, გფარავდეთ წმინდა ბარბარეს სახელი! გაკოცეთ ყველას. ედელვაისი.

• ციკო, შენი ნომერი აღარ მაქვს და გთხოვ, შემეხმიანე. ნონა, გაბედნიერებას გილოცავ, მთელი გულით! მოვიკითხავ 9717-ს. სად დამეკარგე, ჰა? მიყვარხართ ყველა. მანაველი.

• შოთიკო, ნეტავ როდის გავა 9 თვე? მენატრები ძალიან. შენი ნახვა მინდა. იქნებ რამენაირად შევძლო. ძალიან ბევრი მაქვს სალაპარაკო. თავს გაუფრთხილდი. ძალიან მიყვარხარ.

• აქ იყო დიდი გზაჯვარედინი,/ გზაჯვარედინთან შენ გედგა ოდა,/ და შენ არ გღლიდა ჩემზე ლოდინი,/ რადგან ყველა გზა აქ მოდიოდა./ ბევრი ვიარე, ბევრი ვეცადე/ და იგი მოხდა, შენ გსურდა რაიც,/ შენს გზაჯვარედინს ვერ გავეცალე/ და ბოლოს შენთან მოვედი მაინც. დეჟ-ა-ავიუ.

• პაწუ17-ს: შენ ვინ ხარ და საიდან გაიჩითე? მე არ ვამესიჯებ, მაგრამ ერთგული მკითხველი ვარ „გზის“. აქ ბევრი უზნეო ადამიანი ამესიჯებს და მათ შორის ძაან ცოტაა სულით ლამაზი. შენ ვინ მოგცა უფლება, იდუმალ ქალს ასე რომ ეუზრდელები? თუ ამჩნევ, რომ ეგ ქალბატონი არავის საქმეში არ ჩარეულა არასდროს და შენგან განსხვავებით, უაზრო კომენტარებს არ აკეთებს. ის სიკეთესა და სიყვარულს აფრქვევს და მისი გადასაწყვეტია, ვინ ესიმპათიურება და ვინ — არა. შენ კი დააყენე ერთი ადგილი და უმიზეზოდ ნუ აყენებ ხალხს შეურაცხყოფას. შენს სიტყვებს დაუკვირდი და მიხვდები, რომ თავად ხარ ძუკნა. რაო, გეტკინა? სხვებსაც ასე სტკენ გულს! ლუკა.

• იდუმალ ქალს: სიყვარულის ანგელოზო, ბრწყინავ, როგორც მზეო, რა იქნება სიხარულო, დამიმესიჯეო, შენი ლამაზი სიტყვებით გული ამივსეო, წუთიერი ეს ცხოვრება გამილამაზეო.

• იდუმალ ქალს: შენს ლამაზ გულში ანგელოზს ვხედავ, მე შენი მსგავსი ვერ ვნახე ვერსად, არ შეგეშინდეს არაფრის

ქვეყნად, მე შენზე ჩუმად ვლოცულობ ღმერთთან. თაყვანისმცემელი.

• უკვე ვეღარ ვიომენ. თქვენი პირადული ლანძღვა და ურთიერთუთანხმოებები პირად ნომრებზე მოაგვარეთ. აქ არ გვჭირდება ლანძღვის კორიანტელები. მუდამ თქვენი კოზანოსტრა.

• ჰოოდა, ვეცი „გზას“, თან გამწარებული ვეძებ მიშკას ან ჩანახატს ან ლექსს, მაგრამ... გავპლუტდიი... არაფერიც არ არის. 9717, დაწერე რაა. ისე ძაალიან მინდა შენი გაცნობა.

• დათას: ჩემს უფლებებზე ნუ ვილაპარაკებთ. შენ თუ საქვეყნოდ თავმოყვარეობის შელახვა, დამცირება მოგწონს, მე მაპატიეთ მაშინ! იდუმალს: ჩემი დონის ვერც გახდები. პაწუ-17.

• ASHLEY PCD, შემოგევლე შენ, სიტყვაპასუხიანობაში. :) ასე გააგრძელე. თეთრო ყვავო, „ნახმარზე“ მე გავიფიქრე, შენ კი აზრი დააფიქსირე. გენაცვალე შენ. პაწუ17.

• ძუკნების არა, :) ძუკნის! აუ, თუ არც ვარ სოფლუშკა, გოშია, ლაწირაკი, რა... არ გავკარი შენს სუპერგოოობას? მარტოსულს შეეშვი! შე მართლა გომბიოო. ვსო. პაწუ17.

• ცუდი ადამიანი არ ვარ და არც არავის ვერჩი, მაგრამ სხვას რომ ამცირებენ და შეურაცხყოფას აყენებენ, ეს ვერ ამიტანია და უნებლიედ ვილანძღები მეც. პაწუ17.

• მისტერ, ვერ გაგაგებინე, რისი თქმა მინდოდა. მესიჯი ბოლომდე არ დაიბეჭდა. როცა შეყვარებულს უწოდებ, ეს ბევრს ნიშნავს და არ უნდა უღალატო. დებილი თვითონ ხარ. პაწუ17.

• მაინც ვერ გავიგე, ვინ რას ერჩის შენს საქალწულე აპკს, ჩემო ASHLEY PCD? ვისი რა საქმეა, მთელი გაქვს თუ განახევრებული? პაშლი ვსე კ ჩორტუ! მეთანხმები? პაწუ17.

• ფეშეენ, ოქრო ხარ, ოქროო. იასამანო, შენს არომატზე მაბოდებს. ირმა91, გაიხარე! ASHLEY, მე და შენ რევოლუციური აზრები გვიღიტინებს და რაი გედეგვეკიდა გოო, ეე ნაგლი? ბერბიჭა.

• თოლია, „გზაში“ უამრავი დედალი ამესიჯებს და მხოლოდ შენ მოახდინე ჩემს მესიჯზე რეაგირება. იცი, ეს რაზე მეტყველებს? იმაზე, რომ ალბათ იმ 90%-ს „გზიდანაც“ ჰყოლია წევრი და შესაბამისად, სიტუაციის სწორად გაანალიზებისა და აღქმის უნარი, ამ ზამთრის ტემპერატურის მსგავსად, მინუსებამდეა მასში დასული. ლაღ ფრენას გისურვებ. მისტერ.

• გოგუნი, შენი P.S.-ით ნათქვამი ჩემი და ენიგმას ერთიანობა ისეთივე საფუძველ მონგრეულია, როგორიც ჩემი სახლის სადარბაზო. ასე რომ, მცდარი მოსაზრებებისგან დატვირთული ჯერ კიდევ ახალგაზრდა ტვინი გაათავისუფლე, რადგან ჯანმრთელობისთვის საზიანოა. ისე, ჩემი შენდამი გამეტებული მზრუნველი სიტყვები დასაფასებელია. მისტერ.

• ოე, ASHLEY, არ მიმასუნინებ და არც მინდა. სამაგიეროდ, მე მიგასუნინებ და დოპინგად გამოგადგება. ბერბიჭ, არ მოკეტავ? სოფი19, შენ ვიღას დაეკარგე? ნაგლი.

• გამარჯობა, მარი. :) „გზას“ ყოველთვის ვყიდულობ, მაგრამ მოუცლელობის გამო თითქმის ვერასდროს ვკითხულობ. ჩემი ნიკია სპეცნაზი. ჩათიდან თუ ვინმე მიცნობს, მოვიკითხავ.

• ჩემდა საუბედუროდ (თუ საბედნიეროდ), ღორის გრიპი შემხვდა. ჰოდა, „გზის“ უამრავი ნომერი გადავაბულბულე და თქვენს ძველ და ახალ თემებზეც ბევრი ვიღრუტუნე. :) სპეცნაზი.

• SWEET-GIRL, ამ ქალუკას განსაკუთრებით მოვიკითხავ. SWEET-GIRL, 1-2 თვის წინ ჩათში გაგიცანი. შენ აღარ გემახსოვრები დაი, მე კი მახსოვხარ. სპეცნაზი.

• ახლოს რომ გიცნობდე, იქნებ სულთა ნათესაობა დაგვედგინა და იქნებ მემღერა კიდეც, გულმა გული როცა იცნო... ჰაა, ენიგმავ? მანამ კი: ღამე არის მთვარიანი, თოვლიანი... მემე.

• და რჩება ხმად მღაღადებლისად, უდაბნოსა შინა. ადამიანებო, ქართველებო, ღვთისშვილებო, რა გვჭირს ასეთი, რომ აგრესია სჯობნის სიყვარულს? პირადად მეც მჭირს იგივე... მემე.

• შოთიკო, ხომ იცი, თამუნა ძალიან გააქტიურდა. არადა, შენი საქმე მაგათმა გააფუჭეს. ალბათ მოელის რამეს შენგან. მაქსიმალურად იყენებს შენს დას. მე მივხედავ მაგას. ე.კ.

• ბერბიჭ, იღბალი გქონია, სხვა ვინღა გინდა ჩემს მეტი? თუმცა, ცდილობენ ჩვენ შორის ამოსვლას მწარე ეკლები, ვიცი, მხოლოდ მე გიყვარვარ, არა მესამე, ზედმეტი. ცხრათვალა.

• ბერბიჭავ, ლტოლვა შენდამი, მექცა იდეა-ფიქციად, შენა ხარ, ვინაც სამყარო, ედემად გადამიქცია. ჩემს არსებაზე ვრცელდება, შენი იურისდიქცია. ცისია. გაკოცე სიყვარულითაო.

• დიდ მადლობას მოგახსენებ, ჩემს დაიკო იასამანს. შენი ხიბლი ალამაზებს, გზავნილეთის ფერთა გამას. თუ ბერბიჭამ ხელი არ მკრა, მე ვიქნები თქვენთან მარად. ცისია.

• ხალხო, დამეხმარეთ, 2 წელია გათხოვილი ვარ, შვილიც მყავს და ისევ პირველი სიყვარულის გამო ვიტანჯები. ისევ ის მენატრება, ისევ მასზე ფიქრში თენდება ღამე. ინკოგნიტო.

• შენ ვერასდროს დამივიწყებ, გპირდები. ნუ ეცდები მოსვლას, მე დავბრუნდები და გაგიღიმებ. GREEN GIRL.

• მარტოობა დღეს თუ არ შემშლის და უშენობას დღესაც თუ ვძლიე, მაშინ ხვალ მოვალ და თვითონ გეტყვი, რომ შენ მიყვარხარ, ყველაზე ძლიერ, მე გადავლახავ ჩემს სიამაყეს და როცა შენზე ფიქრები მოთოვს, მე ალერსიან, ვნებიან ღამეს, მოვალ და ჩემს წილ სიყვარულს მოგთხოვ, კვლავ აფეთქდება სიტყვა რითმებად, ჟამია თრობის და თაფლობისთვის, მე შენი ნახვა ისე მჭირდება, როგორც ჰაერი არსებობისთვის და ეს სიტყვები, ღამე ნათევი, თვით სიცოცხლეზე ალბათ მეტია, შენზე ფიქრებში ჩაქრა სანთელი, შენი თვალები ჩემთვის ღმერთია და მარტოობა დღეს თუ არ შემშლის, ხვალ ალბათ მოვალ, მოგიტან იებს, შენ ვერ მოითმენ და თვითონ მეტყვი, რომ მე გიყვარვარ ყველაზე ძლიერ! ყველა მიყვარხართ, ძალიან კარგები ხართ. მე ახალი ვარ. ციცი-კლარა.

• SWEET, მე სულ მახსოვხარ, ჩემო ტკბილო. კანიბალკა, დეე, ზაგარი მომენატრა. შენ არა? დუჩი, გამოჩნდიი. შოკოლადას ვააკოცე. ეშმაკუნა მიყვარსო გულში. :) GREEN GIRL.

• ფეშენ, მარი ჩემს ერთ სერიოზულ თემას არასერიოზულად მოექცა და ჯერ მონელების პროცესში ვარ. ჩემი გამოჩენა დროის საკითხია. (სიმართლე გითხრათ, არ ვიცი, რას გულისხმობს, — ავტ). უთქვენოდ ღმერთმა ნუ მაცოცხლოოოს. ენიგმა.

• გიჟუნიავ, როგორ მენატრები, ნეტავ იცოდე. ნუ გეშინია, იმედია, რაღაც გვეშველება. არ გაგვწირავს ბოლომდე ღმერთი. თვალცრემლიანი აღარ განახო. მიყვარხარ ძალიან. გკოცნი. სუსუ.

• ჭკვიანად იყავი, არაფერი იჯავრო, არ ინერვიულო. ადრე თუ გვიან ყველაფერი მოგვარდება. სამწუხაროა, ლობიანები არ გიჭამია. ელენე.

• ფეშენ, როგორ გამახარეე?! მეც ვგიჟდები შენს გამორჩეულ გზავნილებზე. SWEET GIRL, სიხარულო, შენი გზავნილების სანდრაბუსში კითხვა და 5 კრუგი ჩემზეა. გაკოცეთ. ელექტრა.

• ალეკო ჯიხვაშვილო, ჩემო სიხარულო, როგორ მომენატრე... იმედია, მალე განახავ. ქეთათო.

• თაზო, წერილი და სურათები გამოგიგზავნე. შემპირდნენ, მალე მიუვაო. აბა, შენ იცი, გაითვალისწინე ჩემი თხოვნა. ბევრს გკოცნი. უზომოდ მენატრები. შენი დაიკო, ხათუნა. გკოცნი.

• იქნებ მომწეროთ, როგორ მოვხვდე „მობილი-ზაციაში“?

გილოცავ!

• წეროვანში, ჩემს მონატრებულ შვილს, მაია სარმანიძეს ვულოცავ დაბადების დღეს, 26 დეკემბერს. ჯანმრთელობას, ბედნიერებას და ულევ სიხარულს გისურვებ შვილო, შენს ოჯახთან ერთად. გფარავდეთ უფალი და დედის ლოცვა. მიყვარხართ და მენატრეებით. შენი ტანჯული დედა.

• 26 დეკემბერს დაბადების დღეს ვულოცავთ ჩვენს ლამაზ და საყვარელ მამიდას, მაია სარმანიძეს. ვუსურვებთ ჯანმრთელობასა და ულევ სიხარულს. სულ ასეთი ლამაზი ყოფილიყავი, ჩვენო საყვარელო მამიდა. ნათია, მარი, ირინა სარმანიძეები.

• 26 დეკემბერს არაგვისპირში დაბადების დღეს ვულოცავ ჩემს საყვარელ შვილიშვილს, ლეილა მჭედლიშვილს. ვუსურვებ ჯანმრთელობას, ულევ სიხარულსა და ლამაზ ბავშვობას. გფარავდეს უფალი, ჩემო სიხარულო. ნათელა ბებო.

• 23 დეკემბერს დაბადების დღეს ვუ-

ლოცავ ლიკა ზაგაიძეს, სიხარულით, სიყვარულით და დიდი მონატრებით. სულ ია-ვარდით მოფენილი ყოფილიყოს შენი ცხოვრების გზა.

• საბერძნეთში დროებით მცხოვრებ ზაირა ფუაევს ვულოცავთ 23 დეკემბერს, დაბადების დღეს. ყოფილიყოს ჯანმრთელი და გახარებული, ცხოვრების მანძილზე. მისი სამეგობრო წრე უსურვებს მალე საქართველოში დაბრუნებას. გკოცნით და გეფერებით.

• შვილო, გიორგი-ბუბუ მსხვილიძევ, გილოცავ 20 დეკემბერს, 5 წლის იუბილეს. გამეზარდე, დამიბერდი სასახელო კაცი. უფალმა დაგლოცოს, დედის იმედო. ყველას ამაგი დაუფასე. ეკა.

• თიანეთში აჩიკო დოლიაშვილს ვულოცავ დაბადების დღეს. ვუსურვებ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და ულევ სიხარულს, ოჯახთან ერთად. დიდი მონატრებით და სიყვარულით, მარიკა.

• მინდა, ახალი წლის მობრძანება მივულოცო ჩემს ოჯახს, სორმონში. ჩემს თვალით უნახავ შვილიშვილს, მაიკო ჭელიძეს. მშობლებს, თამაზ და ლოლა ტყეშელაშვილებს. ასევე კეთილ ნათესავებს. მაია ჭელიძე.

• ლელა მინაძეს ვულოცავთ დაბადების დღეს. დაესწარი მრავალს, შენს ლამაზ ოჯახთან ერთად. გფარავდეს უფალი. ია, ირინა და მაყვალა.

• თბილისში ეკა ბიგანიშვილს, 31 დეკემბერს ვულოცავ დაბადების დღეს. იყავი მუდამ ჯანმრთელი და გახარებული. იცოდე, მუდამ შენ გვერდით ვარ და ვიქნები. შენი დეიდაშვილი, ლამზირა.

• ეკა ბიგანიშვილს 31 დეკემბერს ნანა დეიდა ულოცავს დაბადების დღეს. ეკა, შვილო, გისურვებ ჯანმრთელობასა და ბედნიერებას. მრავალს დაესწარი, საყვარელ ხალხთან ერთად. შენი ნანა დეიდა.

• მინდა დაბადების დღე მივულოცო თელავში, ჩემს რძალს, მაიკო რევაზიშვილ-არაბულს. გისურვებ ჩემო გოგო ყველაფერს საუკეთესოს, ცხოვრებაში. სულ გახარებული მენახე, შენს ქმარ-შვილთან ერთად. ყოველი მეორე დღე ბედნიერების მომტანი იყოს თქვენთვის. უფლის წყალობა არ მოგკლებოდეთ. თამრიკო.

• ჩემს მონატრებულ შვილებს, თეონა და მანუჩარ კაკაბაძეებს ვულოცავ დამდეგ შობა-ახალ წელს. გისურვებთ ჯანმრთელობასა და ბედნიერ ახალ წელს. თქვენი დედიკო.

• ბაღდათში, როხში შობა-ახალ წელს ვულოცავ საყვარელ და მონატრებულ ოჯახს. მეუღლეს ოლეგს, შვილებს — კახასა და ხათუნას, რძალს — ანას, სიძეს — ლაშას. შვილიშვილს, ბებოს სიხარულსა და სიყვარულს, პატარა თეკლას. მრავალს დაგასწროთ ღმერთმა. მზია.

• ჩვენს რძალს, სოფო ურიდიას, 21 დეკემბერს ვულოცავთ დაბადების დღეს. სოფო, გისურვებთ ჯანმრთელობას, სიხარულსა და გახარებას, შენს ოჯახთან ერთად. ასევე გილოცავთ წმინდა ნიკოლოზობას. შენი მული და მულიშვილი.

• 19 დეკემბერს, წმინდა ნიკოლოზობის დღეს დაბადებულ ლელა სანაიას ვულოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ ჯანმრთელობას, სიხარულს, სიყვარულს. სულ გახარებული გვენახეთ. ასევე გილოცავთ წმინდა ნიკოლოზობის დღესასწაულს. გფარავდეს ღმერთი. დედიკო და დაიკო.

• ზაკაიძე მარიამს ვულოცავ დაბადების დღეს. გისურვებ ჯანმრთელობასა და ბედნიერ მომავალს. გფარავდეს ღმერთი. იხარე, დედიკოსთან და მამიკოსთან ერთად.

• სალოცავში წადით და დაანთეთ სანთელი, უკუნეთი თქვენთვის მუდამ, ყოფილიყოს ნათელი, გზაში ყველა თქვენ გლოცავდეთ, გამომვლელი, გამვლელი, წმინდა ნიკოლოზის მადლი იყოს თქვენი მფარველი. ნიკოლოზობას გილოცავთ, მგზავნელებო. შოკოლადა.

• ვანში დაბადების დღეს და ბარბარობას ვულოცავთ ციალა ფერაძე-ხარაბაძეს. იყოს გახარებული, ჯანმრთელი და ბედნიერი, საყვარელ შვილებთან, შვილიშვილებთან და შვილთაშვილებთან ერთად. გახარებული იყავი მთელი ცხოვრება. გფარავდეს უფალი. შვილები და შვილიშვილი.

• ბაჩუნა სოხანეიშვილს მონატრებული სიყვარულით დაბადების დღეს ულოცავს მამიდა, მარინა. სიხარულო, სითბოთი და სიხარულით სავსე ცხოვრება გქონოდეს. მინდა იყო ბედნიერი, შენს მშობლებთან ერთად. მუდამ გფარავდეს ღმერთი. გაიხარე, შენი კარგი ადამიანობით გვეამაყოს.

• მარინა ჩეჩელაშვილს ვულოცავ დაბადების დღეს, საყვარელ ოჯახთან ერთად. ინეზა და ბესო.

• თომა ქედელიძეს ვულოცავ დაბადების დღეს, 22 დეკემბერს. გისურვებ ულევ ბედნიერებასა და სიხარულს. ჭიკჭიკა.

• ათენში დროებით მყოფ ინგა ფორჩხიძეს ვულოცავ დაბადების დღეს. გისურვებ მანამ სიცოცხლეს, სანამ დიოდეს რიონი, სანამ არ დაინგრეოდეს, დიდი მთა, კავკასიონი. ინეზა.

• მინდა, მამიდას სიხარულს, ანზორიკა ცერცვაძეს მივულოცო დაბადების დღე, 12 დეკემბერი. გაიზარდე სასახელო ვაჟკაცი, გაახარე ყველა შენიანი. მამიდა ქეთინო.

• 14 დეკემბერს მინდა დაბადების დღე მივულოცო ჩემს უსაყვარლეს დისშვილს, ლედი ჯანელიძეს. გისურვებ ყოველივე საუკეთესოს. შენი დეიდა, ქეთინო.

• სოფელ თეთრიწყლებში ჩემს საყვარელ რძალს, მაიკო არაბულს ვულოცავ დაბადების დღეს, 21 დეკემბერს. გისურვებ ჯანმრთელობასა და გახარებას, საყვარელ ოჯახთან. თამრიკო.

• ზარების გუგუნი ისმოდა ზეციდან, ტაძარში იწვოდა ათასი სანთელი, შენთვის ლოცულობენ პატარა სანთლები. გფარავდეს წმინდა ბარბარეს სახელი.

• ბაღდათში, ჩემს ძმისშვილს, თეონა გოცირიძეს ვულოცავ დაბადების დღეს. მენატრები, ჩემო ჭკვიანო გოგო. გკოცნი. გამოვასწორებ, რაზეც დაგწყვიტე გული. შენი გაუხარებელი მამიდულა, მარინულა.

• მინდა, დაბადების დღე მივულოცო ჩემს მონატრებულ შვილს, თეონა კაკაბაძეს. დაესწარი დედიკო მრავალს, გისურვებ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, ლამაზ სიყვარულს. გფარავდეს უფალი. ძალიან, ძალიან მენატრები. შენი დედა, მარინა.

• ლუკა ახვლედიანს ვულოცავ დაბადების დღეს და ბარბარობას. ღმერთი გფარავდეს. გაიზარდე დიდი ბიჭი. ნანა ბებო.

• ხარაგაულში, სოფელ ისლარში, კაკო ჭიპაშვილს ვულოცავთ დაბადების დღეს, 15 დეკემბერს. ვუსურვებთ დაოჯახებასა და უფლის წყალობას. ვოვა და მიშიკო ხიჯაკაძეები.

• თაზო, გილოცავ დაბადების დღეს! გისურვებ ჯანმრთელობას, ლამაზ და ბედნიერ ცხოვრებას, შენს ლამაზ ცოლ-შვილთან ერთად. მრავალს დაესწარი. უფალი არასდროს დაივიწყო.

• თაზო, დაბადების დღეს გილოცავ, ღმერთმა დაგიფაროს ყველა განსაცდელისგან. მალე ბედნიერი მენახე, შენს ოჯახთან ერთად. ზოია.

• ჩემს უსაყვარლეს ბიძაშვილს, ირაკლი ხელაძეს ვულოცავ დაბადების დღეს, 24 დეკემბერს. ყოველივე საუკეთესოს გისურვებ. შენი მამიდაშვილი, საბა ბაღდავაძე. მიყვარხარ.

• ხათო წითლაურს ვულოცავ დაბადების დღეს, 25 დეკემბერს. ხათო, იმედია მიხვდები, ჩემი სახით რას კარგავ. მიყვარხარ და მეყვარები. უცნობი.

• მარ, ნიკოლოზობას გილოცავ, ღმერთმა მრავალს დაგასწროს. ყველა ლამაზი სურვილი აგსრულებოდეს. გაიხარე. შოკოლადა.

• პატარა თაკო კვირკველიას ვულოცავ დაბადების დღეს, 27 დეკემბერს. უფალი გფარავდეს. მიყვარხარ და გკოცნი ბევრს.

• პატარა ბიჭიკო ვარდანიძეს 29 დეკემბერს 5 წლის იუბილეს ულოცავენ მომავალი ნათლიები. პატარა კაცო, გისურვებთ ჯანმრთელობას, ულევ სიხარულს, ულრუბლო ზეცასა და ნათელ მომავალს.

„მობილიზაციაში“ ნომრის გაგების შესაძლებლობა დღისა და ღამის ნებისმიერ დროს გაქვთ. საამისოდ, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა Guli გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, შემდეგ აკრიბოთ „გზის“ ნომერი, ტირე, მესიჯის ნომერი და გაგზავნოთ ნომერზე 8884. თქვენს ტელეფონზე ავტომატურად მიიღებთ სასურველ ტელეფონის ნომერს. მაგალითად, თუ გსურთ, „გზა“ №18-დან გაიგოთ მე-10 მესიჯის ავტორის ნომერი, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში აკრიბეთ: Guli 18-10 და გაგზავნეთ 8884-ზე. 1 მესიჯით შეგიძლიათ მხოლოდ 1 ნომრის გაგება. ჟურნალში არც ერთი ტელეფონის ნომერი აღარ გამოქვეყნდება. 1 მესიჯის ფასია: 50 თეთრი. ■

ფაიმ-აუფი

როგორ შევეგებოთ ვეფხვის წელიწადს და რას უნდა ველოდეთ მისგან

2010 ანუ ვეფხვის წელიწადში (აღმოსავლური კალენდრით იგი 2010 წლის 14 თებერვალს, 6 საათსა და 40 წუთზე დადგება), როგორც ბატონი მიშა ცაგარელი ამბობს, მოსალოდნელია დიდი ცვლილებები როგორც პოლიტიკურ, ისე საზოგადოებრივ და ეკონომიკურ სფეროში. ასევე, უნდა ველოდოთ აქტიური და უშიშარი ლიდერების გამოვლენას, ძველი ურთიერთობების ტრანსფორმაციას. მოგვეცემა ორიგინალური იდეების რეალიზების, „მავნე თვისებებისგან“ განწმენდის, ფარული ნიჭის გამოვლენის, სულიერი განვითარების, ბედ-იღბლის შეცვლის, წარსულის გაანალიზებისა და პრობლემების მოგვარების საშუალება.

საახალწლო სუფრა და ტანისამოსი

მაგიდა, რომლის ირგვლივაც ახალი წლის შესახვედრად შეიკრიბებით, ოთახის შუაგულში დადგით და გადააფარეთ ყვითელი, ნარინჯისფერი, ვერცხლისფერი ან თეთრი სუფრა. ჭურჭელი უმჯობესია, იყოს ლითონის (სპილენძის, ვერცხლის, მელხიორის), ხის ან კერამიკული. მაგიდა გააფორმეთ ნარინჯისფერი ან ყვითელი 1 ან 8 სანთლით, აგრეთვე ვეფხვისგამოსახულებიანი სუვენირით. კარგია, თუ მასზე ხის ნაკეთობასაც დადებთ. საკვები — ხორცეული, ხილი, ბოსტნეული — მრავალფეროვანი უნდა იყოს. სასმელებიდან უპირატესობა მიანიჭეთ შამპანურს, კონიაკს, ციტრუსის ლიმონათსა და კოქტეილს. საახალწლო სუფრაზე ნუ მიიტანთ ლუდს, ცხვრის ხორცისა და ბრინჯისგან მომზადებულ კერძებს.

უპირატესობა მიანიჭეთ თეთრ, შავ, ცისფერ, ლურჯ, ოქროსფერ, ყვითელ, ნარინჯისფერ, ვერცხლისფერ და ყავისფერ ტანისამოსს. გაიკეთეთ ვერცხლის, ოქროსა და პლატინის აქსესუარები. სასურველია გეცვათ ახალი ტანისამოსი ან გეკეთოთ ახალი აქსესუარი.

ნაძვის ხე მორთეთ ვერცხლისფერი და ოქროსფერი წვიმებით, სათამაშოებით. აუცილებელია ჩიჩილაკის დადგმაც. გაითვალისწინეთ, ვეფხვს არ უყვარს ხმაური და უმჯობესია, თუ ახალ წელს მშვიდ, ოჯახურ გარემოში, ზედმეტი აყალმაყალის გარეშე შეხვდებით.

საუკეთესო საჩუქარი ზოდიაქოს ნიშნების მიხედვით

ვერძი — კარტი, სანთებელა, კომპიუტერი, ტრენაჟორი ან სპორტული ტანსაცმელი;

კურო — საიუველირო ნაწარმი, საათი, ტანისამოსი, სუნამო, თეთრეული;

ტყუბი — მობილური ტელეფონი, სპორტული ტანისამოსი, წიგნი;

კირჩხიბი — ჭურჭელი, სათამაშო, პარფიუმერია, ხელოვნების ნიმუში;

ლომი — ოქროს ნაკეთობა, საიუველირო ან ანტიკვარული ნივთი, ორიგინალური ჭაღი;

ქალწული — საყოფაცხოვრებო ტექნიკა, ჭურჭელი, თეთრეული, ელექტროსაქონელი;

სასწორი — სუნამო, თეთრეული, ანტიკვარული ნივთი, ხელოვნების ნიმუში;

მორიელი — ანტიკვარული ნაკეთობა (იარაღი), ხის ან ქვის ნაკეთობა;

მშვილდოსანი — სპორტული ატრიბუტიკა, საათი, მობილური ტელეფონი, სუვენირი ეგზოტიკური ქვეყნიდან;

თხის რქა — ტანისამოსი, საათი, საყოფაცხოვრებო ტექნიკა;

მერწყული — კომპიუტერი, ტანისამოსი, წიგნი, ხელნაკეთი აქსესუარი;

თევზები — ფოტოაპარატი, ხელოვნების ნიმუში, სუნამო, შანდალი.

რა უნდა ვატაროთ 2010 წელს

ვირთხა (1936, 1948, 1960, 1972, 1984, 1996): ინტუიციის წყალობით, ყოველთვის სწორ არჩევანს გააკეთებთ. შეძლებთ საცხოვრებელი ადგილის შეცვლას, რემონტის გაკეთებას, ქორწინებას, უცხო ენების ათვისებას, სამსახურის დაწყებას. შვებულების დროს იმოგზაურეთ, იყავით აქტიური და შეუპოვარი.

წლის თილისმა: სერდოლიკი და ალმასი, ლითონის ქამარი. კარგი იქნება, თუ მთელი წლის მანძილზე ატარებთ სამაჯურს — ის ნეგატიური ენერგიისგან დაგიცავთ.

ხარი (1937, 1949, 1961, 1973, 1985, 1997): ნუ იქნებით ინერტული. ნაკლებად დაეყრდენით ლოგიკას და მეტად მიენდეთ ინტუიციას. მშვიდად და ფრთხილად განვლეთ წელიწადი. თავდაუზოგავი მუშაობა მატერიალურ წარმატებას მოგიტანთ.

წლის თილისმა: ლალი, ძონი, საფირონი, ოქროს სამაჯური.

ვეფხვი (1938, 1950, 1962, 1974, 1986, 1998): ახლა თქვენი დროა! იაქტიურეთ. თქვენს ცხოვრებაში ახალი, წარმატებული ეტაპი იწყება. სიახლე შეიტანეთ საქმეში, აზროვნებაში, ურთიერთობაში.

წლის თილისმა: ქუდზე ან ჩანთაზე დამაგრებული ოქროს ქინძისთავი, თითების გასავარჯიშებელი ჩინური ბურთები (2 ცალი, ოქროსფერი).

კატა (კურდღელი) (1939, 1951, 1963, 1975, 1987, 1999): ინტუიცია სწორი არჩევანის გაკეთებას გაგიადვილებთ. ცოტა ავანტიურა არ განყენთ.

სასარგებლოა გამოცდილების გაზიარება, საქმეების დასრულება.

წლის თილისმა: ლითონის ელემენტებით გაფორმებული კალამი, ქოლგა, ხელთათმანი.

დრაკონი (1928, 1940, 1952, 1964, 1976, 1988, 2000): ორგანიზატორული ნიჭი და აქტიურობა ახალი შესაძლებლობების გამოვლენაში დაგეხმარებათ. კარგი იქნება მავნე ჩვევებისგან გათავისუფლება. მეტი დრო დაუთმეთ ხელოვნებას. წარმატებას მოგიტანთ კოლექტიური საქმიანობა. კარგი პერიოდია სწავლისთვის. თამამად გამოავლინეთ საკუთარი იდეები.

წლის თილისმა: მარაო, გასაღები (უმჯობესია, ოქროსფერი), ოქროს ან ვერცხლის მონეტა.

გველი (1941, 1953, 1965, 1977, 1989, 2001): იმოქმედეთ წინდახედულად და შეძლებისდაგვარად დაისვენეთ. რაც მეტად გახსნილი, კომუნიკაბელური იქნებით, მით მეტ წარმატებას მიაღწევთ. მოერიდეთ ფინანსურ ოპერაციებში მონაწილეობას და მეტი დრო დაუთმეთ ჯანმრთელობას.

წლის თილისმა: ყავის მარცვალი, მობილური ტელეფონი. ჩაიცვით ღია ფერის ტანისამოსი.

ცხენი (1930, 1942, 1954, 1966, 1978, 1990, 2002): ოპტიმიზმი და კომუნიკაბელურობა წარმატების მიღწევაში დაგეხმარებათ. ყურადღება მიაქციეთ კომუნიკაციასთან, ტრანსპორტთან და ტურიზმთან დაკავშირებულ პროექტებს. ოჯახზე მეტი ყურადღება, კარიერას დაუთმეთ. კარგია ცოდნის მიღება, ახალი პროფესიის ათვისება, მოგზაურობა.

წლის თილისმა: ფეხსაცმელი ლითონის დეკორით, ლურჯი ფერის მინერალი, ვეფხვის გამოსახულება.

თხა (ცხვარი) (1943, 1955, 1967, 1979, 1991, 2003): გეკრძალებათ სიზარმაცე, ზედმეტი მორცხვობა, ინერტულობა, ფიქრები წარსულზე. მოსალოდნელია ახალი სამსახურის დაწყება, პროფესიული წინსვლა. სასიკეთო ცვლილებები გელით პირად ცხოვრებაშიც. ეს პერიოდი ხელს შეუწყობს იმ საძირკვლის ჩაყრას, რომელიც მომავალში სერიოზულ წარმატებას გიქადით.

წლის თილისმა: საათი, შავი და თეთრი ბრინჯი (ის დაგიცავთ ავი თვალისა და ენერგოდანაკარგისაგან).

მაიმუნი (1932, 1944, 1956, 1968, 1980, 1992, 2004): სასიკეთოა მუშაობა ხელოვნებისა და სამეურნეო-კვლევით სფეროში. წელს არასასურველია უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა, იურიდიული საბუთების გაფორმება. ხელსაყრელია ქორწინება და ახალი შემოქმედებითი თუ ბიზნესკავშირების დამყარება.

წლის თილისმა: ლითონის ორი სპილო, წყვილი ბეჭედი, ხელთათმანი (ყვითელი ან თეთრი), მობილური ტელეფონი ორი სიმბარათით.

მამალი (1933, 1945, 1957, 1969, 1981, 1993, 2005): კარგად გაიაზრეთ თქვენი გეგმები და მიზნები, რადგან მათი რეალიზება თქვენგან მეტ ძალისხმევასა და სახსრებს მოითხოვს. იმისათვის, რომ სწავლის მიტოვება ან დისერტაციის შეჩერება არ მოგიხდეთ, სწორად გადაანაწილეთ დრო და შეძლებისდაგვარად დაისვენეთ. აიმაღლეთ კვალიფიკაცია.

წლის თილისმა: ოქროს წყვილი თევზი, მუსიკალური მაღვიძარა.

ძაღლი (1934, 1946, 1958, 1970, 1982, 1994, 2006): საინტერესო წელი გელით. მართალია, ცხოვრება არ შეგიმსუბუქდებათ, მაგრამ ის ბევრ სასიამოვნო სიურპრიზს გპირდებათ.

წლის თილისმა: ჯამბაზის გამოსახულება, ტკბილი სურნელის მქონე სუნამო.

ტახი (ღორი) (1935, 1947, 1959, 1971, 1983, 1995, 2007): წელს უნდა შეძლოთ სხვათა პატიება და მოსმენა. მეტი დრო დაუთმეთ ახლობლებს, ოჯახის წევრებსა და ტრადიციების დაცვას. მოსალოდნელია ოჯახის შექმნა, უძრავი ქონების ყიდვა.

წლის თილისმა: სამზარეულოს კომპლექტი, გასაღები, სუნამო. ატარეთ წითელი და თეთრი ლობიო, რაც უარყოფითი ენერგეტიკული შემოტევებისგან დაგიცავთ.

■

ვოროსკოპი

(24-30 დეკემბერი)

ვერძი:

გახსოვდეთ, რომ გარშემო მყოფთა კეთილდღეობა თქვენზეა დამოკიდებული, ამიტომ ეგოისტივით ნუ მოიქცევით. შვილების წარმატება მხნეობასა და ენერგიას შეგმატებთ. დროა, ყველა საქმე გვერდზე გადადოთ და საყვარელ ადამიანთან ერთად დასასვენებლად გაემგზავროთ.

ხუთი:

კარგი პერიოდია ხელობის შესასწავლად, ახალი საქმეების დასაწყებად. მატერიალურ კეთილდღეობასა და წარმატებას შემოქმედებითი საქმიანობა მოგიტანთ. დასვენების დღეები საყვარელ ადამიანებთან ერთად გაატარეთ. მეტი მზრუნველობა გამოიჩინეთ მშობლების მიმართ.

ტყუპები:

მეგობრებთან ერთად მგზავრობა და მხიარულება გელით. კარგი პერიოდია მთაში დასასვენებლად გასამგზავრებლად, მაგრამ გაფრთხილდით, მოსალოდნელია ტრავმები. დასვენების დღეები კი მეცადინეობასა და კითხვაში გაატარეთ.

კიბორჩხალა:

ნათესავებს სამომავლო გეგმები საოჯახო სადილის დროს გაანდეთ. ყური უგდეთ მათ რჩევა-დარიგებებს. კარგი პერიოდია საჩუქრების შესარჩევად. უსაფუძვლო ეჭვიანობის გამო საყვარელ ადამიანთან ურთიერთობას ნუ გაიფუჭებთ. მოერიდეთ გადაღლას.

ლომი:

კარგი პერიოდია წარსულის გასაანალიზებლად, შეცდომების გამოსასწორებლად, ძველი კავშირებისა და ურთიერთობის აღსადგენად. კვირის ბოლოს მეტი ყურადღება მიაქციეთ ჯანმრთელობას. სამართალდამცავებთან მოერიდეთ ურთიერთობის გარკვევას.

ქალწული:

კვირა რომანტიკული შეხვედრებით იქნება დატვირთული. ყველასთან გულახდილი ნუ იქნებით. ნათესავების დახმარებით ნებისმიერ სირთულეს გადალახავთ. მეტად დაისვენეთ. დილაობით კარგია ცურვა, საღამოობით სუფთა ჰაერზე ისეირნეთ.

სასწორი:

ახალ წლამდე რამდენიმე დღით ადრე ფორტუნა შანსს გაძლევთ, თქვენს მეორე ნახევარს შეხვდეთ. აგრეთვე კარგი პერიოდია საოჯახო საქმეების შესასრულებლად, ფინანსური საკითხების მოსაგვარებლად. დასვენების დღეებში მეგობრებს შეხვდით.

მორიელი:

საბუთებს წაუკითხავად ხელი არ მოაწეროთ. გადაამოწმეთ ნებისმიერი ინფორმაცია. სამსახურში თუ ყურადღებით იქნებით, შესაძლოა თაღლითიც გამოავლინოთ. ეცადეთ, ოჯახის წევრებსა და ნათესავებს დანაპირები შეუსრულოთ და იმედი არ გაუცრუოთ.

მშვილდოსანი:

მეტი სიფრთხილე გამოიჩინეთ ფინანსური საკითხების მოგვარებისას. ნუ ეცდებით ხელმძღვანელობის მოტყუებას. დაუფიქრებელმა საქციელმა შეიძლება სამსახურის გარეშე დაგტოვოთ. დასვენების დღეები საჩუქრების შერჩევას დაუთმეთ.

თხა:

ნათესავებთან ურთიერთობაში დიპლომატია გამოიჩინეთ. ნუ შექმნით ჩხუბის მიზეზს. განსაკუთრებული ყურადღება გამოიჩინეთ ბავშვების მიმართ. დასვენების დღეები საყვარელ ადამიანთან ერთად გაატარეთ. შეადგინეთ ახალი ბიზნესგეგმა.

მეწყლული:

უსიამოვნო ფიქრებისგან თავს დაიცავთ, თუ დიდი ხნით არ განმარტოვდებით. ეს პერიოდი იმ ადამიანებთან ერთად გაატარეთ, რომლებიც ცხოვრებას გაგიხალისებენ, მომავლის რწმენას ჩაგისახავენ და იდეების განხორციელებაში დაგეხმარებიან.

თევზები:

ახალი პროექტების განხორციელება მატერიალურ კეთილდღეობას მოგიტანთ. დასვენების დღეები მეგობრებთან ერთად გაატარეთ, მაგრამ მოერიდეთ ავანტიურულ თავგადასავლებს, რამაც შეიძლება რეპუტაცია შეგილახოთ. ■

მედია-დანაზოგი

ვალიტრა მედია

ანგარიშგასაწევი პროექტი

მათ უკვე ნახეს ჩვენი ფასები, თქვენ?

21–28 დეკემბერი

მითანა

საახალწლო სუფრის მთავარი მშვენება:

გოჭი

ზომა-წონის ფართო არჩევანი:
4-დან 8კგ-მდე
გერმანული წარმოების, უმაღლესი ხარისხის პროდუქტი
მაღაზიაში შეწვის სერვისი.

ნაკგ. წონაზე. 70-ის ნაცვლად.
50 ლარი

ფასი 1კგ-ზე: ~~14~~ 10

Disney

„დისნეის" სასაჩუქრე კომპლექტი: ნაძვის ხე თოჯინა სათამაშოები

დეკორაციული ნაძვის ხეები 1.80სმ სიმაღლის, ორიგინალური დიზაინი

ფასი: ~~83~~ 50

ფასი: ~~200~~ 150

„სიტყვა და საქმის" პირველ მვერდზე დაბეჭდილია კუპონი,

მიიგანეთ 2 კუპონი „მითანას" ეაღაზიებში

ჭყონდიდელის ქ.26; იოსებიძის ქ.60;
წერეთლის გამზ.69; ბათუმი,ბარათაშვილის ქ.45

მიიგანეთ 2 კუპონი „მეგალაინში"

კერესელიძის ქ.12 ტელ: 877 78 77 14

ანონსი

მალე!

საუკეთესო საახალწლო საჩუქარი ააგარებს!

უმაღლესი პოლიგრაფიის წიგნი თვალისმომჭრელი ილუსტრაციებითა და უამრავი სიურპრიზით

მოელოდეთ 28 დეკემბერი-4 იანვარი

ინიციატორი „მედია-დანაზოგის"

ხანგრძლივი შემოთავაზება

ფრანგული წარმოების

პარფიუმერია – საუკეთესო საახალწლო საჩუქარი ქალისა და მამაკაცისათვის

ერუდიტი

გამოუსწორებელი მეოცნებისა და რომანტიკოსის „კუჩხი“ ბედნიერი

„გზის“ მომდევნო ნომერში „წლის ერუდიტს“ და „ანტიერუდიტს“ გამოვავლენთ, ამჯერად კი 2009 წლის „ერუდიტის“ ბოლო სტუმარს წარმოგიდგენთ. ბევრი რესპონდენტისგან განსხვავებით, ალეკო თეთრაშვილი შეხვედრაზე უპრობლემოდ დამთანხმდა და ინტერვიუსთვის შინ მიმიპატიჟა. მისი საოჯახო ბიბლიოთეკა წიგნების 18 თაროზეა განაწილებული. ბავშვობაში ლიტერატურისადმი ინტერესი და სიყვარული მშობლებმა ჩაუნერგეს. პირველი სქელტანიანი ნაწარმოები, რომელიც წაიკითხა, მაინ რიდის „უთავო მხედარი“ იყო. მისი საყვარელი ქართველი ავტორები არიან: კონსტანტინე გამსახურდია, ჭაბუა ამირეჯიბი, ვაჟა-ფშაველა, ლადო ასათიანი. ლიტერატურული პერსონაჟებიდან მეგობრად გიორგი I-ს ირჩევს და პიპა უშიშარაიძესთან მის დიალოგს მიყვება. იმასაც მიმხელს, რომ მეგობრები ხშირად დონკიხოტს ადარებენ. ჩემ მიერ დასმულ კითხვაზე — რა საერთოა მასსა და სერვანტესის უკვდავ გმირს შორის? — ღიმილით მპასუხობს: მეც გამოუსწორებელი მეოცნებე და რომანტიკოსი ვარო.

„თოვლის ბაბუა საჩუქარს ბალიშის ქვეშ, ჩუმად მიდებდა...“

თამუნა კვინიკაძე

პრეამბულის მაგივრ

— ახალი წელი ახლოვდება, როგორი განწყობილება გაქვთ?

— ახალი წლის მოსვლა განსაკუთრებით, ბავშვობაში მიყვარდა, როცა მშობლები ცოცხლები იყვნენ და ჩემზე ზრუნავდნენ. ვიცოდი, თოვლის ბაბუა საჩუქარს ბალიშის ქვეშ, ჩუმად დამიდებდა და წავიდოდა. ეს დღესასწაული ახლაც ძალიან მიყვარს — თოვლი მოდის, ნაძვის ხეს ვრთავთ, გარეთ ბათქაბუთქია. უჰ, ძალიან კარგია, მაგრამ სამწუხაროდ, წელიწადში ერთხელაა (*იცინის*).

— ბევრჯერ რომ იყოს, ასეთი კარგი აღარც იქნებოდა... ახალ წელს როგორ ხვდებით ხოლმე? რაიმე უჩვეულო ტრადიცია ხომ არ გაქვთ?

— ყოველთვის ოჯახში ვხვდები, 12 საათის შემდეგ კი სტუმრად მეგობრებთან ან ნათესავებთან მივდივარ, ზოგჯერ ისინი მოდიან და ერთად ვმხიარულობთ.

— ბავშვობაში მეკვლედ არ დადიოდით?

— როგორ არა! მამას მეგობრების ოჯახებში ხშირად დავყავდი. როგორც ამბობენ, კარგი ფეხი მაქვს. არა მარტო ახალ წელს, ნებისმიერ სხვა დღესაც, მეგობრები ცდილობენ, თუკი მათ ცხოვრებაში რაიმე მნიშვნელოვანი საკითხი წყდება, თან მიახლონ. ხუმრობენ, — ალეკო წავიყვანოთ და აუცილებლად გამოვაო! ერთხელ მეგობარმა დამირეკა: მანქანის გაყიდვა მინდა და იქნებ, დრო გამონახო, ბაზრობაზე გამყევიო. უარს როგორ ვეტყოდი?! ეს ის პერიოდია, როცა ხუმრობდნენ, — ბაზრობაზე „სემიჩკისა“ და „ოპელის“ გარდა არაფერი იყიდებაო... როგორც კი მივედით, მზესუმზირის საყიდლად გადავედი და მეგობარს დავუბარე: 2 წუთში მოვალ, მანქანის მოტორი არ გამორთოთ. უკან მიბრუნებული ვხედავ, საჭესთან უცხო მამაკაცი ზის. კლიენტიაო, — მითხრა მეგობარმა. ის მანქანა 5 წუთში გავყიდეთ, შემდეგ კი ეს ამბავი რესტორანშიც აღვნიშნეთ.

— რომელი ზღვის სანაპიროზე მდებარეობს ფინეთის დედაქალაქი ჰელსინკი?

— ბალტიის ზღვის სანაპიროზე.

— ამ კომპოზიტორმა მუსიკალური განათლება მოსკოვის კონსერვატორიაში მიიღო. ის არაერთი ცნობილი ოპერის ავტორია...

— ო, უნდა დავფიქრდე...

— მიგანიშნებთ, მის სახელს თბილისის ერთ-ერთი თეატრი ატარებს.

— ზაქარია ფალიაშვილი ხომ არა?

— დიახ. ქართული თეატრის ისტორია საუკუნენახევარზე მეტს მოიცავს. პირველი სპექტაკლი 1850 წლის 2 იანვარს გაიმართა. რომელ შენობაში წარმოადგინეს „გაყრა“?

— აი, ეს კი მართლა არ ვიცი.

— თბილისის კლასიკური გიმნაზიის შენობაში. 1783 წელს პარიზში მომხდარმა ამ ისტორიულმა მოვლენამ მთელი ევროპა აღაფრთოვანა. ამ მოვლენაზე იწერებოდა გაზეთებში, უმნიშვნელო ამბებსაც კი დაწვრილებით ჰყვებოდნენ. მას მხატვრებმა ტილოები მიუძღვნეს. რაზეა ლაპარაკი?

— (*ფიქრობს*) საჰაერო ბურთით გაფრენაზე.

— საათის ციფერბლატი დაყავით სხვადასხვა ფორმის 3 ნაწილად ისე, რომ თითოეულ ნაწილში ციფრთა ჯამი 26 იყოს.

— დრო მჭირდება (*ბატონი ალეკო კალამს და ფურცელს იღებს, ციფერბლატს ხატავს* და *ანგარიშობს*). ე.ი. პირველ ნაწილში მოხვდება ციფრები: 11, 12, 1 და 2, მეორეში — 3, 4, 9 და 10, მესამეში — 5, 6, 7 და 8. მგონი, სწორად გამოვიანგარიშე.

— რა თქმა უნდა! კიევის სამხედრო გიმნაზიიდან საქართველოში არდადეგებზე დაბრუნებულმა ყმაწვილმა ქუთაისიდან სოფელში თარჯიმანი გაიყოლა, მშობლებს რომ დალაპარაკებოდა. შემდგომში ეს ადამიანი ცნობილი მწერალი გახდა. დაასახელეთ იგი.

— რადგან ქუთაისი ახსენე, ე.ი. ის მწერალი იმერეთიდან იყო. ხომ სწორად ვმსჯელობ?

— დიახ და მისი პერსონაჟებიც უმეტესად, ამ კუთხის შვილები არიან.

— დავით კლდიაშვილი.

— ვინ არის ავტორი ქანდაკებისა — „კიდევაც დაიზრდებიან“?

— მერაბ ბერძენიშვილი.

— რომელი უფრო მეტია — 37-ის 52% თუ 52-ის 37%?

— (*იცინის*) ტოლია.

გაგრძელება იხ. გვ. 104

იყიდეთ
ერთხელ,
იკითხეთ
მთელი
წელი!
კვირის
პალიტრა
კედლის
კალენდარი
2010
მემამულის
კალენდარი
მემამულის
კედლის
კალენდარი
2010
„კვირის პალიტრა“
გთავაზობთ
სხვადასხვა სახის
კედლის მოსახევ
კალენდრებს
ბრბოსული 2010
ქალთა კალენდარი
ქალთა
კალენდარი
2010
ყულინარიული
კალენდარი
კედლის
კალენდარი
2010
2010 ოჯახის
მკურნალი
2010
ცვალიცვალი
2010
მართლმადიდებლური
კალენდარი

ანეკდოტები

გონების სავარჯიშო

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის (კითხვები)

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

„პასუხების“ სვეტისკენ არ გაგექცეთ თვალი

1. რა ჰქვია მეორენაირად ბაირახტარს?
2. ეს ფიზიკოსი არა მხოლოდ დიდი მეცნიერი, არამედ დიდი პედაგოგიც გახლდათ. ერთხელ, როცა სასწავლებელში არც ერთი სტუდენტი არ გამოცხადდა, მან ცარიელ აუდიტორიაში ჩაატარა ლექცია. დაასახელეთ იგი.
3. რას ეძახიან დედამიწის მესამე პოლუსს?
4. რომელი ევროპული ქვეყნის კოლონია იყო ინდონეზია?
5. რა არის მკედი?
6. დაასახელეთ პირველი ამერიკელი მილიარდერი.
7. დაასახელეთ რომაელი დიქტატორი, რომლის საფლავზეც მისივე ანდერძით ამოკვეთილი იყო ეპიტაფია: „მსოფლიოში არავის გაუკეთებია მასზე მეტი სიკეთე მეგობრებისათვის და ბოროტება — მტრებისთვის“.
8. რომელ მხატვარს ეკუთვნის სიტყვები: „ნუ შეუშინდებით სრულყოფილებას, მაინც ვერასდროს მიაღწევთ მას“.
9. რომელ დიქტატორს ეკუთვნის სიტყვები: „მე არა ვარ დიქტატორი. უბრალოდ, ასეთი სახის გამომეტყველება მაქვს“?
10. ვის ეძახდა კოტე ყუბანეიშვილი „მოუხელთებელ ჯოს“?
11. მოსკოვში, მანქანების ერთ-ერთ სამრეცხაოს ინგლისელი მწერლის სახელი ამშვენებს, ოღონდ, მისი სახელის შემდეგ სამი წერტილია დასმული და მერე წერია: „ჩისტიმ ენდ დრაიმ“. როგორ გამოიყურება მთლიანობაში ეს წარწერა?
12. „...შემდეგ კი თვალყურის დევნება, რომ მეცნიერება არ დარჩეს ჩვენში მკვდარ სიტყვად ან მოდურ ფრაზად“, — ეს სიტყვები ლენინის ცნობილი გამონათქვამის ბოლო ნაწილია. დაასახელეთ ამ ფრაზის ყველასათვის ცნობილი დასაწყისი.

* * *

— წელს ისეთი გვალვა იყო, ძროხები რძის ნაცვლად, რძის ფხვნილს იწველებოდნენ!

* * *

კაცი მივლინებიდან ვადაზე ადრე დაბრუნდა და ხედავს, ცოლი სამზარეულოშია, ლოგინი — გასწორებულია.

— ვაა, სხვაგან ხომ არ მოვხვდი?

— მოკლედ, შენ ხომ ვერაფრით გასიამოვნებს ადამიანი, რა!

* * *

ზოოფილი, სადისტი, ნეკროფილი და ექსტრემალი საუბრობენ:

ზოოფილი: — აუ, ახლა ერთი კატა მომცა, რას გავუიმავდი?!.

სადისტი: — მერე იმ კატას რა სიამოვნებით დავახრჩობდი?!.

ნეკროფილი: — მერე იმ დამხრჩვალ კატას რას გავუიმავდი?!.

ექსტრემალი: — მიაუუუუ!..

* * *

გაფრთხილება: „ტურისტების საყურადღებოდ! ვინც ტყეში აპირებს ექსკურსიაზე წასვლას, თან იქონიოს პატარა ზანზალაკი, რადგან მისი წკარუნი აფრთხობს ყველა ჯიშის დათვს, გარდა გრიზლისა.

იმ ტერიტორიების ცნობა, სადაც გრიზლი ბინადრობს, შესაძლებელია იმ დათვის ფუნით, რომელშიც ყოველთვის მოჩანს პატარა ზანზალაკი“.

* * *

— გაიგე, ბუხუტიას ცოლი რომ უჟეჟია?

— რატომ, კაცო?

— უცხო კაცთან ერთად შეუსწრია ლოგინში და აბა, რას იზამდა?!.

— ოო, ნამდვილად არ არის მოსათმენი! ადრე სულ ნაცნობებთან ღალატობდა ხოლმე.

* * *

დალაქი კლიენტს ეკითხება:

— ფეხბურთში რომელ გუნდს გულშემატკივრობ?

— რომელსაც თქვენ, — მიუგო კლიენტმა.

— კი, მაგრამ თქვენ რა იცით, მე რომელ გუნდს ვგულშემატკივრობ?

— ჰო, არ ვიცი, მაგრამ ის კი ვიცი, რომ სამართებელი თქვენ გიჭირავთ.

* * *

სოციოლოგიის გამოცდაზე პროფესორი სტუდენტს ეკითხება:

— კაცობრიობის ისტორიის მანძილზე დამნაშავეობა მატულობს თუ კლებულობს?

— რა თქმა უნდა, კლებულობს — აბელისა და კაინის დროს მოსახლეობის 25% მკვლელი იყო.

* * *

გაზის საავარიოში მოხუცი ქალი რეკავს:

— ეს რას ჰგავს, დილიდან ჩავრთე გაზის ქურა და ცეცხლი ჯერ არ აინთო!

— ასანთი თუ გაკარით, ბებო?!

— უი, სულ დამავიწყდა, ახლავე ავანთებ!

* * *

ბიბლიოთეკაში:

— თვითმკვლელობებზე წიგნებს სად ინახავთ?

— მეხუთე თაროზე, მარჯვნივ.

— იქ რომ არაფერი დევს?

— იცით, აღარ აბრუნებენ ხოლმე...

* * *

ოსს ხელი ჩამოართვეს:

— რა ოფლიანი ხელისგულები გაქვს!

— შენ ფეხისგულები უნდა ნახო!

* * *

მიხოს ცოლი გარდაეცვალა და კაცი თავს იკლავდა, — რაღა მინდა ქვეყანაზეო?! მეორე დღეს სახლიდან გავიდა და კარგა ხანს აღარ გამოჩენილა. მეზობლებმა ისიც კი იფიქრეს, ალაზანში ხომ არ დაიხრჩო თავიო, მაგრამ ბოლოს, მაინც გამოჩნდა, გაგლეჯილი მთვრალი და მხიარული:

— მიხო, ცოტა ხნის წინ თავს იკლავდი და ახლა რა დაგემართა? — ჰკითხეს მეზობლებმა.

— კაცოო, წუხელ მთელი ღამე ვფიქრობდი: მარო არც დედით იყო ჩემი ნათესავი და არც — მამით. ნეტა, რისთვინ ვიკლავდი თავს?..

* * *

— ჩემს მშობლებს ძალიან ეშინიათ მულტფილმების და როგორც კი საბავშვო გადაცემები იწყება, ტელევიზორთან დამსვამენ, თვითონ ოთახში გარბიან, საბნის ქვეშ შეძვრებიან ხოლმე და შიშისაგან კანკალებენ.

* * *

— დედა, რამდენი დროა საჭირო, ოცნების მამაკაცს რომ შეხვდე?

— დიდი, შვილო, იმდენად დიდი, რომ ერთი-ორჯერ გათხოვებასაც მოასწრებ.

* * *

ორი ქალი ხვდება ერთმანეთს.

— გამარჯობა, როგორ ხარ, 25 წელიწადია, ერთმანეთი არ გვინახავს. ვა, როგორ გასუქებულხარ, უცებ ვერც კი გიცანი.

— შენც ძალიან გამოცვლილხარ, შენი ყვავილებიანი კაბა რომ არა, ნამდვილად ვერ გიცნობდი.

* * *

— სად არის შენი კატა?

— ელვამ მოკლა!

— როგორ?

— ქურთუკს ვიკრავდი და თავი გამოყო...

* * *

პატარა ბიჭი შინ დახეული ტანსაცმლით მივიდა. დედა უწყრება:

— რა მოგივიდა?

— კლასელს ვეჩხუბე.

— მომიკვდეს, თავი! ახლა შენთვის ახალი შარვლის ყიდვა მომიწევს.

— შენ ის უნდა ნახო, მის მშობლებს ახალი შვილის ყიდვა მოუწევთ.

* * *

მიხო ექიმთან მივიდა.

— იცით, კარგს ვერაფერს გეტყვით.

— რაშია საქმე?

— ალკოჰოლი ძალიან ცუდად მოქმედებს ადამიანის ჯანმრთელობაზე.

— კარგი, ექიმო, გამოფხიზლდით და ხვალ გამოგივლით.

გონების სავარჯიშო

„გზის" ერთგული მკითხველისათვის

(პასუხები)

1. მედროშე.
2. ისააკ ნიუტონი.
3. ტიბეტის პლატოს.
4. ჰოლანდიის.
5. მომსხო ძაფი.
6. როკფელერი.
7. ლუციუს კორნელიუს სულა.
8. სალვადორ დალის.
9. აუგუსტო პინოჩეტს.
10. ჯოხარ დუდაევს („როგორც მგონია, ჯოხარ, ნეულავიმი ჯო ხარ!").
11. „სამერსიტ მოემ... ჩისტიმ ენდ დრაიმ".
12. „სწავლა, სწავლა და სწავლა!.."

ჩვენი ფოტო მაღვრევა

დასაწყისი იხ. გვ. 100

— ბიძისგან დევნილმა თავი მომთაბარეებს შეაფარა. იგი ქართველ მეფეზე დააქორწინეს, მაგრამ პატივი ვერ შეიფერა და ისევ დევნილად იქცა. დაასახელეთ იგი.

— თამარ მეფის მეუღლე — იური.

— რა პროფესიის იყო ფრანგი მწერალი ანტუან დე სენტ ეგზიუპერი?

— მფრინავი იყო. თუ სწორად მახსოვს, სადაზვერვო ფრენის დროს დაიღუპა.

— დიახ, ეს II მსოფლიო ომის დროს მოხდა. დიდი ბრიტანეთი, ჩინეთი, საქართველო, ავსტრალია — ჩამოთვლილთაგან, რომელ ქვეყანას არ აქვს სახმელეთო საზღვარი?

— ავსტრალიას.

— მსოფლიოში ყველაზე დიდი კაშხალი ტაჯიკეთში მდებარეობს, მას ნურექისი ჰქვია და მისი სიმაღლე 300 მეტრია; შემდეგ მოდის იტალიაში მდებარე 285-მეტრიანი გრანდ დიქსენსი, შემდეგ კი...

— ვერ გიპასუხებთ.

— ენგურის კაშხალი.

— მართლა? არ ვიცოდი, რამდენი მეტრია?

— 272 მეტრი. ფიროსმანის სიცოცხლეშივე მოეწყო თუ არა მისი სურათების გამოფენა?

— დიახ.

— ეს სად მოხდა?

— თბილისში.

— ცდებით.

— აბა, სიღნაღში?

— ამჯერადაც არასწორად მიპასუხეთ. მოსკოვში მხატვარ-ფუტურისტების გამოფენა, „სამიზნე“ მოეწყო და სწორედ იქ გაიტანეს ფიროსმანის სურათებიც. დაფნა, ვაშლი, ბროწეული, ვარდი — ბერძნული მითოლოგიით, რომელი მცენარე მიიჩნევა ქორწინების სიმბოლოდ?

— დაფნა.

— ცდებით, ქორწინების სიმბოლოდ...

— (*მაწყვეტინებს*) მაშინ ვარდი იქნება.

— სწორი პასუხია — ბროწეული. „ბრძოლის ველზე მალე ბერდებიან, მე კი იქიდან მოვდივარ“, — რომელ ცნობილ იმპერატორს ეკუთვნის ეს გამონათქვამი?

— (*ფიქრობს*) ნაპოლეონს, არა?

— გამოიცანით. რომელ ზღვაში ჩაედინება მდინარე ვოლგა?

— კასპიის ზღვაში.

— ბრინჯი, ხორბალი, მზესუმზირა, ლობიო — ჩამოთვლილთაგან, რომელი მცენარის თესლი შეიცავს ყველაზე მეტ ცილას?

— ლობიო.

— ხელოვნების რომელ სტილს მიეკუთვნება ზამთრის სასახლის არქიტექტურა სანქტ-პეტერბურგში?

— ზუსტად არ მახსოვს.

— ბაროკოს სტილია. ვარძიაში ნამყოფი ხართ?

— დიახ.

— თუ დაგითვლიათ, რამდენსართულიანია ეს სამონასტრო კომპლექსი?

— 12 სართული უნდა იყოს.

— ცდებით, 13-სართულიანია. „სიკეთით სძლიე შენს მტერსა, ერიდე სისხლით ზღვევასა, სულგრძელობითა სძლევა სჯობს, ვაჟკაცობითა ძლევასა“, — ვის ეკუთვნის ეს სიტყვები?

— (*პაუზის შემდეგ*) ილია ჭავჭავაძეს.

— როგორც ლადო გუდიაშვილი იგონებს, 1919 წელს, რუსთაველის თეატრის სარდაფში პოეტებმა კაფე გახსნეს, სადაც ახალ ლექსებს კითხულობდნენ. იქ მომღერლები და მოცეკვავეებიც იკრიბებოდნენ. რა ერქვა ამ კაფეს?

— არ ვიცი.

— „ქიმერიონი“. ცნობილია, რომ იმერეთის მეფე ალექსანდრე V (1720-1752 წწ.) მოულოდნელად დაბრმავდა. რას მიაწერეს ეს მოვლენა მისმა თანამედროვეებმა?

— არც ეს ვიცი.

— ხახულის ღვთისმშობლის ხატის ძალას. მისი თანამედროვეები ამბობდნენ: მეფემ გელათის ტაძარი გაძარცვა და ხახულის ღვთისმშობლის ხატს ძვირფასი თვლები ამოუყარა. ღმერთი ამიტომაც განურისხდა — ჯერ დაბრმავდა და მალე გარდაიცვალაო. რომელი ციური სხეულის სადიდებელია სვანური სიმღერა „ლილე“?

— არ ვიცი. წინა კითხვამ ძალიან დამაფიქრა.

— მზის. „მომეცით საყრდენი წერტილი და დედამიწას გადავდგამ“, — ვინაა ამ გამონათქვამის ავტორი?

— (*ფიქრობს*) არქიმედე.

— „ამორძალივით მოჯირითე რაინდთა შორის“, „ყინწვისის ანგელოზივით მჭმუნვარე“ — რომელ პერსონაჟს ახასიათებს ასე კონსტანტინე გამსახურდია?

— თუ შეიძლება, გამიმეორეთ. (*გამეორების შემდეგ*) შორენას, „დიდოსტატის მარჯვენაში“.

— დიახ. რა გვარია იგი?

— თალაგვა კოლონკელიძის ასული გახლავთ.

— ის ფილოსოფოსი პლატონის მოწაფე და ალექსანდრე მაკედონელის აღმზრდელი იყო. დაასახელეთ იგი.

— არისტოტელე.

— რა მნიშვნელოვანი ბიოგრაფიული მოვლენა აკავშირებს ერთმანეთთან მიხეილ ჯავახიშვილსა და ფეოდორ დოსტოევსკის?

— (*ფიქრობს*) ისეთს ვერაფერს ვიხსენებ.

— ორივეს სიკვდილი ჰქონდა მისჯილი. დოსტოევსკის შეწყალებამ ეშაფოტზე მიუსწრო და მას დახვრეტა კატორღით შეუცვალეს. ეს ქართველი რეჟისორი კი გერმანელთა ტყვეობაში 3-ჯერ იყო და მათ სამივეჯერ გამოექცა.

— ვერ გიპასუხებ.

— მიხეილ თუმანიშვილი. ამ კომპოზიტორს სიყრუის ნიშნები 27 წლის ასაკიდან დაეწყო, რაც მძიმე სულიერ ტრავმად ექცა. ცხოვრების უკანასკნელი წლები თითქმის სრულ სიმარტოვესა და სიღარიბეში გაატარა. დაასახელეთ იგი.

— ბეთჰოვენი.

— ეს ციხე ისტორიულ წყაროებში პირველად XIII საუკუნეში იხსენიება. ის რეგიონის მნიშვნელოვან სტრატეგიულ ციხესიმაგრეს წარმოადგენდა. მისი დაუფლება მთელ შიდა ქართლზე პოლიტიკურ ბატონობას ნიშნავდა. ციხე საუკუნეთა მანძილზე არაერთხელ აღდგენილა და გადაკეთებულა. დღევანდელი სახე 1774 წელს მიიღო, როცა მეფე ერეკლე II-მ საფუძვლიანად შეაკეთა. დაასახელეთ ეს ციხე.

— რადგან ქართლი ახსენეთ, გორის ციხე უნდა იყოს.

— ნამდვილად ასეა! სადაური არაყია ჯინი?

— ინგლისური.

— ევროპის ჯუჯა სახელმწიფოთაგან, რომელი მდებარეობს საფრანგეთ-ესპანეთის საზღვარზე?

— (*ფიქრობს*) ანდორა.

— რა ერქვა ძველი რომის არქიტექტურულ ძეგლს, სადაც სანახაობები ეწყობოდა?

— კოლიზეუმი.

— დაბოლოს, დაასრულეთ ავსტრიელი მწერლის — შტეფან ცვაიგის ცნობილი გამონათქვამი: „არც ერთმა ეჭიმმა არ იცის დაქანცული სხეულისა და გატანჯული სულის სამკურნალოდ იმისთანა წამალი...“

— „...როგორიცაა სიყვარული“.

— არა, „...როგორიცაა იმედი“.



1. გემთა მიმოსვლა
2. მძორის-მჭამელი ფრინველი
3. თბილისის მერი
4. პარკოსანი კულტურა
5. პურის მცხობელი
6. ცხენოსანი ჯარი
7. თევზის წვნიანი
8. იარლიყი
9. მოხარშული ზეთი
10. ჭური
11. სტუდენტთა ჩათვლის მოწმობა
12. მზის ამოსვლა
13. საგაზეთო წერილი
14. ადვილი, იოლი
15. ჩვენებითი ნაცვალსახელი
16. პირის ნაცვალსახელი
17. კვიპროსის დედაქალაქი
18. სხვისი ბავშვების გამზრდელი ქალი
19. იაპონური ალუბალი
20. კრივის მოედანი
21. საკრებულო მეჩეთი
22. ყვავილი
23. სათიბი იარაღი
24. ათასი კილოგრამი
25. მარცვლეული კულტურა
26. მკვეხარა
27. დარჩენული კაკლის გული
28. კვების გარკვეული რეჟიმი
29. ღორის ცხვირი
30. ხახა
31. პატარა საწნახელი
32. უქმე დღე
33. ქრისტიანული დღესასწაული
34. გერმანული ავტომობილი
35. შინაური ცხოველი
36. ჭრილობა
37. მშრალი, გამხმარი
38. გერმანელი კომპოზიტორი
39. ქვეყანა ოკეანიაში
40. მეკობრე
41. ამერიკის შტატი

ზინა ნომრის სკანვორდის პასუხები 1. მარიამობა; 2. ტრეფიკინგი; 3. მაგნოლია; 4. მადლი; 5. ტბორი; 6. დიფენდერი; 7. ნიკელი; 8. ჰეჟო; 9. სტალინი; 10. ლაქლაქი; 11. ედემი; 12. მალარია; 13. ელიტა; 14. ლუპა; 15. ქადა; 16. ანდამატი; 17. პედაგოგი; 18. ალაო; 19. ხმალი; 20. ბალატონი; 21. ნანეტი; 22. ლეგა; 23. ტიპიკონი; 24. იუტა; 25. პანამა; 26. კაშალოტი; 27. მერია; 28. სამაია; 29. პინა; 30. აჯიკა; 31. კაპიტანი; 32. აკრი; 33. აბაშიძე; 34. ბოა; 35. მალა; 36. ალოე; 37. კიბო; 38. ნო; 39. შტო; 40. ინიციალი.

სურათებზე: 1. მადონა; 2. შონ პენი.

სპეციალური კროსვორდი



შევსების წესი: უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის გრაფაში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრედებში ქართულ ანდაზას ამოიკითხავთ.

ჟ. ჩიტების ხმიანობა; **უ**. ტრანსპორტი, რომლის გადაბრუნებასაც, ანდაზის თანახმად, გზის გამოჩენა მოჰყვება ხოლმე; **რ**. ბირმის დედაქალაქი; **ნ**. ჩანჩქერი ჩრდილოეთ ამერიკაში; **ა*** . ცელქი, მოუსვენარი; **ლ*** . შვეიცარიის ან ლაქიის მოსირმული სამოსელი; **ი*** . ფაშიზმის სამშობლო; **გ*** . ფულის ერთეული ჰოლანდიაში (ევროს შემოღებამდე); **ზ*** . ხასიათი, ბუნება, თვისება; **ა*** . მღვდელმთავარი; **ს*** . თავის კანი თმიანად, რომელსაც ინდიელები მოკლულ მტერს აჭრიდნენ; **ა*** . ებრაელთა მამამთავარი; **უ*** . ამერიკელი ფერმწერი და გრაფიკოსი; **კ*** . ვულკანის ჩაღრმავებული ნაწილი, საიდანაც ლავა გადმოდის; **ე*** . გერმანული — იხ, ფრანგული — ჟე, ესპანური — იო, ინგლისური — აი, ბერძნული — ?; **თ*** . რა სახელი დაარქვეს ბავშვს, რომელიც 1336 წლის 11 მარტს გათურქებული მონღოლი ბეგის, ტარაღაის კარავში დაიბადა?; **ე*** . ძველი ბერძენი მეიგავე; **ს*** . ინგლისელი მწერალი, „გულივერის მოგზაურობის“ ავტორი; **ო*** . ჩრდილოეთ ამერიკაში მდებარე ერთ-ერთი დიდი ტბა; **ა*** . გათავისუფლებული ყმა; **რ*** . მოკრივეთა საასპარეზო მოედანი; **ჩ*** . ვაზის აჭრილი ტოტი მტევნებიანად; **ე*** . ჩხირზე წამოცმული ნაყინი, რომელიც გარედან შოკოლადით არის დაფარული; **ვ*** . მამაკაცის პოტენციის ასამაღლებელი პრეპარატი; **ა*** . მთავარი არტერია, რომელიც არტერიული სისხლით კვებავს სხეულის ყველა ორგანოს (ფილტვების გარდა); **ნ*** . იაპონური საავტომობილო ფირმა; **ი*** . ფულის ერთეული ჩინეთში; **ა*** . რამდენიმე მუსიკალური ბგერის ჰარმონიული შეერთება.

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

გ* . გოთურგა; **ა*** . ათენი; **ე*** . ელვა; **რ*** . რეზერვი; **თ*** . თეირანი; **ე*** . ენდემი; **თ*** . თიანეთი; **დ*** . დასაევი; **ა*** . არარატი; **დ*** . დოჯი; **ა*** . ანექსია; **ი*** . იასონი; **ს*** . სიდნეი; **ვ*** . ვუალი; **ე*** . ერწო; **ნ*** . ნიყვი; **ე*** . ელარჯი; **თ*** . თელავი; **გ*** . გიშერი; **ზ*** . ზვიგენი; **ა*** . ანგარა; **ს*** . სვანეთი; **თ*** . თოდაძე; **ა*** . აკაკი; **ნ*** . ნიაგარა; **ე*** . ენგური; **რ*** . როდენი; **თ*** . თხემი; **ა*** . არსენა; **დ*** . დრო.

გამუქებულ უჯრედებში იკითხება:
თევზი დასაჯეს და წყალში გადააგდესო

იაპონური სენსაცია სუდოკუ

„გზის“ წინა ნომერში გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები

5	7	2	4	3	8	1	9	6
1	6	8	9	2	5	4	3	7
4	9	3	6	7	1	2	8	5
7	5	6	8	1	9	3	2	4
9	3	4	5	6	2	7	1	8
2	8	1	3	4	7	5	6	9
8	2	5	7	9	3	6	4	1
3	4	7	1	8	6	9	5	2
6	1	9	2	5	4	8	7	3

4	8	9	6	2	1	5	3	7
2	1	3	8	5	7	4	6	9
6	7	5	3	4	9	8	1	2
5	3	2	9	7	4	1	8	6
1	6	8	2	3	5	7	9	4
9	4	7	1	8	6	2	5	3
3	9	4	7	1	8	6	2	5
8	5	6	4	9	2	3	7	1
7	2	1	5	6	3	9	4	8

5	8	6	9	2	4	1	3	7
9	7	4	8	1	3	5	6	2
1	2	3	6	7	5	9	8	4
7	3	1	2	5	6	4	9	8
4	9	2	3	8	7	6	1	5
6	5	8	4	9	1	2	7	3
2	4	9	1	3	8	7	5	6
8	6	7	5	4	9	3	2	1
3	1	5	7	6	2	8	4	9

* მარტივი

1			5		9	7		3
8					2		9	
9	4		6					2
7			2		4		5	6
3					7			8
4	2			3				7
5					6		7	4
	1		9					5
2		3	4		1			9

** საშუალო

1			9					5
	4			7				
		3		8				6
4					8			7
		8	2			1		
7			6	3				9
2				1		8		
				2			6	
6					3			2

*** რთული

1					6		3	
			3					8
2			9				7	
4				9		8		
	5		2	8			9	
		6		7				4
	1				8			2
7					2			
	6		5					7

„კვირის პალიტრის“ კოლექცია

„დიდი მხატვრები“

წიგნების სერია

რჩეულ ფერმწერებზე - შედევრები და ისტორიები

მონე

28 დეკემბრიდან

წლის პალიტრასთან ერთად!

მხოლოდ „კვირის პალიტრის“ მკითხველისთვის სპეციალური ფასი 15 ლარი!

„კვირის პალიტრის“ ხელმომწერთა საყურადღებოდ! წიგნის შეძენის მსურველები

დაუკავშირდით „ელვა.ჯი“-ს ტელ: 38-26-73/38-26-74 კურიერი სერიის ყოველ ტომს ადგილზე მოგართმევთ

კოლექციის I–II წიგნი – ვან გოგი და გოგენი შეგიძლიათ შეიძინოთ იანვრის მეორე ნახევრიდან წიგნის მაღაზიებში!

ფოტოკუჩიოზები